

114
1952

საქართველოს
საბავშვო ლიტერატურის
ცენტრი

მნათობი

7

033060



1952

მნათობი



ქრველთჳიური ლიბრატორულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-კოლბიტიური ჟურნალი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

წელიწადი ოცდამეცხვი

1992 5032

7

*

ი ვ ლ ი ს ი



19

სახელგამი
თბილისი

52

საქართველოს
საზოგადოებრივი
ლიბრატორია
ბიბლიოთეკა



კონსტანტინე გამსახურდია — ვაზის ყვავილობა, რომანი, გაგრძელება
 ახალგაზრდა მწერალთა შემოქმედება: მარიამ აბრამიშვილი — შვე-
 ლბისათვის; ილია ართისია — ნიკოლოზ ბარათაშვილი, ლექსი; გივი ნარა-
 შიძე — ვარსკვლავი, — მთელი მსოფლიოს ბედი, ლექსი; ალ. ბევაშვილი —
 არ ულაატებს იგი ამ სახელს, ლექსი; ბადრი ბერიძე — სილნო, ლექსი; გა-
 ფეხი — მაშ, რად გინდა ლექსი; თარგმანი კონსტანტინე ლორთქიფა-
 ნიძისა; აკაკი გეწაძე — რუმინელები სამგორში, ლექსი; გიორგი გიგა-
 ური — იურის შეხვედრა მლაშე ტბებთან, ლექსი; ვახტანგ გოგოლაშვი-
 ლი — აზერბაიჯანელი გოგონა რუსთაველის პროსპექტზე, ლექსი; მუდრაძე კახი-
 ძე — ცაცხვს, ლექსი; მუხრან მაჭავარიანი — სამგორელი, — სამგორის ტი-
 რივები, ლექსები; იაკობ მელია — იურის სიმღერა, ლექსი; ჯანსუღ ნიქა-
 ბაძე — ქართული ავტომობილი მსკოეში, ლექსი; შოთა როყვა — ხმაურობს
 ღონი, ლექსი; მიხეილ სანიაციძე — სოფელი მტრჩეველი, ლექსი; აეთან-
 დილ სვანი — ორჯის ვიროთა ბიუსტები, ლექსი; მურმან ქოიავა — ვა-
 სილ ლიამის, ლექსი; ოთარ შალამბერიძე — მოაზრობის სასახლე, ლექსი;
 ნოდარ შამანაძე — უანში, ლექსი; ჯანსუღ ჩარკვიანი — მთის მდინარე,
 ლექსი; მიხეილ ჩაჩუა — დაბადების დღე, ლექსი; ვახტანგ ძნელაძე —
 ნახე სამგორი, ლექსი; გიორგი წერეთელი — ინგლისური სურა, ლექსი;
 თამაზ ჭილაძე — მალე, ლექსი; დავით ხუროძე — ქვეყნის გაზაფხულს
 ერთად ვდარაჯობთ, ლექსი; ვახტანგ ჯავახიძე — ყველგან ჩვენი მამულია...
 ლექსი

მიხეილ ორაბველიძე — შეგობრობა, დასასრული	46
დავით ბაქრაძე — ვიროთა სისხლით, გაგრძელება	80
ნ. ნიკარსოვი — რუსი ქალები, თარგმანი ვიქტორ გაბესკირიასი	91
მ. ბოლცევი — განხორციელებული ოცნება, ნარკვევი	104
—	
მ. ხუხაშვილი — ახალგაზრდა პოეტები, წერილი	123
ბ. ბორჯომანი — ქართული საბჭოთა გრაფიკა, წერილი	136
—	
ს. წმირაძე — ა. მირცხელავა, „ჰიმნი სამშობლოს“, ბიბლიოგრაფია	141
მ. ვახანიანი — ანტ. ფურცელაძე, „ჩივილი ნაწერები“, ბიბლიოგრაფია	144
მ. ჯიბუტი — ნ. ჩაჩუა, „სანგი ვოგონა“, ბიბლიოგრაფია	149
ზ. მარხალაშვილი — „სიმღერა ნიბულუნგებზე“, ბიბლიოგრაფია	151
ალ. ნიშიანი — ანდაზები, ბიბლიოგრაფია	154
ა. ჯიღაშანი — „ლიტერატურული აღმანახი“, ბიბლიოგრაფია	158
ახალი წიგნები	გარეკანის მე-3 გვერდი.

რედაქტორი

ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეჯია:

ნიკოლოზ აბიასვილი (ასუხისმგებელი მდივანი), დირიჟორი ბენაშვილი,
 ნიკო კაცხოვალი, სანდრო შანშიაშვილი, ოთარ ჩხიძე, სერგი ვილიანი.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/VII-52 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10.
 № 04058. შეც. № 373. ტირაჟი 6000.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიული მრეწველობის,
 გამოცემლობისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის
 კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

ვაზის ყვავილობა *

რომანი

★

ირმის სიკვდილი

ირემო, მთასა შევირალო,
ჩად ჩამოვარდი ბარადა...*

შაბათ საღამოს მომხდარი ამბავი დაჩრდილა საკმაოდ უცნაურმა შეთხვევამ. მთებიდან გადმოხვეწილი ირემი უთენია ნახეს მამუკას ციხის ძირში. თვალუწვდენი ქარაფიდან გადმომღვარიყო რქაბორჯღალა ხარი და საწყალობლად ყვიროდა, ხეობებში დვრინავდა ძალოვანი ეხო.

ამ სასოწარკვეთილი ბლავილის გავონებაზე გაოცებული გახედნენ ალაზნის ჭალისკენ მიმავალი მეველეები, მეცხვარეები, მელორეები, თვით ტრაქტორისტებმაც შესწყვიტეს მუშაობა. დიდი და მცირე, ბუნების ამ უცნაური აპოთეოზის განმცდელი, ისე გაინაბა, როგორც პარტერში მოგროვილი ხალხი გაიტყრინება და ხმას გაჰყმენდს, როცა რომელიმე დიდი ორატორი ავა ტრიბუნაზე და მომნუსხველ მხერას შეავლებს გარს მოჯარულთ.

თვალშეუღვამ კვარცხლბეკზე შემდგარი ხარირემი გადმოსცქეროდა ცხრამუხის ზეგანზე გამართულ ვაზნარებს, თითქოს გლოვობდა ამ შემოგარენში ველური ვეგეტაციის კაცთა მიერ შემუსვრას, შთაბეჭდილებაც ასეთი რჩებოდა: ეს უკანასკნელი მოზარე კავკასიონის ორწოხებში მომწყვედეულ ტყიურებს წარმოუგზავნიათო.

დროული კაცები მხრებს იჩეჩნენ, რადგან მყვირალობის დრო დიდი ხნის

გასული იყო. მამუკას ციხის სანახებში ლამენათევი მეძროხეები თვლემდნენ, წამოცივდნენ ირმის დანახვაზე, სულ ახლოს მიპარვიან თურმე ირემს, სროლაც ვერ შეუბედავთ ამ ტყიურის სილამაზითა და დიდებულებით მოხიბლულთ.

მერმე ის იყო მამუკას ციხიდან ხეხევი გადმოჰრილა ალაზნის ჭალისკენ. ბარად ჩამოხვეწილს პირველად წისკვილიდან მომავალი ნიორთავა გადაჰყრია, მაგრამ ბედშავ მეწისქვილეს, რომელსაც მხოლოდ დახატული თუნახა ირემი, ისეთი ელეთმელეთი მოსვლია, მხარზე გადაკიდული თოფი დაეიწყნია და ქვის სროლა დაუწყია.

ვიდრე ნიორთავა ქვის ალებას მოასწრებდა, ირემს კოლმეურნეობის საცხენესთან ჩაუვლია ჯირითით, მეცხენეობის ფერმის გამგე კოპეშავიძე თურმე ცხენზე ჯდებოდა, ახლად განახედნი კვიცი დამფრთხალა და სქელი გამგე მაგრად დანარცხებულა მიწაზე.

მელორე პოპოლა ღორებს მიერეკებოდა ალაზნის ჭალისკენ, ღორის კოლტი ბრესავით გაუფანტავს ირემს, თავთ პოპოლა დამდღერულივით აყვირებულა. ღორების უკან მიმყოლი ცხერის ფარები თურმე წინ გადაბორკენენ ქენებით მომავალ ნადირს, რომელსაც რამდენიმე თოხლი გადაუ-

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 5.

თქერავს. მეცხვარეებიც ისე დაიბნენ, სტვენის მეტი ვერაფერი მოასწრეს, რამდენიმე ცხვისძალი აძუნტულდა, მაგრამ ირემმა სულ მალე უკან ჩამოიტოვა ისინი.

მგელძაღვრებისგან დამფრთხალმა ნადირმა დასტოვა თემშარა. ოდნავ შენელებული ტემპით საზამთროების ნაკვეთზე გადავიდა. ბოლოს თითქოს ქალთა სქესის ლომობიერება შეიცნო, არაფრად ჩააგლო ნაკვეთზე ახლად-მოსული დედაკაცების ალტაცებული ყვილი, რუს პირად შედგა, ვაცის-წვერას დრუნჩი დააკარა და ჯეჯილებისაქენ გადავიდა დინჯი ნაბიჯით.

ნერგებს გადალმა ორი ბიჭი გამოენტო ნადირს, სტვენა აუტეხეს გულის მოსაოხებლად, ირემი დაფრთხა და გადაეწო აკაციების მაღალ ლობეს და ისევ დაადგა თემშარას.

თელავიდან მოდიოდა ხალხით სავსე ხუთთონიანი მანქანა, ირმის დანახვით ალტყინებულმა მგზავრებმა სტვენა და ყვილი ასტეხეს, შოფერმა მესამე სიჩქარეში ჩააგლო ბერკეტი, მგზავრებმა ხორხოცსა და ყიყინს უმატეს, ქალი და კაცი გაიტაცა ტექნიკისა და ნადირის უცვარმა შეჯიბრებამ.

გაუსწრო ირემმა მანქანას, ძალა მოიკრიფა და მოუსვა გულრონიან გზაზე, ეზოებიდან გადმოცვენილი ხალხი სტვენდა და ყიყინებდა, ირემს რა მოესმა მანქანის გაბმული სიგნალები, რქები გადაიკეცა ქედზე, ქარს მიუშვირა წინ გაწვდილი ლამაზი დრუნჩი.

ახლა მეოთხე სიჩქარეში ჩააგლო შოფერმა ბერკეტი, მანქანა საშინელი სისწრაფით მიჰქროდა, ზედმსხდომნი არ გრძნობდნენ რაიმე საფრთხეს, სტვენდნენ და ყივიდნენ, ნატრობდნენ ფრთები შეესხა მანქანას, ოღონდ როგორმე დაეჯაბნა ირემი.

უკვე აღმართი დაიწყო, შოფერმა დუბლიკატორი ჩართო, მაგრამ სულ რამდენიმე წუთში დაიჯაბნა ირემმა მანქანა და ისეთი სისწრაფით გაჰქანდა, თითქოს ქარბორბალს ფრთები შეუს-

ხამსო. უკვე აღარ ესმოდა მას არც ალტყინებული ახალგაზრდობის ყვირნი, არც მანქანის სიგნალები. **სმმმმმმმ**

ნადირმა თვალი მოჰკრა მოპირდაპირე მხრიდან მომავალ ცხენოსნებს, ერთბაშად სრბოლის გეზი შესცვალა, მოუჭირვებლად გადაეწო ძეჭვით დაბარდნილ ლობეს და ლანდის უსწრაფესად გამოვიდა სანერგე ფარდულის-კენ მიმავალ ბილიკზე.

სწორედ ამ დროს გოდერძი ფარდულში ეჭებდა თავის სეკატორს, თვალი შეასწრო ალტყებულ გაიოზს, რომელმაც ჰაბუკური სიანციით ჩამოხსნა კაჩხიდან თავისი დაქანგული ბერდანის თოფი.

ანჩხლი ბერიკაცი ვინმეს ზომ არ წაჰკიდებიაო, გაიფიქრა გოდერძიმ და გასდია მას.

„თოფი რად გინდა, გაიოზ?“ — შეეკითხა გოდერძი დარაჯს.

„ირემი, ირემი“, — ალტაცებული ყვიროდა გაიოზი.

გოდერძიმ ვერ მოასწრო ირმის დანახვა, ისე ეცა გაიოზს მკლავში და წაართვა შემართული თოფი.

ირემმა რა შეიცნო სამშვიდობოს გასვლა, სვლა შეანელა, მიჰყვა ახლად-შეღერებულ ვაზების მწკრივებს, არხინად მიდიოდა და კორტინდა მორჩს, თავჩაღუნული მიბალახობდა ისე აჩქარებულად გახარებულად, როგორც უხვ სამოვარზე გაგდებულ ცხენს სჩვევია ზოლმე.

გოდერძი უჭკრეტდა ამ მშვენიერ სანახაობას, ბოლოს ალტაცებამ იგიც გამოიყვანა წონასწორობიდან, — ჯერ მთვარეულივით მიჰყვა შორიახლოს მიმავალ ნადირს, მერმე ისე მაგრად წამოეძალა ამ იშვიათი ტყიურის ახლო-ხილვის წადილი, რბენაზე გადავიდა, ისაფრებდა ვაზნარის მწკრივებში დარგულ ატმის ხეებს, ანგარიშმიუცემლად მისდევდა ირემს.

ირემი ჯერ სამხრეთისკენ მიჰყვა ვენახის მწკრივებს, ამიტომაც ასე ივარაუდა გოდერძიმ: იმ მხარეს ღიჭი-

ნისა და გლედიჩიას ისეთი მტკიცე ზღუდე დაუხვდებოდა მას, იგი ვერავითარ შემთხვევაში ვერ შესძლებდა ამ ბარიერის გადალახვას, მაშასადამე, იძულებული გახდებოდა მელისხევისგან დარჩენილი არხი გადაეარა და კორინთელის მიკროუბნისკენ გადასულიყო.

გოდერძიმ უსწორა იმ ძელის ბოგორს, რომელიც ბეტონიზირებული ხიდის აგებამდის სახელდახელოდ ჰქონდათ გაკეთებული კოლმეურნეებს.

მხოლოდ ეს ეწადა გოდერძის: გაღმა გასულ ნადირს ახლა წინიდან შეეგებებ მზერასო, — ამიტომაც გარბოდა გამალეული. როცა ძელის ხიდზე გასვლა დააპირა, აქაც ცალი თვალი არმისკენ ეპირა, რათა ენახა — როდის გადმოლახავდა იგი არხს.

ერთბაშად ძელი გადაბრუნდა და გოდერძი გადაეშვა სამიოდე მეტრის სიღრმე ხრამში. მოპირდაპირე ქარაფზე ფეხი დაუცურდა და ქვეს დაჰკრა შუბლი. სულ მცირე ხანს იწვა იგი თავქვე, როცა მარჯვენა წარბის ქვეშ იგრძნო მსუბუქი ხიჩინი.

ანაზღად ზედწამოიჭრა და როცა იმავე ადგილას ხელი მოისვა, მას ლოყაზე საკმაოდ ქარბად სისხლი მოწყანწყარებდა.

გოდერძის ვარაუდი სწორი აღმოჩნდა, ირემი ჯერ მიაღვა აკაციების ლობეს, მერმე აღმოსავლეთისკენ გაბრუნდა, მელის ზევზე გავლებული არხი გადაიარა, მიაღვა ძეძვიან ქარაფს და ლანდის უსწრაფესად გადაეშვა უფსკრულში.

როცა გოდერძი სანერგე ფარდულში მიბრუნდა, ცალთვალა გაიოზი შეშფოთდა.

„ეგ რა მოვსვლია გოდერძი?“
 „არაფერი, ჩემო გაიოზ, ძელი გადაბრუნდა და ქვეს დაჰკარი შუბლი“. გაიოზმა სასწრაფოდ გაფხრიწა გოდერძისავე ცხვირსახოცი, თუთუნი და აყარა იარას და შეუხვია.

ვიდრე კოლმეურნეები ნაკვეთზე მოვიდოდნენ, გოდერძიმ მსხტყვა ჩამოართვა საკმაოდ ყბულ მოზრულს, ეს ამბავი არ გაეხშიანებინა, რადგან ახლა მას თავად რცხენოდა თავისივე ყმაწვილური ალტყინებისა.

ორივენი ჩამოსხდნენ ჯირკვზე, ნაღვლიანად იგონებდნენ ასე წამიერად მოლანდებულ მშვენებას ტყისას.

გაიოზმა ყალიონი დატენა, თუთუნს ცერით ტყეპნიდა და ამბობდა:

„ახია, ჩემო გოდერძი შენზე, არც მე დამანებე, და ვეღარც შენ დააკლო რამე“.

„რას ამბობ, გაიოზ, შენ მართლა ესროდი ირემს?“

„რატომ, შვილი ზომ არ მომინათლავს მისთვის, ვესროდი, ჰაი გიდი, მემრე როგორ? შენ ნუ ეხუმრები ცალთვალა გაიოზს, — იმდენი შენ იხარე რამდენი ტახი და ირემი გაიოზს მოეკლას“.

„განა შენ არ იცი, გაიოზ, ირმის მოკვლისათვის ხუთი წლის ციხე რომა ჩვენს კოდექსში გათვლისწინებული?“

„ეჰ, შენც ერთი, ვინა გენახავდა აგრე უთეხია“.

„რაო, მე კაცად არა მთელი, გაიოზ?“

„დავიჯერო, შენ გამთქვამდი, გოდერძი?“

„შენ გავიწყდება, მე კომკავშირელი ვარ, გაიოზ“.

„მაშ შენ რალად მისდევდი, ჰე?“

„მე ყმაწვილურმა ტინმა წამომიარა, მივდევდი, რათა ახლოს მენახა ის ტიალი“.

„დავიჯერო, რევოლვერს არ ესროდი ირემს?“

„ბალლი ზომ არა გგონივარ, გაიოზ, ეგეც არ იყოს, რევოლვერით ვის მოუკლავს ირემი?“

გაიოზი მცირე ხანს სდუმდა, თავის ჩათვრფლილ ყალიონს აფშუკუნებდა, მერმე პირიდან გამოიღო, განზე გადაადღევა და თქვა:

„ეჰ, გაწყდა ნადირი ჩვენს მხარეში, კომბაინები და ტრაქტორები სადაც განდებოიან, იქ ირემი ველარ გაიჰაჰანებს. აფსუსს, რამდენი ხარირემი მოგვიკლავს მე და პაპაშენს ცხრამუხაში“...



დაზაფრული ადამიანისათვის უბრალო სატკივარიც ძნელად ასატანია. გოდერძი ისედაც უგუნებოდ მოვიდა იმ ორშაბათს კოლმეურნეობის ნაკვეთზე.

ჯერ კიდევ წინა დღესაც გაოგნებული დადიოდა იგი. თავისთავისთვის ვერ ეპატივებინა, რად დაეუჯერე ნუნუსს და შინამდის რად არ მივაცილეო.

ბერმუხაში ათასგვარი ხმა დადიოდა თავდამსხმელის ვინაობის გამო, არავინ არაფერს უმხელდა გოდერძის, მიუხედავად ამისა მას თავად ჰქონდა მცირეოდენი ეჭვი ერთი კაცის მიმართ, მაგრამ ხელმოსაჭიდი საბუთი არა ჩანდა, ამიტომაც სდუმდა და ბრაზობდა.

გოდერძი წიხასწარ დარწმუნებული იყო, რომ ნუნუსთან შეხვედრა ახალ შუქს მოჰფენდა ამ საკითხს. ბევრი იწრიალა კვირა დღეს, მაგრამ ნუნუს ალარსად ჩანდა. ბოლოს მიუგზავნა ნუნუს თავისი ალალი ბიცოლა ოლა, უჯირაულის ქერივი. დაანამუსა იგი და სთხოვა, ფრთხილად გამოეკითხა, თუ ნუნუს ვინმეზე ეჭვი ჰქონდა.

ამ უკანასკნელმა შორს დაიპირა ასეთი რამ. ქვა ისროლა და თავი შეუშვირა. თავდამსხმელის ვინაობა რომ ვიცოდე, მე თავად ვეტყოდი პროკურორს და იმ თავხედს გაეაბაწრინებდიო.

ყოფის საკითხებში მრავალნაცადი დედაკაცი გოდერძისთან მიბრუნდა, გულწრფელად უთხრა თავისი აზრი: ეტყობა, ნუნუს კარგად იცის თავდამსხმელის ვინაობა, მაგრამ ამ ამბავს რატომდაც მალავსო.

„როგორ შეატყვე?“ — შეეკითხა გოდერძი.

საეჭვოდ მეჩვენა მხოლოდ ერთი რამ, როცა ასეთი კითხვა მივეცი, ნუნუს ანაზღად აიღეწა და ხელალებით უარს დაადგაო. დაბეჯითებით აქვა ბიცოლა ოლამ.

უცნაურად გრძელი ეჩვენა გოდერძის გასული კვირა. ორშაბათსაც ასე აღრიხანად იმიტომ მოვიდა კოლმეურნეობის ფართობზე, რომ ასე ივარაუდა: ნუნუს გული უგრძნობს და ჩვეულებრივზე უფრო ადრე მოვაო.

ბრიგადები და რგოლები უკვე ჩაებნენ მუშაობაში, ალარსად ჩანდა ნუნუს. ბოლოს მობორილდა პატარა მალხაზი და ამბავი მოუტანა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს: ნუნუს ავადა და დღეს ამიტომაც ვერ მოვაო.

გოდერძიმ დაიმართობელა მალხაზი. ამაოდ უჩიჩინა, მაგრამ საბოლოოდ მისი ნაუბარიდან ვერაფერი გამოიტანა.

ჰკითხავდა, სიცხე თუ აქვსო.

„წნუ“

მიიღო პასუხი.

როცა ხელახლა ჩაჰკითხა, — კი აქვსო სიცხე.

„ეს მითხარი, შენ გაზრდას, მალხაზლოგინში ხომ არ წვეს ნუნუს?“

წვესო.

ხომ არა სტკივარ რამე?

მალხაზმა ჯერ თავი დააქიციხა და მერმე ისევ იუარა და ისევ გაიმეორა: „წნუ“.

გოდერძი მთელი დღე უემურშეყრილივით აქეთ-იქით ვხეტყებოდა, საერთოდ დინჯი და აუღელვებელი ყმაწვილი უცნაურად ავობდა, თითქმის ყოველ მეორე კაცსა და ქალს შენიშენას აძლევდა, ზოგს სეკატორს გამოაცილიდა ხელიდან, ზოგს ვერმორელის აპარატს, მიადგებოდა და თავად აკეთებდა სხვის გასაკეთებელს.

მაგრად შეუკურთხა შავ წელიწადსავით წაგრძელებულ ლალბაწას, თოხი ხელიდან გამოართვა, მიადგა და

საათის განმავლობაში თოხნიდა, თანაც უწუნებდა უგულო და უმარჯვო ჩოყნას.

ამხელა კაცი გაზრდილხარ და თოხის მოხმარაც ვერ გისწავლიათ.

რამდენჯერ გითხრეს, თოხი არ უნდა გააქარო ვაზის შტამს, რადგან ეს ცოცხალი არსებაა, ქერქის გაფხაქნა აზიანებს ვაზს“.

„ბატონი ბრძანდები, ვთქვათ, ცოცხალი არსებაა ვაზი“.

„ღიახ, ცოცხალი, მხოლოდ შენა ხარ მკვდარი“.

„აბა ღვინის სმაში გამეჯიბრე და მაშინ ვნახოთ, ჩვენ ორში ვინ იქნება მკვდარი, — იჯღანებოდა ლალბაწა.“

„ღვინის სმაში, ო, ღვინის სმაში შენ ვინ დაგიჯანბნებს“.

„ერთი მითხარი, რას ბრანობ, გოდერძი?“

„შენს უნიათობას რომ ვუყურებ, ის მაბრანებს“.

ლალბაწამ კეფა მოიფხანა და დაიჯღანა.

„რა გაციენებს?“ — შერისხა გოდერძიმ ლალბაწა.

„ნეტავ ასე გაბრანდებოდე ყოველ დღე და ჩემ მაგივრად მიეძალებოდე თოხნას“.

ფართობზე შუბლშეკრული გოდერძის გამოჩენამ ახალი საჭორაო საზრდო მისცა ზარმაცებსა და ავენიანებს, რომელთაც ჰირის დღესავით სძაგდათ გოდერძი (ეს იმიტომ, რომ ზარმაცებს ისევე უყვართ შრომისაკენ მომწოდებელი, როგორც შლეგებს მწრთენელი).

ავეყიებმა რა დაინახეს შუბლშეხვეული და უგუნებო ბრიგადირი, უკვე მტკიცედ ირწმუნეს წინა დღეს გვერცელებული ჰორი, თითქოს შაბათ საღამოს გოდერძიც ზღებია ნუნუს, თავდაშხმელებს ეკვი მაგრად უცემიათ და ნუნუ ტყეში გაუტაციათ.

შესვენებისას გოდერძიმ განზე გაიხმო ნათია თარალაშვილი, უნდოდა მისგან გაეგო, ნუნუ თუ მართლა ავად იყო.

ნათია ისე მოღუშული ეჩვენა გოდერძის ამჯერად, რომ გვერდზე ცხვრიდა, ვაჟმა არ იცოდა, მტკიცედ მხმადს მომხდარმა თავდასხმამ რამდენადმე გაახშიანა ერთგვარი სიახლოვე გოდერძისა და ნუნუს შორის.

უმთავრესი მიზეზი ამისა გახდა როყიო გაიოზი, რომელმაც საესებით უბოროტოდ წამოროშა: გოდერძი და ნუნუ ბერმუხიდან სანერგე ფარდულში შეღალამეს მოსულნი მე თავად ენახეო.

ჰორიკანებმა სწორედ გაიოზის ნათქვამს შიამეს თავიანთი სხვადასხვაგვარი ვარაუდი. ერთნი მპერამეტყველურად ამტკიცებდნენ: თავდასხმის დროს გოდერძისათვის მაგრად უცემნიათო, სხვანი დასძენდნენ: გოდერძი შეშინებულა, გაქცეულა და თავდასხმელთათვის უმწურო ქალი მიუხეზბიაო.

ზოგ-ზოგი უსაქმური იმასაც ამბობდა, ყოველივე ეს ჩვენი, საკუთარი თვალით ვნახეთო. (ეს ასეა ყოველთვის, როცა „საკუთარი პირით“ ნათქვამს არ დაუჯერებენ ვინმეს, „საკუთარ თვალს“ წამოიშველიებენ ხოლმე). აქამდის ნათიას ხშირად ეხუმრებოდნენ ტოლები: გოდერძის თვალი შენზე უჭირავსო. ეს ღიახაც სიამოვნებდა ქალს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უარყოფდა რაიმე ურთიერთობას მასთან, ხშირად დასძენდა კიდევაც: გოდერძის გიგი მაშიდა და ბრმა პაპა შინა ჰყავს, რომელი გონიერი ქალი ინდომებსო მის ცოლობას, მაგრამ როგორც კი გახშიანდა გოდერძისა და ნუნუს ერთგვარი სიახლოვე, ნათიამ ანაზდად შეიცნო ქალური თავმოყვარობის შელახვა, თუმცა საერთოდ ფრთხილსა და თავდაქერილ გოდერძის არასოდეს მიუცია მისთვის რაიმე საბაბი.

სიძულელი და სიყვარული მუდამ საათთაქო სასწორის ფიალებზე ქანაობენ, ხანდახან საკმარისია იოტის ოდენი სიმძიმის დამატება ერთ რომე-

ლიმე მხარეს, და მოულოდნელად წონასწორობა დაირღვევა.

ამ შემთხვევაშიაც ასე მოხდა. ნათიას, რომელიც მუდამ სიმპათიურად ექცეოდა გოდერძის, აქებდა კიდევაც მას, როგორც ჭკვიანსა და გამბრჯელ ვაჟაკს, ერთბაშად შესძულდა გოდერძი და არა მარტო იგი, ნუნუც.

როცა გოდერძი ნუნუს გამო ესაუბრებოდა ნათიას, ვაჟმა ახაზდად დაიჭირა სიძულვილის ის შეფარებული გამოსხივება, რომელიც ამ წუთში ვერ დაჟვარეს ნათიას საკმაოდ გრძელმა წამწამებმაც.

გოდერძის გვერდით მიმავალმა ქალმა ატმის შტოს მოსწყვიტა ფოთოლი, სრესა დაუწყო მას და თქვა:

„ნუნუ წუხელ ძლიერ ცუდად იყო. მისი ღედინაცვალი ქეთუა დილიდანვე გადასულა იყო მაროსას, მშიერ-მწყურვალი, დასიცხული ავადმყოფი სულელი ძმის ამარა მიუგდია მაგ გასაქრობს“.

გოდერძის ყელის არეში შემოეკლო ბრაზი, ერთბაშად სუნთქვა შეეკრა. წამოიძახა:

„როგორ, ექიმი ვერ მოუყვანეს?“

„ვინა ჰყავს პატრონი, ამ დილით მე ვაპირებდი ექიმის მოყვანას მაგრამ ღართობზე მიგვიანდებოდა და რა შექნა“.

ახლა მეორე ფოთოლი მოსწყვიტა ნათიამ, მასაც დაუწყო სრესა და თქვა:

„ასეა, როცა გასათხოვარი ქალი მამაკაცებთან ლამაზობით სეირნობას დაიწყებს, აბა რა სიკეთეს გადაეყრება“.

გოდერძი გველცემულივით შეაერთო ამ გესლიანმა სიტყვებმა, ბილიცზე შედგა და თქვა:

„ეინ მამაკაცთან, რას ამბობ, ნათია. რამდენადაც ვიცი, ნუნუ იმ ლამეს სანერგე ფარდულიდან ბრუნდებოდა მარტოკა“...

„მარტოკა ბრუნდებოდა, ლამის 12 საათზე რა უნდოდა სანერგე ფარდულში?“

გიგლინიძე

გოდერძი შეაწუხა ამ სიტყვების გაგონებამ, ერთი დააპირა გაემხილა ნათიასთვის ნუნუს მე ვახლდით მტანის ფარდულამდის მე მივაცილეო, მაგრამ ენის წვერზე დაიჭირა სათქმელი და ეს უთხრა:

„შენ როგორ ფიქრობ, ნათია, იმ ლამეს ვისთან უნდა ყოფილიყო ნუნუ სანერგე ფარდულში?“

მოშინურად გაიღიმა ნათიამ:

„მე რა ვიცი, ვისთან დასეირნობს ლამაზობით ნუნუ?“

გოდერძის საძაგებელი სიტყვები მოგებჯინა ყელში. ამ რამდენიმე წუთის წიხათ ვერც კი წარმოედგინა მას, რომ ეს სათნო სახის, საერთოდ წესიერად ცნობილი ქალი, ასე ხელაღებით გაჰქირდაედა თავის სიყრძის მეგობარს.

„მანც რას ამბობენ, ნათია, ვინ ხლებია იმ ლამეს ნუნუს?“

„რა ვიცი, გოდერძი, მე ისე მეკითხები, თითქოს მეც იქ ყოფილიყავითასგვარ რამეებს ამბობენ, ზოგი ასეთ რამესაც ამტკიცებს. იგი ვინც მასთან ყოფილა მაგრად უყეფიათო, ამას ამბობენ და სხვა არა ვიცი რა“ — თქვა ნათიამ, დასრესილი ფოთოლი გადააგდო, ჯიქურად გაუმართა მზერა ვაჟს და დაკვირვებულად შეხედა მის შეხვეულ შუბლს.

ამ წუთში ქვეშეცნულად შეიგრძნო გოდერძიმ, რომ ნათიას ექვი ჰქონდა, ექვი კი არა, იგი საესებით დარწმუნებული იყო, რომ ეს „მშიშარა მამაკაცი“, რომელსაც სცემეს, გოდერძი უნდა ყოფილიყო.

„მანც ვინ აერცელებს ასეთ რამეებს, თუ და ხარ, მითხარი, ნათია“.

ეს „თუ და ხარ“ სამსჯელოვით შეერკო ნათიას გულში, მის სიღრმეში უცნაური წყენა შეიქცნო და ხელახლა შეეცადა უფრო მწარედ დაეგესლა ვაჟი.

ნათიამ ირონიულად გაიღიმა:



„დაბეჯითებით ვერაფერს გეტყვი ამის შესახებ, გოდერძი. მაგრამ გუშინ საღამოს კანკრე იდგა რაიკავშირის წინ და იჯლანებოდა, მის გარშემო მოგროვილ ახალგაზრდებს არწმუნებდა: იმ ვაჟისთვის ნუნუს გამტაცებლებს თავპირი ჩაუმტერევიათ“.

გოდერძიმ ამის პასუხი არ გასცა ნათიას, საათს დახედა და სანერგე ფარდულისკენ გაემართა, რადგან უკვე მუშაობის განახლების დრო იყო.

საღამო ეამს გოდერძი ექიმის ძებნას შეუდგა. გადაწყვეტილი ჰქონდა: ვინც რა უნდა თქვას, მოვებინი ექიმ გოდებრელიძეს და ავადმყოფს თავად მივუყვანო. ექიმი თელავს წასული აღმოჩნდა, ყოველ წუთს ველოდებითო, ამბობდა ექთანნი. გოდერძი ისე მოაქცია ამ უკანასკნელმა ხელისმოცარვამაც, გამოიხურა კარი და ქუჩაში გამოლასლასდა.

თავიჭინდრულად ქუჩაში მიმავალს ვიდაკამ მკლავში ხელი წაავლო; შეიძნო კოლმეურნეობის თავმჯდომარე, თედო.

„დედაკაცი ჩემს ცოლოურს წაეიდა, მამაშვილობას, წამო ჩემთან, არ მიყვარს მარტოკა პურის კამა...“ უთხრა თედომ, თანაც გაოცებული უკუდგა.

„რა მოგსვლია, გოდერძი?“ — კითხვა გოდერძის.

„არაფერი, მელისხევეს გადაღმა გადავიდოდი, ძელი გადმომიბრუნდა და ხევში ჩავეარდი“, — მიუგო ვაქმა.

„შენ რაღაც უგუნებოდ ჩანხარ, გოდერძი, წამო, ბატკნის ბულაჰამა მაქვს შინ“.

„გმადლობთ, ძია თედო, წელან ვინა დილიღე.“ — იცრუა გოდერძიმ, თედომ ისევ შეხედა სახეში გოდერძის.

„რა მოგსვლია, ბიჭო, ასე უგუნებოდ ჯერ არ მინახავხარ, გოდერძი“.

„არაფერი, ძია თედო, წუხელ პაპაჩემი ვერ იყო კარგად და ღამე ვათიე“, — იცრუა გოდერძიმ ხელახლა.

„უგუნებობას თავს ნუ მისცემ, მამაშვილობას, შენ ხომ იცი, მხოლოდ

მხდალები უდებენ თავს უგუნებობას, შენი ახალგაზრდობა მომცა, იმ მთებს გადავდგამდი“.

თედო ხელახლა შეეპატივა გოდერძის, წამო, ბატკნის ბულაჰამა ვკამოთო. გოდერძიმ მადლობა გადაუხადა, დასძინა: ნასადილევი ვარ, ცოტას გაგაცილებ და შინ გაებრუნდებითო.

ამ საუბარში გართულთ ძაღლების ყეფა შემოესმათ. გოდერძიმ გაიხედა. ზედ გზისპირად მდგარი ჩალით დაბურული სახლის წინა კართან სამი მადუეარი ძაღლი წაყვკაყვებდა — ერთი ქრელი, ერთი შავი, ერთიც ყვითლად დაწინწყლული.

თედო დაინტერესდა: რომელ სულელს მონდომებიაო ამ საქმიან დღეებში სანადიროდ წასვლა. ამის თქმა მოასწრო თედომ და ჩალით დაბურულ სახლიდან გამოვიდა საკმაოდ შეზარხომებული ლალბაწა, აედევნა თედოს და გოდერძის, პურმარილი დაგვილოცეთო.

თედომ უკმაყოფილო მზერა შეავლო ზასპინძელს და უთხრა: რა დროს პურმარილია, შე კაი კაცო, ჩვენ დაქანცულები შინ მივდივართ, პურმარილი სხვა დროს იყოსო.

ბრაზი მოერია ლალბაწას, მაგრამ ვერაფერი შეჰბედა დროულ კაცსა და თავმჯდომარეს, აბა შენ წამოდიო, ჩააცივდა გოდერძის, ხოლო გოდერძიმაც იგივე გაიმეორა და წასვლა დააპირა.

თედომ განაგრძო გზა. ისევ წამოეწია ლალბაწა გოდერძის და სახელოზე ხელი წაავლო საკმაოდ უხეშად. გოდერძის ეს არ ესიაზოვნა, მაგრამ შეეცადა, წყენა მიეჩქმალა. ერთბაშად ქოხის კარი გაიღო, კანკრე და გაგრია ანაზდად თემშარაზე გამოვიდინენ.

„გამარჯობა შენი“, — მიამახა კანკრემ გოდერძის.

„გავიმარჯოს“, — ცივად და უგუნებოდ მიუგო მან.

გოდერძი დაექერდა კანკრეს სახეს: კანკრეს ცხვირის კვინტი დალურჯებული ჰქონდა. მხოლოდ ამის დანახვა

უნდოდა გოდერძის, გაბრუნდა, — ძია თედო, მომიცადეო, — მიამახა თავის თანამგზავს.

თედო გახევებული იდგა შორი-ახლოს, მოდუშული და წარბშეკრული უცქეროდა შეზარხოშებულთ — კანკარეს, გაგრიას და ლალბაწას, რომელნიც გულმოდგინედ ებღალაქნებოდნენ გოდერძის.

ახლა კანკრე მისწვდა გოდერძის, ამჯერად არა სახელოზე, არამედ საკინძეზე და ღომილით შეეკითხა:

„როგორა ხარ, ჯიგარო?“

„ჯიგარო? რა სიტყვაა ეს „ჯიგარო?“ — უთხრა გოდერძიმ კანკრეს და ხელი გააშვებინა“.

„რა სიტყვაა და ქალაქური“.

„ქალაქური თუ კინტოური?“

„რაც არის, კარგია, სულ ერთია, ქალაქური იქნება ის, თუ კინტოური“.

„მე კი არ მიყვარს კინტოური სიტყვები“.

კანკრემ ვერაფერი მიუგო ამის საპასუხოდ, საკინძეს ხელი უშვა, უკუდგა და ეუბნება:

„არა, მაინც როგორა ხარ, გოდერძი?“

„რა მიშავს, კარგად ვარ“.

„კარგად მყოფს მაინცდამაინც არა გავხარ, გოდერძი, ჰა?“ — უთხრა კანკრემ.

„რაო, რას მამჩნევ ვითომ?“

„ეს რა მოგსვლია შუბლზე?“

„არაფერი, გუშინდამ წავიქეცი ბნელში“.

კანკრემ გაიცინა.

„ჰმ, ჩვენ სხვა გვეგონა“.

„მაინც რა გეგონათ?“

კანკრემ შეკრული მუშტი ტუჩ-პირზე მიიბჯინა, თვლები ეშმაკურად უციმციმებდა:

„უარესი რამ გვეგონა, ჯიგარო“.

„მაინც რა?“

„ჩვენ ეს არ გვეჯერა, მაგრამ ავი ენები ამბობენ: უცემიხართო“...

— ვინ გითხრა ასეთი სისულელე?“

„ჩვენ ეს არა გვეჯერა, მაგრამ მთელი ქვეყანა ამას ამბობს...“

„შენ როგორც გინდა იმსუქნე, კანკრე“...

„არა, მე ვაყვაცი მეგონე და დედალი ყოფილხარ. მე ვყოფილიყავი შენს ადგილას, ღმერთს გაეცლიდი იმ ძალის შვილებს“.

„ქადილი არაა საჭირო, თავის დროზე გამოჩნდება, ვინც ვაყვაცია“.

„არა, შენი არ ვიცი და ჩვენი ვაყვაცობა დიდი ხანია გამოჩენილია, გოდერძი“.

„აბა მე ერთ რამეს გირჩევ, კანკრენუ დაემსგავსები იმ ტრაბახა ქოთანს, რომელიც იკვეხოდა, ოქროს ძირი მაქვსო“.

„ქოთანი, ჰა, ჰა, ჰა, ჩვენ ვიცით, თუ ვინცაა ქოთანი, ისიც გატეხილი“, — ხითხითებდა კანკრე და შესტკეროდა გოდერძის შეხვეულ შუბლს.

ლალბაწა მიხვდა, რომ კიდევ ერთი მკვახე სიტყვა და ჩხუბი ატყდებოდა, ამიტომ თავისი გრძელი მკლავი გახიდა ორთა შორის, ლოყა ლოყასთან მიუტანა გოდერძის და უთხრა:

„წამო, პურმარილი დაგვილოცე, გოდერძი. ისიც გვეყოფა, ნაკვეთზე რომ გვეჩხუბები დღე-ღამე“.

ოდნავ მოშორებით მდგარი თედო მიხვდა, რომ ჩხუბს აპირებდა კანკრე, ამიტომაც გამობრუნდა უკან.

„ნაკვეთზე თუ გეჩხუბებით, ეს ავკაცობით როდი მომდის, მოგვხსენება პაპაჩემის მამულეებში არ გამულშავებთ, თუ ყველანი კარგად ვიშრომებთ, ჩვენვე წავილებთ შინ“... — მიუგო ლალბაწას გოდერძიმ.

„ეჰე, მოეშვი ქუთის სწავლებას აქ მაინც“, — დაიღრიალა კანკრემ და მარჯვენა ხელი ჰაერში აიქნია, ლალბაწას მკლავი განზე გადაადგო და სულ ახლოს მიიწია გოდერძისაკენ.

ლალბაწამ ისევ გახიდა თავისი გრძელი მკლავი ორთა შორის, ისევ მიუტანა ლოყა ლოყასთან გოდერძის და უთხრა:



„დედის სულს გაფიცებ, პურმარილი დაგვილოცე, წამო“.

„რა დროს პურმარილია, შე კაი კაცო, სხვა არა იყოს რა, მიცდიან“, — თქვა და თედოსკენ მიიხედა.

ამასობაში მოაღწია თედომ. ახალგაზრდებმა ხმა გაკმიდეს, კანკარემ ერთი ნაბიჯი უკან გადადგა.

„ბიჭო, როდის უნდა განთავო ყოჩობა, პა?“ — პირდაპირ მიმართა ახალდმოსულმა კანკარეს.

„ყოჩობაო? რასა ბრძანებ, ძია თედო, ჩემისთანა თავმდაბალი, ვგონებ, იესო ქრისტეც არა ყოფილა“, — თქვა კანკარემ.

„ჰკუთას დაუძახე, გირჩევ“, — მიუგო გოდერძიმ მშვიდად.

„ჰკუთით იცენეს იესო ქრისტე“.

სიტყვა ჩაურთო ლალბაწამ და კანკარეს კისერზე წაუთაქა თავისი გრძელი ხელი.

ახლა თედოს შეეპატიეთა თავაზიანად ლალბაწა: პურმარილი დაგვილოცეო.

„არა, შეიღებო, პურმარილს ჩვენ წიხლს არა ვკრავთ, მაგრამ ამ კვარტალში ისეთი გეგმები დაგვაკისრეს, სამაგისოდ არ გვეცლება“, — თქვა თედომ, გოდერძის მკლავში ხელი წაავლო და სამივენი დასტოვა გზის პირად.



ლამდებოდა, როცა გოდერძი ნუნუს მამისეულ ეზოში შევიდა. ძროხა საწყალობელად ბღაოდა ბოსელში. აფხორილი წიწილები შრამელის კარის ალაგს აწყდებოდნენ, საცოდავად წიფვივებდნენ, აფორიაქებული კრუხი აქეთ-იქით ეხეთქებოდა.

შრამელის კარი რა შეაღო, მან ნახერად ბნელში გაარჩია: ძალს სანკამადიანი ქვაბი გადმოეყირავებინა და გოდერძის დანახვაზე გაავებული ღრენა ასტეხა.

ეს ამბავი სასტუმროსაკენ გასასვლელ კართან ხდებოდა, გოდერძის აღარ შე-

ეძლო კარის მისწედნოდა, ამიტომაც ნელი ხმით დაიძახა:

„მალხაზ“.

მარკონესული
გემზლიონთეჯა

ჩაჩი-ჩუმი არ ისმოდა, ახლა ყეფა ასტეხა გაავებულმა ბომბორა ძალღმა. იგი ყოველ წუთს მზად იყო, ბარკლებში სცემოდა გოდერძის. ვაჟმა რევოლვერი მოისინჯა, მერმე მიიხედ-მოიხედა და იქვე მიუყდებულ ურდულს წაეპოტინა. ისევ დაიძახა:

„მალხაზ, პა, მალხაზ“.

არ ჩანდა არც მალხაზი, არც კარის გამლები სხვა ვინმე. ძალღმა უმატა ღრენას და მუქარას.

„რომელი ხართ, მობრძანდით“, — შემოესმა გოდერძის ქალის ხმა.

გოდერძიმ დააპირა კარისკენ ნაბიჯის გადადგმა. ძალი მოეშვა ამოსვლაჲ ქვაბს და გოდერძისაკენ გამოეშურა. მას ისეთი განიერი მკერდი და მგლურად გაშეშებული ქედი ჰქონდა, რომ ცხენიან კაცს დაამარცხებდა.

გოდერძიმ ცალი ხელით სწრაფად გააღო შრამელის უკანაკარი, რათა გასაქცევი გზა დაეთმო ლაშებდაღრენილ პირუტყვისათვის, ხოლო მეორეში მომარჯვებული ურდული მოუქნია მყუფარს. ძალი შეერთა, შრამელიდან გავარდა.

ნუნუ აილენა გოდერძის დანახვაზე, საბანი ზედ ტუჩპირამდის მიიტანა. უცნაური სიღარიბე სუფევდა ირგვლივ. სუფრაზე გაურეცხავი თეფშები ელაგა-არაფერი აქ თავის ადგილას არ იყო, მეორე კუთხეში აულაგებელი ლოგინი ჩანდა, ნუნუს საწოლთან ცხვირმომტვრეული დოქი იდგა, საწოლის გვერდით მღგარ ტაბურეტზე ნავთის ლამპა, რომლის გამურულ შუშას ზედვე ეტყობოდა, რომ მას წარამარა უბოლგია.

შვლის დაფხრეწილი ტყავები ეკიდა კედელზე, დათვის პეწგაცილი ტყავი საწოლის წინ იყო დაგებული. კედელზე გახუნებული ფოტოსურათები ეკიდა, იქვე მიჭედებულ ირმის რქაზე დაფხრეწილი ჰინკები და ერთივე პეწგაცილი, ძველი ფაფახი.

გოდერძიმ იცნო ნუნუს მამისეული, მტვერისფერი ფაფახი, მოეჩვენა, თითქოს უპატრონო ქულის ქვეშ ჩამოკიდებული იყო ნუნუს გალოთებული მამის საწყალობელად აწოწილი სხეული.

ეს კაცი მის თვალწინ დალასლასებდა სოფელში, როგორც უქნარა, მუდამ გამომთვრალი კაცი, რომელიც თავად გრძნობდა, რომ თავისი ლოთობით ყველას მოაბეზრა თავი.

ამიტომ იგი სიფხიზლეში თავდახრილი დადიოდა, მუდამ ყველას უმაღლავდა თუთუნისა და ღვინისგან ჩანაცრულ თვალებს. როგორც კი დათვრებოდა, მოჰყვებოდა ლოპინარისფერ თვალების ბრიალს ომახიანი ხმით ბლაოდა და მღეროდა გზებზე, დედის სულს უვინებდა დიდსა და პატარას.

გოდერძის უცნაურად შეებრალა ნუნუს, რომელიც შრომაში იჩენდა სიმამაცეს, რათა თავისი უქნარი მამის ოჯახი როგორმე ფეხზე წამოეყენებინა.

ესეც შენიშნა გოდერძიმ: სტუმრის მოახლოება რა შეიქნო, ნუნუმ მყისვე გამოჰყო ხელი საბნიდან და საწოლის ზურგზე დაკიდებული წინდები და საცვალი ჩაბლუჯა და საბანში შეიტანა.

„მეზობლიანთ მარო მეგონა“, — თქვა ნუნუმ. იგი ძლივძლივობით იოკებდა მღელვარებას, ბოდიშობდა, ასეთ მიუღებელ სამყოფლოში რომ დაუბნებდა სტუმარს.

„შენი დედინაცვალი სადაა?“ — იკითხა გოდერძიმ. ნუნუს ჯერ არ უნდოდა დედინაცვლის აუგი ეთქვა სტუმრისათვის, დაეინებელი გამოკითხვის შემდეგ გამოირკვა, რომ ქეთუა წაჰკიდებია გერს, ღამით გვიან დაბრუნებისათვის დაუტუქსავს იგი და მეზობლიანთ მაროსას გახიზნულა. გოდერძის სამსჯელოებით ეცა გულზე ქალწულის სიტყვები:

ბოლოსდბოლოს მთელ ჩემს სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ დამიგვიანდა ღამით შინ მოსვლა. და იგიც ასე წამწარდაო, ჩიოდა ნუნუს.

დედინაცვალს ნასადილევს საკვამლიანი ქვაბი გამოუგზავნია ძალხაზისგან. ხელით გერისთვის, თავად დაელოცა წყვანია თან. გოდერძი მიხვდა, რომ სწორედ ის ქვაბი იყო, რომელსაც წედან ძალლი აგორავებდა.

გოდერძი არ მოეშვა ამ ქვაბის ამბავს, ბოლოს, როგორც იქნა, გამოირკვა, რომ მეზობლიანთ მარო მოსულა წედან და სამაგიერო სადილიც მოუტანია.

გოდერძი ძლივს დამშვიდდა. ეს რომ არ ეთქვა ნუნუს, საკმლის მოსატანად ამირებდა წასვლას.

ახლა გოდერძიმ ექიმის ამბავი წამოიწყო, სადაცაა დაბრუნდება თელავიდან გოდარელიძე, ცოტა ხნის შემდეგ წავალ და უთუოდ მოვიყვანო.

ნუნუმ უარი თქვა.

„სიცხე უკვე აღარა მაქვს, ხვალ ვამირებდი ნაკვეთზე მოსვლას“.

როგორც კი დარწმუნდა, რომ ნუნუს არაეითარი საფრთხე არ მოელოდა, გოდერძი ახლა ფრთხილად შეუდგა თავდასხმელის ვინაობის გამორკვევას.

როგორც დახელოვებული გამომძიებელი ჯერ უწყინარი საუბრით შეიყოლიებს ბრალდებულს ან მოწმეს, დაუყვავებს თავაზიანად, მერმე უცაბედად ამოღებულ სატევარსავით იშისვლოებს შეკითხვას, თანაც მომწესხველი მზერით შეამტერდა დაკითხულს სახეში, ასე ესაუბრა გოდერძი ნუნუს. ბოლოს სავსებით გულგრილად ჩაიდუღუნა: ნათიამ მოგიკითხა, ნასადილევს ხომ არ გამოუვლიაო ნათიას, მერმე დანდობილად ეს უთხრა ნუნუს:

„მე გამოვტეხე ის ხელიგანი“... ისეთი სერიოზული და დამაჯერებელი ტონით წარმოთქვა მან ეს სიტყვები, თითქოს ეს ამბავი მისთვის თავიდანვე ცნობილი და გამორკვეული ყოფილიყო.

როცა ამას ამბობდა გოდერძი, თავი ჩაქინდრული ჰქონდა, მაგრამ ტუჩებს გადაცდენილი არ იყო ეს სიტყვები, თავი რომ ზეასწია და პირდაპირ მიანათა მზერა ნუნუს გადაფითრებულ სახეს.

ნუნუ არ მოელოდა, თუ გოდერძი ოდესმე მიაკვლევდა თავდამსხმელის ვინაობას. რაკი უკანასკნელი სიტყვები მშვიდად და აულელვებლად წარმოთქვა გოდერძიმ, მართლაც დაიჯერა: გოდერძის დამნაშავე გამოუტენია და არც არაფერი უსიამოვნება მოჰყოლია ამ საქმეს. ამიტომ თავადაც აულელვებლად წასცდა:

„მერმე რა თქვა იმ უნამუსო კანკრემ?“

გოდერძი სრულიად არ მოელოდა, რომ ასეთ ეფექტს მიაღწევდა თავისა წინასწარ მოფიქრებული ხერხით. მან ისეთი სახე მიიღო, თითქოს მეორე დღესვე იცოდა, რომ კანკრემ გამოსძებნა კობერძის თავიდან გადავარდნილი ქუდი ღიქიანში, თავად დაიხურა, შეინიღმა ერთბაშად და მოაწყო თავდასხმა.

ახლა მეც დავრწმუნდი, თქვა აგრეთვე მშვიდად გოდერძიმ, რომ ის ფაფახიანი კაცი, რომლის დანახვაზე შენ ასე კრთოდი, კანკრე იყო, მან ცალთვალა გაიოხისაგან გაიგო, რომ ჩვენ ბერძუმხისკენ გაეისეირნეთ, თან გამოგესდია, მაგრამ ბერძუმხის ქვეშ ვერაფერი გაბედა, მერმე კვალდაკვალ წამოგვეყვა, და როცა შენ შინამდის მიცილება აღარ დამანებე, იდროვა და იმ ღამეს თავს დაგესხა.

ნუნუმ თქვა:

„მას ორიოდე სიტყვა წამოსცდა თავდასხმისას, როცა მუშტი ვუთავაზე ცხვირში. ცხადია, მე ვიცანი კანკრე, მაგრამ ეს არ გავუხსილე პროკურორს, რადგან არ მიმაჩნდა საქმის გართულება საჭიროდ. ისედაც აღრენილი არიან ჩემზე ბიძებები და ბიძაშვილები, შენ არ იცნობ უჯირაულთა გვარის თავკაცებს. მტერი ჩავარდა მათ ყბაში“.

„ვთი დედიჩემის ღმერთს, ბერძუმხის ქვეშ რომ მოგვაკითხა, რაიმე გაებედა, ვანანებდი ამქვეყნად გაჩენას. აფსუსს, შენ რომ დაგიჯერე და შინამდის არ მიგაცილე“.

„კიდევ კარგი, რომ აგრე მოხდა, გოდერძი, მადლობა ღმერთს, ყოველივეს მშვიდობით რომ გადავრჩეთ, უნდასოდ ხომ შეიძლება მომხდარიყო, ვთქვათ კანკრე შემოგვედომოდა, შენც დაიღუპებოდი, კომკავშირიდან გამოგაგდებდნენ, როგორც კაცის მკვლელს და ეს ყოველივე მთელი ჩემი სიცოცხლე სანანიებლად დამრჩებოდა.“

გაფიცებ ყველას, ვინც გიყვარს, გოდერძი, ხმასაც ნუ გასცემ მაგ ოხერ კანკრეს, შენ გონიერი ვაქცავი ხარ და ჩემზე უკეთ იცი: ბრიყვი მიუშვი ნებასა“...

„საქმე არა გაქვს, სადა მცალია მაგისთანა ხულიგნების სადევნად, აწი თუ რაიმე გაგიბედა, აქ არა ვარ?“

დაამშვიდა ვაქცავმა ქალი, ხოლო თავათ მის გულში ბრძმედში გამოხურვებული ფოლადივით შიშხინებდა ბრაზი. ახლა უკვე აღარ უნდოდა აქ დაყოვნება, ამასაც ცდილობდა, რომ ნუნუს არ შეემჩნია მისთვის მოუთმენლობის უმცირესი ნატამალიც.

პაპიროსის ბოლი ხომ არ გწყენსო, შეეკითხა ნუნუს, ასანთი ამოიღო და გაქკრა.

ეს კი შეხიზნა ნუნუმ: რატომღაც პაპიროსის ზედიზედ წევას უმატა გოდერძიმ.

გოდერძიმ მაჯა მოსთხოვა ქალს და, როცა მის ხელს შეეხო, თვალში ეცა მკლავის სიშიშვლე, უცნაურად აღელდა, მაგრამ არად მიიჩნია, მაჯის მოსინჯვა მოათავა და დარწმუნდა ბულის ნორმალური აქვსო, ველარ შეიკავა თავი და აკოცა არა ხელის ზურგზე. არამედ იმ ადგილას, სადაც ხელისა და მკლავის იოგები უერთდებიან ერთიერთს.

ნუნუმ მოასწრო შიშველი ხელის გადამაღვა, ავადმყოფის განკურნების გამო გახარებული ვაჟი მისჩერებოდა ქალწულის შეწითლებულ ლოყებს, ეს ღამენასვამი ფანჯრები, ეს იშვიათი მყუდროება და ორთა მარტოობა მას უკვე აძლევდნენ იმედს, რომ შაბათ

საღამოს მომხდარი ხელისშეწყობა ახლა მაინც აენაზღაურებინა. სწორედ ამ დროს კარები შემოაწვრიდა ცხენჯოხზე გადამჯდარმა მალხაზმა.

გოდერძი ბრახმორელმა შეხვდა ამ საცოდავ ბიჭუნას, რომელიც თავისი ასაკის მიხედვით გადამცდარიყო ბავშვობის ზღურბლს, ხოლო ჭკუისპიერი შესატყვისებით გაცილებით უფრო უგუნური ჩანდა, ვიდრე ექვსი წლის ყმაწვილი.

როცა ადამიანს უყვარს ვინმე, მართლაც თუ გულით უყვარს, ყოველი არსება მახლობელისა რაღაც ნათესავურ გრძნობებს აღძვრავს მას.

„სად ყოფილხარ, მალხაზ?“ — შეეხმინა სტუმარი ახლადმოსულს.

„ირემი მოვკალი, ძია“.

„რას მეუბნები, მალხაზ, მართლა ესროლე ირემს, თუ გაეხუმრე, ან ქვები დაუშინე გულის მოსაოხებლად, როგორც ჩვენს ნიორთავას უქნია ეს?“

„ღედა ნუ მომიკვდება, მართლაც მოვკალი, ძია გოდერძი, ირემი, დეიდა მაროს ბოსტანში შეპართლიყო წელან, კომბოსტოს ჭამდა, მიეუწწარი და მოვკალი“, — სერიოზული, დამაჯერებელი კილოთი ამტკიცებდა ბიჭი.

„რითი მოკალი, მალხაზ?“

„აი ამ ხმლით, ღედა ნუ მომიკვდება, ამ ხმლით მოვკალი, ძია გოდერძი,“ — თქვა მალხაზმა და ძეწნის წითელი წიკვლა ხმალივით ზეადმართა.

გოდერძი და ნუნუ გულხმიერად ყურს უღებდნენ ნამდვილად გახარებული ყმაწვილის ბეჭეტურს.

უსაზნრო ფაბულირების ჯადო, რომელიც არყოფილს შესაძლებლად ასაღებს, ხოლო აუხდენელს უკვე ახდენილად, ბედნიერებას ჰკვრიდა ამ გონებადაჩლუნგებულ ყმაწვილს, ისეთივე დიდის აღტყინებით აღწევებულს, როგორც ეს ნამდვილ ხელოვანს ემართება ხოლმე, როცა იგი გამოწვინის ფარვატერში შედის.

სწორედ ამიტომაც უბრწყინავდა მალხაზს თვალები და ლოყებზე სიხა-

რულის აღმური წაჰკიდებოდა, ისეთი, როგორც თან მოსდევს ხოლმე უცვარ სიხარულს, ან დიდ მწუხარებას.

გოდერძი თავზე დაადგა ნუნუს და უთხრა:

„იმედია, ხვალ ვნახავთ ერთმანეთს“.



გოდერძი მხნე ნაბიჯით გავიდა თემშარაზე. მთვარე გამოსულიყო საასპარეზოდ. შუკის გაყოლებით მდგარი მიწურების ბანებზე ისხდნენ მგელძაღვლები, თავები ზეაეშვირათ, ყუფდნენ, ღრუნდნენ და ყმუოდნენ, გოდერძი ძაღლების წინაშე მუდამ კრთოდა, ამიტომაც უხმოდ გაიარა ეს ჩაბნელებული შუკა, მერმე მიხედა ძველებურ ბანებზე დამსხდართ.

თუჯის შავ ქანდაკებებსაცვით ისხდნენ ისინი, ყუფდნენ, წაეწკავედნენ და ყმუოდნენ ამ მშვენიერ მთვარიან ღამეში. შორიდან, ძლიერ შორიდან ისმოდა ერთობლივი გნიასი მყეფარებისა და ისეთი შთაბეჭდილება დარჩა გოდერძის, თითქოს ბერამუხელი ძაღვლები რაღაც საშინელ მუჭარას უთვლიდნენ ალაზნის გადამმელთ.

ეს დაუშოშმინებელი გნიასი აესებდა ღამეს და გზადმიმავალ გოდერძის არ აძლევდა საშუალებას, გონება მოეკრიფა და სამოქმედო გეგმა შეედგინა სამერძისოდ, თავისთვის.

გოდერძი მიჰყვებოდა უკვე განიერ თემშარას, უხაროდა, რომ მისმა დიბლომატიამ გასტრა და ასე მიამიტად წამოაცდენინა ეს ამბავი ნუნუს. მხოლოდ ახლა მოაგონდა: როცა პროკურორი ხიდაშელი გაწილებული ბრუნდებოდა ყვარელში, მას წამოცდა თედოსთან საუბარში (გოდერძის თანდასწრებით):

„მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, ამხანაგო თედო, თითქოს ამ ქალს ვილაღ უყვარს თქვენს ბერამუხაში. მან კარგად იცის თავდამსხმელის ვინაობა,

მაგრამ არც ის ავიწყებდა, ეს რომ გასთქვას, მისი შეყვარებული თავს გამოიდებს და ეს ყოველივე სისხლის ღვრით დამთავრდება.

ჩემთვის ცხადია, რომ ამ სოფელში გადამთიელი არ მოვიდოდა ასეთი ხულიგნური საქციელის ჩასადენად. ხომ შესაძლოა, სხვა ვინმესაც უყვარდეს ეს გოგონა ამ სოფელში, არა?

ჩემი აზრით თავდამსხმელი უნუგეშოდ გამიჯნურებულია და არა ის სპეკულანტი კობერიძე, რომელსაც გამბედავობა არც ეყოფოდა ასეთი რამისათვის.

საეარაუდო არ არის ის მოხულიგნო შოფერი კანკრე, რადგანაც იგი თავადაც უჯირაულია გვარად. და როგორც ცნობილია, თუში წმიდად ინახავს გვარისმიერ ნათესაობას.

მე ბარე ათიოდე წლის იურიდიული პრაქტიკა მაქვს. ამაზე უფრო სერიოზული და დაბურღული საქმეები გამიხსნია, მაგრამ აქ დავმარცხდი, რადგან თავად იგი, ვისაც თავს დაესხნენ, ან არ იძლევა, ან ვერ იძლევა გულმართალ ჩვენებას და ამან ხელი შეუშალა ძიებას.

ხელშემშლელი იყო ძიებისათვის ის გარემოებაც, რომ უჯირაულთა გვარი, მე არ ვიცოდი — გვარი, არამედ ხანდაზმულნი ამ გვარში, განგებ ხელს აფარებდნენ ხელმყოფელს. მე ისიც დავადგინე, რომ კომკავშირელი ახალგაზრდობა კოლმეურნეობის ფართობზე იყო იმ დღეს, ხოლო შინ დარჩენილმა ბებრებმა სწორი ჩვენება განგებ არ მოგვეცეს.

პროკურორის სიტყვები ახლა სულის სიღრმეში ჩასწვდა გოდერძის. ერთი პირობა კიდევაც ლამობდა ხიდაშელისათვის გაემხილა, რომ კანკრე უჯირაულთა შეილობილია და არა მათი სისხლისმიერი თვისტომი.

მაშინ მთლად დარწმუნებული არ იყო, სახელდობრ კანკრე თუ იყო თავდამსხმელი, ახლა უკვე უკადრის საქმედ მიაჩნდა ამის გამხელა, რადგან,

უწინარეს ყოვლისა, საკიროდ მიაჩნდა თავათ ეკისრა ანგარიშის გასწორება კანკრესთან.

ახლა ამ ნათელ ღამეში ჩაისახა გოდერძის გულში ასეთი ბნელი განზრახვა: სამაგიერო მიეზლო კანკრესთვის. მიდიოდა, ფიქრობდა, მაგრამ თავად არ იცოდა, როგორ მოეყვანა სისრულეში იგი...



სამშაბათს ნუნუ მართლაც მოვიდა სანერგე ფარდულში. განუზომელად გაიხარა გოდერძიმ. უკანასკნელი დღეების ტანჯვას რალაც უცნაური სათნოების იერი მიენიჭებინა მისი მშვენიერი სახის ნაკეთებისათვის.

იგი ოდნავ დარცხვნილი ჩანდა, მაგრამ მაინც ამგლავებდა იმ შეუდრეკელობას, რომელიც თან ახლავს ხოლმე მორალურად მტკიცე და შეუბღალავი ადამიანების გამომეტყველებას. გული ეტკინა გოდერძის: რად ესაკიროებოდა ბედისაგან ისედაც დაჩაგრულს, უბედურ გოგონას ასეთი უხეში შეურაცხყოფის ატანა.

გულით მართალი ადამიანები მაშინაც იხეკენ ბრწყინვალეების ახალ შარავანდს, როცა ისინი უმართებულო შევიწროების ახალ იერიშს აიტანენ ხოლმე.

ამას ფიქრობდა გოდერძი იმ დღეს. გოდერძი იმ დღეს ხალისიანად მუშაობდა, თავაზიანად ექცეოდა დიდსა და მცირეს. მან ისიც იგრძნო, წინა დღეს ოდნავ უხეშად რომ მოექცა ლალბაწას.

დასვენების დროს ბოდიშიც მოუხადა:

„შენ არაფერი გეწყინოს, ჩემო ლალბაწა, მე ოდნავ მკვახედ მოგექცეო გუშინ, მაგრამ მერწმუნე, ამის მიზეზი ავგულობა როდია, არამედ საერთო საქმისადმი სიყვარული.“

შენ თავად განსაჯე, ლალბაწა, პარტია ჩემგან მოითხოვს, ფიზიკურად ვიდრე ჩემს პოსტზე, ყველას მოვითხოვ თავდადებული შრომა.

განა მე რა პოსტი მაქვს ისეთი სახარბიელო, შენსავით რიგითი მუშაკი ვარ, სხვა არაფერი. და პარტია მოითხოვს არა მარტო ჩემგან, არამედ ყოველი ჩვენთაგანისაგან, რათა პარტიოსურად ვიშრომოთ. თავად დაფიქრდი, ლალბაწა: ამასვე მოითხოვს ჩვენი ქვეყნის, ყოველივე ჩვენთაგანის კეთილდღეობა. საათის ბორბლები ხომ გაქვს წარმოდგენილი?...

ეს უთხრა ლალბაწას გოდერძიმ თავისი საათი ამოიღო, უკანა ხელში ახსნა და აჩვენა კბილანებიანი პაწია ბორბლები, რომელნიც ურთიერთზე მჭიდროდ მიბჯენილნი მარჯვედ ბრუნავდნენ და ერთობლივად წიკწიკებდნენ.

მე არაფრით შენზე მეტად მჭერმეტყველი და ჭკვიანი არა ვარ, ჩემო ლალბაწა, შენ ნაადრევად გაგერია ქალბა, თორემ სამიოდე წლით თუ იქნები ჩემზე უფრო ხნიერი. მაგრამ ამას გეუბნები, ლალბაწა, აი ასე უნდა ტრიალებდეს და ბრუნავდეს ჩვენი კოლექტივი, როცა ერთი დაიძვრის და ამუშავდება, მეორესა და მესამეს უნდა წამოედოს და ასე ამოძრავდეს და ამუშავდეს მთელი მექანიზმი.

თუ ამ ბორბალთაგანი თუნდაც ერთი შეჩერდნენ და არ ამოძრავდა, ეს სხეასაც უმოქმედობაში მოიყვანს, ხომ ასეა, ჩემო ლალბაწა!

მართალია, მე წელან უხეშად მოგეჭეცი, გაწყენინე კიდევაც, მაგრამ მეჩვენე, ამას ედო საფუძვლად არა ყოყოჩობა, არამედ საერთო საქმისადმი, ჩვენი კოლექტივისადმი სიყვარული. აქ იგივე ამბავია, რაც ამ პაწია ბორბლების ურთიერთთან შეხლას იწვევს, სხვა არაფერი, ჩემო ლალბაწა. მეც, ისე როგორც შენ, ან სხვა ვინმეს ჩვენთაგანს, მრავალი ნაკლი მაქვს, ერთი მათგანია უხეშობა, შენ უნდა

მაპატიო ამ შემთხვევაში. მეჩვენე, ლალბაწა, მე კეთილი და მართალი გული მიდევს მკერდქვეშ და თუ ღონავ უხეში ვარ, ეს იმიტომ, რომ უსასტიკესი ცხოვრება მქონდა სიყრმიდანვე.

ლალბაწამ გაიღიმა, თავისი შეუღარებელი თეთრი კბილები გამოაჩინა, კეფა მოიფხანა და მიუგო:

«ეხ არაფერია, გოდერძი, შენ რომ მაწყენინე, მე არც ისე რეგვენი ვარ, კაი გულით ნათქვამი მწარე სიტყვა ცული განზრახვით წარმოთქმულ ფლიდობისგან რომ ვერ გაეარჩიო, მაგრამ შენ გავიწყდება, რომ მე უპარტო კაცი ვარ... თქვენ, კომუნისტები, მუდამ იბრძვით, მუდამ მუშაობთ და სხვებსაც არ ასვენებთ.

ჩვენი გაზეთები სულ ამას წერენ: ვიბრძოლოთ პურისთვის, ვიბრძოლოთ ბამბისთვის, ვიბრძოლოთ ყურძნის მოსავლისთვის, სულ ვიბრძოლოთ და ვიბრძოლოთ.

ამასობაში ცხოვრება თვალსა და ხელს შუა გაგვეპარება. მე არც პრასი ვარ და არც ნიახური, მომწყვდიტონ და ხელახლა ამოვიდე. თოხნა კაი საქმე რომ იყოს, ძველ თავადებს თოხის ტრამდის განა მიეასწრებდით?

პაპაჩემს წელკაცი დამართნია თურმე ვაჩნაძიანთ ვენახში მუშაობისას, ამავე ცხრამუხაზე დასნეულებულა ის უბედური. როცა ბერძენის ქვეშ ცეკას წარმომადგენლებმა თათბირი გამართეს ცხრამუხაზე ვაჩნაძის მოწყობის შესახებ, პაპაშენმა, მიქელამ, და აბრია უჯირაულმა ერთი რამ არა თქვეს. შესაძლოა, მათ მეხსიერებამ უღალატა და მიტომაც არა თქვეს.

მე კი ერთ ამბავს გეტყვი. გენერალ ვაჩნაძისეული ვენახი დაიღუპა არა მარტო ღრუბლს მეოხებით. მთელი სოფელი დაიშა იმ წლებში, დიდი გვალვა იყო თურმე, გეჯილები და საძოვრები გადაბუჯა სიცხემ, აგვისტოში სეტყვა მოვიდა, ყვავის კვერცხის სისხო, კაცს არ მოსწრებია ისეთი

საშინელ, უდაბნოდ აქცია თურმე მთელი კახეთი.

დამშეული ხალხი ტყეში დაძრწოდა, ღოღოს, კუნელსა და კურკანტელას დაეძებდა გამწარებულნი...

მოსავალი დაიღუპა, მერე მიადგნენ ეს დამშეული გლეხები გენერლის ვაზებს და წოვა დაუწყეს დამლამობით“...

გოდერძი გაოცდა. ასეთი რამ მას თავის სიცოცხლეში არ გაეგონა. ამიტომაც საუბარი შეაწყვეტინა ლალბაწას.

„რას ამბობ, კაცო, როგორ? ვაზს წოვდნენ? ან როგორ უხდა მოეწოვათ ვაზი? რას მეუბნები, ლალბაწა, ვის გაუგონია ასეთი რამ?“

„მომითმინე და გაიგებ. თუ გინდა, ახლავე გამოვცადოთ, აი ამ ვაზის ლურწი გადავკრათ, პირში ჩაიდევო, მოსწოვე და ნახავ, შეაქარივით ტკბილი წვენი გამოდინდება მისგან.

ასე და ამგვარად, დამშეული გლეხები დაესივნენ თურმე გენერლის ვაზნარს, ქალი და კაცი, მოხუცი და ბაღალი შეიპარებოდნენ ვენახში და სწოვდნენ ვაზს.

თავად ვაჩნაძესაც, როგორც სხვა დიდ თავადებს, ლეკები ჰყოლიათ მცველებად.

ეს ლეკები ჩაუსადრდნენ თურმე ხალხს და ბევრი დახოცეს. პაპაჩემიც მოუკლავთ ვაზის წოვისას.

ჩემი დიდედა მის დარდს გადაჰყოლია. არც ჩემს მშობლებს უცხოვრიათ დიდხანს. ობლად დარჩენილი სამოწყალოდ გამოვუზრდივართ მეზობლებს მე და ჩემი ძმები. სამი ძმა უკანასკნელ ომში დეაკარგე, მე მარტო დავრჩი, იმ დახურულ ქოხში, რომელშიაც შენ და თედომ არც იკადრეთ გუშინ შემოსვლა“.

ეს სიტყვები ტყვიასავით მოხვდა გოდერძის გულში და შეარხია იგი, მაგრამ მოითმინა და საუბარი აღარ შეაწყვეტინა ლალბაწას.

„მე ცოლი არ შევიერთე, აბა ვინ წამოჰყვება ჩემისთანა უბედურსა და უმეკონოს, შვილი არ მამწებებს და ძირი. სამი მადევარი ძაღლი მყავს და მათ ვუვლი. ორიოდე პარასკევი დამრჩენია ამ ქვეყნად, ვისთვის ან რისთვის ვიბრძოლო, ამიტომაც არ ვეძალები ამ გაძაღლებულ წუთისოფელს, თუ სადმე ლეინო მოვახელე, ვსვამ და ამით ვახარებ ჩემს გულისკიას“.

გოდერძი შესძრა ლალბაწას ნათქვამმა, მაჯაზე წაავლო მას ხელი და უთხრა:

„უპირველესი შენი შეცდომა ისაა. ჩემო ლალბაწა, რომ შენ რევოლუციის მეორე ათეულ წელშიაც კიდევ ვერ მოგიშლია სიტყვები: „თქვენ კომუნისტები“ და „ჩვენ უპარტიონი“. ჩვენს პარტიას სხვა მიზანი არა აქვს, თუ არ აღორძინება ჩვენი ქვეყნისა და ამ მუშაობაში პარტიული და უპარტიო მასების ჩაბმა.

თავად დაუფიქრდი, ჩემო ლალბაწა, იმას, რაც წელან თქვი: განა ჩვენი კოლმეურნეობა თუ ხვალ ზევ მოწინავე, მილიონერი კოლმეურნეობა გავხადეთ, როგორ გგონია, ეს ყოველივე მარტო კომუნისტებს მოხმარდება, თუ ჩვენ ყველას, განურჩევლად იმისა, პარტიული იქნება რომელიმე ჩვენთაგანი თუ უპარტიო? შენ ხომ არც ასაკით და არც ჰკუთით არა გავხარ იმ ბნელ ბობოლეებს, რომელნიც ხმებს ავრცელებდნენ, თითქოს კოლექტივი ნიშნავდეს საერთო საბნის ქვეშ წოლას და საერთო გობში ჭამას.

შენ ხომ შეილიშვილად ერგები პაპაჩემს, მიქელას, როცა ამ უსინათლო ბერიკაცმა გაიგო, რომ ჩვენმა ტრაქტორისტებმა და ექსკავატორებმა აითვისეს ცხრა მუხის ზეგანი, მან თქვა:

გენერალ ვაჩნაძეს ტრაქტორებს ვინ მიაშავებდაო, ან ჩვენ საწყაღ სერობულელებს ტრაქტორებმა მოყვანის სა-

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

თუ ჩემი უსიხათლო პაპა ამას მიხედა, შენ რა მოგდის, ლალბაწა? მე და შენ აქ მარტო ვართ, შენ თავად განსაჯე, ლალბაწა, ამხანაგმა სტალინმა ყველაფერს მიადწია. ჯერ ძეხორციელს ასეთი სახელი და სიყვარული არ მოუხვეჭია ამქვეყნად.

სხვა რა უნდა ამხანაგ სტალინს? მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი მტრების დამხობა და ჩვენი ხალხის ბედნიერება. ამხანაგ სტალინს ის უნდა, რომ ჩვენი გლეხობა გამდიდრდეს, იმდენი დოვლათი მოიმარაგოს, გვალვის, სეტყვის და სხვა უბედურობის დროს ვახის წოვა აღარ დასჭირდეს. წომსწორია, რასაც გეუბნები?“

„სწორია, წყალი არ გაუვა“, — მიუგო ლალბაწამ და გაიღიმა.

„შენ ამბობ, შეილი არა მყავსო და ძირი. ნუ გეწყინება, ჩემო ლალბაწა, და ეგეც შენი ბრალია. მე შაპატიე, ხნით უმცროსი რომ გიბედავ ასეთ რამეს უკვე გაპალარებულ კაცს. მოეშვი ღვინის სმას და ბედოვლათობას, ოჯახს მოკიდდე და ყველაფერი კარგად იქნება.“

ღვინოს მეცა ვსვამ, მე თავად არ მიყვარს ის მამაკაცი, რომელიც ღვინის ნაცვლად კამფეტებს ეტანება, მაგრამ ღვინის სმას დროს შერჩევა უნდა და კიდევ ერთი რამ — ზომა.

შენ არა ხარ მართალი, ლალბაწა, თითქოს მე და თედომ არ ვიკადრეთ შენს ქოხში შემოსვლა. ჯერ ერთი, ორშაბათს, გახურებული შრომის დღეს, ვის გაუგონია ღრეობის გამართვა. გარდა ამისა, ის შენი მეგობარი კანკრე ისე უდიერად მომექცა, თედოს ხათრით, შენი ოჯახის ხათრით, მე მოვითმინე, თორემ გავასილაქებდი მას“.

„შენ აქაც მართალი ხარ, გოდერძი“, — თქვა ლალბაწამ და გაიღიმა თავისი კაიკატური, მართალი ღიმილით.

გოდერძიმ ისევ წაავლო მაჯაზე ზელი ლალბაწას, თითქმის ჩურჩულით უთხრა:

„მე გირჩევ, ლალბაწა, ამხანაგურად, ძმურად, ჩამოსცილდე მაგ ყველაფერს, ქალაქში გახულიგნებულ მახალ მარტოს, რომელსაც ცული თვალით უყურებენ აქ.“

„ეგონებ, ამ საქმეშიაც მართალი ხარ, გოდერძი, არც მე მომეწონა გუშინ მისი ყოყოჩობა. მე მას სიტყვა მივეცი, ამ დღეებში სანადიროდ გაგყვები-მეთქი. ხომ იცი, ეკეციისათვის სიტყვა ოქროზე მეტად ძვირფასია. ამჯერად მე მას დანაპირებს შევესრულებ, და თუ არ გამოსწორდა, მორჩა...“

ლალბაწას უკვე თოხი აღებული ჰქონდა, როცა გოდერძის მოეწადინა მისთვის ეკითხა: სანადიროდ, სად მიდიხართო, ან როდის, მაგრამ ნაკვეთზე თედო თარალაშვილი გამოჩნდა, გოდერძი განზე გაიხმო და ამცნო: რაიკომის მდივანი ციხისთავი სასწრაფოდ თათბირზე გვეძახისო ყვარულში.



გოდერძი მხოლოდ იმავე კვირის პარასკევს დაბრუნდა ყვარულიდან. ლალბაწასთან შემთხვევით გასაუბრებამ ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გოდერძის ცნობიერებაზე, რომ მან გადასწყვიტა თავად დაეპატიჟებინა შაბათ საღამოს ლალბაწა და უფრო მეტობრული ურთიერთობა დაემყარებინა მასთან.

აყვედრიდა კიდევ თავისთავს გოდერძი: ამდენი ხანია ამ კაცს ვხვდები, ვებუზღუნებოდი, ვეჩიჩინებოდი, ვეძალებოდი, და ერთხელაც თავშიაც არ მომსვლია უფრო ამხანაგურად, თბილად, რბილად მიედგომოდი მას და მისი კირეარამი გამეგო.

ისევ მოაგონდა გოდერძის ამბავი იმ ალვის ხისა, რომელიც საარტილერიო ყაზარმების კართან იდგა სამ წელს და გვიან შეიცნო მისი შრიალი.

შაბათ დილას დიდხანს ეძია გოდერძიმ ლალბაწა, მაგრამ ეს უკანასკნელი

ფართობზე არც კი გამოცხადებულა. სხვა ვინმესაც ეძებდა გოდერძი, სახელდობრ კანკრეს, რომლის გამომწვევებმა საქციელმა გასულ ორშაბათს ისე გააბრაზა იგი.

და განა მარტო ამისათვის. გოდერძის გადაწყვეტილი ჰქონდა დაემარტოხლებინა კანკრე და ნუნუს შეურაცხყოფის გამო მოეთხოვა მისგან პასუხი.

ნაკეთზე არ აღმოჩნდა არა მარტო ლალბაწა, არც კანკრე ჩანდა სადმე, და არც გაგრილა...

გოდერძის, როგორც ბრიგადირის, შენიშნული ჰქონდა: როცა რომელიმე ამ სამთავანი სამუშაო დღეს გააცდენდა, ორი დანარჩენიც გაუჩინარდებოდა. გოდერძის დაცდილი ჰქონდა, რომ ისინი წასული იყვნენ ან სანადიროდ, ან საქეიფოდ. მერგოლურებს გამოაკითხა და მათაც დაუმოწმეს; სამივენი სადღაც გაჰქრნო.

შაბათ საღამოს, მუშაობის დასრულების შემდეგ, თემსაბჭოში მიმავალ გოდერძის ნიორთავა შემოეყარა. გოდერძის უყვარდა ნიორთავა, ისე როგორც შეუძლია ორ, სხვადასხვა ბუნების ადამიანს უყვარდეს ერთიმეორე არა ხასიათისმიერი მზგავსებიდან გამომდინარე სიმპათიების, არამედ მათი სხვაობისაგან წარმომდგარ თვისებათა მეოხებითა.

გოდერძი ერთი მათგანი იყო, რომელიც ამ ცხოვრებას განიცდიან, როგორც გმირულ დრამას, ასეთები მუდამ შემართული არიან, როგორც შეწყვილებული თოფის ჩახმაზი.

ამ დრამატული ბუნების საწინააღმდეგო პოლუსზე დგანან ისინი, ვინც ამ ცხოვრებას კომიკურ, სასაცილო ასპექტში ითვისებენ, ეს სხვაობა კაცთა ბუნების ორგვარობისა იწვევს ორი სავსებით განსხვავებული, ტემპერამენტის გამომჟღავნებას.

პირველნი მძაფრად განიცდიან ცხოვრებას, ხოლო მეორენი უფრო მსუბუქად. გოდერძიმ კარგად იცოდა ნიორთა-

ვას იღუმალი მწუხარება, გამომდინარე ამ უცნაური კაცის საკმაოდ სინტერესო ბიოგრაფიიდან. იმასაც კარგად ამჩნევდა გოდერძი, რომ მეწისქვილე ნიორთავა ვაჟკაცურად ატარებდა იმ ტრავედიას, რომელსაც ავტორი სხვა დროს გაუმხელს პატივცემულ მკითხველს.

სულ სხვა რამ ხიბლავდა გოდერძის ნიორთავას ხასიათში, სახელდობრ ისა, რომ ნიორთავა ისე მსუბუქად და სხვებისათვის შეუძინებლად ატარებდა ამ სულიერ წუხილს. და ამის გამო როდი შესჩიოდა გამვლელ გამომვლელს ეს ღრმად დამწუხრებული კაცი იგი მუდამ სიხარულითა და სიხალისით შენიღბული დადიოდა.

გოდერძი კარგად ამჩნევდა ამ ფაქტში ნიორთავას უბადლო კეთილშობილებას. ამას არასოდეს ენა არ მოუბრუნდებოდა იმისათვის რომ თავისი პირადი მწუხარების გამჟღავნებით ამხანაგისათვის; მეგობრისათვის გუნება გაეფუჭებინა. ამიტომაც ან სდუმდა, ან ხუმრობდა.

„როგორა ხარ, ჩემო ნიორთავა?“ — ჰკითხა იმ დღეს მეწისქვილეს გოდერძიმ.

„უკელაზე კარგად, ჩემო ბატონო.“

„რა კაი გუნებაზე ხარ, ჩემო ნიორთავა.“

„ამის მიზეზს ახლავე მოგახსენებ. ჩვენს წისქვილში, როგორც იცი, უამრავი ბუდეები გაიშენეს მერცხლებმა. გუშინ რაიკავშირში დამიძახეს. იქ ჩემი არყოფნის დროს მოსულან ვიღაც ანგალი ბიჭები, ერთი წყვილი მერცხლის სახლ-კარი დაურბევიათ.“

გუშინ საღამოსვე შეენიშნე მე ეს ამბავი. დამნაშავენი არსად ჩანდნენ, თორემ ყურებს ავუწვედი იმ ყურუმსალებს“. — ნიორთავა შედგა და გოდერძი შეეკითხა:

„მერმე რა მოხდა, ჩემო ნიორთავა?“

„როცა აქეთ მოვდიოდი, ასეთი რამ ვნახე: დედალ-მამალი მერცხალი მოფ-

რინდებოდნენ ყოველ წუთს წისქვილში და თან მოჰქონდათ თიხა, თივა და ბუმბული. ხელახლა იგებდნენ ბუდეს. მე მომწონს ეს შეუღრეკელობა ისეთი უმწეო არსებისა როგორიცაა, მერცხალი.

თუ საწყალი, ყველას მიერ დაბრწყვებული მერცხალი ასეთი ვაჟკაცია, ჩვენ ხომ უფრო დიდი გმირები უნდა ვიყოთ და არასოდეს არ უნდა გავიტეხოთ გული.“

გოდერძის გულიანად გაეცინა, ხოლო ნიორთავამ განაგრძო:

„თუ აკლებული მერცხალი მეორეჯერ აგებს თავის დარბეულ ბუდეს, შენ რაღას უყურებ, ჰაბუყო? მე რომ მწერალი ვყოფილიყავი, ასეთ იგავს ვეტყვოდი ყველა უცოლოებსა და უქმბროებს: გრცხვენოდეთ, ყმაწვილებო, ბუდეებს რომ არ იშენებთ. ცხოვრება უდიდესი ბედნიერებაა, და უნდა შეეცადოთ სხვებიც აზიაროთ ამ ბედნიერებას.“

„ეს ყველაფერი კარგია, რასაც შენ ბრძანებ, ნიორთავა, მაგრამ თავად რატომ არ მოგვეცი ამისი მაგალითი?“

„მე ხომ შენისთანა ბედნიერი ეპოქის შვილი არა ვარ, გოდერძი. მე ისე მაგრად დამდალა ძველმა დრომ, ღამურად ვიქციე და ამიტომაც შევეხიზნე წისქვილს. შენ იგივე გეცოდინება, რომ ღამურები ძველ წისქვილებსა და ძველ ციხეებს ეტანებიან ხოლმე.“

გოდერძიმ გაიცინა, წასვლა დააპირა, ნიორთავამ ხელი დაადო მხარზე.

„ეს იგავი შენ გამოა ნათქვამი.“

„ჰა, მეც ისეთი მძიმე მემკვიდრეობა დამიტოვა ძველმა დრომ, ჩემო ნიორთავა“...

„შენ არა ხარ მართალი, გოდერძი, ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს შენთან, მაგრამ, პაპა მიქელაც მოკვდება და არც საცოდავ მამიდაშენს უწერია გრძელი მზე, სიბერე ალბათ შენს თავზედაც ჩამოსთოვს ერთ მშვენიერ დღეს და ჩემსავით მარტო დარჩები.“

ხოლო, რაც შეეხება მარტო დარჩენას, ჩემ მაგალითზე გახსოვდეს, მე ვერ ვიტყვი, რომელიც სჯობს მძიმეყენად — მარტო სიკვდილი თუ მარტო დარჩენა“.

გოდერძის ენიშნა ნიორთავას იგავური საუბარი, მაგრამ ეჩქარებოდა და ისევ დააპირა წასვლა, გამომშვიდობებისას ცალყბად ჰკითხა მეწისქვილეს:

„თევზზე ხომ არ გინადირია ამ დღეებში, ჩემო ნიორთავა?“

„თევზი, როგორც მოგეხსენება, იმ თევებში არ იჭმევა, როცა ბგერა „რ“ არ ურევია თვის სახელში. გუშინწინ ბიჭები მეხვეწნენ — ირემზე განადირებთო, მაგრამ წისქვილი ვის ჩავაბარო? ალბათ გაიგებდი, რა მომივიდა მე ბედდამწვარს. ნათხოვარი თოფი მიმქონდა პატრონთან, ირემი შემეფეთა ფიქრებში წასულს, ოციოდე ნაბიჯზე შემომეფეთა ირემი, ლამის იყო თავზე არ გადამახტა, შენ რა გგონია, რა მომივიდა? მხარზე გადებულ თოფი გადამავიწყდა და ქვებს დაეუწყე ძებნა... ჰა, ჰა ჰა“.

იცინოდა ნიორთავა.

„მერმე, მერმე?“

„მერმე და ირემი და ბედი ერთმანეთს ჰგვანან ერთ რამეში. ორივეს დროზე უნდა წაეტანო. ჰა, ჰა, ჰა“.

საუბარი მოათავეს და ერთიმეორეს დაემშვიდობნენ. გოდერძი მობრუნდა და მიადახა მეწისქვილეს:

„ვინ ბიჭები გუპატიებოდნენ სანადიროდ, ჩემო ნიორთავა?“

„ქანკრე, გაგრია და ლალბაწა“.

„საით წავიდნენ, თუ იცი?“

„ვგოხებ, აბაშის ციხისკენ. მეტყევეს ჩამოუტანია ამბავი ღურუჯის ხეობას მიჰყოლიაო ირემი“, — მიუგო ნიორთავამ.



გოდერძიმაც ასე ივარაუდა: ბერმუხიდან გაქცეულ ირემს სხვა გზა არა ჰქონდა, ღურუჯის ხევის აპყებოდა, —

მისი მღევრებიც ამ ხეობით იქნებოდნენ წასულნიო.

წინა ღამეს გოდერძიმ ხელაანთ ვანოს, თავის სიყრმის მეგობარს, გაანდო თავისი განზრახვა. ხელაანთ ვანო დინჯი და უძრავი გულის კაცი იყო. უცნაურად აღშფოთდა, როცა კანკრეს ოინები გაიგო.

„აფსუს, იმ ღამეს გაგაქცა მე და ნიკას, თორემ ნამჯასავით მოვაქცევდი მაგ ხელივანს. ეს-ღა აკლდა ისე-დაც ბედისაგან დაბრიყვებულ ობოლ ქალს“.

„არაფერია, მე მას ვასწავლი ჰკუთას,“ — თქვა გოდერძიმ.

„იცი, გოდერძი, საწყალ მამაჩემს ერთი უხიაგი კვიცი ჰყავდა. არ იქნა და ვერ გახდნა ცხენი. ბოლოს ხურჯინი გააესო რიყის ქვით, აჰკიდა ამ კვიცს, თავათაც ზედ შეაჯდა, შეაგვლევებდა ალაზანში, ატარებდა აღმა და დაღმა, სცემდა ცხვირბირში, ბამბასავით გახადა ის გივი კვიცი. მერწმუნე, მაგ უბედურ კანკრეს იგივე მოელის, მას თავად ცხოვრება ასწავლის ჰკუთას“.

რა დარწმუნდა ვანო, რომ თავისას არ იშლიდა გოდერძი, თან წამოგყვებო, უთხრა. გოდერძიმ ეს იფაქილა.

მამინ ხელაანთ ეანომ მას შესთავაზა მამისეული თუშური ცხენი, მუხლმაგარი და მთებში ნავალი. ოლონდ მათრახს შეჩვეული არააო ეს დააბარა.



ჯერ კიდევ ჩრდილები იწვნენ დურუჯის ხეობაში, როცა გზას დაადგა გოდერძი. კავკასიონზე დახერგილ ქედნისფერ ღრუბლებს ნელ-ნელა უთეთრდებოდათ კიდები. მათ ქვემოთ გაწკაპულ შაბიამანის ფერ მთებზე ბნელს მოეხაზა ნაძვნარების წვეროკინები, გოდერძის ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა: მათზე გოლიათური საჩენელები დაუდგამითო.

თოვლივით თეთრი ნისლის ფანტელები ზედ დააფოფინებდნენ კამკაჩეჩელებს. ჩაბნელებულ ხეტბაში მსმთა და მარტოხელა ცხენის ფლოქვების ტკაუნი. სერები, ბორცვები, კორდები, მორიგეობით ცვლიდნენ ერთიმეორეს.

დურუჯი მოხტოდა ხავსმოდებული ლოდების ტერასებზე. ჩქედნენ და ჰქუხდნენ ლანქერებისგან ამღვრული ტალღები, მოჰქოხდათ გამურული მორები, რომელნიც შორიდან დევების ლემებს მიაგავდნენ.

ჯერ მწკრივად მოათრევდა დურუჯი მათ. მერე შემოუტევდა ერთს, ზედაზორად ერთმანეთზე მიახერგავდა და ისე გადაჰყრიდა მათ მორეში, კაცს ეგონებოდა ეს მორები გზადაგზა ოთურმას თამაშობენო.

სულ აღმა და აღმა მიჰყვებოდა გოდერძი ხეობას, კაცის ჰაჭანება არსად ისმოდა, დაკრილ ავაზასავით ღმუროდა დურუჯი, და დუქმორეული ლოშინდა დაღმეკილ კლდეებს.

მსუბუქი ორთქლი ასდიოდა აქაფებულ მდინარეს, ტინიან ქარაფებიდან ზანტად დგებოდნენ ორბები, ჯერ პერპენდიკულარულად მიიწვედნენ შექრუნებულ ცისკენ და ცაში აჭრილ ნაძვებს რა გასცდებოდნენ, ირაოს გაჰკრავდნენ ჩრდილოეთისაკენ, სადაც ნაძვნარების საჩენელებზე ბამბისფერი ღრუბლის ფრთილები იწვნენ.

ასე იარა მთელ საათს გოდერძიმ, ცხენი ფრუტუნებდა და ჰშინავდა, კისერი წაეგრძელებინა სადავე მიშვებულს, ზედმჯდომის უკითხავად მიიკვლევდა აღმართში გზას.

გოდერძის შეეცოდა ცხენი, დაქვეითდა, სადავე გადაუგლო ტახტაზე. წინ მიჰყვებოდა მას, ტკებოდა გარინდებული ნაძვნარების ჰერეტისაგან.

გულწითელა იძახოდა სადაც, გაზაფხული ზეიმით შეჭრილიყო ამ ძერასფერი კლდეების კიშკარში. თვალშეუღდამ ქარაფებზე აღმართული მტუ-

ტისფერი ლოდები ისე შესხდომოდნენ ურთიერთს, ცას შებჯენილ ციხე-კოშკებს მიავადენენ ისინი.

ცხენის ფრუტუნე შემოესმა გოდერძის, ბილიკი დაბურულ ნაძენარში შედიოდა, ცხენის ფრუტუნს ფლოკვებას ტკაპუნი მოჰყვა, ბოლოს გაისმა ხეობაში უცხო სიტყვა, თუ შეძახილი. გოდერძი პირისპირ წააწყდა მოსახვევემ ტანმორჩილ ჩოხიან კაცს, რომელსაც პატარა ცხენი, დასადავებული, მოჰყვებოდა უკან.

შავი სატევარი წელზე ეკიდა ამ კაცს, თავზე ალისფერი ფაფახი ეხურა. მოკლე ფეხებზე ეცვა ჰრელჭრულა პაკიკები, პაკიკებს ქვემოთ აგრეთვე ჰრელჭრულა მთიულური ჩიოები.

გუნებაში გაეცინა გოდერძის, ამ დალეულმა კაცმა, ასეთივე დაჩაივებული ცხენი სად ნახაო, იგი ცხენს კი არა, ბალებს სთამაშოდ გაკეთებულ ცხენჯოხს მიავადდა.

მხედარს ჰრელი ზურჯინი ზედ ეკიდა უნაგირის ტახტაზე. გოდერძის გაეხარდა ადამიანთან შეყრა ამ გაველურებულ სანახებში.

ვინაობა და სადნურობა ჰკითხა უცხოს. მგზავრი ლეკი აღმოჩნდა. მას სანდომიანი სახე ჰქონდა და ეჩოსავით წინ გაშვერილი მწითური წვერი. კაკუკის ბუდესავით აბურძგენილ ფაფახს ქვეშ ხალისიანად ციმციმებდნენ მისი ცისფერი თვალები. დიმილის დროს იგი თოვლისფერ კბილებს აჩენდა.

მგზავრი ამტვრევდა ქართულს, წარამარა ხმარობდა სიტყვაში „კაცოს“, მაგრამ „ც“-ს ვერ გამოთქვამდა რატომღაც, „კაცოს“ ნაცვლად „კასის“ ამბობდა.

გამორკვეა, რომ ეს ლეკი ორი დღის წინათ ვადმოსულიყო დაღესტნიდან, აბაშის ციხესთან გაეთია ღამე.

მონადირეები ზომ არსად შეგხვედრილაო, შეეკითხა გოდერძი ლეკს. მონადირენი არსად შეხვედროდა, მაგრამ

სამი მადევარი ძაღლი შემოჰყროდა გზაში.

„არ ფერისანი იყვენენ ძაღლები?“ — შეეკითხა გოდერძი ლეკს და პაპიროსი მიაწოდა.

ლეკმა პაპიროსი გააბოლა და ხანგრძლივი გამოკითხვის შემდეგ გოდერძიმ გაიგო: ერთი ჰრელი იყო, ერთი შავი და ერთიც ყვითლად დაწინწყული.

გოდერძის ენიშნა ეს ამბავი. ასე დაასკვნა: ესენი უთუოდ ლალბაწას ძაღლებიაო.

გოდერძიმ ისევ ამოიღო სათუთუნე, ხელახლა მიაწოდა პაპიროსი ლეკს, გაუმეორა კითხვა: მამ მონადირენი არსად შეგხვედრილაო?

„ხო გებნები, კასო, არ მინახავს“, — მიუგო ლეკმა, ბოლოს დასძინა: მონადირე თვალთ არ მინახავს, მაგრამ მთაში რამდენჯერმე გავიგონეო სტვენა და მადევარი ძაღლების ყეფა.

„სად და რა ადგილას გაიგონე სტვენა და ყეფა?“

ლეკმა თქვა: ამ დურუჯს მიჰყევი ცოტა ხანს, მხარმარცხნით ერთი ნანგრევი ძველი ეკლესიისა, დურუჯი მარჯვენით დასტოვე, აჰყევი აღმა მიმავალ საცხენე ბილიკს, იქ დახრამული ტაფობია ერთი და ამ გავაკებაზე გორაკი დგას, ამ გორაკზე ნაციხარია, სწორედ იმ ნაციხარის მიდამოში შესმოდა ძაღლების ყეფა და მონადირეების სტვენაო.

მოუთმენლობამ შეიპყრო გოდერძი. ლეკი ნელ-ნელა ლაპარაკობდა, ქართულ სიტყვებს ძლივს უყრიდა თავს, ხელებს იშველიებდა ლაპარაკის დროს, წარამარა ამბობდა „კასოს“.

გოდერძიმ უკანასკნელად შესთავაზა პაპიროსი ლეკს, შეეკითხა: რა ჰქვია თუ იცი იმ ციხეს?

„არ ვიცი, კასო“, — მიუგო ლეკმა. გამარჯვება უსურვა, ცხენს მოაჯდა და შეუდგა დაცერებულ აღმართებს.

ერთი საათი კიდევ იარა ღურუჯის ხეობაში და მართლაც წააწყდა ეკლესიის ნანგრევს, სურათი გადაბარდნილს.

ისევ შეუდგა ბილიკს, მაგრამ გზა ისე დახერგილი იყო ლოდებით, გოდერძიმ დაქვეითება არჩია, ორბები უკვე აღარ დგებოდნენ არც ცხენის ფლოქვეების ტკაუნზე, არც მისი მხედრის გამოჩენაზე. ვადამხმარ ფიქვებზე ისხდნენ ისინი და აბრიალებდნენ გაავებულ თვლებს.

ერთი ბებერი, საესეებით თავმოტვლებილი კრავიჭამია ორბი იჯდა და დანგრეული ეკლესიის სამრეკლოზე, კისერს იღრეჯდა ზეაწეული ცალი მხრისაკენ და არხეინად იქექებოდა ფრთის ქვეშ.

გოდერძის ღიმილი მოგვარა ამ ბებერი ორბის სითამამემ. რევოლვერი ესროლა და კრავიჭამია ნიყვივით დაენარცხა მიწაზე.

ვიდრე გოდერძი მომაკვდავ ორბთან მიღწეულა, ფიქვნარიდან გამოვარდა შავი ძაღლი და ეცა სულთმობრძავ მტაცებელს, რომელიც გაავებული სცემდა მიწაზე თავის ძაღოვან ფრთებს, და უმწეოდ აღებდა სისხლიან ნისკარტს.

გოდერძის გაეხარდა ამ ძაღლის დანახვა, რადგან იცნო ერთი მათგანი. ისინი ლალბაწას ქობის წინ წკაფწკაფებდნენ ორშაბათ საღამოს.

გათამამებული ძაღლი წაეტანა სულთმობრძავ ორბს, მაგრამ ამ უკანასკნელმა მას ისე ჩასცხო ნისკარტი ქედზე, რომ აწკმუტუნებული მყეფარი ისევ ფიქვნარში შეეარდა და გაუჩინარდა.

გოდერძი შეაწუხა ამ ამბავმა, ისევ მოაჯდა ცხენს და მიჰყვა ფიქვნარში მიმავალ საცხენე გზას.

ამ ფიქვნარის გაღმა-გამოღმა კლდეები იყო აღმართული. გოდერძი ხედავდა, რომ ძლიერ უჭირდა ცხენს. ლოდებით დახერგილი ბილიკი დათმო.

ფიქვნარში შეიყვანა დახადებულ ცხენი და მიჰყვა კლდესა და ფიქვნარს შორის დარჩენილ არეს.

თანაც უსტვენდა იგი, უძაზოდა შავ ძაღლს, მაგრამ ჩამიჩუმი არსად ისმოდა, აღარსად ჩანდნენ ორბები, მხოლოდ ბუები ისხდნენ კლდის ქიმებზე და თვლემდნენ.

ერთ მღვიმესთან შედგა გოდერძი. რამდენიმე მეტრის სიღრმეზე შეღწეული იყო კლდე, უზარმაზარ ლოდზე იდგა მოყვითანო ქვისაგან გამოთლილი კუბო.

გოდერძი მიუახლოვდა მას, ქვის კუბოში ჩაიხედა, შიგ ესვენა გრძელწვივიანი კაცის ჩონჩხი, თავისი გრძელი ხელები ჯარისკაცსავით გაეშვორა აგრეთვე გრძელი ბარძაყების გასწვრივ.

კედელზე მიკრული იყო ორი, დაჯანგული რკინის რგოლი. გოდერძი ხევსურეთში იყო ნამგზავრი, მთიულური სამარხი შეიცნო. ცხენოსანმა რგოლზე მიაბა ცხენი, თავად გავიდა სამარხიდან და მიჰყვა კლდის ძირში მიმავალ ბილიკს, რადგან ეს ბილიკიც ისე დახერგილი იყო მალღიდან ჩამოცვენილი ლოდებით, რომ არც მასზე შეიძლებოდა ცხენის გატარება.

ამ გზამ პირდაპირ გაიყვანა გოდერძი ვრცელ ტაფობზე, რომელსაც სამი მხრით გარს ერტყა ნაძენარებიანი კორდები, ხოლო შუაგულში ზეაწეულ გორაკზე ნაციხარი იდგა ავრებით და კატაბარდით დამურული. ამ დაღწეულ ბასტიონს თითქმის დაკავებული ჰქონდა მთელი ეს გორაკი, რომელიც თავის მოყვანილობით ტრაპეციას მიაგავდა. გოდერძი უკვე დაღლილი იყო, მაგრამ არც გასჭირვებია ამ ზეგანზე ასვლა.

კედლებშელეწილ ნაციხარში შეიხედა თუ არა, ნახა: ყვითელი იელით და მშვენებული იყო ეს გავერანებული მიდამო, წრედ ამოსული იელის ბუჩქებს შორის საესეებით მტუტისფერი ფიქალი ეგდო.

ამ ფიქალზე იწვა გემის ბაგირივით დაგრავნილი მაისის გველი, გედის კისერივით ამყაღდ მზისკენ აფშვირა თავი, ასავსავებდა ციმციმა თვალებს.

გოდერძი დააკვირდა კაძეჩის მუხლის სისხო გველის თავს, ასე მოეჩვენა თვალებიდან აღმასებს აფრქვევსო.

მის გარშემო ათზე მეტი წიწილები დასხმარტალბდნენ, კი არ დაკოცავდნენ, დაფრინავდნენ თვალმიუწვდენელი სისწრაფით, გარს ევლებოდნენ ცისკენ მოზეიმედ თავაწეულ ღედას.

გოდერძი გაინაბა და დიდხანს უყურა ამ უცნაურ სანახაობას, მერმე შეეცადა ორიოდ ნაბიჯი ფრთხილად გადაედგა წინ, კიდევ ერთხელ შეხედა საგაზაფხულო ექსტაზში მოსულ ღედას და ეახნების შეიდეული დაახალა გველები ოჯახს.

რევოლვერის გრიალის გაძლიერებული ეხო ჯერ კიდევ გვრინავდა ამ ვრცელ ტაფობზე, როცა ირგვლივ მოკვარული ნაძვნარებიდან გამოცვენილი სამი ძაღლი ყფით შემოიჭრა კედლებშემუსრული ნაციხარის ნანგრევებს შორის.

გოდერძი მივიდა მტუტისფერ ფიქალთან, ღედაგველი საკუთარ სისხლში სხმარტალბდა, მხოლოდ ორიოდ წიწილას ეპოვნა თავშესაფარი ირგვლივ ამოსულ ზელის ბუჩქებში.

გოდერძი დააკვირდა მადევრებს. ერთი ჰრელი იყო, ერთი შავი და ერთიც ყვითლად დაწინწყლული.

იმ წუთშივე მოესმა მას ნაძვნარიდან სტვენა და მონადირის ძახილი „პოპ, პოპ“.

ძაღლები გაქანდნენ ჩრდილოეთისაკენ, საიდანაც დაჟინებული სტვენა და ხმოვა მოისმოდა.

გოდერძი მიადგა დროის შემოტევას გადარჩენილი კედლის სათოფურს და ზვერავედა სწორედ იმ ნაძვნარს, სადაც წელან ძაღლები გაუჩინარდნენ.

ჩრდილოს მხრიდან ბაიბური არ ისმოდა, მხოლოდ სამხრეთისაკენ მდებარე

რე ქაჩალ გორაკზე, რომელზედაც მართხელა ფიქვი იდგა, *შეყო ძაღლი* შავ წერტილსავით მოჩანდა *ამ ფიქვი* შვეშ და გამწარებული ყუფდა.

მაღე მახლობელ ნაძვნარში გაუჩინარდა ისიც და სამარისებრი სიჩუმე დამყარდა ირგვლივ.

ოციოდე წუთი სრული მყუდროება იდგა ამ ვრცელ ტაფობზე, ბოლოს გაისმა კანტიკუნტი ყუფა.

მხოლოდ მონადირეს შეუძლია განიცადოს ის მღელვარება, რასაც იწვევს მადევრების ყუფა და წყავეწკავი. არც ძაღლი სჩანს სადმე და არც ნადირი, ერთს დაიყუფებს რომელიმე მათგანი, შეპყფეს და დადუმდება, დგახარ და საკუთარი გულის ბრაგაბრუგი გესმის. გარინდებული შესცქერი დადუმებულ ტყეს. ახლა მორე და მესამე დაიყუფეს, ისევ ჩამოვარდება ისეთი სიჩუმე, გამხმარი წიწვების მსხვრევასაც მისწვდება სმენა. ბოლოს შეიყრებიან მადევრები ერთად და მყუფარების მხიარული მაყრიონი ზეიმით წამოიყვანეს სახუნდარებში გატყრინულ მონადირეებისაკენ ნადირს.

ასეთი ამბავი მოხდა იმ დღესაც. გოდერძი არ შორდებოდა სათოფურს. და როცა ატყდა ერთობლივი ყუფა და წყავეწკავი, სმენად იქცა გოდერძი. თითქოს ნაძვნარების რკალი გაიჩლეოა, თავდაღმართში წამოვიდა ირემი საშინელი სისწრაფით და გულდაგულ უსწორა ნაციხარს. სამი ძაღლი ფეხდაფეხ მოსდევდნენ მას.

მხოლოდ ახლა აუხდა ნანატრი გოდერძის. იგი პირისპირ შესცქეროდა ამ მშვენიერ ნადირს, რომელიც თავგამეტებულად მორბოდა თავდაღმართში, ოციოდე ნაბიჯიც არ უკლდა მას ნაციხარამდის, როცა ჩრდილოეთით მდებარე ნაძვნარიდან გამოშეირილმა თოფის ლულამ იელვა მზვარეში.

თოფის ხმის ეხომ ორჯერ ზედიზედ დაიგრიალა მთელს ტაფობზე ირგვლივ, მუხლმოჭრილივით წამოიქცა ირემი და



თავისი ლამაზი, ნესტოებდაბერილი დრუნჩით დაეცა მიწაზე.

სათოფურიდან მოთვალთვალემ ისეთი შთაბეჭდილება მიიღო, თითქოს ირმის სხეულის კისერს გადაღმელი ნაწილი უკანა მხრიდან ზეწამოიწია და დააწვა მის მოგრებილ თავკისერს.

გოდერძი უცნაურად ააღლევა ამ სანახაობამ. იგი სწრაფად გამოვიდა ნაციხარიდან და თავზე წაადგა ტყის მომაკვდავ მშვენიებას. ნესტოებიდან სისხლი წასკდა ირემს. ახლა ისიც შენიშნა გოდერძიმ, თუ როგორ გათეთრდნენ მისი მშვენიერი, მოლიბრო თვალები, უკუშეიქცნენ ქუთუთოების ქვეშ და მარლა კამჩის თვალებს დაემსგავსნენ.

და თავით მიწაზე დამხოზილი ცხოველი ნაციებსავით შეძგამაგდა დარამდნჯერმე ძლიერად გაუსვა ჩლიქები ნიადავს, თითქოს ეწადა უკანასკნელად დაემჩნია მიწის პირზე თავისი აქ ყოფნის ტვიფარი.

განზე გახედვაც ვერ მოასწრო გოდერძიმ, პანიური ყვირილი შემოესმა. გაიხედა ჩრდილოეთისკენ, თოფშემართული კანკრე გაცოფებული მორბოდა თავდაღმართში.

იგი სულ ახლოს მიეჭრა გოდერძის და ყვირილითვე უთხრა:

„ეს ირემიც ზომ არ გინდა, მიითვისო, როგორც ჩემგან მოკლული ორბი მიიჩემე“.

გოდერძიმ მშვიდად მიუგო გააყვბულს:

„ეს თოფი დადევი ძირს, მერმე დავსხდეთ და ვილაპარაკოთ“.

„თოფი რად მინდა შენთან. უთოფოდაც არ მეყოფი ერთ ლუკმად“, — დაიღრილა კანკრემ.

„გირჩევ ტრახახს მოეშვა, კანკრე“. კანკრემ თოფი მიწაზე დააგდო, ჯიჭურ მიეჭრა გოდერძის და შემოუქნია თავისი გრძელი მკლავი, გოდერძიმ აიციდინა სილა და ხელუქუღმა ლეწა კანკრეს ისე ძლიერად, რომ კანკრე და-

ბარბაცდა და ცალი მუხლი დაჰკრა მიწაზე.

სიციხესული

ისევ ზეწამოიჭრა კანკრეს მკლავდერძის და ყვრიმალში გაარტყა ისე მაგრად, რომ გოდერძი შექანდა და ლამის იყო წონასწორობა არ დაჰკარგა. ნაბიჯი წინ გადმოდგა გოდერძიმ.

„მაშ არ გინდა ჰკუთხე მოსვლა? — ეს უთხრა და მკედარი სილაქი აჰამა კანკრეს.“

კანკრემ აიტანა ეს სილაქი, დაკოდილ ნადირსავით ისკუბა ადგილიდან და გოდერძის გაშლილი მკლავებით ქედზე ზედ დახტომა მოუნდომა, მაგრამ ამ უკანასკნელმა თავის დაბლა დახრა მაასწრო და ისე ძლიერად უთავაზა მას ცხვირპირში თავური, რომ კანკრეს ტუჩპირიდან იფეთქა სისხლმა და პირაღმა გაიშხლართა მიწაზე.

გოდერძიმ მუხლისთავი მკერდზე დააბჯინა კანკრეს და მშვიდად უთხრა:

„ახლა სულ სხვაგვარად მოგელაპარაკები, იცოდე. მე შენ ის ლენის ვაჭარი კობერიძე ზომ არ გეგონე, დედალო.“

კანკრემ სისხლი ამოაფურთხა პირიდან და თქვა:

„მე მართლაც დედალი ვარ, იმ ღამეს რომ არ გესროლე ბერმუხის ქვეშ, როცა შენ ბოხს ჰკოცნიდი.“

„შენ არ აქმარე შეურაცხყოფა იმ საცოდავ ქალს. მე წაქეულის ცემა არ მიყვარს, მაგრამ ეგეც შენ“, — უთხრა და მიწაზე განრთხმულს კიდევ უთავაზა სილაქი.

კანკრე სიმწარისაგან ნაცემი ბალღით ატირდა. გოდერძის სიბრალულის გრძნობა გაელვიმა გულის სიღრმეში. სადღაც.

„ახლა ადექი და ხელი არ გააქნო, იცოდე, თორემ უთუოდ გაჩვენებ, თუ როგორ უნდა სროლა.“

კანკრე წამოდგა, ჯერ ხელი ჩამოისვა ტუჩ-პირზე, მერმე სისხლიანი თითები შარვლის ტოტზე შეიწმინდა.

„დაჯექი“, — უთხრა გოდერძიმ კანკრეს. კანკრემ მიმოიხედა. ნაციხარიდან ჩამოცვენილი ქვები და ლოდები შორს არ იყვნენ, განზე გაიწია, მაგრამ გოდერძი წინ გადაუდგა და უბრძანა:

„არა, აქ დაჯექი, მიწაზე.“

კანკრე დაემორჩილა ბრძანებას. საწყალბელო თვალებით ზეახედა გოდერძის და მიწაზე მოიკეცა.

ნაბიჯის ხმა მოესმა გოდერძის, დაღმართში ახმახი კაცი ჩამორბოდა, თოფი მხარზე ჰქონდა გადადებული.

როცა თოფიანი ახლოს მოვიდა, გოდერძიმ ერთი განზე გახედა მას და უბრძანა ხიშტი მოესხნა ქაშირიდან.

მიწაზე მჯდომარემ ესეც შეასრულა. გოდერძიმ მარცხენა ხელით გამზართვა კანკრეს გერმანული ხიშტი, რომელსაც ორივე პირი დანისებრ წამახული ჰქონდა.

„რა მოხდა?“ — იკითხა ახლადმოსულმა. გოდერძიმ იცნო ლალბაწა, რომელსაც მთლად ჰრეღქრულა, დაბებკილი ძველმანები ჩაეცვა და ოჩოპინტრეს დამსგავსებოდა. ზურგზე დაკიდული ხმოს ტყავის გულა უფრო აძლიერებდა ამ შთაბეჭდილებას. გოდერძის მარჯვენა ხელი არ ამოუღია ჯიბიდან ისე მიუგო ლალბაწას:

„მე ხომ გეუბნებოდი, ლალბაწა, ჰქუა დაგერიგებინა კანკრესთვის.“

ლალბაწა მიშტერებოდა კანკრეს დასისხლიანებულ ტუჩ-პირს.

ლალბაწა გახევედა, რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ენის წვერზე დაიჭირა სათქმელი.

„ახია ჩემზე, დანახვისთანავე რომ არ გესროლე თოფი“, — თქვა მიწაზე მჯდომარე კანკრემ, ლალბაწას მისვლით გულმოცემულმა.

„ლალბაწა, მოდი, თუ ძმა ხარ, და აქ მომიტანე ის თოფი“, — უთხრა გოდერძიმ და მიწაზე დაგდებულ თოფზე მიუშვირა საჩვენებელი თითით.

ლალბაწამ მაშინაღუროდ შეასრულა გოდერძის სურვილი. გოდერძიმ გადახ-

სნა კანკრეს თოფი, ცარიელი ლულის თავები აჩვენა ლალბაწას და უთხრა:

„აი, ასე სტყუის მუდამ მსოფლიო კანკრე. მე კარგად მესმოდა თუ როგორ ესროლა მან დუპლეტები ირემს წელან, ასე რომ, მას თოფი არც ჰქონდა დატენილი. საეზნეებიც ცარიელი აქვს, როგორც ხედავ“, — თქვა და მიუთითა ლალბაწას წელზე შემორტყმულ საეზნეზე.

ლალბაწამ თქვა:

„თქვენ ორივენი ისეთი კარგი ვაეკაცები ხართ, მე მგონია, არაფერი გაქვთ საჩხუბარი.“

„არა, შენ ცდები, ლალბაწა. კანკრე რომ გაი კაცი იყო, მე მას აგრე არ გავიშებოდი. შენ სიყრმიდანვე მიცნობ, ლალბაწა, აბა, თუ გავიგონია, ვინმეს ასე მწარედ წავჩხუბებოდე, ან მეცემოს ვინმე.“

მე არამცთუ ამხანაგს და ადამიანს, პირუტყვისაც არა ვცემ. ჩემს ძალს, მგელას, არ ვეკადრებ ცემას, მაგრამ ამ კაცმა გამომიყვანა წონასწორობიდან, ახლა მე თავად ვწუხვარ, რომ ასე გავწირე კანკრე.“

კანკრეს ორივე ხელი დაედო მუხლის თავებზე, საკუთარ სისხლში ამოსერილი მორჩილად იჯდა და ამბობდა:

„მე რა დავიშავე, გოდერძი, ეს შეშგეჩხუბებოდი და არ გეაძლევდი მე და ლალბაწას გასაქანს.“

გოდერძიმ ხმა არ გაიღო და ლალბაწამ თქვა:

„მე ნამუსის ქვეშ უნდა ვთქვა, კანკრე, რაც ამას წინათ გვიტხრა ჩემი ქოხის წინ გოდერძიმ, ყველაფერი მართალი იყო, წყალი არ გაუვა, ისე მართალი იყო. რა უნდა ქნას გოდერძიმ! პარტია მას ავალეებს, ისიც ჩვენგან მოითხოვს შრომას, სხვას არაფერს, არა?“

თავი ჩაჰკინდრა კანკრემ.

ახლა გოდერძიმ თქვა:

„კიდევ კარგი, შენ რომ არ დამიკარგე სიმაართლე, ლალბაწა. აბა თავად განსაჯე ლალბაწა, მე ხომ მუდამ ბრიგა-

ღირი არ ვიქნები, ხომ შეიძლება სხვაგან გადამიყვანოს პარტიამ. განა ახალი ბრიგადირი არ მოითხოვს თქვენგან შრომას?“

„მართალია, წყალი არ გაუვა“, — და აღდასტურა ლალბაწამ.

„მერმე გადამევიდა ეს კაცი. ორბი მოკვალი ამ გაზაფხულზე შემთხვევით, თედო და პროფესორი კორინთელი იქ იყვნენ, მომვარდა და დამაბრალა: ორბი მე მოკვალი და შენ მიითვისეო. შენ თვითონ თქვი ნამუსის ქვეშ, ლალბაწა, რა ჭირად მინდოდა მკვდარი ორბი, ან მის მიერ მომხრჩვალ ბატკანი?“

„მერმე ის იყო, ჩემ გამო გადავიკიდა იმ ობოლ გოგონას ნუნუს, წელან თავად გამოტყუდა, აფუსს, ბერმუხის ქვეშ რომ არ მოგკალიო. ხულიგნურად თავს დაესხა საწყალ ქალს გზაზე. მე კომკავშირელი ვარ, ალბათ მენდობა პარტია და ხელისუფლება. ხულიგნური თავდასხმისთვის ხომ ეკუთვნის მას სამი წლის ციხე, ხუთიც — ირმის მოკვლისთვის. ამას შეირგებს, მერმე თავად განსაჯოს, თუ რა მოელის მას.“

ლალბაწამ კანკრესკენ გაიხედა და თქვა:

„ამას წინათ მე გული გამიხსნა ამხანაგურად გოდერძიმ, ხომ გაიმბობღი ამას ყოველივეს გუშინ. მე გადავწყვიტე, გოდერძის ვეძმო ამიერიდან, რადგან ის ცამდის მართალია როგორც ჩემს მიმართ, ისე შენს მიმართაც, უნდა გამოგიტყუდე კანკრე.“

ახლა მე შენს წინაშე მაქვს ასეთი სათხოვარი, გოდერძი, აბატიე კანკრეს ეს დანაშაული, მეც მაბატიე, რადგან ირემი თუმცა მე არ მომიყვავს, მაგრამ ჩვენ მონადირეებს თუ ნადავლის გაყოფა წესად გვაქვს, სასჯელიც უნდა გავიყუთო ძმურად.

თუ გვაბატიე ყოველივე ამას, ჩვენზე ერთგული ძმა შენ არ გეყოლება, შესაძლოა, მთავრობასაც დაეუმტკიცოთ ჩვენ უდიდესი ერთგულება და თავგამებება.“

გოდერძის გულს მისწვდა ლალბაწას ნათქვამი. მარჯვენა ხელში მჯიშოდან ამოიღო, კანკრესთან მიჰმიატოვა: „ევაქაცური სიტყვა მოიტა, კანკრე, რომ ამიერიდან გამოსწორდები.“

„ევაქაცურ სიტყვას ვიძლევი, შენი ნათქვამი შეეასრულო, გოდერძი“, — თქვა კანკრემ.

„იდექი!“ — უთხრა გოდერძიმ და ხელი მიასველა წამოდგომისას კანკრეს.

ლალბაწამ მოიხსნა ზურგიდან ხბოს ტყავის გუდა, ღვინო და საუხზე ამოალაგა. გაგრიამ მოუსწრო მხოლოდ ჭურმარისს, მდელიზე გაშლილს.

პირველი ყანწი აიღო ლალბაწამ და თქვა:

„ეს გაუმარჯოს დიდ სტალინს. ბელურა რომ ბელურაა, მასაც ძვირად უღირს თავისი სიცოცხლე. გასულ ორშაბათს მიამბო გოდერძიმ, თუ რა უიქვამს პაპა მიქელას.“

თუ უსინათლო მიქელამ დაინახა, რა დიდ საქმეებს გვიკეთებს სტალინი, მე და შენ რა ღმერთი გავგიწყურა, კანკრე.

მე სიცოცხლის მეტი არაფერი მამადია, რადგან, როგორც ბელურა, ისე მეც მხოლოდ ერთხელ მოვსულვარ ამ მშვენიერი მთების სილამაზით დასატკობად, მაგრამ თქვენ დაიხსომეთ დღევანდელი ჩემი ნათქვამი ძმებო, სტალინს რომ დასჭირდეს ჩემი საწყალი სიცოცხლე, მე უკან არ დავიხევე არასდროს.“ კანკრემ ჩამოართვა მოზერის ყანწი ლალბაწას და თქვა:

„არც მე დავშურავ ჩემს სიცოცხლეს სტალინისათვის.“

ახალგაზრდები ღვინოში შევიდნენ. გოდერძი არ სვამდა, კუჭის ტკივილი მოიმიზეზა. როცა საყოველთაოდ დასრულდა თამადა, ირმის ყვირილი მოისმა სამხრეთით მდებარე ქაჩალ გორიდან. იდგა ფურჩრემი და საწყალობელად ბლაოდა. საცხებით გაქაღარაებულმა, ძველმა მონადირემ გაგრიამ განუმარტა ახალგაზრდებს: ბერმუხაში ჩამოხეტებული ხარი დაეძებდა თავის ფურსს.

ამიტომაც შესძრაო ყვირილით მთელი ბერძენი.

როგორც ჩანს, ამ სამი დღის წინათ დევნა რომ დაეუწყეთ ხარირემს, მას ამასობაში ფური გადაეყარაო.

კანკრემ ფიცი დასდო იმ დღეს, დე-

და შემერთოს ცოლად, თუ ამერიდან ირემს თოფი ვესროლოო. ფურირემი იდგა ქაჩალ გორაზე მარტოხელა ფიჭვის ქვეშ და მის საწყალობელ ბღაილს დერიჩით უპასუხებდა უსახელო ციხის შემოგარენი...

(გაგრძელება იქნება).

ახალგაზრდა პოეტთა შემოქმელება

მარიამ აბრამიშვილი

მშვიდობისათვის

★

ჩვენი ცა მუდამ მშვიდია,
მისი ნათელი დიდია,
ვერ იხილავენ ბინდიანს!
მისი სინათლის თანხლებით
მშვიდობიანი ხალხები
მშვიდობის გზაზე მიდიან.

დღეს ბავშვებმაც კი იციან,
რისთვის იბრძვიან ხალხები,
ვის უნდა რბევით, აკლებით
რომ დასწეას მათი აკვნები
და თვით პატარა ბავშვებიც
მშვიდობისათვის იბრძვიან.

დიდ ჩინეთს, ვისაც ხანგრძლივად
მონის უღელით უვლია,
კორეას — გულმკერდწყლულიანს,

პატარას, მაგრამ გულიანს,
მშვიდობა ისე წყურია,
როგორც სიცოცხლე წყურია.

მთელი მსოფლიოს ხალხებმა
იციან ომის სიმწარე
და მათ ერთი მზე იწამეს,
სტალინის აზრი იწამეს,
მისივე სახელს ფიცავენ,
მშვიდობას ისე იცავენ.

ჩვენი ცა მუდამ მშვიდია,
მისი ნათელი დიდია,
ვერ იხილავენ ბინდიანს!
მისი სინათლის თანხლებით
მშვიდობიანი ხალხები
მშვიდობის გზაზე მიდიან.

ილია აროსია

ნიკოლოზ ბარათაშვილი

★

წლებიდან წლებში ენით უთქმელის
იყავ სურვილის დიდი მსახავი —
სიტყვის უთქმელის — გულის მთუთქველის
ძველისძველის და მუდამ ახალის,
და, ხმაც აგეწყო, როგორც ჩანგური,
საქართველოში ხალხის გულებთან,



თვითონ იყავი ბედით ჩაგრული
და მხოლოდ ლექსი გასულდგმულებდა.
არსად სიამე! — შენთვის კუთვნილი
ერთი ყვავილიც განზე რჩებოდა,
თუნდაც ეკალი შეგყვარებოდა,
იგიც ხელიდან აგეცლებოდა...
დარღებმა მძლავრად მიმოგატარა;
ციბერი ცივად შემოგკინებდა,
თითქოს, ყველაზე იყავ მცირე და,
თითქოს ყველაზე იყავ პატარა.
ასე უბედოს რითღა გეხარა,
თუ არა ლექსის სიგანითადით;
ალბათ, იგრძენი — შენი ქვეყანა
შეიქმნებოდა ასე დიადი!..
და, ხმაც აგეწყო, როგორც ჩანგური
საქართველოში ხალხის გულებთან,
იყავ გენია — ბედით ჩაგრული.
და მხოლოდ ლექსი გასულდგმულებდა...

— . —

გივი ბარამიძე

მარსკვლავი, — მთელი მსოფლიოს ბავი

★

თვალს ვაყოლებდით მდინარის დენას
და საუბარი გეჭონდა გულწრფელი,
დაგვაჰმობილა რუსულმა ენამ
მე ქართველი და ის კი უნგრელი.
და როცა ბინდი გადევრა ლურჯ ცას,
კრემლისკენ ერთად გავყევით ქუნას.
უცებ ახედა ცას და შეთრთოლდა,
სიტყვა: ხედავ ვარსკვლავს, შორს რომ ციმციმებს?
წინათ იმ ვარსკვლავს დედა ეტრფოდა,
და მასზე ფიქრებს ვერც მე ვიცილებ.
რადგან ის, მშაო, ჩემს მშობელ დედას
მიაჩნდა თავის ცხოვრების ბედად,
მაგრამ, ეჰ, ცუდი დრო იყო მაშინ,
მტრებმა მომიკლეს დედა უბედო.
მე როცა ვარსკვლავს შევხედავ ცაში,
ასე მგონია, არ ვარ უდედოდ.
რას იტყვი, მშაო, ჩვენც დედასავეთ
რომ გვწამდეს ერთი მშობის ვარსკვლავი?



სთქვა ეს და ცაში ჩვენ ძმობის ვარსკვლავს
 ძებნა დაუწყეთ ორივემ ერთად.
 მთავარ ხილზეც კი ვერ ვიგრძნეთ გასვლა,
 გართულნი ისე მივედით კრემლთან.
 შევნიშნეთ კრემლის ქონგურის თავზე
 ვარსკვლავი მზიურ მშვენივლით საესე.
 „ჩვენია!“ ვსთქვით და ჩვენს გულში თბილად
 ჩამოდგა მძლავრი სიცოცხლის დილა.
 „ჩვენია!“ ვსთქვით და ვიწამეთ მარად
 ვარსკვლავი ზეცის მნათობზე მეტი.
 და მარტო ჩვენი ძმობის კი არა,
 ვარსკვლავი — მთელი მსოფლიოს ბედი.

ალ. ბეგაზვილი

არ უღალატებს იგი ამ სახელს

თბილისის ოლქში, ალაზნის ვაღმა, ერთერთ სოფელს ჰქვია მშვიდობიანი.



ბევრი იბრძოლეს, ბევრიც ინაღვლეს,
 მაგრამ ღრუბლები ეხურათ ჩრდილად,
 მშვიდობისათვის მეტბრძოლ წინაპრებს
 არ გაუთენდათ მშვიდობის დილა.

გლებს გულს უკლავდა ქვეყნის
 წყვილიადი,
 ნათელს ეძებდა,—სჭვრეტდა უკუნეთს...
 მერე ოქტომბრის ჰანგი დიადი
 საქართველოშიც დავაგუბუნეთ.

ყველა მტარვალი წალეკა მეხმა,
 ხალხმა დაიწყო თვალის გახელა,
 და ახალ სოფელს ახალმა გლებმა
 მშვიდობიანი მისცა სახელად.

დღეს ამ სოფელსაც მზის შუქით მოსავს
 გამარჯვებული სტალინის დროშა!

ვამლის ყვავილთა შუქით მოცული,
 წინათ სისხლით და ცრემლით
 მორწყული,

დღეს ეს მიდამოც წარმტაცად ჰყვავის,
 ბედნიერებას უმადლის სტალინს.

გააქეთ საამოდ ყანებს შრიალი,
 არა არ დგანან კაეშინიანი,
 ცრემლი როდი აქეთ ფოთლებს
 ნამცერევი,
 ტარო როდი აქეთ მტრისგან ნამტერევი.

ჰყვავის ლამაზად მშვიდობიანი,
 მართლაც მყუდრო და მშვიდობიანი.

მშვიდობიანსაც მშვიდობა უნდა
 და მისთვის მტკიცედ იბრძოლებს
 მუდამ.

მუდამ იქნება ომის მძრაველი,
 მას ზომ მშვიდობის ჰქვია სახელი.

ჰფიცავს ბედნიერ გზების
 დამსახველს —
 არ უღალატებს იგი ამ სახელს!



ბაღრი ბაჩიძე

სიღნაღი



ჩემი ქალაქი ძველი, ქართული,
მთაზე ამაყად მხრებაპართული
და რაიონის გული.

ბაღში ყვავილთა ჩემი დაღანი,
ალეების ტყერი ცამდე მალალი,
ფიქრებში გათანგული.

ქალაქი ზღუდე გალავნიანი,
რომ უაღერსებს მუდამ ნიავე,
როგორც მიჯნური ლალი.
ბურჯები კედლებშემორღვეული,
ლოდებზე სურთ შემოხვეული,
გალავნის ორი თალი.

აქ მთა-გორები სისხლმა დაღარა...
აქ დღენიადაგ ბრძოლის ნაღარა
დაუსრულებლად რეკდა.
სიღნაღს დროშები ახსოვს რამდენი,
ფარ-შიშვერები, მუზარადები,
შემოსევანი ლეკთა.

ახსოვს ორლესულ ხმალთა კაშკაში,
ერეკლეს შეჭრა მტერთა ლაშქარში
და სისხლიანი ჩალმა...

და ახლა, როცა ეამი აესული,
მომხვედურ ლეკივით გულდანავსული,
ამ ნანგრევებთან ჩალა;

როცა სტალინის ხანა ჭებელი,
მზის შადრევნებად აფეთქებული
ცეცხლად ჩაზჩახებს აქაც;
როცა დამიწდა ძველი ნაღველი,
და შეეთვისა ლეკს სიღნაღელი,
როგორც მისანდო ძმა-კაცს;

ენატრობ: ძარღვმაგარ ციხის კედელი
მარადეამს დარჩეს დაუნგრეველი,
მარად სიმტკიცე ჰქონდეს.
ოდეს შეხედავთ ციხის კამარებს,
დღეს ეამთა სრბოლა რომ ასამარებს,
კოშკებს შეხედავთ ოდეს,
გაგახსენდებათ ხანა წყეული,
ათასი ხმალი ზეაწეული,
მაგრამ ეს იყო გუშინ...
დღეს ლაქეარდს ძმების ყიყინა არხეცა:
— სიცოცხლე ზალხებს! მშვიდობა
ზალხებს,
მკვლელებს ტყვიები გულში!

ბაჟი

ბაჟ, რად ბინდა!



შენს ლოდინში თავს დამადგა,
ქალო, დილის ნათელი.
არ მოხველი, ვერ გითხარი
ჩემი გულის სათქმელი.

სანამ ისევ დაღამდება,
ცეცხლში უნდა ვიწოდებ.
თვალს მარიღებ, რას მიწუნებ,
ნეტა მაინც ვიცოდებ.



განა სოროს დაეძებდი,
როცა ჰქუხდა აედარი!
განა ხმალმა მიღალატა
და გამეჭვა აფთარი!

ეჩეხე, სადაც მიეუსწარი,
გულშავი და პირშავი.
განა მკერდზე არ მიბრწყინავს
ვაჟკაცობის ნიშანი!

იქნებ ახლა კოლექტივში
არ მიქებენ მარჯვენას! *მარჯვენას
გამოწმობენ*
ნეტა ერთი ჭალის ბოლოს
ჩვენი ყანა გაჩვენა.

მაშ, რად გინდა, თავს დამადგეს
ისევე დილის ნათელი!
მოდი აღრე, ბარემ გითხრა
ჩემი გულის სათქმელი.

თარგმანი ოსტრიდან *კონსტანტინე ლოთრაქიზანიძისა*

აპაკი გეზაძე

რუმინელები სამგორში



ტკბილია, როცა მზეს უმღერი სიყვარულს უღევს,
უფრო ტკბილია სიმღერები სამგორში თქმული.
ბიჭებმა, გულში გოგონებს რომ სტაცებდნენ გულებს,
დღეს მთას გაუჭრეს გვირაბით გული...
გულმხნე ვაჟკაცებს წინ მიუძღვის ბიჭი არსენა,
მთასთან ნაბრძოლი ოფლიანი მკერდითა სუნთქავს;
დღეს მან ბრიგადა სადილამდე არ დაასვენა
და მხოლოდ ახლა იერის პირზე გაშალა სუფრა.
და რომ ჰყვებოდნენ მოსუფრენი, — სისხლიან სამგორს
ძველად ომებში თუ რამდენჯერ უვაჟკაცნია,
უცებ შენიშნეს, არხის პირზე გამოჩნდა ამ დროს
რუმინელ გლეხთა დედეგაცია.
ერთმანეთს შეხვდა სიყვარულით გულების ფეთქვა,
ერთმანეთს შეხედენ სიხარულით მათი ხელები
და მერე სუფრას შემოუსხდნენ ღიმილით ერთად
ქართელები და რუმინელები.
ერთმა მეორეს ალტაცება გაუზიარა,
ტკბილი გუგუნით ადიოდა სიმღერა ცამდე
და მოსუფრენი, აქ უბრალო ღვინოს კი არა,
ყანწებში ჩასმულ სიყვარულს სევამდნენ.
— მეორედ როცა გვესტუმრებით, — არსენა ამბობს, —
ქართულ სუფრაზე დაგიხვდებით სამგორულ ღვინით.
დე ასე იყოს, დაეხედოს სტუმარი სამგორს,
დე ასე იყოს, დაგვეხედოს სამგორში ღვინი.

მზეს გაუშლია ლურჯ ტატნობზე სხივების ბადე
 და ნათელ მზის ქვეშ ზეცასავეით სუფრაც მზიანობს,
 ჩვენ გვესურს მსოფლიოს ყველა ხალხი მოყვარედ გვეყვებოდეს
 და ყველას დიდი სიყვარული გავეუზიაროთ.



პიორგი ზივაური

ივრის შეხვედრა მლაშე ტბასთან



— შესდექ, ნუ წაშლი ჩვენ უკვდავ სახელს,
 რაც მოგვანიჭა მაისის დროშამ,
 ჩვენ შენზე აღრე ბელადი ვნახეთ,
 ვნახეთ მნათობი წყველიადის დროსა.
 გვერდს ედგნენ ძმები მომავლის იმედს,
 მის ყოველ სიტყვას ზედებოდნენ ფიცით,
 იმ დღემ გაჟფახტა ნაღველი მძიმე,
 იმ დიდი დღიდან სიცოცხლე ვიცით.

— სამგორში ხალხის ნებით და ძალით
 მტრად არ მოვსულვარ, მოყვრად მოვედი,
 რომ გაგახაროთ, გაგიხსნათ კარი,
 ტბებო, დამდგარნო განმარტობით.
 თქვენც ჩემთან ერთად ამაღლდეთ უნდა,
 ზომალდს თამამად შემოჰკრათ ზვირთი,
 გვალეასთან მტკიცედ ვიბრძოლებ მუდამ,
 გვიმღერებს ნუში დამსკდარი კვირტით.
 ტყბილ ჰანგად ეაქცევ მქუხარე ჩქერით
 სიცხისგან დამწვარ მიწის გოდებას,
 ჩვენ ერთად გვნახავს ბელადი ბრძენი
 და სიკბაბუკე მოაგონდება.

— ბელადი გვნახავს?
 გვიმღერებს ნუში?
 აჩქარდი, მეტი არა გეინდა რა!
 ... ტბებმა იორი ჩაიკრეს გულში
 და ხალხის ტაში იქცა გრიგალად.



ეროვნული
გრაფიკული

ვახტანგ გომილაშვილი

აზერბაიჯანელი გომონა რუსთაველის პროსპექტზე

★

როცა დადგება საღამო
მისი თვალების ბადალი,
რუსთველთან წამოეწევა
ტანაყრილ ჭადარს ჭადარი, —
მაშინ ჩაივლის ჭადრებთან
მოკრძალებით და თავაზით,
ჩემად იკითხავს ნიავე:
— ვისია ქალი ლამაზი?
— ჩემია! — მტკვარი ჩურჩულებს
ლხენანარევი ტკბილის ხმით,
— ჩემია! — დაიბუბუნებს
ვულმკერდგაშლილი თბილასი.
— ჩვენია! — დინჯი ჭადრები
ქორჩორს ნიავეში იშლიან,
ზოხობი დაიმალება
მაგის თვალ-წარბის ჩრდილშია.
ბაქოში ახლა, ვინ იცის,
მკერდავსებული ვაზივით,

რამდენი ქალი სეირნობს
დედა-თბილისის გაზრდილი.
ჯეირნებივით მოქნილი
ირგვლივ სინათლეს მოსდებენ,
როდესაც ჩაიჭროლებენ
ნიზამ განჯელის პროსპექტზე.
თვალს უბრმავეებს კარგები
საზღერისგადაღმელ მოშურნეს,
— ჩვენია! — გააქეთ ბუბუნი
ცამდეაზიღულ კოშკურებს,
ან ვინ გაგვიყოს სიმდიდრე,
გულს ძმობა შემოგვრჩენია,
ჩვენია დედა-თბილისი
და დედა-ბაქოც ჩვენია.
ჩვენია ქალი ლამაზი,
გაზრდილი ჩვენი მარჯვენით..
და შეპლძიმან ერთმანეთს
შოთა და ნიზამ განჯელი.

ვედეა კახიძე

ც ა ც ხ ს

★

შენ პაპიჩემის მარჯვენა ხელმა
ჩემს დაბადების განთიადს დაგრგო:
— დაე, წამსვლელის დარგულმა ნერგმა
ჩემს შემდეგ მომსვლელ თაობას არგოს!
მას შემდეგ წლებმა არ დაგვაშორა,
ვით დედის კალთას ჩვილი ტყუპები,
ერთად ვიყავით და წელთა ქროლვას
აბობოქრებულ რისხვით ვუტყედი.
თანშეზრდილ ფოთლებს სისინა ქარი,
შემოდგომისას, გგლეჯავდა რისხვით,
მ.ხსოვს, ორივე ვტყებოდით მალი



შეუპოვარი დღეების წინსვლით.
 მშვენება იყო ჩვენი სოფლისა
 შენი სამყოფი პატარა ბაღი.
 ვიყავი მუდამ, შენთან ყოფნისას,
 თვით ქარიშხალზე შლეგი და ლაღი.
 მეც შენთან ერთად ავიდგი ენა
 და შევიყვარე ბეჯითი შრომა,
 სიჭაბუკეშიც ცხოვრების დენამ
 მაინც ერთმანეთს არ დაგვაშორა.
 წავიდა ხანი... შენ შესძელ, ცაცხვო,
 რაც ცხოვრებაში მზიბლავდა ეგზომ,
 ფუტკრებს მიეცი სიცოცხლის საზრდო.
 ტყბილ სურნელებით აავსე ეზო.
 შენს ლალ ტოტებზე ზამთარ-ზაფხულში
 ფრინველნი ლხენით ზედებიან მნათობს. —
 მეც ჩემს სამშობლოს წრფელ სამსახურში
 ბედნიერების ღიმილი მათოვს.
 გაშალე ფესვი მშობლიურ ბაღში,
 იდექ ამაყად ფრთებგადაშლილი,
 რომ მშობელ მიწის აყვავებაში
 ჩვენც შევიტახოთ მცირედი წვლილი.

— . —

მუხრან მაჭავარიანი

სამბორული

★

ფერდობებზე ნახირი ძოვს, ვაზი ჭიგოს ეკონება;
 ყორე-ყორე მაყვლებია, მაგრამ რალა მეყორება;
 ტირიფებში წყარო მღერის, — იადონი გეგონება,
 ისეთია, მე შენ გეტყვი, მუშტარი არ ეყოლება...
 სიტყვას ვიტყვი, — გაიგონეთ მეგობრისა მეგობრებმა;
 — დაუკარით სალამური, —
 წყალი თათლი მეგონება,
 — დაუკარით სალამური, —
 ანწლი მარწყვი მეგონება, —
 — დაუკარით.... —
 კოწახური კახაბალი მეგონება.

დაუკარით სალამური, — ოღონდაც კი დაუკარით;...
 სამყურა რომ სამყურაა, — ჯურნი სტკეიტა სამივენი,
 დაუკარით სალამური, — ოღონდაც კი დაუკარით;



ყველაფერი ტკბილია და... ყველაფერი სანუკვარი.
დაუკარით ავთანდილის, ფრიდონის და ტარიელის,
სამია და...

ეროვნული
გინზლირთეკა

დაუკარით, — მომიღბინეთ სამივენი,
მათი სადღეგრძელო იყოს,
მათი მრავალეამიერი.

სამგორის ტირიფები



დაისტვინა ტოროლამა განთიადის მახარობლად;
სიხარული ვერ დამალა მცენარეთა სამყაროშიც.

ტირიფები მეძახიან ჩვენი ლელის გაღმდიანა;
სიხარულმა ამაფეთქა, სიხარულმა აღმიტანა.

— ვისუნთქო და ვილორძინო წყაროიან, ბორცვიანა,
— გავეყდინთო დედამიწით სულიანა, ხორციანა.



იაკობ მელია

ივრის სიმღერა



მოუსვენარი ზვირთებით საითკენ მივიჩქარი?
სამგორის ველი მეძახის, მისკენ მიჭირავს თვალი.

ვეწვევი ძვირი სტუმარი, ჯგერი არ ჰქონდეს გვალვის,
რომ დატრიალდეს სამგორში ზღაპრული ნატერის თვალი.

ისეთ ჯეჯილებს წამოვშლი, ვახარებ ისეთ ვაზებს,
რომ კაცმა მათი ბადალი ვერ ნახოს ქვეყანაზე.

მოუსვენარი ზვირთებით ამიტომ მივიჩქარი,
სამგორისაკენ მივდივარ, მისკენ მიჭირავს თვალი.





ჯანსუღ ნიჰაბაძე

პართული ავტომობილი მოსკოვში

★

მზემ წამწამები გაშალა მორცხვად,
მერე ქუჩებზე მზერით ნათელით,
მთებისოდენა ჩრდილებად ტყორცნა
სასახლეები — გოლიათები.
შავთვალა ღამე ისე წავიდა,
არ უძინიათ ქუჩებს წამითაც.
არ უძინიათ,

მოსკოვი ასე,
მღელვარე გულის ძვრით ელოდა,
დიდი რუსთაეის ფოლადით საეცე
ავტომანქანებს საქართველოდან.
და, შა,

მოსკოვთან უცებ ორბივით
დაუქანცაევი, ფრთებგამართული,
მოდგა პირველი ავტომობილი,
თან სიყვარული მოჰყვა ქართული.
მოჰყვა სამგორის მინდვრის სურნელი,
ორთაქალაქისის ძალა მთებური,
ბელადის სიბრძნით დაუსრულებლივ
დილის მზესავით განათებული.
მტრედისფერ ციდან თეთრი მტრედებო
დაძლულუნებდნენ წითელ მოედანს,
და ჩვენს მოსკოვში დაიმედებით
იდგა სიცოცხლის უსაზღვროება.

შოთა როჰვა

ხმაურობს დონი

★

წყლის ზედაპირზე ხმაური ისმის,
ექსკავატორთა გაბმული ქშენა,
ტალღები იბრძვის, ტალღები იძვრის,
წყნარ დონს მქუხარედ აუღდამს ენა.

ერცელ კალპოტში წყალი მოგროვდა,
დაგვალულ მიწის სიცოცხლის წყაროდ,
დონი ვოლგის წყალს მიუახლოვდა
და უთხრა: ჩემი მკვიდრი და ხარო.

ხმაურობს დონი, ტალღები ცხარი,
განა ღინჯია ძველი დონივით,
შენდება რალაც უზარმაზარი,
არნახული და არგაგონილი.

ხმაურობს დონი, განგაშებს წყალი,
რომ მიეშველოს დაგვალულ მიწას,
ეს ჩვენებური ხმაური არის,
ხალხთა მშვიდობა რომა აქვს მიზნად.



მიხეილ სანიკიძე

სოფელი მტარჩვეული



შენი სახელი წიგნია მთელი
ჩემი პაპების ხმლით დასტამბული,
შიგ სამუდამოდ ქართველი ერის
ძველი ტანჯვია შემონახული.
ამ ერთ სიტყვაში ქარიშხალს ვხედავ,
იმ მწარე წარსულს, იმ მწარე დღეთა,
როგორ ტიროდა მოკლულ ჩვილს დედა,
როგორ იბრძოდა ქართველი მტერთან,
როგორ გხანძრავდა მომხდური, უნდო.
როგორ გარბედა ცეცხლით, მახვილით,
მაგრამ ვერ ნახა თურქეთის ურდომ
შენი საბრძოლო დროშა დახრილი.

ჩემო სოფელო, მშობელო მხარევ,
წავიდა იგი უამიღობა.
ახლა სიცოცხლის სიტყბო გახარებს
და კრემლი აჩის შენი მშვიდობა.
უძლეველია დღეს ჩვენი ერი,
მაშ, მტერჩვეული რად უნდა გერქვას?
შენც ხომ დასძლიე ვერაგი მტერი-
და გული შენი მოსკოვში ფეთქავს.
დე, დაივიწყე ძველი სახელი,
აუკაცხელი ტანჯვის მნახველმა,
დე, შენი აწმყოს გამომსახველი, —
გამარჯვებული გერქვას სახელად.

ავთანდილ სვანი

ოღბის გმირთა ბიუსტები



ქანდაკეები იდგნენ მეფეთა,
იდგნენ და მხრებზე
ლრუბლებს ისხამდნენ,
მეფეც მრისხანე და ქვაც მრისხანე
მათთვის პირისპირ ვერ შეეხდათ.

გლეხები იყვნენ დამხობილები,
ქვეყნის ვარაში ცეცხლად ეკიდათ,
ახლა ასულან და კვარცხლბეკიდან
იმზირებიან კმაყოფილებით.

შემოგზვდებიან მეგობრის მსგავსად,
ალარ იგრძნობა ქვაში სიცივე,
ზოგი შეგხედავს და გაგიცინებს,
ოითქოს საცაა ჩაგიკრავს თვალსაც.

ბნელი ცხოვრების გზა გაიარეს
და თუ წარსულში ვერ გაეხარათ, —
დღეს ეს აღირსა ჩვენმა ქვეყანამ
შრომის უბრალო ადამიანებს.

მურმან ქონიავა



ვასილ ლიამინს

★

ჩვენ ერთმანეთი ვოლგაზე ვნახეთ,
შევეხდით გულგაშლით, ძმურად,
პირდაპირ,
რა დამავიწყებს შენს ძვირფას საბელს
დარჩეულ ვაყებს შენი ბრიგადის!..

...თუნდ ღამეებიც თეთრად ვათიოთ,
ძმოდ, წუთითაც რა დამაღონებს,
სუბუმის მთიდან ეუსმენ რადიოს
და მემატება მკლავში ძალღონე!..

ასე მგონია გრილი ნიაიცი,
ვოლგელ გმირების სურვილებს მანდობს,
მსოფლიო უსმენს ჭაბუკ ლიამინს
და მის ბრიგადას არ სძინავს ამ დროს!..

კვლავ გუგუნებენ იქ მანქანები,
ღამეს ებრძვიან, ვოლგას ებრძვიან,
საქესთან მჯდარნი, გამრჯე მკლავებით,
იცის ჭაბუკმა მისივ ძმებია!..

ბრწყინავს დარბაზი, წარმტაც ჭაღებით
და ხალხი უსმენს ვოლგის ბინადარს,
გეგმას გეგმაზე გადაქარბებით
შეასრულებსო ჩემი ბრიგადა.

იგი განთქმული შრომის გმირია;
მშვიდობა! — სიტყვას ასე ამთავრებს,
ვით ყველა რუსი პირდაპირია
და მტკიცე, როგორც ვოლგის სათავე!..

ოთარ შალაგზაძე

მთავრობის სასახლე

★

კაცის გული აქვს თითქოს სასახლეს,
კაცის გულივით იწვის და ფეთქავს;
— ამ სახლს დიდება! — ისე დაეძახე,
თითქოს ჩემამდე არავის ეთქვას.

თვალს ვერ ვაშორებ ფერების ელვას,
მიღელავს მკერდი სიმღერით სავსე,
ვხედავ, საბჭოთა მშენებლის ხელმა,
როგორ დაანთო სიცოცხლე ქვაზე.
მალე სასახლის გამთბარ ოთახებს
„ილიჩის“ შეჭი ქრეოლად დაუვლის,

მოდო, ძმობილო და შემოვძახოთ,
ხალხი ვადიდოთ ფოლადატური.

ყოველი წუთი სიმღერას ჰბადებს,
სიმღერას, ქვეყნის
წინსვლის ამსახველს,
დიდება ამ მზეს,
ერთად რომ ანთებს
კრემლის კედელს და ქართულ
სასახლეს.



ნოდარ შამანაძე

ყანაში



რომ გამოჩნდება მტრედევით
ფოსტალიონი შორიდან,
ერთი გასძახებს მეორეს:
— ბიჭო, გაზეთი მოვიდა.

მიაშურებენ მუხის ქვეშ
ველს ქალაღდევით გადაშლილს,
ახალახალი გაზეთი
რას არ სჯობია ყანაში.

ერთი მიღებს ხელში, და
სხვები გარს მოუსხდებიან,

გულებს გაუღის ფართქალი,
თითქოს არწივთა ფრთებია.

შრიანებს თეთრი გაზეთი,
ვით შეფოთილი ალვის ხე,
თუ არ დაიცვა წესრიგი,
პაპა შესძახებს წამკითხველს:

— ჯერ წინ რომ ათვალე რებ,
რა მოთმინება გქონია?
მეოთხე გვერდით დაიწყე, —
ვნახოთ, რას შერება კორეა!

ჯანსუღ ჩარკვიანი

მთის მდინარე



სვანეთის მთიდან მდინარე მოდის,
ის კომუნისმის მზესთან საუბრობს.
მიესალმება პატარა ოდებს,
და გლეხი კაცებს ჭრაქებს გაუქრობს.

გადმოუქროლებს ორბელს ორბევით,
და ჩაუხტება ჭალის წისქვილებს.
ტალღა ტალღაზე ხმაშეწყობილი
ჩემს მამულს მაყრულს გადაუკივლებს.

გაივლის შრომით გათხრილ გვირაბებს,
დასწყევლის ძველი ჭრაქის გაჩენას.
შეიღმარებებს — ქშენით გვიამბობს,
როგორ მოთოკა ხალხის მარჯვენამ.

მოშხუის, ტალღებს მოაჯირითებს,
შევხვდები ლურჯი იასამნებით.
და ელსადგურის მოაჯირიდან
კრემლში დიდ ბელადს მივესალმები.

მიხეილ ჩაჩუა



დაბადების დღე

★

დღეს სამი წელი შეუსრულდა ჩემს ძვირფას ნანას,
ბედნიერ მამას სხვა რა მსურდეს სიმღერის გარდა.
არ მიყვარს ცრემლი,

თვალს სიამის ცრემლები ნამავს,
დავეძებ სიტყვას ამ ნეტარი წუთების ბადალს.

დავეძებ სიტყვას, რომ ჩაიტყვას ამ გულის ნადებს.

ო, რა სიტყვებმა დაიტოოს ეს სიხარული..

დღეს საგანგებოდ თავს მოვუყრი ყვავილებს, ვარდებს,
რომ გავახარო ჩემი ნანული.

დღეს ნაირ-ნაირ საჩუქრებით შევალბე კარებს,

მზიურ ღიმილით შემომხედება ჩემი გოგონა.

— რა მომიტანე?

— ყველაფერი, ოღონდ იხარე,

შენ გაიზარდე, შეილო, ოღონდაც.

დღეს ჩემი შვილის დაბადების წლისთავი არის,

ყველა კეთილი კაცისათვის ღიად მაქვს კარი.

შენ, პეი, შავო ამერიკავ, დღეს კორეაში

დაბადების დღე დააბნელე რამდენი ბავშვის.

ვახტანგ ძნელაძე

ნახე სამგორი

★

ესმის ივრის გულისცემა მახათას,
თბილისის ზღვის ეჩქარება გავსება,
მალე სამგორს ყვავილნარი დახატავს
და უღაბნო წალკოტს დაემსგავსება.

მლაშე ტბებთან მივიჭერი ქარივით,
დავიჩოქე სიდიადის წინაშე,
აქ რაზმავდა ხალხს ჭაბუკი სტალინი,
აქ ზვირთს გაჰყვა დღეს ცრემლების სიმლაშე.



ის ცრემლები, წინაპართა წილზედრი,
ტბებად მდგარი, ზღვამ წალეკა ახალმა,
გამარჯვების მოგუგუნე სიმღერით
ქუჩამ ქუჩას სასწაული ახარა.

მოგიწოდებ, სიტყვა ჩემი იწამე,
თუ სამგორში ჯერ არა ხარ ნამყოფი,
იქ სანამდე იფეთქებდეს სიმწვანე
და ხეხილებს ძირს დახრიდეს ნაყოფი,

ქარმა მტვერი მოგაყაროს თავ-პირში,
ნახე მიწა, გვაღვით გამოფატრული,
რომ გაზომო ისტორიის ნაბიჯი
და სიცოცხლის გაქანება ზღაპრული.

გიორგი წაჩუჭი

ინგლისური სურა

ამერიკელებმა ომის დროს საჩუქრები გამოგზავნეს. საჩუქრებში, სხვათაშორის აღმოჩნდა სურა წარწერით: „ინგლისის სურა“, ეს უკანასკნელი წილად ზედა პაპა კორნელი იაშვილს. ნ ა მ დ ვ ი ლ ი ა მ ბ ა ვ ი.



პაპა კორნელი კინოში იყო,
უმოქმედნია შემაზრზენ სურათს.
შინ რომ მოვიდა, ხელში აიღო
და ძირს დააფშვნა ინგლისის სურა.

როგორღა სწამდა მათი ამდენხანს,
ბოდმა კლავს გულში ჩაუტეველი,
მან მარტო სურა კი არ გატეხა,—
რწმენაც გატეხა გაუტეხელი.

პაპას უნახავს თუ კორეაში
ხალხს როგორ ელექტდნენ
სისხლისმსმელები,
მიტომ შესძულდა კორნელ იაშვილს
ამერიკა და ინგლისელები.

პაპა ეძებდა საგნებს საკვირლად,
მტერზე ჯავრს რითაც ამოიყრიდა.
მერე ინგლისურ სურის მაგვირად
ორი ჩინური ვაზა იყიდა.



თამაზ ზილამე

ბალე



მშვიდობის დიად საქმეს ვაქეთებთ,
პომაველ დღეებს საძირკველს

ვუღვამით,

იე. კომუნისმი მოდის, გახედეთ,
მას ღირსეული დახვედრა უნდა.

— დახვედრა უნდა და ჩვენც
დავხვდებით! —

იტყვის რუსთავეში მდნობელი მუშა,
გუგუნებს ცეცხლი,
მღერის მარტენი

და ფოლადის ზღვას ბოლო არ უჩანს.

— დახვედრა უნდა და ჩვენც
დავხვდებით! —

ქუთაისელი იტყვის მშობილი,
ამღერდებიან მყისვე დაზგები, —
მოქრის ქართული ავტომობილი.

— დახვედრა უნდა? მობრძანდეს,
ნენა! —
იტყვის ცხრა გმირის გამზრდელი დედა.
ჩაის ბუჩქებზე გადიტახს მზერას
და პლანტაციის ბოლოს ვერ ზედავს...

მისი სახება გვიბრწყინავს თვალში,
სულს აციკროვნებს ნათელი მიზნის.
ო, მალე, მალე ჩვენს ქვეყანაში
აეაფლება მზე კომუნისმის!

დავით ხუროცი

მეცხრის ბაზაფხულს მართად ვდასაჯობთ



ვინც უნდა იყო, შენ, მეგობარო,
ინეინერი თუ მალაროს მუშა,
ქვეყნად რა საქმეც უნდა გეპაროს,
გხასოვდეს, მტერი გიცქერის ქეშად.
ერთი სურვილი გვამტკიცებს წმინდა—
მშვიდობა გვინდა, მშვიდობა გვინდა!
და კომუნისმის რომ ვდგამთ ხარაჩოს,
ხარაჩოები ცამდე აღიან,
ქვეყნის გაზაფხულს ერთად

ვდასაჯობთ,

მშენებლებს მხოლოდ ერთი გეწადიან.
ეს კომუნისმის გაზაფხულია
გახედე, როგორ მალდება მიწა...

მგლების თვალები საზღვრებს უვლიან,

მაგრამ მშვიდობას ჩვენ თვითონ ვიცავთ.
გახედე ზევას, როგორ მზიანებს,
ლავეარდში ფრენენ მტრელები გუნდად.
კეთილი ნების ადამიანებს —
მხოლოდ მშვიდობა, მშვიდობა უნდათ.
მშვიდობა უნდათ ბალებს, ვენახებს,
ნახანძრალ მიწას — აღორძინება,
მტერმა საშველი სხვა ვეღარ ნახა,
მას ომი სურს და არ ეძინება.

მშვიდობა უნდათ აკვნების ჩვილებს,
დე, სიყვარულით იყვენენ გამთბარი,
„მშვიდობა“, — მზეში ხეც კი

ჩურჩულებს.

მხოლოდ მტერს უნდა ომის ზამთარი.

ვინც უნდა იყო შენ, მეგობარო!
ინეინერი თუ მღაროს მუშა,
ქვეყნად რა საქმეც უნდა გეზაროს,
უოლსტრიტელი გიცქერის ქუშად.

მტერს დაებნევა მალე გზა-კვალთ,
ბოროტის ზრახვა მზესთან ვერ აღდის,
ორწევა ხალხთა ძმობის გვეკვანთ
ხალხთა მშვიდობას იცავს ბელადი.

ვახტანგ ჯავახიძე

ყველგან ჩვენი მამულია...



ამ დალოცვილ მიწა-წყალზე, სადაც ბაღჩა-ვენახია,
ღმერთი არ სწამთ, მაგრამ სტუმარს „ღვთისწყალობას“ ეძახიან,
სადაც მთეარის სხივი სწვდება, სადაც ცაზე მზე ანათებს,
გულისკარი გაუღია ყველა რუსს და ყველა ქართველს.
სალხინო და სალალბო, ჩემთვის ძვირად საღირალი,
სადაც წავალ საბჭოეთში, ყველგან ჩემი სახლი არი.
წინ მხედებიან მეზობლები, როგორც ციხე-სიმაგრენი,
ყველა სახლი ჩემს სახლსა ჰგავს, დედას ვეღარ მივაგენი.
თუმცა დიასახლისებიც დედის სახეს მაგონებენ,
ჩემს დიას მაგონებენ თვალუყუენა გოგონები.
ძმა არა მყავს, — როგორა ვსთქვა, როცა ვხედავ სახლიკაცებს,
მათი ერთი შემოხედვა გულს მტრედევით აიტაცებს.
და კედლიდან ბრძენის თვალი როცა მიმზერს, ამის მერე —
რომ ვიფიციო, მამის სიკედლის მაინც არვინ დამიჯერებს.
ბრძენი მიმზერს მამასავით საიმედო სახიანი
და სადაც ის შემომხედავს, ყველგან ჩემი სახლი არი,
ყველგან ჩემი სახლი არი, — რაქაა თუ დაღესტანი,
აქაც ბევრი მოყვარე მყავს, აქაც — ბევრი ნათესავი,
ბიძაშვილი სომხეთში მყავს, ბიძია კი უკრაინას,
იმერეთში ბაბუაჩემს სავსე თასი უკავია,
მეგობრობის სადღეგრძელოდ ბარაქა არ დაიზარა
ამ პურმა და ამ მარილმა, ამ ღვინომა ვაზისამა.
ღღეს ძმობის და მეგობრობის დიდი ღღესასწაულია,
ყველგან ჩვენი სახლი არი, ყველგან ჩვენი მამულია.
ჩვენი დედა — საბჭოეთიც ერთი დიდი ოჯახია
და გაღმელი მეზობლები მუქარით რომ მოგეძახიან,
თუ დაგვიჩიონ, როგორც გუშინ დღემანს გავეფარეკავით,
ღღესაც ისევ, ნამგლის ნაცვლად, ხელში მახვილს დავიკავებთ.
ჩვენი სიტყვა მართალია!
ჩვენი საქმე მართალია!
ღღეს მშვიდობის დროშა მოაქვთ ეგოროვს და ქანთარის.

მემორია *



ილიკოს საკუთარი ცხენი არასოდეს არა ჰყოლია, მაგრამ მთელ დასავლეთ საქართველოში შესანიშნავი ცხენოსნის სახელი ჰქონდა გავარდნილი. სადაც არ უნდა გამართულიყო მარულა, ილიკო უსათუოდ მიიღებდა მონაწილეობას და შეჯიბრებაში თითქმის ყოველთვის პირველ, ან მეორე ადგილზე გამოდიოდა.

მარულაში მონაწილე ცხენების პატრონთ ყოველთვის ქიშპი და შეხლა ჰქონდათ: ყველას უნდოდა ილიკო თავის ცხენზე შეესვა. ილიკო თანხმობას იმას უცხადებდა, ვინც მეტ ფულს მისცემდა, ვისი ცხენი და პურმარილი მოეწონებოდა. დაქირავების ფულს ცალკე იღებდა იგი ცხენის პატრონისაგან და გამარჯვებაში მიღებულ ჯილდოსაც ინაწილებდა. გარდა ამისა, სახელიც ხომ მისი იყო. არასოდეს არ იტყოდნენ — პირველი ამა და ამ კაცის ცხენი მოვიდაო. ასე გაიძახოდნენ — ილიკო ზედობანიძემ აიღო პირველობაო.

ილიკოს საოცარი აღლო ჰქონდა. იგი ერთი შეხედვით შეატყობდა ცხენს, რისი შემძლე იყო, რა ნაკლი ჰქონდა, სად უჭირდა და სად უღებდა. მარულაში მონაწილე ყველა ცხენს ერთ საათში შეისწავლიდა. სხვებს თავს ისე მოაჩვენებდა, თითქოს თავისი ცხენის იმედი სულ არა ჰქონდა და მარულაში მხოლოდ ცხენის პატრონის ხათრით ღებულობდა მონაწილეობას. რამდენი-

მე წრეს ისე შემოუვლიდა ილიკო და ისე მოაჩვენებდა თავს ყველას, რომ ეგონათ იგი კიდევ ერთ წრეს თუ შემოურბენდა მინდორს. ხალხს ამ დროს ყურადღება სხვებზე გადაჰქონდა და ილიკო ყველას ავიწყებოდა. წინ გაქრილი მხედრებიც აღარ იხედებოდნენ ილიკოსაკენ და მაშინ ილიკო ერთს ჩაიცილებდა უღვაშებში, ეშმაკივით მოწყურადა თვალებს, შეილდოვით მოიკაკებოდა ავეანღზე წამომდგარი, გრძელ კისერზე შემდგარ თავს ზედ ყურთან მიუტანდა ცხენს და ისეთს ჩასწივლებდა, რომ პირუტყვს კი არა, ეშმაკს გადაარევდა. ტყვიასავით გაიჭრებოდა წინ ილიკოს ცხენი და უკანასკნელი ორი წრის შემორბენისას მთელ ხალხში მხოლოდ ილიკოს სახელის აღტაცებული წამოძახილები და ილიკოს გამყინავი წივილის ხმა ისმოდა.

დღეგაციის წვერებმა კარგად იცოდნენ ილიკოს ცხენოსნობის ამბავი, მაგრამ მაინც შიში ჰქონდათ, ქართული ჯიშის ცხენის მეტი სხვა ცხენი არ იცის ილიკომ და ვაითუ სირცხვილი გვაჰამოსო.

სტალინის სახელობის კოლმეურნეობას მთელს ოლქში ყველაზე კარგი ჰიპოდრომი ჰქონდა. აქ ხშირად იმართებოდა რამდენიმე რაიონის შეჯიბრება დოღში და ცხენოსნობის სხვა სახეობაში. დღევანდელი დოღის ამბავი ახლომახლო რაიონებში გაეგოთ და, რადგან კვირა დღე იყო, უამრავი ხალხი მოაწყდა იპოდრომს. ხალხში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ქართ-

* დასასრული იხ. „მნათობი“ № 6

ველი კოლმეურნის მონაწილეობა შეჯიბრებაში.

ჰიპოდრომი საზეიმოდ იყო მორთული. განსაკუთრებით ის ადგილი გამოირჩეოდა, სადაც ქართველი სტუმრები ისხდნენ. მათთან იყვნენ ილენკო, ნიკიტა შემილო, ნასტია და მიხაილ ნოვენკო.

ჰიპოდრომზე მწყობრი სვლით შემოვიდნენ მხედრები. სტრუქსა და ვალოდიას შუაში ილიკო ჩაეყენებინათ და წინ მოუძღოდნენ ცხენოსანთა გუნდს. ისინი ძლივს ამაგრებდნენ ცხენებს. კისერმოკაკული ულაყები ამოდ ცდილობდნენ თავის გართმევას. მოკლე ნახტომებით და ფრუტუნით მიჰქროდნენ წინ და მიწას ისე მაგრად სცემდნენ ფლოკებს, გეგონებოდათ, მიწა სკდებო. ილიკო „პრაბეგზე“ იჯდა, სტრუქი „ვეფხვზე“.

როცა მხედრები ქართველი სტუმრების წინ შედგნენ და მათ სალაში მისცეს, მთელ ჰიპოდრომზე ტაშმა იგრილა.

სტუმრები ფეხზე წამოდგნენ.

უფრო იმატა ტაშის ხმამ. ყველა სტუმრებისაკენ იხედებოდა, ყველა მათ უკრავდა ტაშს. ბოლოს სტრუქი გამოეყო გუნდს, ცხენი ახლო მიადგო სტუმრებთან და ილენკოს უბატაკა, რომ სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ცხენოსანთა გუნდი მზად არის შეჯიბრებისათვის. მიიღო რა თავმჯდომარის დასტური შეჯიბრების დაწყების შესახებ, სტრუქი თავის ადგილას დაბრუნდა, გუნდი ისევე მწყობრად გაიყვანა ჰიპოდრომიდან, როგორც შემოვიდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ხმამალა მოლაპარაკე აპარატიდან გაისმა მამაკაცის ომახიანი ხმა. იგი აღწყებდა ჰიპოდრომს, რომ იწყებდნენ შეჯიბრებას დაბრკოლებათა გადალახვაში, და დასახელა კიდევაც შეჯიბრების მონაწილეთა ხუთი გვარი. იმავე წაშს იზოდრომზე შერდულივით გამოიპრნენ მხე-

დრები. ყველაზე წინ ვალოდია მიჰქროდა. იგი ისე გადააფრინდა ჰიპოდრომბრკოლებას — წყლით სმებზე მსკმხად დიდ აუზს, რომ უნებლიეთ გაიფიქრებდით, აუზი ორჯერ უფრო დიდია, რომ ყოფილიყო, ვალოდია ასევე მარდად გადაახტებოდა. დაბრკოლებათა ზოლის სიგრძე კილომეტრნახევარი იყო. ამ მანძილზე მოწყობილი იყო თექვსმეტი სხვადასხვა სახის დაბრკოლება, მაღალი კედლები, განიერი თხრილები, აუზები.

ნასტია ვალოდიას კი არ უყურებდა, ელენესა და სტუმრებს შესცქეროდა და მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, მათ სახეზე აღტაცებას რომ ხედავდა. ყველა აღფრთოვანებული იყო ვალოდიას სიმარდით. იგი ათიოდე მეტრით უსწრებდა სხვა მხედრებს და ყველა დაბრკოლებაზე ისე გადაჰქროდა, თითქოს არც ცხენისათვის და არც მხედრისთვის არავითარი დაბრკოლება არ ყოფილიყოს. შეჯიბრებაში მონაწილეებს კილომეტრნახევარი სამ წუთში უნდა დაეთარათ. ვალოდიამ ეს მანძილი ორწუთნახევარში გაიბრინა. მთელმა მოედანმა იგი მქუხარე ტაშით დააჯილდოვა.

— ჩვენი ვალოდია ადამიანის შვილი კი არა, შევარდენი ყოფილა, ნენა, — ეუბნებოდა ნიკიტას სიხარულისაგან აღელვებული კირილე.

ჩეხვაში ქალიშვილებიც იღებდნენ მონაწილეობას. ისინი ნასტიას რგოლის წევრები იყვნენ, ამიტომ ნასტია მათი ხმლის ყოველ მოქნევაზე ხმამალა გაიძახოდა:

— მაგრე! კარგია! უფრო ძლიერ! — ხშირად აზარტში შესული თვითონაც მოიქნევდა მკლავს.

იციზოდა ელენე, სიყვარულით ეკვროდა ნასტიას მხარს თავისი შესრით. — უიმე, რა გადარეული ხარ, ნასტია! — ეუბნებოდა მეგობარს.

ნასტიას რგოლის წევრებმა მეორე და მესამე ადგილი დაიკავეს.

ბოლოს გაიმართა მარულა. მარულაში ოთხი კაცი ღებულადა, მონაწილეობას — სტრუჯი, ილიკო, კომპაინერი ნაზარ გონჩარენკო და მეჯინიბე ვასილი სტაროვილი. ილიკომ სტარტის დაწყებისთანავე ისე შორს გაუსწრო სტრუჯსა და სხვებს, რომ ისინი თითქმის ასი მეტრით ჩამოიტოვა. ასე შემოურბინა მან პირველ წრეს, რომლის სიგრძე ორი კილომეტრი იყო.

სულ რვა წრე უნდა გაერბინათ.

ილიკოს ასეთმა ელვისებურმა სიმარჯვემ პირველ წუთში ყველა ალტაცებაში მოიყვანა, მაგრამ უმაღლვე გაიფიქრეს, რომ იგი უსათუოდ წააგებდა ასპარეზობას, რადგან ცხენი ვერ აიტანდა ასეთ სისწრაფეს და უკანასკნელი წრეების შემოვლისას ჩამორჩებოდა.

სტრუჯი იმდენად შეაწუხა ამ ამბავმა რომ იგი მზად იყო განგებ ჩამორჩენოდა ილიკოს, რომ სირცხვილი არ ებშია მეგობრისათვის, მაგრამ სპორტულმა თავმოყვარეობამ ეს არ გააკეთებინა.

ილიკოს კი გულში ეცილებოდა. იგი გრძნობდა, რას ფიქრობდა ხალხი, რას ფიქრობდა სტრუჯი. მან ხომ განგებ გაუშვა თავისი ცხენი წინ, რათა მოეტყუებინა ისინი. „დაიცათ, ახლა მეორედ მოგატყუებთ“, თქვა გულში ილიკომ და უცებ ისე ფარულად შეაკა თავისი ულაცი, რომ ვერაფერს შენიშნა. თუ მხედრის ნებისად შეანელა ცხენმა სიჩქარე. იფიქრეს, რაც მოსალოდნელი იყო, ცხენს ის დაემართათ. ილიკოსაც ეს უნდოდა. იგი თანდათან აკავებდა ცხენს. აი სამივე მხედარმა გაუსწრო ილიკოს. ილიკო საგრძნობლად ჩამორჩა მათ. ცხენი თითქოს გრძნობდა, რას აპირებდა მხედარი. იგი არ იყო ჩამორჩენას ნაჩვევი, მაგრამ ახლა თვინიერად ემორჩილებოდა ილიკოს და არ ცდილობდა დაწეოდა წინ გაჭრილ ცხენებს. ამიტომ მთელი იპოდრომი დარ-

წმუნებული იყო, რომ ცხენი დაიღლებოდა.

მეორე წრე

უხერხულ მდგომარეობაში ჩაქაბდნოლმა ილიკომ, ნასტიამ, ნიკიტამ და ნოქენკომ არ იცოდნენ, რა ექნათ. ისინი თვალებს ვერ უსწორებდნენ სტუმიებს. ნიკიტა წარამარა ჩაახველებდა: ხოლმე, თითქოს ყელში რაღაც გაეჩხირაო, და ქურდულად შეავლებდა თვალს კირილეს.

— უღალატა „პრაბეგმა“, ილარიონ ფილიპოვიჩს, — უთხრა მან ბოლოს მეგობარს. — ცხენოსანი კარგი ჩანს, მაგრამ თუ ცხენი არ გივარგა, რას იზამ.

— არა, ცხენი კარგია, ნიკიტა ივანოვიჩ. ცხენს ბრალი არა აქვს, — უპასუხა ყრულ კირილემ, — მხედარმა წააგო შეჯიბრება.

ამ დროს მოხდა ის, რასაც არჩილის მეტი არაფერს ელოდა. მეშვიდე წრეზე ილიკო უცებ მთელი ტანით წამოადგა აფხანდზე, წინ წაიხარა, შეილდივით მოიკაცა და ისეთი გამყინავი ხმით ჩასწივლა ცხენს ყურში, ხალხს ეგონა, ცა ჩამოინგრათ. ამასთან ერთად ილიკომ ლაგამიც მიუშვა და გაფრინდა წინ „პრაბეგი“, ჩამოიტოვა სტოროველი, ჩამოიტოვა გონჩარენკო. მოიხედა სტრუჯმა, დაინახა, რომ ილიკო თავბრულამხვევი სისწრაფით ეწევა. შეტრია თავის ცხენს.

მთელი ხალხი ფეხზე წამოიშალა. ალტაცებისაგან ერთხანს ყველა ხმაგაქმნდილი შეჰყურებდა ცხენოსნებს და, როცა ილიკომ სტრუჯსაც გაუსწრო, ახმაურდა ხალხი, გაისმა შეძახილები, ყიყინი. დიდი და პატარა — ყველა ამხნევებდა ილიკოს.

ილიკო თანდათან უკან ტოვებდა სტრუჯს. იგი განუწყვეტლივ წიოდა და ეს წივილი ცეცხლს უკიდებდა ცხენსა და ხალხს.

— შენ კი ამბობდი, მხედარმა წააგოო, — ეუბნებოდა კირილეს ალტაცებული ნიკიტა, — იგი მხედარი კი არა. ნამდვილი ქაჯია. უყურეთ, რა ქნა! არა,

აქ რაღაც ჯადოქრობაა, დასწყევლის ეშმაკმა!

შესძახა ნიკიტამ და ამ დროს ილიკომაც ჩაიქროლა მის წინ. მან ნახევარი წუთით გაუსწრო სტრუქს და პირველი მოვიდა.

ატყდა იპოდრომზე სტვენა, ყვირილი, გრიალებდა ტაში.

ნასტია ელენეს ეხვეოდა და კოცნიდა.

— რა ყოფილა ჩვენი ილარიონ ფილიპოვიჩი, ელენე! — ტიტინებდა იგი სახეაწითლებული და თვალებანთებული.

— მოჯირითე ვარო, ილარიონ ფილიპოვიჩმა უნდა თქვას, — უთხრა დიმილით სანდროს ილენკომ. — ცოდვია ასეთ კაცს ცხენი არა ჰყავდეს.

ჩაუქროლა მათ სტრუქმა. ყველამ დაინახა, რომ მას არ სწყონდა დამარცხება. აი, მან გაირბინა კიდევ ცოტა, გადმოხტა ცხენიდან, აღვირი შემოგებებულ ჰაბუქს მიუღლო და ილიკოსაკენ გაეშურა. ილიკომაც მიატოვა თავისი ცხენი და სტრუქისაკენ გაემართა. ტაშის გრიალში ორმა მეგობარმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვა და სტრუქმა მეგობარს გამარჯვება მიულოცა.

4

დილაადრიან ამდგარი ილიკო და ნესტორი სტრუქის კარ-მიღამოს ათვალიერებდნენ. სტრუქის მეუღლე ძროხას წველიდა. ქალიშვილი ქათმებს საკენკს უყრიდა. სტრუქის მამა, ოთხმოცი წლის მოხუცი, საღორეში ღორებს დასტრიალებდა. სტრუქს ყველაფრით სავსე ჰქონდა ოჯახი, საქონელი და ფრანველი ჯიშისანი ჰყავდა. არ შეგეძლო, სიხარულით არ აგვსებოდა გული! ამიტომ უფრო აკვირვებდათ ილიკოს და ნესტორს, რომ სტრუქს არც ეზოში, არც ბოსტანში ერთი ხე, ერთი ბუჩქი არ ედგა.

— ჩემო ივან ნიკიტინ, — უკეთესს ვერაფერს ინატრებს კაცი, — უთხრა ილიკომ და მხარზე ხელი დაადო. —

ისეთი ძროხა გყავს, რომ ერთ ჩვეწუნებურ ფერმად ღირს. ღორებს უმეხედავ და — კამეჩი გეგონებდა, აიფიქრებოდაც ოცი ფუთი გამოვია, ქათმებია და ინდაურებს ჰგვანან. მაგრამ ერთი რამ მაკვირვებს მაინც ამ შენს დიდებულ და შეძლებულ ოჯახში.

— რა გაკვირვებს, ილარიონ ფილიპოვიჩ?

— არ გეწყინოს, თუ ძმა ხარ. მოყვარე და მოკეთე რომ ხარ, ამიტომ მინდა გითხრა, და არ დამძრახო.

— რაშია საქმე, ილარიონ ფილიპოვიჩ?! — გაუკვირდა სტრუქს ილიკოს ასეთი გაქიანურებული მოზოდიშება.

— რამდენია შენი საკარმიდამო, ივან ნიკიტინ?

— შევიდასი კვადრატული მეტრი.

— ოჰო, არაა ეგ ცოტა. ცოდვა არ არის, ივან ნიკიტინ, ამოდენა ფართობი ასე უქმად იყოს?

სტრუქი ვერ მიმხვდარიყო, რაზე ელაპარაკებოდა ილიკო.

— კოლმეფურნეობის ბაღში გუშინ ჰერამის ხეები ვნახე. ეტყობა, თქვენთან ჰერამი კარგად ხარობს.

— მშვენივრად.

— ალბათ თქვენს ოჯახში მაინცდამაინც არ სძულთ ჰერამი?

— არა, რატომ? შევექცევით ხოლმე.

ნესტორს ილიკოს სიტყვებზე უღვაშებში ეღიმიებოდა. იგი გრძნობდა, რისი თქმა უნდოდა მას. სტრუქი კი კვლავ ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა ილიკოს.

— ივან ნიკიტინ, ჰერამს კურკიანად ჰამენ თქვენები?

— არა, რას ამბობ, ილარიონ ფილიპოვიჩ, კურკიანად ჩვენში აღუბალსაც არა სჰამენ.

— ეგ მეც ვიცი, ივან ნიკიტინ, — აუწია ხმას ილიკომ გამარჯვებული კაცივით. — ჰოდა, შე ოჯახაშენებულო, რა მოხდებოდა, ორი კაკალი კურკა რომ მიწაში ჩაგეფლო. ჰადს ის არ მოგთხოვდა და ყველს. მე შენ გითხრა

და დიდი მოვლა უნდა. ეზოს დაგიშვე-
ნებდა, ნაყოფს მოგცემდა, პაპანება სი-
ცხეში თავშესაფარი ჩრდილი გექნებო-
და. ტყუილს ვამბობ, ივან ნიკიტინ?

სტრუქმა გულიანად გადაიხარხარა:

— მართალს ამბობ, ილარიონ ფილი-
პოვიჩ, მაგრამ რატომ ასე შორიდან და-
იწყე? ვერ მიგიხვდი, რისი თქმა გინდო-
და. ამ საქმეში მთელი სოფელი ჩამორ-
ჩება. ვერც ერთი კოლმეურნის ოჯახში
ვერ ნახავ ხეს. ვერ ამიხსნია, რატომ
დაგვემართა ეს. რატომ არ მივაქციეთ
ყურადღება საკარმიდამო ფართობების
მოწყობას...

— ამას ჩვენ მივაქცევთ ახლა ყურა-
დლებას, — უთხრა რიხით ილიკომ. — მე
და ნესტორმა გადავწყვიტეთ, ჩვენი ხე-
ლით დაგირგათ მსხალი, ვაშლი, ციტ-
რუსი, ოც-ოც ძირამდე ვენახი. რას გა-
გიყვირდა, არ გინდათ?

— როგორ არ გინდა, ილარიონ ფი-
ლიპოვიჩ, მაგრამ ნერგები საიდან მო-
ვიტანოთ?

— ნერგები... — დაიწყო ილიკომ,
მაგრამ უცებ სიტყვა გაუწყდა. მას ნეს-
ტორმა ისე გადაუბრიალა თავისი ცალი
თვალი, რომ ილიკოს ფერი წაუვიდა. —
ნერგები... ნერგები უნდა ვიშოვოთ, —
ძლივს დააბოლოვა სათქმელი.

— საიდან? ნერგები რომ გვეჭონდეს,
დარგვით ჩვენც დავრგავდით, ილარიონ
ფილიპოვიჩ, — უთხრა სტრუქმა ილი-
კოს უიმედო ადამიანის ხმით.

ილიკომ განზე გაიხმო ნესტორი.

— ნესტორ, მომეცი ნება, ვუთხრა
სტრუქს ნერგების ამბავი, თორემ გული
გამისკდება სწორედ. სტრუქი არსად
არ იტყვის კალენიკეს ჩამოსვლამდე.
პირობას გაძლეე, ცოლთანაც არა თქვას.

ნესტორს გაეღიმა, ეს თანხმობის ნი-
შნად ჩასთვალა ილიკომ და სწრაფად
მოტრიალდა სტრუქისაკენ.

— როგორ გგონია, ივან ნიკიტინ,
რომ გითხარი, ჩვენი ხელით დაგირ-
გავთ ვაშლს, მსხალს, ციტრუსს და ვე-
ნახს-მეთქი, ნერგები რომ არ გვეჭონდეს

როგორ გეტყოდი ამას. მართალია, ბეე-
რი არც მიწა გვაქვს, ~~არც~~ ^{არც} სულთწელი
გვყავს, მაგრამ მეგობრებმა ჩვენს
ზე ნაკლებად არც ჩვენ ვიცით, ეს
შენ კარგად მოგახსენება. თქვენ არ
იყავით, ვაგონებით ბულები და ღუკე-
ულები რომ მოგვართვით? რატომ
ჰქენით ეს? იცოდით, გვიჭირდა ამ საქ-
მეში, და ძმურად და მეგობრულად გა-
მოგვიწოდეთ ხელი, დაგვეხმარეთ. ხომ
ასეა?

— ასეა.

— ასეა, აბა, სხვარიგად არც შეიძ-
ლება რომ იყოს — ძმა ძმისთვისაო,
შავი დღისთვისაო. შავი დღე თქვენც
და ჩვენც ღმერთმა გვაშოროს, მაგრამ
ერთმანეთის დახმარება ბევრ სიკეთეს
მოგვიტანს ჩვენცა და თქვენც, ეს უეჭ-
ველია. ხომ ასეა, ივან ნიკიტინ?

— ასეა.

— მეც ვიცი, რომ ასეა. ჩვენ ვიცო-
დით, რომ თქვენ ამ საქმეში გვიჭირდით.
ამიტომ რვა თვე ვამუშავეთ ნესტორი,
კირილე ავეანდაძე და კალენიკე ჩხაი-
ძე ნერგების გამოყვანაზე. ჩვენ რომ
მოვდიოდით იმ დღეს თქვენთვის სამი
ვაგონი დაიტვირთა ლიმონის, მსხლის,
ვაშლისა და ვაშის ნერგებით. დღეს
ჩვენმა თავმჯდომარემ კალენიკე ჩხაი-
ძისაგან დეპეშა მიიღო, ის მოკვება
ვაგანებს. ხარკოვიდან გამოვედიო ჩე-
მი ვაგონებით. ჩვენი გამოანგარიშებით,
კალენიკე დღეს იქნება თქვენს სად-
გურში პარტიზანში. შენი ჭირიშე, არა-
ვისთან არ გაამხილო ჯერ ეს ამბავი, —
შეეხვეწა ილიკო სტრუქს, — თავმჯ-
დომარე საიდუმლოდ ინახავს.

— არავის ვეტყვი, ილარიონ ფილი-
პოვიჩ, — უთხრა სტრუქმა ილიკოს,
დაფიქრდა და რაღაც გადაწყვეტილება
მიიღო. — მეც გეტყვი ერთ კარგ ამ-
ბავს, ოღონდ შენც შემინახე ის საიდუ-
მლოდ.

ილიკომ ტუჩებზე ხელი მიიტანა და
ამით ანიშნა — პირზე ბოქლომს დავი-
დებო.



— წუხელ, — დაიწყო სტრუქმა, — თქვენ რომ დასაძინებლად წამოხველით, მე იმიტომ დავრჩი კანტორაში, რომ გამგეობის სხდომა გქონდა მოწვეული. იცით, რა დავადგინეთ? — სტრუქმა ილიკოს და ნესტორს გაბრწყინებული თვალები შეანათა.

— ჯერ არ ვიცი, ივან ნიკიტინ, მაგრამ იმას კი ვხედავ, რომ რალაცა კარგი ამბისათვის მოგიწვევიათ სხდომა.

— მიმიხვდი სწორედ. უკეთეს ამბავს, ჩემი აზრით, შენ არც ინატრებდი.

— როგორ, მე მეხება ეგ ამბავი?

— შენ, ილიკო, — ახლა სტრუქმა დაადო ილიკოს მხარზე ხელი, მეორე ხელი ნესტორს გაუყარა მკლავში, სახლისაკენ წაიყვანა ორივე.

დიასახლისს აივანზე სუფრა გაეშალა და სტუმრებს უცდიდა.

— შენ რომ გუშინ ცხენზე იჯექი, როგორი ცხენია ის ცხენი?

— კარგი კრთი, ივან ნიკიტინ, ეს რა ხუმრობაა? — წაიღულღულდა აღელპებით ილიკომ.

— არ გეხუმრები, ილარიონ ფილიპოვიჩ...

— თუ არ მეხუმრები, აბა რას მეკითხები, როგორი ცხენიაო. როგორი ცხენია, გუშინ არ დავანახე? — უთხრა თავმომწონედ ილიკომ.

სტრუქს გაეცინა.

— ოპო, ჰო, აგვიკელი ახლა ტრაბახით.

— მე რა მაქვს სატრაბახო, ივან ნიკიტინ. სატრაბახო თქვენა გაქვთ, მაგისტანა ცხენის პატრონებს.

— ჰო, მაგრამ ის ცხენი უკვე ჩვენი რომ არ არის?

ილიკო შედგა.

— რას ამბობ, ივან ნიკიტინ. აბა ვისია?

— თქვენი კოლმეურნეობისაა.

ილიკომ და ნესტორმა ერთმანეთს შეხედეს გაოცებით.

— სხდომაზე დავადგინეთ, სამი ცხენი გადავცეთ საჩუქრად თქვენს კოლმეურნეობას.

კოლმეურნეთა საერთო კრებამ ქართულ სტუმრებთან ერთად განიხილა სტალინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობისა და ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეების მიერ მომავალი წლისათვის წამოყენებული სოციალისტური შეჯიბრების ახალი ვალდებულებები. დიდი ხანი მსჯელობდნენ კოლმეურნეები. ბევრმა ახალი წინადადებები წამოაყენა და დაუმატა ხელშეკრულებაში მოხსენებულ ვალდებულებებს. ზოგი რამ ამოღებული იქნა ხელშეკრულებიდან. ის იყო კრება ხელშეკრულებას ამტკიცებდა, რომ კლების შემოსასვლელ კარებთან შეჯგუფებულ ხალხში ხმაური ატყდა, მერე უცებ მიიწ-მოიწიეს და გზა უტიეს ვიდაცას.

ხალხის ორ კედელს შუა სწრაფი ნაბიჯით მოდიოდა ყაბალახით კოხტად თაყვარული და ჩოხა-ახალახში გამოწყობილი კალენიკე ჩხაიძე. მას ერთი მხრით სტრუქი მოჰყვებოდა და მეორე მხრით ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირის მდივანი — ისილო კვაჭაძე.

ახლადმოსულებს სცენიდან არჩილი და ვალოდია ჩამოეგებნენ. გაკვრებულ ილენკოს სანდრომ რალაცა ვადაუჩურჩულა. ილენკოს გაელიმა, სწრაფად წამოდგა და სცენაზე ამოსულ კალენიკეს და ისილოს ხელი მაგრად ჩამოართვა, წამოიშალა მთელი მაგიდა, ორჯონიკიძელები და მასპინძლები შემოეხვივნენ კალენიკეს და ისილოს.

ღარბაზში არავენ არ იცოდა, რა მოხდა. ვინ იყვნენ მოსული სტუმრები? მთელი კრება ხმაგაკმენდილი, ცნობისმოყვარეობით და მოუთმენლად შესცქეროდა ილენკოს.

— ამხანაგებო, — მიმართა ხალხს ილენკომ. — ჩვენ გვესტუმრნენ ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ნერგების გამოყვანის შესანიშნავი

ოსტატი კალენიკე ჩხაიძე და კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი ისილო კვაჭაძე. მათ ჩვენ ჩამოგვიტანეს ძვირფასი საჩუქრები — ორი ვაგონი ზეხილის ნერგი და ჩვენს პლანტაციაში ალავერდის სერზე მოწეული ერთი ვაგონი ციტრუსის ნაყოფი.

ახმაურდა ხალხი, იგრილა ტაშმა. დაბნეულმა კალენიკემ ყაბალახი მოიგლიჯა თავიდან და ფეხზე წამომდგარ დარბაზს თავის ქნევით ესალმებოდა. იგი პირველად იყო სცენაზე, პირველად უკრავდა მას ხალხი ტაშს, პირველად იყო იგი ამოდენა საზოგადოების ყურადღებში ცენტრში.

ილენკომ შეატყო, რომ ტაშის ხმა დიდხანს არ შეწყდებოდა, ისიც დაინახა, რომ კალენიკემ არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, რა ექნა. ამიტომ ხელი მალლა ასწია, და ამით ხალხს ანიშნა გაჩუმებულობა.

— ამხანაგებო, სიტყვას ვაძლევ კალენიკე ჩხაიძეს, — მიმართა ხმამალლა ილენკომ კრებას.

ხალხი დაწყნარდა.

კალენიკეს წინასწარ დაწერილი ჰქონდა სიტყვა. მან იცოდა, რომ ნერგების ჩამოტანის შესახებ სიტყვით უნდა წარსდგომოდა კრებას და ამისათვის მომზადებული იყო. მან ეს სიტყვა აბესალომ გოგოშიძესთან ერთად დაწერა რუსულად და მასთან ერთად წაიკითხა სამ-ოთხჯერ ხმამალლა. კალენიკემ ყაბალახი მხარზე გადაიგდო, უბის ჯიბიდან ოთხად გაკეცილი ქალაღი ამოიღო, ჩაახველა, ხალხს გადახედა და კითხვა დაიწყო:

— ძვირფასო ძმებო და დებო, გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებო, მხურვალე სალამს გითვლით მახარაძის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეები.

კვლავ იგრილა ტაშმა. ისევ ჩაახველა კალენიკემ, წვერზე ხელი ჩამოისვა და განაგრძო:

— მეგობრებო, ჩვენი სურვილია, თქვენ ისეთივე მოწინავეები ვყოფილიყავით: მებაღეობაში და მევენახეობაში, ჩრდილო-აღმოსავლეთის მუხრანში და მესაქონლეობაში ხართ. ჩვენ გვინდა თქვენი კოლმეურნეობის მინდვრებზე და კოლმეურნეთა ეზოებში პყვაოდეს ფორთოხალი, ლიმონი, მანდარინი, მსხალი, ვაშლი და ვაზი. ჩვენ თქვენთვის გამოვიყვანეთ ყინვაგამძლე ჯიშის ციტრუსის, ვაზის, მსხლისა და ვაშლის ნერგები. გიგზავნით ექვსი ათასი ძირი ვაშლის ნერგს, ხუთი ათას ძირს მსხლისას, ორი ათასს ციტრუსისას და ათი ათასს ვაზსას. ვაეალებთ ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს — სანდრო მეგრელიძეს, დელეგაციიდან გამოპყოს, კირილე ავქანდაძე, ნესტორ კერესელიძე და კალენიკე ჩხაიძე და თხუთმეტი დღით დატოვოს თქვენთან, რომ უხელმძღვანელონ ნერგების დარგვას, შეგასწავლოთ, როგორ მოუაროთ ნერგებს, როგორ გამოიყვანოთ და დაამყნოთ ნერგები. გისურვებთ წარმატებას.

ტაშის ხმა დიდხანს არ შეწყვეტილა. კალენიკემ ქალაღი დინჯად დაკეცა და ილენკოს დაუღო წინ. ილენკომ გვერდზე მოისვა მოხუცი.

— ვლადიმერ პავლოვიჩ, — უთხრა კალენიკემ თავმჯდომარეს, — ისილო კვაჭაძეს მიეცი სიტყვა. იმასაც აქვს ჩვენი კოლმეურნეების წერილი.

ისილომ არ დაუცადა, სანამ ილენკო სიტყვას მისცემდა, სწრაფად წამოდგა, მივიდა და იქ შედგა, სადაც წელან კალენიკე იდგა.

— საქართველოს რესპუბლიკის მახარაძის რაიონის სოფელ მოცენარის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის ანგარიში უკრაინის გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობას, — დაიწყო ზებირად ისილომ, შემდეგ ქალაღი გაშალა და კითხვით განაგრძო: — სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კუთვნილ პლანტაციაში —



„ალავერდის სერზე“ 1940 წლის მოსაველიდან მოკრეფილია ორასორმოცი ათასი ცალი ლიმონი, ოცდათორმეტი ტონა მანდარინი და ოცდაერთი ათასი ცალი ფორთოხალი. კონტრაქტაციით სახელმწიფოს ჩაბარდა ორასი ათასი ცალი ლიმონი, ოცდარვა ტონა მანდარინი და ათი ათასი ცალი ფორთოხალი. გიდვენთ ჩაბარებული ნაყოფის კვითარს, თქვენი კოლმეურნეობის სახელზე ამოკრილს და საქართველოს კონსერვტრესტის მახარაძის რაიკანტორის შიერ გაცემულს. ციტრუსების ფასი— ორასი ათასი მანეთის რაოდენობით — გადმორიცხულია თქვენს ანგარიშზე გენჩესკის სახელმწიფო ბანკში. ციტრუსების დანარჩენ ნაყოფს — ორმოცდაათას ცალ ლიმონს, ოთხ ტონა მანდარინს და თერთმეტ ათას ცალ ფორთოხალს — გიგზავნით ვაგონით.

— ოპო, მთელი ზამთარი ლიმონიანი ჩაი გვექნება, — უჩურჩულა ნასტიამ ელენეს. — შენ უნდა უყურო, ჩვენი ქალები ხუთ-ხუთ კიქას რომ დალუვენ. აბა, სამოვრებს ახლა ექნებათ მუშაობა.

— თქვენს პლანტაციაში, — განაგრძობდა ისილო, — მთელი წლის განმავლობაში მუშაობდნენ გრიშა ბოლქვაძე, დათიკო ჩხაიძე, სამსონ ყორეოლიანი, საჩინო აროშიძე, ვენერა არობელიძე, მათ გამოიმუშავეს ათასრვაასი შრომადღე, — ისილომ თავი ასწია და დარბაზს ღიმილით გადახედა. — გთხოვთ, გამოურიცხოთ მათ შრომადღეების ფული და გამოუგზავნოთ ნატურა თქვენი შრომადღეების მოსაველიანობის მიხედვით, აგრეთვე, გთხოვთ ჩაგვირიცხოთ ციტრუსების გადმოგზავნის ღირებულება ჩვენს ანგარიშზე მახარაძის სახელმწიფო ბანკში სულ 345 მ. და 60 კაპიკი.

ისილომ კითხვა დაასრულა, წერილი ილენკოს გადასცა და თავის ადგილზე დაჯდა. დიდი ხანი არ შემწყდარა ტაშის ხმა. დარბაზის სხვადასხვა მხრიდან

ისმოდა მოწონებისა და მადლობის წამოძახილები.

ეროვნული

ყველაზე დიდხანს დამუშავდა მალა ტაშს ქალიშვილები უკრაედნენ, მათ უნდოდათ ისილოს ყურადღება მიექციათ.

— შეხედე, რა შავი თვალები აქვს!

— ულვაშები ჰქუას დაგაქარგვინებს პირდაპირ!

— ცხვირი, გოგო, ცხვირი, არწივს არა ჰგავს.

— რა დარცხენით იღიმება. კბილები როგორ უელავს! — ეჩურჩულებოდნენ მოხიბლული გოგოები ერთმანეთს და ისე მიშტერებოდნენ ისილოს, ისე გულახდილად გამოხატავდნენ თავას აღტაცებას, რომ ისილო სცენაზედაც კი გრძნობდა ზღვა ხალხში გაფანტული გოგოების ამ თავშეუკავებლობას. მას უხაროდა ეს, თან ირცხვენდა, წარამარა მოისვამდა ხელს შუბლზე გადმოყრილ ქონიორზე და უკან გადაივარცხნიდა თითებში.

— შეხედე, ისილო, რა დღეში არიან გოგოები, — უჩურჩულა ეშმაკურა ღიმილით ნასტიამ ისილოს, — შენ მათ ცეცხლი წაუკიდე, — ნასტიას უნდოდა კიდევ, რაღაც ეთქვა ისილოსათვის, მაგრამ ამ დროს ილენკომ სიტყვა სანდროს მისცა და ნასტია გაჩუმდა.

— ამხანაგებო, — დაიწყო სანდრომ, — თქვენთან გატარებული ეს ოთხი დღე ჩვენ არასოდეს არ დაგვაიწყდება. ჩვენ ამ პატარა ხნის განმავლობაში ბევრი რამ ვისწავლეთ თქვენგან. მას ჩვენ გამოვიყენებთ ჩვენს მუშობაში. იგი დიდ დახმარებას გაგვიწევს უხვი მოსაველის მიღებაში. თქვენ შეგიძლოთ თქვენი წლებანდელი მოსაველით გაგეციფტრებინათ ჩვენი ქვეყანა, გვალვას რომ არ გადაეწვა თქვენი მინდრები. ჩვენმა პარტიამ და მთავრობამ ბევრ ჩვენს გასაჭირს მოუნახა წამალი. გვალვასაც ეშველება, მეგობრებო. თქვენმა თავმჯდომარემ მიითხრა, დადგება დრო ჩვენს მინდრებს დნეპრი მორწყავსო.

მე მაშინ ვლადიმერ პეტროვიჩის ეს სიტყვები განუხორციელებელ ფანტაზიად მეჩვენა, მაგრამ ჩვენი ხალხის რომელი ოცნება არ განხორციელებულა ჩვენს ქვეყანაში. დიახ, დნებარი მოვა თქვენთან, მაშინ სულ სხვა იქნება თქვენი მიწა, თქვენი სოფელი, თქვენი ხალხი. გისურვებთ, ეს დღე მალე დამდგარიყოს.

ყველა გულისყურით უსმენდა სანდროს. იგი დინჯად და აუჩქარებლად ლაპარაკობდა. ასე ლაპარაკობდა იგი თავის სოფელში, თავის კოლმეურნეებთან.

— ჩვენში საუკუნეების მანძილზე ჭაობით იყო დაფარული კოლხეთის ერთი ნაწილი. ციება აქ ხალხს მუსრს ავლებდა, მოუსაყლაკებდა ანადგურებდა. ვის შეეძლო ფიქრი იმაზე, რომ შესაძლებელი იყო ამ მკვდარი მიწების დაშრობა. მაგრამ დიდი სტალინის დახმარებით დღეს ქართველი ხალხი საბჭოთა უძლიერესი ტექნიკით დღითიდღე ახალ-ახალ ფართობებს სტაყებს ჭაობსა და უემურს და ახალი სიცოცხლე იბადება მკვდრეთით ამგვარ მიწაზე. სიცოცხლის დაბრუნებას ელის თბილისთან ახლო მდებარე რამდენიმე ათეული ათასი, მუდმივი გვალვებით გამოფატული, გამოქარული და გადამწვარი სამგორის მიწები. ქართველი ხალხი საუკუნეების მანძილზე ოცნებობდა მათ მორწყვაზე. ჩვენ გვეჯერა, ისე როგორც კოლხეთის მიწებს, ამ მიწებსაც დაუბრუნდებათ სიცოცხლე.

— მე ფერგანის არხის მშენებლობაზე ეყოფილვარ, არჩილ, — უთხრა ვალოდია ლიაშენკომ არჩილს, — მე მაშინ ვნახე, რა შეუძლია ხალხს, როცა იგი თავის საქმეს აკეთებს. მე დნებროჰესის მშენებლობაზედაც ვმუშაობდი, მას არა მარტო უკრაინა აშენებდა, იგი მთელმა საბჭოთა ქვეყანამ ააშენა.

— კოლხეთშიაც მუშაობენ უკრაინელები, რუსები. ისინი იქ დასახლდნენ ახალ მიწაზე. რამდენს ნახავ ახალ კოლ-

ხეთში უკრაინულ თეთრ ხატას, ციტრუსის ბაღებში ჩამჯდარს უკრაინელს — ყაბალახით თავსაფარულს.

— რატომ არ მითხარი, არჩილ, თქვენთან რომ ვიყავით. მე უსათუოდ ვნახავდი მათ.

— ჩვენს ქორწილში რომ ჩამოხვალთ შენ და ნასტია, მაშინ წაგიყვან მათთან.

— ჩვენ თქვენთან ვნახეთ უხვმოსაველიანი მინდვრები, შესანიშნავად მოწყობილი ფერმები — განაგრძობდა სანდრო. — კარგად დაყენებული შრომის ორგანიზაცია. გავეცანიტ მთელი რიგი მემინდვრეობის და შესაქონლეობის ნოვატორებს, რომელთა გამოცდილებას ჩვენ გავუზიარებთ ჩვენს კოლმეურნეებს. ჩვენ ბევრი, ძალიან ბევრი რამ მოგვწონს თქვენი. მაგრამ ჩვენ შევინშნეთ ზოგიერთი ნაკლოვანება თქვენს მუშაობაში, და არც შეგეძლო ეს არ შეგვენიშნა.

დარბაზი გამოცოცხლდა. კოლმეურნეებმა ღიმილით გადახედეს ერთმანეთს და ყველამ მოლოდინით და ცნობის-მოყვარეობით სავსე თვალები სანდროს მიაპყრო.

— ამხნაგებო, თქვენთან ბევრი შრომადღე იხარჯება მეტის-მეტად გადიდებული ადმინისტრაციული პერსონალის შენახვაზე. თქვენს თავმჯდომარეს — ვლადიმერ პეტროვიჩს — სამი მოადგილე ჰყავს, საანგარიშო დარგში თქვენთან მუშაობს თერთმეტი მეტაბელე, ოთხი მოანგარიშე, მთავარი ბუღალტერი და ბუღალტერის მოადგილე.

— ნახევარზე მეტით უნდა შექცირდეს ისინი! — გაისმა შუა დარბაზიდან მამაკაცის ხმამაღალი წამომაძილი.

— დიახ, უსათუოდ, — დაუდასტურა სანდრომ და განაგრძო: — ამით მუშახელი მოემატება ბრიგადებს და გაიზრდება შრომადღეების ღირებულება.

— სწორია!

— მართალია!

— კარგად ლაპარაკობ, თავმჯდომარე!

— გვითხარი ყველა ნაკლი, არ მოგვერიდო! — ახმაურდა დარბაზი.

— თქვენ თითქმის სულ არ აქცევთ ყურადღებას მეხილეობას და მევენახეობას. ასეთ უზარმაზარ კოლმეურნეობაში თქვენ არც ერთი ძირი ვაშლის და მსხლის ხე არ გიდგათ. თქვენს მიწაზე მშვენიერად შეუძლია ვაშმა გაიზაროს, თქვენ კი მხოლოდ ორი ჰექტარი ვენახი გაქვთ. მე ამ ვენახის დანახვაზე ჩვენი უჯიშო ძროხები გამახსენდა, ამხანაგებო. არ ვარგა თქვენი ვაზი, იგი უნდა ამოიძირკვოს და კარგი ჯიშისა უნდა გააშენოთ. თქვენ ახლავე უნდა მიიღოთ ზომები მევენახეობის და მეხილეობის ფართოდ გაშლისათვის. ვარდა ამისა, რომ ეს შესამჩნევად გაზრდის თქვენს ფულად შემოსავალს, ყოველ კოლმეურნეს ექნება ამასთანავე საკარმიდამო ბაღი, ვენახი, საკარმიდამო ფართობი უნდა იყოს კოლმეურნისათვის დამხმარე შემოსავლის წყარო. თქვენთან კი მას ეს მოვალეობა დაკარგული აქვს. ჩემი აზრით, ეს ისეთივე შეუწყნარებელია, როგორც კოლმეურნეობის სათესი ფართობის გაცდენა.

სანდრო ხედავდა, რა დიდი ინტერესით და მოწონებით უსმენდნენ მას კოლმეურნეები.

— კარგი იქნება, თუ გამგეობა დაადგენს, რომ თითოეულმა კოლმეურნემ გეგმით ყოველწლიურად გააშენოს თავისი საკარმიდამოზე ამდენი და ამდენი სხვადასხვა ხეხილი და ვაზი. რამდენიმე წელიწადში ეზოები ამწვანდება ნაყოფის მომცემი ხეებით და ვენახით. ვერ იცნობთ თქვენს სოფელს. სხვა პერი, სხვა სურნელება ექნება სოფელს. სხვა ხალისი ექნება ხალხს. ეს იქნება დიდი საქმე, ამხანაგებო.

— ჩვენი სოფლისათვის საკმარი ხეხილის ნერგების შოვნა არ არის იოლი საქმე, — უთხრა ნიკიტა შუმილომ სანდროს.

— ამ საქმეში ჩვენ დაგეხმარებით, — მოუბრუნდა სანდრო ნიკიტას. — ამი-

ტომ ჩამოვიტანეთ ნერგები. გიცით, რომ ეს მცირეა, არ ეყოფა მთელ კოლმეურნეობას და სოფელს. მაგრამ თქვენ ყოველწლიურად მოგაწვდით სულ უფრო და უფრო მეტ ნერგს, ყოველწლიურად გამოგიგზავნით დასახმარებლად ჩვენს საუკეთესო მევენახეებს, მებაღეებს და მეციტრუსეებს. ჩვენ უნდა ვცხოვრობდეთ ერთი სიცოცხლით, ერთი მისწრაფებებით, ერთი სულითა და გულით.

— გაუმარჯოს ჩვენს ერთიანობას!

— გაუმარჯოს ჩვენს მეგობრობას.

— ვაშა ქართველ ძმებს! — გაისმა ხალხში წამოძახილები.

სანდრო განაგრძობდა:

— დასასრულ, ნება მომეცით, მადლობა მოგახსენოთ უაღრესად გულთბილი მიღებისათვის. ჩვენ ისე ხშირად უნდა ვნახულობდეთ ერთმანეთს, ამხანაგებო, რომ სტუმრებად არ ვგრძობდეთ თავს.

ხალხი ფეხზე წამოდგა და ისე უკრავდა ტაშს. დიდი ხანი არ შეწყვეტილა შეძახილები რუსულ, უკრაინულ და ქართულ ენებზე.

სანდროს შენიშვნების და წინადადებების გამო, დიდ ხანს ვაგრძელებდა კამათი. საბოლოო სიტყვით გამოვიდა ილენკო. მან მადლობა გადაუხადა სტუმრებს აზრიანი შენიშვნებისა და წინადადებებისათვის; აღუთქვა კრებას, ორ-სამ დღეში შეამცირებდა ადმინისტრაციული პერსონალის შტატს და ყოველ ღონეს იხმარდა იმისათვის, რომ უახლოეს ხანში სოფელსა და კოლმეურნეობას ბაღით და ვენახით ისეთსავე ძლიერსა და მოწინავეს გახდიდა, როგორც მემინდერობის და მესაქონლეობის დარგში.

— ამხანაგებო, თქვენთან ყოფნის დროს არ გვინახავს არც ერთი ჰექტარი პურის ყანა. თქვენ სულ არ თესავთ პურს. თქვენში ხორბალს მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში თესენ, — განაგრძობდა ილენკო, — ამიტომაც,

რომ საქართველოს თავისი პური არ ყოფნის. ვერაფრით ვერ ამიხსნია, რატომ არ იწევთ პურს დასავლეთ საქართველოში. სანდრო ალექსევეიჩმა მიიხრა, რომ ერთ დროს განთქმული ყოფილა კოლხეთის პური. იქ რამდენიმე ჯიშის ხორბალს თესდნენ. თქვენი მზარე ახლაც შეიძლება განთქმული იყოს თავისი ხორბლით. მე და ვალოდია ლიანენკომ გულდასმით შევისწავლეთ თქვენი მიწები, შესანიშნავად გაიხარებებს თქვენთან ჩვენი „კოპერატორკა“ და „ნოვია უკრაინკა“ თქვენ შეგიძლიათ ამ ჯიშების უხვი მოსავალი მოიწიოთ. არა მარტო თქვენ, დასავლეთ საქართველოს ყველა კოლმეურნეობა უნდა თესავდეს ხორბალს, მაშინ საქართველო უზრუნველყოფილი იქნება თავისი პურით. ჩვენ ახლა გაგატანთ თესლს, გაზაფხულზე კი გამოგიგზავნით ჩვენს გამოცდილ მეპურეებს. ისინი დაგეხმარებიან ამ საქმეში, — ილენკო სანდროსაკენ მობრუნდა, — სანდრო ალექსევეიჩ, ელენესა და არჩილის ქორწილში მოცენარში მოწეული პურით უნდა გაგვიმასპინძლდე. სიტყვას მაძლევთ?

— სიტყვას გაძლევთ, ვლადიმერ პეტროვიჩ, — უთხრა ღიმილით სანდრომ. — იგი გახარებული იყო ამ შესანიშნავი იდეით. მას უცებ თვალწინ დაუდგა ახლად ათვისებული მიწები, შეესმა პურის მწიფე თავთავების შრიალი ამ მიწებზე. „მოცენარში პური! დასავლეთ საქართველოს კოლმეურნეობებში პურის ყანები და ერთ მშვენიერ დღეს საქართველოს არ დასჭირდება გარედან პურის შემოზიდვა!“ იგი ისე გაიტაცა ფიქრმა რომ ვერ გაიგო, თუ როგორ გადავიდა ილენკო სხვა საკითხზე.

— ქართველები ძველთაგანვე შესანიშნავი ცხენოსნები ყოფილან. — ახლა ილიკოსაკენ მობრუნებული ლაპარაკობდა ილენკო. — დღესაც მათ ცხენოსნობაში ტოლი არა ჰყავთ მთელს

ჩვენს ქვეყანაში. გუშინდელ დღეს ილიკო ზედობანიძემ ჩვენი ყველა ჯიშის ცეცხრა და გაგახარა, მუხამელის მუხამეობამ დაადგინა, სტუმრებს საჩუქრად გადაეცეთ წმინდა სისხლის ორი ულაყი, ილარიონ ფილიპოვიჩს კი მივეცეთ ის ულაყი, რომელზედაც ის გუშინ იჯდა.

ილენკოს სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, რომ დია ფანჯრიდან ულაყების ჭიხვინი შემოიჭრა. სამ მეჯინაბეს ეზოში შემოეყვანა ცხენები. ისინი ძლიერ ამაგრებდნენ მათ.

— ამხანაგებო, ხვალ ჩვენი სტუმრები მიემგზავრებიან... — აცნობა კრებას ილენკომ.

— რატომ ასე ადრე?

— დარჩნენ, რა ეჩქარებათ! — ახმაურდა დარბაზი.

— არა, ამხანაგებო. ჩვენს სტუმრებს კიევში ელოდებიან თავიანთი თანამემამულენი. ისინი ერთად უნდა დაბრუნდნენ საქართველოში. ხვალ ჩვენს ძვირფას სტუმრებს მთელი კოლმეურნეობა გააცილებს, ამიტომ ხვალინდელ დღეს არასამუშაო დღედ ვაცხადებ.

კრების დამთავრებისთანავე გამგეობის კანტორის ეზოში საჩუქრის გადაცემა მოეწყო. ორმა მეჯინიბემ ულაყები ჩააბარეს ისილოს და ნესტორ კერესელიძეს. სტრუქმა კი თავის ხელით მიუყვანა ილიკოს „პრაბეგი“. ულაყმა მთელი თავისი ძლიერი ხმით შესუბხინა ზედობანიძეს, თითქოს უხაროდა პირუტყვს, რომ სასახლო მხედარს აბარებდნენ მის თავს.

ორი მეგობარი თვალს არ აშორებდა „პრაბეგს“. ერთს სიხარულით უცემდა გული და ვერ ფარავდა თავის აღტაცებას. მეორე ნაღვლიანად იღიმებოდა, მაგრამ არ სწყინდა, რომ მისი საყვარელი ცხენი სამუდამოდ შორდებოდა. სტრუქის გამოზრდილი იყო იგი: ცხენსა და მას შორის ისეთი სიყვარული იყო დამყარებული, როგორც შეიძლება იყოს მამასა და შეილს შორის. სტრუქი მის ერთ შემოხედვაზე გრძნობდა,

რა უნდოდა ცხენს, რა აწუხებდა. „პრა-
პეგიც“ ასე იყო. მან იცოდა, როდის
იყო კარგ ხასიათზე სტრუქი და როდის
აუხე; კარებიდანვე შეიძინებდა მისი ნა-
ბიჯის ხმას და კიხვინით შეეგებებოდა
ზოლმე. ახლა დარცხვენლივით იდგა
იგი გამზრდელის წინ, რომ ტოვებდა
მას, რომ ასე დაემორჩილა ვიღაც უცხო
მხედარს და მშვიდად დგას მის წინ, არ
იწყვეტს ლაგამს, არ ურჩობს.

— აბა, ილარიონ ფილიპოვიჩ, —
უთხრა სტრუქმა ილიკოს და კისერზე
ხელი დაჰკრა ცხენს, — შენ იცი, რო-
გორ მოუვლი. ასე მგონია, შეიღს გა-
ტან...

ავტომობილების ხმამ მიიქცია ეზოში
შეყრილთა ყურადღება. მანქანებს სად-
გურ პარტიზანიდან ნერგებით, მანდა-
რინით, ლიმონით და ფორთოხლით საე-
სე ყუთები მოჰქონდათ.

ხალხი ქუჩაში გამოვიდა და საწყო-
ბისაკენ გაემართა.

მანქანები კი მოდიოდნენ და მოდიო-
დნენ.

ნიკიტას არ უნდოდა მეორე დღეს
სტუმრების გაშვება:

— გაისამდე მე, ავადმყოფმა კაცმა,
შეიძლება ვერ მივალწიო. ხომ ხედავთ,
ცალი ფეხი სამარეში მიდგას. ნუ მომე-
ლავთ ისე, რომ ჩემი შვილების — ელენესა
და ნასტიას ქორწილი არ ვნახო, —
ეუბნებოდა იგი კირილეს, ილენკოს
და სანდროს. — კირილემ ნიშნობა გა-
დაუხადა მათ. მე ჩემს ოჯახში მინდა
დავაქორწინო. მთელ სოფელს დაეუძა-
ხოთ. ეს ხომ ჩვეულებრივი ქორწილი
არ იქნება. ორი ქორწილი ერთად, ორი
ქალიშვილის მამა ვარ მე — უკრაინე-
ლის და ქართველის. არ მითხრათ უარი,
გადადეთ ორი დღით გამგზავრება.

მოხუცის თხოვნა ყველას გულზე
მოხვდა, განსაკუთრებით — არჩილს,
ვალოდიას, ელენესა და ნასტიას. ისინა
ნატრობდნენ ნეტავი დათანხმდებოდეს

სანდროს. მათ ნეტარებას საზღვარი არ
ექნებოდა მაშინ. რამდენი უნდა იცა-
დონ მომავალ ზაფხულამდე, ნელსიერე-
ბა კი კარზეა მომდგარი. ნვალ, ნვალ
დაქორწინდებიან. ზაფხულამდე კი რა
დალევს თვეებს, დღეებს. როგორ გაგრ-
ძელდება დრო. ან ვინ იცის, რა მოხ-
დეს ზაფხულამდე.

მოლოდინით და ფარული მღელ-
ვარებით შესცქეროდნენ სანდროს, აბა
რას იტყვისო, დათანხმდება თუ არა
დარჩენაზეო. მაგრამ სანდროს დარჩენა
არ შეეძლო. მოცენარელებს კიევში
უცდიდნენ.

— რა სჯობია იმას, რასაც თქვენ
გეთავაზობთ, ნიკიტა ივანოვიჩ, — უთ-
ხრა შეწუხებულმა სანდრომ ნიკიტას.
მას ძლიერ უმძიმდა მოხუცის გაწბილე-
ბა, ახალგაზრდების იმედით მოპყრო-
ბილ თვალებისათვის ავალის გამართვა,
მაგრამ სხვა გზა არა ჰქონდა. — ორი
შვილის ქორწილი ერთად, და მერე
როგორი შვილების! ორი მოწინავე ად-
მიანის — ქართველის და უკრაინელის!
ასეთი ქორწილი ჯერ არ ყოფილა ალ-
ბათ დედამიწაზე... სამწუხაროდ, ჩვენი
დარჩენა შეუძლებელია. საქართველოს
დელეგაციის სამივე ჯგუფი დაბრუნდა
კიევში და ჩვენ ხვალ ღამე გველიან იქ.
მთელი დელეგაციის წევრები სპეცია-
ლური მატარებლით მივემგზავრებით
საქართველოში...

— ნიკიტა ივანიჩ, — შეაწყვეტირა
სანდროს სიტყვა ილენკომ, — პირობას
გაძლევ, რომ შენს ელენესა და ნასტიას
ქორწილს კი არა, მათი შვილების ქორ-
წილსაც მოესწრები. ჩვენ ვერ დავაკა-
ვებთ სტუმრებს. დაე, ისინი გაემგზავ-
რონ ხვალ. ჩვენ ჩავალთ ელენესა და
არჩილის ქორწილში მოცენარეში. მხო-
ლოდ იცოდეთ, — მოუბრუნდა ილენკო
კირილეს და სანდროს, — ძვირად და-
გიჯდებათ ჩვენისთანა მყარების ჩამო-
სვლა. ქორწილში ჩვენ ისე ვსვამთ, რომ
წინ ვერაფერი დაგვიდგება. არაყი და
ღვინო მდინარესაკეით უნდა ჩქეფდეს.
ახლაც თვალწინ მიდგას თქვენი ორლი-

ტრიანი ყანწები, — თქვა სიცოლით ილენკომ. — არა, თქვენ ხარხარით სვამთ. ამაში ჩვენ ვერ გაგიტოლდებით.

საბოლოოდ დაადგინეს, რომ ელენეს და არჩილის ქორწილი მოეწყობათ 1941 წლის 28 ივნისს მოცენარში, ვალოდიას და ნასტიას ქორწილი კი — 10 ივლისს.

ელენესა და ნასტიას არ უძინიათ იმ ღამეს. დიდხანს საუბრობდნენ ლოგინში ისინი. ნასტია ნაღვლიანი იყო, ცდილობდა ელენეს მზიარული და უღარდელი სჩვენებოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა ამას. ოთახში ლამპა არ ენთო, მაგრამ ელენე მთვარის შუქზეც ამჩნევდა მეგობრის სახეზე აღბეჭდილ სულიერ მღელვარებას.

„ქორწილის გადაღებამ დააღონა ნასტია, — ფიქრობდა ელენე. — რა იქნებოდა, ორი დღეც დავრჩენილიყავით. ვინ იცის, ასე ჩვენსავით ძილგატეხილი წვანან ახლა არჩილი და ვალოდა და იმასავე ფიქრობენ, რასაც შე და ნასტია. როგორ უნდოდათ მათ დავრჩენილიყავით. რა თვალებით შეჰყურებდნენ სანდროს, როცა მის დასტურს ელოდა ნიკიტა ივანოვიჩი და როგორ დამწუხრდნენ, სანდრომ დარჩენაზე რომ უარი თქვა“.

— ნასტია, რათა ხარ დანადვლანებული? — ჰკითხა ელენემ ნასტიას.

ნასტია პირადმი იწეა. იგი ისე იყო ფიქრში წასული, არ გაუგონია ელენეს ხმა.

— გძინავს, ნასტია?

— არა, რა იყო ელენე? — გაღმობრუნდა ნასტია ელენესაკენ.

— ისე მალე გაივლის ეს თვეები. ივლისი არც ისე შორს არის, ნასტია...

— არა, არ გაივლის მალე, ელენე. როცა ელი, როცა გინდა, მალე გავიდეს დრო... — სიტყვა გაუწყდა ნასტიას, ცრემლი მოადგა თვალებზე. — შორსაა ივლისი, ძალიან შო...რ...ს...

— ნასტია, ჩემო ძვირფასო დაო, — წამოხტა ელენე და შეუწეა ნასტიას. მკერდზე მიიკრა მისი თავი, მოსწმინდა

ცრემლი. — ტირი, ნასტია... — თქვა გულაჩვილებით და თვითონაც ცრემლდებოდა.

არც არჩილს, არც ვალოდას (ხრწანულით გათენებამდე. ნიკიტასა და სანდროს ლაპარაკის შემდეგ ისინი, ერთხანს ჯავარისაგან გატეხილები, სოფლის ქუჩებში დასეირნობდნენ. შემდეგ სასაუბრეში შევიდნენ და ღამის ორ საათამდის სვამდნენ.



შემოდგომის ცივი დილა გათენდა. სივაშის მხრიდან მარილნარევი ქარი ჰქროდა. სოფელმა დღეს ჩვეულებრივზე ადრე გაიღვიძა. მთელი კოლმეურნეობა ემზადებოდა სტუმრების გასაცილებლად. ყველაზე დიდი საშხადისი ნიკიტა შემილოს ჰქონდა. იგი, გარდა სტუმრებისა, ქალიშვილს და სასიძოს აცილებდა. მას დელეგაციის ყველა წევრი საუბრეზე ჰყავდა ამ დღით მოწვეული. მეზობლის ქალები ეხმარებოდნენ მოხუცს საუბრის მომზადებაში. იგი თითის წვერებზე დადიოდა სახლში და სხეებსაც აფრთხილებდა, არ ეხმარათ; წარამარა ნასტიას ოთახში შეიხედავდა. ელენეს და ნასტიას ერთმანეთის მკლავზე ედოთ თავი და ასე ეძინათ დღის ტბილი ძილით. ნიკიტას გაელიმებოდა.

— როგორც დები... იძინეთ, იძინეთ. ვიცი, რა სიზმრებში ხართ. თქვენი ცოდვა ჰქონდეს სანდრო ალექსეევიჩის, — ჩაილაპარაკებდა და ფრთხილად მიხურავდა კარს.

სადგური პარტიზანიც ემზადებოდა სტუმრების გასამგზავრებლად. მეორე ხაზზე ჩამოყენებულ ორ საბარგო ვაგონში სტუმრების საჩუქრებს ტვირთავდნენ. დატვირთვის თვითონ სადგურის უფროსი ხელმძღვანელობდა.

ილიკომ მხოლოდ დილით შეიტყო, რომ დელეგატების ყოველი წევრისათვის საჩუქრები მოუმზადებია კოლმეურნეობას.

— ჩვენთვის, ორივესათვის, მოუცილოთ საჩუქრები, — უთხრა მან ცუცას.

— რატომ ორივეს, მამა? — გაიკვირვა ცუცამ.

— მეც მაგას ვამბობ, რატომ ორივეს, — წამოიძახა შეწუხებულმა ილიკომ და სანდროს მოსაძებნად გაეშურა. ილენკოს და სანდროს კოლმეურნეობის გამგეობის კანტორის კიბეზე შეხვდა.

— სანდრო, პატარა საქმე მაქვს შენთან, — უთხრა და მკლავზე ხელი მოჰკიდა, უნდოდა განზე გაეხმო, მაგრამ სანდრო არ გაჰყვია. უხერხულად ნიინია ილენკოს მიტოვება.

— თქვი, რა გინდა, ილიკო.

— საჩუქრების ამბავი თუ იცი, სანდრო?

— ჰო, რა იყო?

— ცუცა ხომ ჩემი შვილია, სანდრო.

— შენია, აბა ვისი უნდა იყოს?!

— მერე?

— რა მერე?! — ჰკითხა გაკვირვებით სანდრომ. იგი ვერ მიხვდა, რა უნდოდა ილიკოს, რას ეკითხებოდა.

— მერე ის, რომ ჩვენ ერთი ოჯახის წევრები არა ვართ?

— ილიკო, ხომ არ გაგიყდი ამ დღეადრიანად. ეს რა კითხვებს მძალევი, რა დაგემართა?!

— მე რომ დამემართა, ის დაემართოს ყველა შენს ნათესავს და მეგობარს, მაგრამ...

— მაინც რა დაგემართა?

— საჩუქარი ცალკე ჩემთვისაც მოურთმევიათ და ცალკე ცუცასთვისაც.

— მერე რა გინდა?

— უხერხული არ არის, სანდრო?... სანდროს გაეცინა.

— რა გაეცინებს, სანდრო აღექსევიჩ? — ჰკითხა ილენკომ სანდროს. — რა გითხრა, ილარიონ ფილიპოვიჩმა ასეთი?

— საჩუქრები მეც მომართვეს და ჩემს ქალიშვილსაცო. უხერხულად მიინინია, ჩვენ ხომ ერთი ოჯახიდან ვართო.

გაეცინა ილენკოსაც.

— ოი, კარგი კაცი ხარ შენ, ილარიონ ფილიპოვიჩ, — მოხედა მხაჭავაძე ჩელი ილიკოს. — კარგად უკმაყოფილო გყავს. იგი ისეთივე სრულუფლებიანი წევრია თქვენი, როგორიც შენ. იქნებ უფრო მეტიც, ილარიონ ფილიპოვიჩ.

— ჩემთვის იგი ყველაზე უკეთესია ქვეყანაზე, — უთხრა შვილის ასეთი შექებებით გაზარებულმა ილიკომ თავმჯდომარეს.

დელეგატების საჩუქრები ერთ ვაჟონში ჩატვირთეს. მეორეში სტრუქმა თვითონ აიყვანა ცხენები და წინასწარ გამზადებულ გადატიხრულებში გაანაწილა. მეჯინიბეს ჩააბარა თავისი საყვარელი ულაყები, მათ უნდა ჩაეყვანათ ისინი მოცენარში. ცხენები რომ დააბანავა, სტრუქი სადგურიდან კოლმეურნეობაში გამობრუნდა. ნიკიტა შუმბილოსას რომ მივიდა, სტუმრები სუფრიდან დგებოდნენ. მათ მანქანები უცდიდნენ, სადგურში უნდა წაეყვანათ მასპინძლები და სტუმრები. ილიკოს სტრუქის დანახვაზე თვალეები გაუბრწყინდა.

— მე ვაგრძელებ ქეიფს, ნიკიტა ივანიჩ, — უთხრა ნიკიტას ილიკომ და კვლავ მაგიდას მიუჯდა. სტრუქი გვერდით მოისვა, ჰიქა არაყით გაუესო. — მივემგზავრებით, ივან ნიკიტჩი, — უთხრა ნაღვლიანი ხმით. — საათნახევარი დარჩა მატარებლის გასვლამდე. არ მეგონა, თუ ასე გამოვირდებოდა შენი დატოვება, და არა მარტო შენი, მთელი სოფლის, მთელი უკრაინის, — თვითონაც გაივსო ჰიქა. — ივან ნიკიტჩი, არ მომწონს იმ სულძალდი ჰიტლერის ფანდები. შენს მტერს ასეთი მეზობელი. რა დროს შემოგეპარება ეზოში და დაგარტყამს დანას, ეშმაკმა იცის. ფრთხილად იყავით, ივან ნიკიტჩი. ეგ ფაშისტები ისეთი ჯურის ხალხია, როცა გიცინიან და ტყბილ სიტყვას გეუბნებიან, მაშინ უკავიათ ზურგს უკან შიშველი დანა.

— ვიცი, ილარიონ ფილიპოვიჩ, ზურგს უკან მოფარებული მათი მახვი-

ლი კარგად ჩანს; მას მთელი ქვეყანა ხედავს, — უთხრა სტრუქმა ილიკოს და ჭიქა აიღო. — სტალინი გვეყვდეს და ეგ მახვილი მათვე მოხვედმათ გულში. სიფრთხილე კი საჭიროა. დიდი ბელადი ვაღდეგრძელოთ, — წამოდგა ფეხზე სტრუქი, წამოდგა ილიკოც. — მე ერთხელ კი ვიყავი მისი ჯარისკაცი: ვიბრძოდი ცარიცინში, პეტროვრადში. ვერეკებოდი გერმანელებს უკრაინის მიწიდან. ახლა მე ჯარისკაცად ზრ გამოვდგები. ხანი თავისას შერება, მაგრამ, თუ ომი დაიწყო, სამი კაცის მაგივრად ვიმუშავებ. ზურგის ჯარისკაცები ვიქნებით მე და შენ, ილარიონ ფილიპოვიჩ, საკოლმეურნეო მინდვრებზე ვიბრძოლებთ, — ჭიქა მოიშარჯვა. — სტალინს გაუშარჯოს. სიტყვას გაძლეეთ, დიდო ბელადო, რომ ამ ბრძოლას ჩვენ ახლავე დავიწყებთ, — სტრუქმა ერთბაშად დასცალა ჭიქა.

ყველანი წავიდნენ სადგურზე, მარტო ილიკო და სტრუქი უსხდნენ სუფრას, მაგრამ არ ჩქარობდნენ მეგობრები. ისინი ისე შეპყვნენ და ისე გაერთვნენ, იმდენად მოეკიდათ ღვინო, სულ გადავიწყდათ, რომ ილიკო გასამგზავრებელი იყო და საცაა უნდა გასულიყო მისი მატარებელი.

ის იყო ორთქლმავალმა ვაგონები დასძრა, რომ სტრუქმა მთელი სისწრაფით შეაგდო ხალხით სავსე ბაქანზე ბრიჩკა. ხალხი აქეთ-იქით მიაწყდა და გზა უტიეს. ილიკო და სტრუქი ელვის სისწრაფით დაქვეითდნენ და ილიკომ უკანასკნელ ვაგონს ძლივს მიუხსრო, მარდად შეახტა საფეხურზე. როცა მან მარცხენა ხელი საფეხურის სახელურს ჩასჭიდა და ბაქანისაკენ მობრუნებულმა მარჯვენა ხელი ასწია ზევით, რომ სტრუქს გამომშვიდობებოდა, დაინახა, რომ სადგურზე ზღვა ხალხი მოსულიყო. ვერ გაარჩია ამ ხალხში სტრუქი. ხალხმა ჯადოქარი მოჯირითე იცნო, იფიქრა — ჩვენ გეოქნეეს ხელს, გვემშვიდობებაო, და ათასი ხელი აღიმართა

ზევით, უქნევდნენ ცხვირსახოცებს, ქუდებს, ეძახდნენ:

- არ დაგვივიწყოთ!
- ნახვამდის!
- კეთილი მგზავრობა!

„ერთი შეახედა ჩემს ცოლ-შვილს, როგორ მემშვიდობება ამოდენა ხალხი“ ფიქრობდა ილიკო და თვითონაც ძანამდე იქნედა ხელს, სანამ მატარებელი ნაშანსვეტს არ გასცდა.

ათ დღეს დაჩჩნენ სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში კირილე ავეანდაძე, ნესტორ კერესელიძე და კალენიკე ჩხაიძე. კოლმეურნეობამ ნერგების ნახევარი კოლმეურნეებს დაურიგა. დანარჩენი კოლმეურნეობის ფართობზე გააშენა.

ვენახის გასაშენებელი მიწა კირალემ ამოარჩია. თვითონ დაგეგმა, თვითონ ხელმძღვანელობდა დარგვას. ბაღში კალენიკე ტრიალებდა, პლანტაციის ნესტორი. ცხრა დღეში დამთავრდა, ვაზის, ხეხილის და ციტრუსის გაშენება კოლმეურნეობის ფართობებზე და საკარმიდამო მიწებზე. მეათე დღეს კირილე, ნესტორი და კალენიკე სტრუქს ესტუმრნენ და თავისი ხელით გაუშენეს ვენახი, დაურგეს ვაშლი, მსხალი და ციტრუსი. შემდეგ ნიკიტა შუმინოს ეზოში დატრიალდნენ და ერთი მეტრი მიწა არ დაუტოვებიათ დაურგავი.

5

ხუთი წლის იყო შალვა ჩაჩავა, მამით რომ დაობლდა. შალვას და მის სამ დაძმას ბაბუა ანთიმოზი ზრდიდა. ანთიმოზი უღარიბესი გლეხი იყო. იგი წელზე ფეხს იღვამდა, დღე-ღამეს ასწორებდა შრომაში, რომ შვილიშვილებს მჭადი არ მოჰკლებოდათ. მონუცს არაიენ ჰყავდა დამხმარე — არც ჰეზობელი, არც ნათესავი. მას ერთხელ გაჭირვებამ ისეთი რამ ჩაადენინა, რომელსაც სიკვდილამდე ნანობდა. ამან შეუმოკლა სიცოცხლე.

ახალი წელი კარზე იყო მომდგარი. სოფელში საკალანდო ღორებს ასუქებდნენ, თეთრი პურის ფქვილს ყიდულობდნენ ღვეხელისათვის, ახალ ტანსაცმელს იყრავდნენ. ყველა ემზადებოდა ახალი წლის შესახვედრად, გარდა ანთიმოზის ოჯახისა. ვერ მოითმინა ანთიმოზმა. იფიქრა, ახალ წლამდე იქნებ რაიმე სამუშაო ვიმოვო შეკვეთილში და ორი-სამი გირვანქა პურის ფქვილის კაპიკები შევაგროვო.

არ გაუმართლა ბედმა მოხუცს. პეკრნი იყვნენ ჩამოსული შეკვეთილში ანთიმოზით გაკვირებულნი. ის ორ დღეს დაყილობდა იქ. მესამე დღეს შიმშილისაგან შეწუხებული, ზღვის ნაპირზე ეგდო. ამ დროს ქობულეთიდან მოსული ბაიდიდან ოქროსფერი სიბრძით გაწყობილ ჩაქურაში გამოწყვბილი ახალგაზრდა ვაჭარი გადმოვიდა. ხელში ორი ჩემოდანი ეჭირა, იქვე ზღვის ნაპირას მდგარ საბაყლოში შევიდა. ისე მოხიბლა ანთიმოზი ვაჭრის მდიდრულმა მორთულობამ, რომ უნებურად გაჰყვა უკან და ისიც საბაყლოში შევიდა.

— ეს ჩემოდნები შემიწახე, ივლიანე, — უთხრა ვაჭარმა ბაყალს. — სახლიდან ბიჰს გამოვგზავნი და იმას გამოატანე.

ვაჭარმა ჩემოდნები დახლის ქვეშ მოათავსა. ანთიმოზი უმალ გარეთ გავიდა. ერთხანს ზღვისპირას იჯდა. ზღვიდან ისეთი გამყინავი ქარი ჰქროდა, რომ ძვალ-რბილში ატანდა. სიცივემ და შიმშილმა ზეზე წამოაგდო მოხუცი. ვაჭრის ჩემოდნები ედგა თვალწინ, შიმშილისაგან შეწუხებულს შეილიშვილების ტირილის ხმა უწყიალებდა ყურებში. ვერ გაიგო, როგორ შევიდა საბაყლოში.

— დასწყევლოს ეშმაკმა ჩემი გაჩენის დღე, — ჩაილაპარაკა მან ხმამაღლა და დახლის წინ შედგა.

ბაყალმა გაკვირვებით შეხედა მოხუცს — რა დაგმართიაო, ჰკითხა ცივად.

— რაღა რა დამემართა, სხვის საშახტრში უნდა დავლიო სულელად ჩნის კაცმა. პირუტყვს არ იმკვიდრის, ვერ გორც ჩემი ბატონი მე შექცევა. გადმომილე, თუ მშა ხარ, ჩემოდნები რომ დაგიტოვა იმ ოჯახდაქცეულმა, — უთხრა ანთიმოზმა ბაყალს და თუთუნის გაწყობას შეუდგა.

ბაყალმა ჩემოდნები წინ დაუწყო ანთიმოზს. მოხუცი ერთხანს გაშტერებული დასცქეროდა ჩემოდნებს: „რას ჩავდივარ?“ ფიქრობდა იგი, მაგრამ ამ ფიქრს უმალვე სხვა ფიქრი სცვლიდა. „ბავშვები, მშვიერი ბავშვები!“

— რას უდგახარ, წაილე, თუ მივაქვს, — გაუწყრა ბაყალი ანთიმოზს.

ანთიმოზმა ჩემოდნებს ხელი დაავლო, მაგრამ ემშიმა. შეატყო, ვერ მოერეოდა.

— ერთი მეტრი ბაწარი გადამიკერი, თუ ღმერთი გწამს. მძიმეა, ხელით ვერ ვატარებ. გადავაბამ ერთმანეთს ჩემოდნებს და მხარზე გადავიკიდებ. ჩემი ბატონი არ დაგიკარგავს პატივისცემას, — უთხრა ანთიმოზმა ბაყალს.

ბაყალმა ერთი მეტრის ნაცვლად ორი მეტრი ბაწარი გადაუჭრა და ჩემოდნების აწევაში მოეხმარა, მხარზე გადააკიდებია მძიმე ტვირთი. ანთიმოზი გულდამშვიდებით გავიდა დუქნიდან. შეკვეთილის ბაწარი რომ გაიარა, გზა მიატოვა და საკალანდო ტყეს მისცა თავი. სოფელში ღამე შევიდა, რომ არავის ენახა ჩემოდნებით დატვირთული. იმ ღამეს კი გაიხარა ანთიმოზმა და ობლებიც გაახარა ჩემოდანში მოათავსებული ქონებით, მაგრამ მერე მოსვენებას არ აძლევდა თავისი საქციელი. რა არ იყო ჩემოდანში — ოქრო, ვერცხლი, ფართალი. ხუთ წელიწადს არჩინა ამ სიმდიდრით ოჯახი ანთიმოზმა, მაგრამ ათი წლით შეიმოკლა სიცოცხლე.

შალვა თექვსმეტი წლის იყო, ბაბუა რომ გარდაიცვალა. მას დედის კალთიდან დაჰყვა შრომისა და სწავლის სიყვარული. ანთიმოზის სიკვდილის შემ-

დღეს შეიქნა ოჯახის მარჩენალი. კომკავშირში გაიზარდა; კოლმეურნეობის ჩამოყალიბების პირველ დღესვე გახდა მისი წევრი; შვიდი წელიწადი ბრიგადირად მუშაობდა აქ; მერე პარტიორგანიზაციის მდივნად აირჩიეს.

სანდროს უკრაინაში გამგზავრებისას გამგეობამ შალვა დატოვა თავმჯდომარის მოვალეობის ამსრულებლად. ის ახლა დამოუკიდებლად უნდა გაძლიერებული მთელი კოლმეურნეობის საქმეს. საქმე კი ბევრი იყო: უნდა შეეხებინათ ციტრუსების ნარგავები, შემოეყარათ მიწა, გაეკეთებინათ მათ გარშემო ნაღისებური კელები, გასაჭრელი იყო წყალსაწრეტი თხრილები, ათ კექტარზე ჩანს ახალი პლანტაცია უნდა გაეშენებინათ. კიდევ ბევრი რამ იყო გასაკეთებელი და ყოველივე ამას შალვა ისე უნდა გასძლიერებდა, რომ კოლმეურნეობას სანდროს აქ არყოფნა არ დასტუბოდა.

დღეგაციის გამგზავრების მეორე დღესვე შალვამ კოლმეურნეობის საერთო კრება მოიწვია. დღის წესრიგში მხოლოდ ერთი საკითხი იდგა. ღირსეული საწარმოო მაჩვენებლებით უნდა დახვედროდნენ უკრაინიდან დაბრუნებულ დელეგატებს. კრებამ გადაწყვიტა, მათ ჩამოსვლამდე დაემთავრებინათ ყველა საშემოდგომო სამუშაო. თითოეული ბრიგადა თავმჯდომარის დაბრუნების მეორე დღესვე უნდა გამოცხადებულიყო მასთან და უნდა ეპატაკა ბრიგადაში ჩატარებული სამუშაოების შესახებ და გადაეცა იმ კოლმეურნეთა სია, რომელთაც განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწიეს.

ჩანს კრების სეზონის დამთავრების შემდეგ ცოტა ხნით დასვენებული სათემო ზარი კვლავ ავტუბუნდა. ჯერ კიდევ გათენებული არ იყო, რომ შალვამ თვითონ შემოჰკრა ზარს. მაგრამ დაავიანდა, რამდენიმე ბრიგადა კარგა ხნის გასული იყო სამუშაოდ.

— დაგასწარი, დაგასწარი, შალვა! — ისმოდა ნაკვეთებში ქაღალდის ხმამაღალი შეძახილს დასკრეთუნდა. ზარი კი გუგუნებდა და გუგუნებდა. მაგრამ, აი, გაისმა ბრიგადის ზარების წკრიალი სხვადასხვა მხრიდან.

— გასულან სამუშაოდ, — თქვა შალვამ ღიმილით და ხელი შეუშვა ზარის თოკს, — დამასწარეს.



საშემოდგომო სამუშაოები დამთავრდა. დელეგაცია დაბრუნდა უკრაინიდან. ილიკომ აივანზე გახსნა თავისი ბარგი, ნაყიდი, საჩუქრად მიღებული. ზოგი რამ აივანზე გაბმულ თოკზე გადაჰკიდა, ზოგიც აივანის მოაჯირზე დაალაგა, რომ ქვეყანას დაენახა, მტერს თვალი დავსებოდა, მოყვარეს გახარებოდა.

მან ცოლს თავისი ხელით ჩააცვა პალტო, თვითონ შეუკრა ღილები, იმდენი აბრუნა და ატრიალა, თავებრუ დაახვია ქალს.

— შეხედეთ დედათქვენს, — ეუბნებოდა შეილებს, — პატარძალს არა ჰგავს, დედოფალს არა ჰგავს?

კრებდენის კაბაც თვითონ უნდოდა ჩაცმია, მაგრამ ქალმა არ დაანება, ხელიდან გამოსტაცა, უკანა კარში გავარდა და სახლის ლაფარეში გადაიცივა.

ბავშვებმა დაიტაცეს თავისი ფეხსაცმელები, შარვლები, პალტოები, ქუდები. ერთი ყვილ-ხივილი და წოკი ჰქონდათ.

— გაიხარა საწყალმა ილიკოს ოჯახმა.

— შვიერი ბავშვების ტირილი ისმოდა სულ ილიკოს სახლიდან და ახლა ხედავ, რა სიხარული უდგათ? — ეუბნებოდნენ ილიკოს ბედნიერებით გახარებული მეზობლები ერთმანეთს.

ილიკო ნავაპრის განაწილებას რომ მორჩა, ფეხზე წამოდგა.

— აბა, სმენა და გაგონება იყოს ახლა! — შესძახა ცოლ-შვილს. ცოლი და

ბავშვები მაშინვე დაჩემდნენ, ილიკოს მიაჩერდნენ.

— მოგწონთ, რაც მიიღეთ?

— მოგწონს კი არა, ჰკუის დასაყარ-გავია, — უთხრა ახალ კაბაში გამოწყობილმა დესპინემ ქმარს. იგი ათი-თხუთმეტი წლით გაახალგაზრდადებულს ჰგავდა, ლოყები ანთებოდა, თვალები უბრწყინავდა.

ილიკომ უღვაშებზე გადაისვა ხელი.

— დესპინე, ჰკუის დასაყარგავი შენა ხარ, ჰირიმე, — უთხრა ცოლს, მაგრამ ბავშვების შერცხვა. უხერხულად ჩაახველა. — ვინ მოგიტანათ ეს საჩუქრები? — ჰკითხა გაჯავრებული ხმით ბავშვებს.

— შენ, მამა!

— ჩვენმა მამიკომ! — მიაძახეს ბავშვებმა.

— ღუტ, სუუ, არ თქვათ, ეგ მე არ მომიტანია...

— აბა ცუცუნია?

— შენ მოგიტანე, ცუცუნი? — მოუბრუნდნენ ბავშვები ცუცას.

— ღუტ-მეთქი! — დაუტია ილიკომ ბავშვებს ისევ, — არც ცუცუნია.

— აბა ვინ მოიტანა, შე კაცო?! — გაოცდა დესპინე.

— ვინ და ბუჩქმა.

— ბუჩქმა?!

— ჰო, ჩაის ბუჩქმა, პლანტაციამ დაგვიფასა მოვლა და შრომა, ერთი ასად გადაგვიხადა, ხალხში გამოგვიყვანა, თავი დაგვადგა, ჩაგვაცვა და დაგვახურა, გაგაძლო, ოჯახი აგვიყსო. გესმით, რა ყოფილა ჩაის ბუჩქი, რა ყოფილა პატიოსანი შრომა? გესმით, რას გუუბნებთ?

— გვესმის, ილიკო, — უთხრა დესპინემ, — უნდოდა ეთქვა, მე დიდი ხანია ეს მესმოდა, ოღონდ შენ ვერ გაიგე დღემდეო, მაგრამ საიღი შეიკავა. არ უნდოდა ასეთ ბედნიერ წუთებში გული ეტკინა ქმრისათვის.

— ჰოდა, კარგად დაიხსოვით ეს. აწი თავზე შემოკველოთ ბუჩქს, თავი შეე-

წიროთ კოლმეურნეობას. ჩვენი ოჯახი, ჩვენი მარჩენალი და მასულდგმულკებელი იგია. ახლა მიპატავით, სახლში დარჩენილმა რა გააკეთეთ ჩვენს აქ არ ყოფნაში.

— რა ექნათ, მამა? — ჰკითხა ბუცუნია. ვერ გაიგო რას ნიშნავდა სიტყვა „მიპატავით“.

ვერ გაიგო ეს სიტყვა ვერც დესპინემ და ვერც ხახუტამ.

ილიკომ კისერი მოიღერა, თავმომწონედ გადახედა ცოლ-შვილს.

— არ იცით, რას ჰქვია პატაკი? პატაკი ჰქვია იმას, თუ რა ჰქენით, რა გააკეთეთ, როგორ იმუშავეთ...

— კარგად ვიმუშავეთ, მამა, — შეაწყვეტინა სიტყვა ილიკოს ხახუტამ. — პლანტაცია სულ შევბარეთ...

— სასუქიც შევიტანეთ, — არ აცალა ხახუტიას ბუცუნია. — მე და ხახუტიამ შალვა ბიძიას ეთხოვეთ და იმან ერთი ურმით მეტი მოგვცა ფოსფორი.

— ყოჩაღ ვაყვაცებო, ყოჩაღ ჩემო შალვა. — დაფიქრდა შალვას ხსენებაზე, ცოლს შეხედა. — იცი, რა გადაწყვეიტი, დესპინე?

— რა გადაწყვეიტი ილიკო?

— პარტიაში უნდა შევიდე.

— უიმი, ამხნის კაცი... რა დროს შენი პარტიაში შესვლაა, შე კაცო.

— პარტიაში შესვლა არასოდეს არ არის გვიან, ჩემო ცოლო. აქამდე რა პირით მეთხოვა, პარტიაში მიმიღეთო, არ მქონდა პარტიის წევრობა დამსახურებული. ახლა ვინ მეტყვის უარს?

— არა, უარს არ გეტყვიან, — უთხრა ცუცუნია ილიკოს. — ოღონდ იცოდე, მამა, აწი უკეთ უნდა იმუშაო, რომ თქვან — პარტიაში ტყუილად არ მიგვიღიაო.

— მუშაობაში ილიკო თავს არ შეირცხვენს, — აწი ახალ საქმეს უნდა მოკვიდო ხელი. აქაც დავანახებ ქვეყანას, რისი გამკეთებელი ვარ, რისი შემძლე ვარ.

— რა საქმის დაწყებას აპირებ, ილიკო? — ჰკითხა დესპინემ.

— ხორბალი უნდა დავთესოთ ჩვენს კოლმეურნეობაში. მეპურეობას უნდა მოვკიდოთ ხელი. ახალი ბრიგადის ჩამოყალიბებას აპირებს თავმჯდომარე, ბრიგადირად ილიკოს ნიშნავენ.

— მერე ჩაის თავს ანებებ, მამიკო?! — გაიკვირვა ბუკუნამ.

— ჩაის თქვენ გიტოვებთ, მე ისილოსთან გადავალ. გადაწყვეტილი მაქვს, ჰექტარზე ოცი ცენტნერი ხორბალი მოვიწიო. იცით, რამდენია ოცი ცენტნერი — ასოცი ფუთი. ვალოდია ლიაშენკოს უნდა გავეჯიბრო. გახსოვს, დესპინე, წინათ სახაჭაპუროდ თუ ვიყიდიდით პურის ფქვილს უქმეებზე ან ორმოცზე გირვანქა-გირვანქობით, თორემ ისე ერთ ფინჩხას ვერ ნახავდა კაცი ჩვენს ოჯახში. მაღე ტომრებით მექნება ჩვენს მიწაზე მოწეული ...ნოვოუკრაინკას... ფქვილი.

ილიკომ მისთვის ცხენის ჩუქების და დოღში გამარჯვების ამბავი ბოლოს მოჰყვა.

— მე იქ რომ თავი ვისახელე და საქართველო ვასახელე, ისე სსახელოთ გველოთ, შეილებო, თქვენი სიცოცხლემთელი იპოდრომი ფეხზე ამდგარი მიყურებდა...

— ვინ გიყურებდა, მამა? — დაინტერესდა ხახუტია.

— იპოდრომი. არ იცი რა არის შეილო იპოდრომი? — დიდად განსწავლული კაცივით გაიკვირვა კვლავ ილიკომ. — იპოდრომი ის მინდორია, სადაც მარულა იმართება. ხალხისათვის საუდომებია გაკეთებული, საპატრუცემულო მაყურებლისათვის — ტრაბუნები. ცხენია, მარა რა ცხენია, დესპინე. ავ თვალს არ შეეხედება, რაშია, რაში. ოუ, რავე შევეყვი ლაპარაკს, დაღამებულა... — ილიკო წამოდგა. აბა შენ იცი, როგორ ვახშამს მოგვიმზადებ ამელამ, დესპინე. მე წავალ, ნაკვეთს დავხვდავ. ვნახავ თქვენს ნამუშევარს.

თქვა და აივნის ბოძზე ჩარტობილი წაღდი მოაძრო, ილლიაში ^{გამოედღო} და ეზოში გავიდა.

ილიკო ელდანაკრავივით შედგა თავის პლანტაციაში. იგი თვალს არ ამორებდა ჩაის ბუჩქების მწკრივს. უნდოდა ხმა ამოედო, დაეყვირა, ვან დამღუპა, ვინ ამოავდო ჩემი ოჯახიო, მაგრამ ენა არ ემორჩილებოდა. ერთხანს თვალგაშტერებული დასცქეროდა საქონლის მიერ გადაძოვილ ბუჩქებს, მერე სწრაფი ნაბიჯით გაჰყვა საქონლის ნაკვალევს და უცებ მღულარე შესხმულივით შეჰყვირა.

— კახა დედაკაცს გამოუჭრია ჩემთვის ყელი.

ილიკო ნაკვალევმა ნინუცის ეზოს ღობესთან მიიყვანა. მის პლანტაციას ნინუცის ეზო საზღვრავდა.

— შეხედე იმ ურჯულოს, განგებ შემოურეკავს საქონელი, — წაიღულღულა კბილების ღრჭიალით ილიკომ და ღობესთან შედგა. — ალბათ დამეშლის ღობეს, შერეკავს მის ჭირიან ძროხებს და თხებს და გათენებისას, საქონელს რომ გადარეკავს, ისევ ამოლობავს. დამაცა, მე თუ შენ თმით არ მიგაბა ამ მესერზე, ილიკო ზედობანიძე არ ვიყო, — თქვა მუქარით და იქვე ჩირგვებში ჩაჯდა. გადაწყვიტა, დაედარაჯა ნინუცისათვის, ეცლია, როგორ გაარღვევდა ღობეს და შემორეკავდა საქონელს.

დიდი ხანი მოუხდა ილიკოს ჩირგვებში ჯდომა. ეშინოდა, ნერვიულობდა. აქ ამხელა კაცი ასე ჩაცუცქული რომ დაინახო ვინმემ, რას იფიქრებო. მაგრამ იცოდა, ამ დროს მის პლანტაციაში არავინ შემოვიდოდა წყეული ნინუცის და მისი საქონლის მეტი.

კარგად შეღამებული იყო, ნინუცის ეზოში საქონლის ფეხის ხმა და თხების კოკინი რომ გაისმა. ილიკომ წეროსავეით ამოჰყო ჩირგვებიდან თავის გრძელ კისერზე შემდგარი თავი და მოულოდნელობისაგან სახტად დარჩა. საქონელს

ნინუცი კი არა, იაკობა ჩიკაშუა მოე-
ჩეკებოდა.

„ამას რას ხედავს ჩემი თვალებში? შე-
ხედეთ ამ სულძაღლს, რას სჩადის. რას
იზამ ახლა, ილიკო? არ გაუჩეხავ წალ-
დით თავს?“ თქვა გულში ილიკომ და
წალდი მოიმარჯვა. მაგრამ წამოდგომა
ვერ გაბედა. იაკობასაც წალდი ეკარა.
იგი ბრგე ტანის ორმოცდაათი წლის ვა-
ჟაკი იყო. ერთ დროს სახელგანთქმუ-
ლი კონტრაბანდისტი დაუნდობელ და
ვერაგ აღამიანად იყო ცნობილი მთელ
მაზრასში. მგლის მუხლი და ვეფხვის
ძალა აქვსო, ამბობდნენ იაკობაზე სო-
ფელში, ვინდ კაცი მოუკლავს, ვინდ
წიწილი, მაგისტოვის ერთიანო. ამიტომ
წახდა ილიკო, შეეშინდა. იაკობასი
ბევრს ერიდებოდა სოფელში, არ უყ-
ვარდათ, არ მეზობლობდნენ და არ
მეგობრობდნენ მასთან. ძველად ბევრი
აგი საქმე ჰქონდა მას ჩადენილი. ერთ-
ხელ ის, კონტრაბანდით დატვირთული
მესაზღვრე ცხენოსან ჯარისკაცს შეუ-
ნიშნავს, მაგრამ იაკობას მოუსწრია
ხურჯინის გადადგება; ჯარისკაცს საექ-
ვო კაცად შეუცნია; უკითხავს, აქ რა
ვინდა, სადაური ხარო. ეკლესიის ვადა-
ღმა ვცხოვრობო, უბასუხია ჩიკაშუას.
ეკლესია სად არისო, ვაკვირებებია ჯა-
რისკაცს. ეკლესია ვაღმა ვახლავსო. არ
მოსწონებია მისი პასუხი მესაზღვრეს,
დაუკავებია და უბრძანებია, საყარაუ-
ლოში ვაპყლოდა. იაკობას თავი მოუ-
საწყლებია, აკოკლებულა, ძლივს მიათ-
რევდა თურმე ფეხს. შესცოდებია ჯა-
რისკაცს. თან უფიქრია: მან თუ ასე ია-
რა, როდის მივალთ საყარაულომდეო?
ცხენი გაუჩერებია და უკან შექოუს-
ვამს. იაკობა, ვითომ იმის შიშით ცნენი-
დან არ გადმოვვარდეთ, ორივე ხელით
ჩაფრენია ჯარისკაცს მაზრასში. როცა
ჯარისკაცი მთლიანად მინდობია, იაკო-
ბას ჯიბიდან თავისი ორი მტკაველის
სიგარძე ბებუთი ამოუძვრენია, ჯარის-
კაცის მოკვლა გადაუწყვეტია, ამოურ-
ჩევია ადგილი, თუ სად დაეკრა მახვი-
5 „მნათობი“ 26 7.

ლი, მაგრამ შეშინებია — ქვეყანას შე-
სძრავენ და სალდათინ ქვეყნის
იპოვნია. სხვა გზა არაა, თუ გულ-
ბიდან თავის დასაღწევად. ერთ ღრმა
გუბეში გასვლისას ბებუთი ცხენისა-
თვის ისე ღრმად დაუტრავს, რომ ტა-
რამდე ჩასვლია პირუტყვეს ფერდში.
ცხენი გუბეში წაქცეულა, იაკობას დრო
უხელთია, გადმოხტომა მოუსწრია და
ტყისათვის მიუცია თავი.

„მოდო ახლა და ასეთ ავზაკს შეები
პირისპირ. — ფიქრობდა ჩირგენარში
გალურსული ილიკო. — ოროყანი წა-
ლდი მაინც არ ეჭიროს ხელში. ერთი
მოქნევით შუაზე გამჩეხავს ამ ბედნიერ
ცხოვრებაში შესულ კაცს. არა, მაგას
სხვანაირად უნდა მოვეუარო. ნინუცი,
ჩაგამწარებ მაგ ვაყასთან გატარებულ
ღამეებს“, დამუქრა ილიკო ნინუცის.

იაკობამ ღობე აშალა, საქონელი
პლანტაციამი შეუშვა, მერე ღობე ისევ
ამოაკეთა. ერთი შეხება, როგორ მიე-
სიენენ ბუჩქებს ძროხა, უშობელი და
ექვსი სული კუჭვამხმარი თხა. მერე
თუთუნი შეახვია და გააბოლა.

— იაკობა, სადა ხარ ჰირიმე?

შეესმა ილიკოს ნინუცის ხმა.

— რამდენი მაგისთანა ჰირიმე, გყო-
ლია, იმდენი დანა დაგესო მაგ გარყე-
ნილ გულზე, — წაიჩურჩულა ბრახით
ილიკომ და თავი ამოჰყო ჩირგენარიდან.

იაკობა წასულიყო.

ილიკო წამოიჭრა, მივარდა თხებს და
ძროხას.

— არ გაბედოთ, — წაიჩურჩულა
დაყვავებით, — ნუ შექამთ, ცოდვია,
წაწყლებით, თქვე უბედურებო, ცეცხ-
ლად ჩაგივით მუცელში ხალხის ქო-
ნება.

პირუტყვებმა ბუჩქებს თავი მიანებეს
და თავზე მოჩვენებასავეით წამომდგარ
ილიკოს მიაჩერდნენ. ილიკომ მო-
მარჯვებული წალდი კინაღამ დასცხო
თავში ყელმოდერებულ ვაცს, რომელიც
ისე მისჩერებოდა, თითქოს ეკითხებო-
და, ვინა ხარ, აქ ვინ შემოგიშვა, ხელს

რად გვიშლი ჭამაში, გასწი, გაგვეცალღო.

ვერ გადაეწყვიტა, რა ექნა ილიკოს. პირუტყვი გამგეობაში გაერეკა და სოფელი ფეხზე დაეყენებინა? რა გამოვიდოდა ამით? ნინუცი იტყვის, მშიერი თხები ლობზე გადამხტარან და ძროხაც მათ მიჰყოლიაო. ვერა, ამით ვერ იყრის ნინუცის ჯავრს. სხვა აზრი დაებადა, ბუჩქს ქაჯივით გადაახტა, ნინუცის ლობესთან შედგა, ხელი მისი სახლისაკენ გაიშვირა.

— დამაცა, შე წუწკო, გნახავ, ხვალ ბლუჯა-ბლუჯა იგლეჯდე თმებს. ისე გაგიხდი საქმეს, იაკობამაც კი ვერ მოგაბრუნოს.

ეს თქვა და ქვევით ჩაჰყვა ლობეს, ნინუცის ციტრუსების ბაღის მესრები ამოაძრო ოთხ ადგილას, საქონელი პლანტაციაში შერეკა და მესრები ისე ჩაარჭო თავის ადგილს, კაცი ვერ გაიგებდა, თუ აქედან იყო შერევილი საქონელი. მიწაც მოაფხვიერა იმ ადგილას, რომ საქონლის კვალი წაეშალა.

— ეღლაბუცეთ, ეღლაბუცეთ ახლა ერთმანეთს, — შესძახა ბრაზით ილიკომ და უცებ გაიქილიკა: — კაი გუნებაზე არ დადგებით ხვალ დილით?

შეცდა გულზე ცეცხლმოდებული ილიკო: ანგარიში ვერ გაუწია იმას, რომ ნინუცის პლანტაციის აოხრებით სახელმწიფოს მიაყენა ზარალი. ნინუცის თითქმის ნახევარ პექტარზე ათი-ათუთმეტი წლიანი ლიმონის და ფორთოხლის ხეები ედგა და ყოველწლიურად დიდძალ ნაყოფს აბარებდა სახელმწიფოს. გვიან მოეგო გონს ილიკო. იგი შავფუროვით ტრიალებდა ლოგინში მთელი ღამე. ეს რა ჩაეიდინეო, ნანობდა გულწრფელად. რამდენჯერმე დააპირა წამოდგომა; წავალ, გადავრეკავ საქონელსო, მაგრამ გადაიფიქრა; გვიანაა, თავისი საქმე გაკეთებული ექნებათ უკვე იმ სამგლეებსო.

გათენებამდე ერთი ძილი იქნებოდა, საცვლების ამარა გამოსული იაკობა სა-

ქონლის გადასარეკად, რომ მოვიდა ილიკოს ნაკვეთში, ამოკეთებულს ლობზე გაარღვია და პლანტაციაში შევიდა, მაგრამ საქონელი იქ არ დახვდა. შეწუხდა. იფიქრა, ალბათ ილიკომ ნახა საქონელი და გამგეობაში წაიყვანაო. სახლში შებრუნდა.

ნინუცი ისევ ლოგინში იწვა.

— მოდი, ჭირიმე, — უთხრა იაკობას და კედლისკენ მიიწია, შიშველი მკლავები გაშალა.

— ნინუცი, საქონელი ვერ ვნახე.

— უიმე, არ მითხრა, — შესძახა ნინუციმ და წამოჯდა. მისმა მსუქანმა ფეხებმა ტყაპანი გაადინეს იატაკზე. — ნახეს ვითომ?

— უნახეთ და მგონი გამგეობაშიაც გაურეკათ, — თქვა იაკობამ და თუთუნის გახვევას შეუდგა, თან თვალს არ ამორებდა ნინუცის სავე წვივებს, პრილა მუხლის თავებს.

— გამომეჭრა ყელი და ესაა, — შესძახა ნინუციმ, იგი ღამის პერანგში მკერივი და ნატიფი ჩანდა. იაკობა თვალმოუშორებლად შესცქეროდა მას.

— ნინუცი, — თავი ვერ შეიკავა და წამოდგა იაკობა. — რატომ დგებო, ჭირიმე, დაწეი, — შიშველ მხარზე მოხვია ცვარისაგან დასველებული მკლავი, — დაწეი, — უთხრა ყრუ ხმით, — სანამ თავმჯდომარე არ მოვა კანტორაში, მაინც არავინ გამოგატანს საქონელს, — უთხრა და გულზე მიიკრა ქალი.

თეთრად გათენებული იყო და ნინუცი და იაკობა ისევ ლოგინში იწვნენ, ძროხის ბღაილი რომ შეესმა ნინუცის.

— ჩემი თეთრაა, — უთხრა ნინუციმ იაკობას. არ გახარებია ძროხის ხმის გაგონება, სიტკობების ბურუსში ახლა ამისი თავი არა ჰქონდა. მან ლოყა მოინაცვლა იაკობას მკერდზე და თვალი მილულა.

იაკობას ეძინა.

ცოტა ხნის შემდეგ კვლავ განმეორდა ძროხის ბღაილი. ნინუცის არ მოეწო-

ნა, არც ის, რომ ჭიშკრის მხრიდან არ ისმოდა იგი. წამოიწია, იაკობას გადა-
აღაჯა, კაბა გადაიცივ და აივანზე გა-
ვიდა.

— ფშიე, ფშიე, თეთრა! — დაუძახა
ძროხას.

— უმმ...ვე!

მოესმა ნინუციის ძროხის ბღაველი
პლანტაციიდან.

— დიღია, რაღაც უბედურებაა ჩემს
თავს! — შეიციხადა ნინუციმ და კიბე
ჩაირბინა, ეზოში გავიდა და აქ გულზე
შემოეყარა. — დავჭყეულვარ, დავმწვარ-
ვარ. მომეხმარეთ, ვინა ხართ ქრისტიან-
ნი! — შეჰკვივლა და პლანტაციისაკენ
გაიქრა.

იქიდან ტოტების მტერების ხმა და
ლაწანი ისმოდა.

— ია...ყო...ბა, შე სასი...კვდ...ი-
ლე! — დაიწვილა, ახორბულ პლანტა-
ციას რომ შეხედა, მაგრამ უმაღვე
ტუჩზე ხელი მიიფარა. ხალხი რას
იტყვის, იაკობას რომ ვუხმობო. ეს
ამოდენა დედაკაცი ისე გადააფრანდა
ალაგზე, გეგონებოდათ, ქორმა გა-
დაიქროლაო.

ნინუცის კივილზე იაკობა დაფეთ-
ბული გამოვარდა აივანზე. ერთხანს
დაბნეული იყო. ვერ მიმხვდარა იყო,
როდის ადგა ნინუცი, რა აცივლებდა,
რისთვის უხმობდა, მაგრამ, რა დაინახა
მის პლანტაციაში ძროხები და თხები,
მაშინვე მიხვდა ყველაფერს.

— ჰაიტ, ილიკო, გადაუხადე ნინუ-
ცის სამაგიერო! — წაიჩურჩულა ბრა-
ზით და ოთახში შებრუნდა.

ნინუცი წიოდა, თმებს იგლეჯდა და
საშველად მოუხმობდა მეზობლებს. ქა-
ლები, კაცები და ბავშვები ყოველი
მხრიდან გამორბოდნენ ნინუცის სახლი-
საკენ. იაკობას დარჩენა არ ივარგებდა,
ნინუცისას რომ ენახათ მეზობლებს,
რას იტყოდნენ. სწრაფად ჩაიკვა იაკო-
ბამ, უკანა კარიდან გავიდა, ლობეს გა-
დააბტა და თხილნარს მისცა თავი.

ილიკოს წარმატებამ და მისი ოჯახის

ფუხზე დადგომამ ნინუცის და მის მე-
ფულეს — აქესენტი მამდარაძეს სუსხ-
ლი მოუწამლა.

გინტლინიშვილი

— ძმარად ამოგედინოს ჩემს ოჯახში
ნაქვამი პურმარილი, — იტყოდა ხოლმე
ნინუცი, ილიკოს რომ მოკრავდა თვალს,
ან მის ხმას გაიგონებდა პლანტაცია-
ში. — რავა აკლავს თავს კოლექტივის
მიწას, რავა აშენდა და გაივსო. ლმერთი
რომ იყოს ქვეყანაზე, ამ გლახაკის საქ-
მე დლითილდე წინ უნდა მიდიოდეს და
აქესენტი მამდარაძის ოჯახის კი უკან?
რავა გაზულუქდა ეს ყაზახი? დესპინე
გუშინ გადამხრჩვალა დადიოდა, ცარიე-
ლი ტყავი იყო ის დედაკაცი და დღეს
თავის კანში აღარ ეტყევა. მის გავასა
და მკერდს რომ შეხედო, ოცი წლის
ქალიშვილი გეგონებდა. ის ცხვირმოუხო-
ციავი გომბიო, ცუცუნია სოფლის თე-ლი
არ შეიქნა? უიმე, ეს რა დღეს მოკვსწა-
რით, თქვენი ჭირიმე. რავა გადაბრუნდა
ქვეყანა.

აქესენტის დაბატიმრების შემდეგ ნი-
ნუცის მთლად შხამით გაევსო გული.
ილიკოს ნახვას ჭრელი გველის ნახვა
ერჩია. ილიკო რომ დღეგატად აჩრ-
ჩიეს, მაშინ ხომ კინალამ გადავიდა ჭკუ-
იდან და სწორედ იმ დღეებში გადაწყ-
ვიტა, რითიმე ევნო მისთვის. ბევრი
ფიქრის შემდეგ ილიკოს ნაკვეთის წახ-
დენა გადაწყვიტა. „ამ ნაკვეთმა ააშენა
და დაასახლა ჩემი გულის გასახეთქად.
ამ ნაკვეთმა დაადგა თავი და გამოიკვა-
ნა ხალხში“. თავისი განზრახვა იაკობას
გაუზიარა.

— ორ-სამჯერ რომ ჩარეკო ჩემი
მშვიერი ძროხა და თხები მის პლანტა-
ციაში, ისე გახდიან, კაცს არ შეეხედება.

არც იაკობას უყვარდა ილიკო, არც
მას ახარებდა მისი კარგი. კოლმეურნე-
ობა ხომ არ ეხატა გულზე და არა!
იგი ნინუცის თხოვნის შესრულებით
ორ საქმეს აკეთებდა, კოლმეურნეობა-
საც ავენებდა და ილიკოსაც.

კოლმეურნეობასთან და ილიკოსთან
იაკობას თავისი ანგარიში ჰქონდა: ხულ

სამი წელი იყო, რაც ის კოლმეურნობაში შევიდა; მანამდე გარე-გარე დადიოდა; ვაჭრობდა, ქურდობდა, კარტა და ზარს თამაშობდა; თვითონ არ მუშაობდა და სხვებსაც გულს უცრუებდა საქმეზე.

იაკობას პარპაშს ერთბაშად მოელო ბოლო. ერთხელ იგი სოფლის საბჭოში გამოიძახეს და ასე უთხრეს: თუ წესიერ ცხოვრებასა და მუშაობას არ შეუდგები, სოფელს დაგატოვებინებთო. იცოდა, თავის სოფლის გარეთ არ იკარგებდა; უწესო ცხოვრების ნებას არსად მისცემდნენ და იძულებული გახდა კოლმეურნობაში შესულიყო.

იგი ილიკოს ბრიგადაში ჩაირიცხეს. გაეხარა იაკობას: ფიქრა, ილიკოსის ხელში, როცა მინდა ვიმუშაებ, როცა მინდა არ ვიმუშაებო. შრომადღეებს კი ყოველთვის დაეაწერიანებო. მაგრამ არ გაუმართლდა იაკობას. ილიკოს დიდი ხნის ჯაერი ჰქონდა გულში მისი აჯახის. ერთხელ მარულის წინა ღამით ილიკოს ცხენი მოუკლეს. ილიკომ იცოდა, რომ ცხენი იაკობას მამის — რაქდენ ჩიკაშუას მოკლული იყო, მაგრამ საამისო საბუთი არა ჰქონდა და ვერაფერი შეჰხედა მკვლელს.

ამის შემდეგ მას ჩიკაშუების გვარი ჰქირავებდა შესაძლად. ყოველთვის ცდილობდა, როგორმე სამაგიერო გადაეხადა ან რაქდენისათვის, ან იაკობასათვის. როცა იაკობა მის ბრიგადაში ჩაირიცხეს, ილიკო სიხარულით ცას ეწია. «კაცი არ ვიყო, მე შენ უღელი თუ არ შეგადგა», დაეჟანდა გულში და მუშაობის დაწყების პირველი დღიდანვე კრიკაში ჩაუდგა იაკობას. ნამუშევარს უწუნებდა, თუ დღეს გააცდენდა, მაშინვე თავმჯდომარეს აცნობებდა, ძნელ დაეაღებას აძლევდა, ცხვირით მიწას ათხრევინებდა. იაკობას სიმწარისაგან სული ყელში ედგა, მაგრამ ხელეები შეკრული ჰქონდა. მას კოლმეურნობაში კარგი თვალთ არ უყურებდნენ და დიდი სიფრთხილე სჭირდა, რომ

თავი არ წაეგო. ამიტომ გაეარდა იგი ახლა ასე ელდანაცემივით ნინუცის სახელიდან.

მუშობლები ზოგი ალაგედან შემოვიდნენ ნინუცის ეზოში, ზოგი ჰიშკრიდან, ზოგიც ლობეზე გადმოხტა.

— რა ამბავია?

— რა დაგემართა, ნინუცი?

— იწვოდი, გვეგონა! — ეკითხებოდნენ მუშობლები.

— დავიწვი, აბა რა დამემართა, მუშობლებო. ამოვევარდი. ეს ორი ძირი ფორთოხალი და ლიმონი მედგა, და ისიც აღარა მაქვს ახლა, — მოსთქვამდა ნინუცი, ეზოში გადმორევილ თხებს და ძროხას ჰკოკით დასდევდა და გამეტებით ურტყამდა. — ალაგე აშლილი დამრჩენია წუხელ, მე წყეულს და დავიქეცი. აბა რა დამემართება უმამაკაკო ოჯახში, — ამას ამბობდა ნინუცი და თან იმაზე ფიქრობდა, როგორ გადავიდნენ ილიკოს ნაკვეთში ჩარევილი ეს წყეული თხები და ძროხა მის ბაღში. ის უკვე ნანობდა, რომ წივილ-კივილი ატეხა და მუშობლები შეჰყარა. «ალბათ ლობე ილიკოს ნაკვეთიდან შემომამტვრია ძროხამ. ახლა თუ ნახეს, რომ იქიდანაა შემოსული ეს სამგლეები, მაშინ ხომ მთლად გამისკდა მიწა და ისაა, კოლმეურნობას რომ გადავეურჩე, ილიკო არ გამიშვებს ცოცხალს».

არავინ დაინტერესებულა, თუ საიდან შემოვიდა ნინუცის ბაღში საქონელი. მუშობლებმა ერთი-ორი მანუგაშებელი სიტყვა უთხრეს ნინუცის და მალე დაიშალნენ.

ნინუცისაც ეს უნდოდა. მან საქონელი შუქაში შერევა და სახლში შევიდა. რა დაემართა იაკობას, ქვეყანა დაეაქციე კივილით და ნუთუ ასე მაგრად სძინავს, არაფერი გაუგიაო.

ამ დროს თხილნარიდან გამოსული, სირბილით გულამომჯდარი იაკობა თემშარაზე გამოვიდა და, ის იყო თავის ბრიგადის პლანტაციისაკენ დევნა, რომ წინ ილიკო შემოეყარა.

— გამარჯობა, იაკობა, რა წივილ-კვილია ნინუციასა, თუ იცი, რა დაემართა იმ საცოდავ ქალს?

— ნინუციას ამბავს მე რად მეკითხები, — ცივად მიუგო იაკობამ.

— შენ რაღა დაგემართა, ადამიანის ფერი არ გადევს. სად გირბენია ამდენი, რომ გული ამოვარდხაზე გაქვს?

— რეებს მიედ-მოედები, ყაზახო, — შეუტია იაკობამ ილიკოს და თვალი გადაუბრიალა. — შენ გულს მოუარე და შენს კანში დაეტიე, თავი თუ არ მოგძულდება.

— მე კი ვეტყვი ჩემს კანში, მაგრამ შენ რომ ასეთი შიშნაქამი არასოდეს მინახავხარ ეს მაკვირებს. ეს ხალათი უკულმა რად ჩაგიცვამს. ან ქუდი სად დაგჩა?

— ილიკო! — შესძახა ბრაზისაგან გაცოფებულმა იაკობამ და ქამარზე ჩამოკიდებულ დანაზე გაისვა ხელი.

— ჭკუით იყავი, იაკობა, — უთხრა ცივად ილიკომ და თვალი გაუსწორა იაკობას. — იმ კახა ქალმა ბევრი მამაკაცი შეიწირა და, როგორც ჩანს, ახლა შენა ჯერი დადგა.

— რას მიქპარავ?

— რაც წუხელ მიქპარე, იმას ჩაუფიქრდი.

— ნუ დამლუპავ, ილიკო, — წახლდა უცებ იაკობა. დანას ხელი შეუშვა. — ნინუციამ შემაცდინა.

— მამაშენი რაედენია ვინღა შეაცდინა, ცხენი რომ მომიყლა ამ ათი წლის წინათ.

— გვაპატიე, ილიკო.

— ხომ ნახე, რა რაში ჩამოვიყვანე უკრაინიდან. რაყდენი შურისაგან საფლავში გადაბრუნდება ახლა.

მარჯვნივ შუკაში თემშარისაყენ მომავალი კოლმეურნეების ლაპარაკის ხმა ახლოვდებოდა.

— ილიკო, არ დამასმინო, ნუ ჩავარდები ჩემი ცოლ-შვილის ცოდვაში, — შევედრა იაკობა.

— ერთი თვე ვადას ვაძლევ, იაკობა, თუ ერთგული შრომით დაიმსახურებ პატიებას, ვაპატიებ, თუ არა, — ორი კაცი მყავს მოწყვე, თუ როგორ ვაძლევ წუხელ ღობე და ნინუციას საქონელი გადმორეკე ჩემს ნაკვეთში.

— შემაცდინა-მეთქი იმ გარყვენალმა, ილიკო.

— შრომით გამოასწორე შენი შეცდომა, ეს მითქვამს. — უთხრა ილიკომ, ზურგი შეაქცია იაკობას და თავის ნაკვეთში გასწია.

6

ისილო კვაჭაძის კომკავშირული ბრიგადა, ასე ეწოდა ბრიგადას, რომელშიაც გარდა ილიკოსი და რამდენიმე კაცისა, თითქმის ყველანი ახალგაზრდები იყვნენ. ისინი განათვისუფლებული იქნენ პლანტაციოში მუშაობისაგან და მხოლოდ პურისა და სიმინდის ყანა მოეჩინეს მათ.

ისილო შემოდგომიდანვე შეუდგა პურის საყანე მიწების მომზადებას. გამოირკვა, რომ ერთწლიანი კულტურებისათვის კოლმეურნეობას დიდძალი აუთვისებელი მიწები ჰქონია. ამ მიწებზე უხსოვარ დროიდან არ უთვისიათ. იგი ერთ ადგილას, იყო გაშლილი ვაკეზე და ტრაქტორი ადვილად იმუშავებდა აქ.

რაიკომის მდივანი ერთობ დაინტერესდა უკრაინელ მეგობართა ინიციატივით, მან თვითონ დაათვალიერა მიწების გამგესთან გრიშა ჭანიშვილთან ერთად ისილოსა და სანდროს მიერ შეჩვენული საყანე მიწა. მეორე დღესვე ორი ტრაქტორი გამოუგზავნა ბრიგადას და ყოველგვარი დახმარება აღუთქვა.

— დიდ საქმეს იწყებთ, ამხანაგებო, — უთხრა მან ბრიგადის წევრებს, — თუ გავვიმართლა და კარგად გაიხარა აქ პურმა, მაშინ იგი გავრცელდება არა მარტო თქვენთან, დასაყლებთ საქართველოს თითქმის ყველა რაიონ-

ში. გაისად თქვენთან მოვლენ, გამოცდილების გასაცნობად რამდენიმე ათეული რაიონის კოლმეურნეები. ჩვენ ისინი აგრეთვე თესლითაც უნდა მოვამარაგოთ. თქვენ შესახებ იციან ცენტრალურ კომიტეტში და სახკომსაბჭოში. ამ დღეებში თბილისიდან გვესტუმრება სპეციალური კომისია თქვენი წამოწყების გასაცნობად.

გრიშა ჭანიშვილი, სანდრო და პარტორგანიზაციის მდივანი ერთ დღეს ისე არ გაუშვებდნენ, რომ ისილოს ბრიგადაში არ მოსულიყვნენ. დილიდან გათენებამდე გუგუნებდა ტრაქტორი მინდორში, ძირიანად თხრიდა ხეებს, ბუჩქებს. იწვოდა ძეძენარი. ღამე ცეცხლის ზღვა მძვინვარებდა ველზე. კვამლი შავ ღრუბლებად ეკიდა ცაზე. ერთი ტრაქტორი გაკაფვავზე მუშაობდა, მეორე გაწმენდილ მიწას ხნავდა.

გრიშა ჭანიშვილმა თვითონ დაგვემა საწრეტი თხრილები.

მთელი დღე ილიკოს მწივანა ხმა ისმოდა ბრიგადაში.

— არიქა, არ შევრცხვეთ, მთელი საქართველო ჩვენ შემოგვცქერის, — აქუზებდა იგი კაცსა და ქალს — ამ მიწაზე თურმე ჩვენს წინაპრებს — კოლხელებს — ისეთი პური მოჰყავდათ ქამით ვერ გაძლებოდი. სად არ მიჰქონდათ ჩვენებს გასასყიდად პური და ღვინო. ჩვენ რატომ უკეთესი მოსავლის მოღება არ შეგვიძლია. მუშაობა არ ვიცით, მონდომება გვაკლია, თუ ტექნიკა არა გვაქვს. შეხედეთ, რას შერება ეს დალოცვილი ტრაქტორი. ამ მიწას ჩვენი თხის ოდენა ხარები მოხნავდა? უჰ, უჰ, რავე გულმუცლიანად აბრუნებს.

ილიკო თვითონ ამოწმებდა ნახნავის ხარისხს. ოცდახუთ სანტიმეტრ სიღრმეს ერთი სანტიმეტრიც რომ დაკლებოდა, ყვირილს მორთავდა. მთელ ბრიგადას შეჰყრიდა, წინ გადაუდგებოდა ტრაქტორს; ერთხელ დაუწვა კიდეცაა, გადამატარე ეგ ტრაქტორი და ჩამ-

ხანი ამ შავ მიწაში, თუ ასე იმუშავება რად გვინდა თავი ცოცხალყოფილი. სექტემბრის ბოლოს სექტარში მიწა გადახნული, თხრილები დასერილი და გამზადებული იყო.

ისილოს ბრიგადას სხვა ბრიგადებმაც მიბაძეს. სიმინდი კოლმეურნეობაში რამდენიმე წლის მანძილზე ერთი და იმავე მიწებზე ითესებოდა. სიმინდის საყვანე ნაკვეთებში სასულეი თითქმის არ შეჰქონდათ, ამიტომ კოლმეურნეობა შრომადღეზე სამ-ოთხ კილოგრამზე მეტ სიმინდს ვერ არიგებდა.

— ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ წელს რვა კილოგრამი სიმინდი დაჰარიგოთ, ნენა, — მოუწოდა კოლმეურნეობას კირილემ. — სიმინდს ჩვენ გამოფიტულ მიწაზე ვთესავთ, არ ვანოყივრებთ, არ ვრწყავთ. აი, მეთორმეტე ბრიგადა ათი წელიწადია „ოროკას“ ქალაზე თესავს სიმინდს. რატომ შეერქვა ამ მიწას „ოროკა“, იციან? იმიტომ, რომ ეს მიწა არც წინათ იძლეოდა მოსავალს. ორ ოყავზე მეტს ვერ აიღებ მაგ მიწიდან მოსავალსო, უთქვამთ ჩვენს წინაპრებს. რატომ აკლავს თავს ოროყიან მიწას მეთორმეტე ბრიგადა, ნენავ, როცა მის ტერიტორიაზე ორმოცი ჰექტარი აუთთვისებელი უყი მიწაა. გაკაფეთ ეს მიწა და მე კირილე ავეანდაძე არ ვიყო, თუ მაგ მიწამ ორასი ფუთი სიმინდი არ მოგვცეთ ჰექტარზე.

ასეთი მიწები სხვა ბრიგადებშიაც აღმოჩნდა და ბირაგადირებმა სოცშეჯიბრებებში გამოიწვიეს ერთმანეთი. ყოველმა ბრიგადამ ვალდებულება აიღო, ოცი ჰექტარი ახალი მიწა გაეკაფა სიმინდისათვის და ჰექტარზე საშუალოდ 35 ცენტნერი სიმინდი აეღო.

გენიჩესკიდან ოც აპრილს ჩამოვიდა ილიკოს მიერ გამოგზავნილი სამი კოლმეურნე. მათ მოუწონეს ისილოს დამუშავებული ნიადაგი. ყველა მზად იყო თესვის დაწყებისათვის ოცდაორ აპრილს მოცნარის მიწას საზეიმო ვითარებაში პირველად დაეცა ზოარზლის

მარცვლები. თესვა ხუთ დღეში ოთხთავა ბრიგადამ. ბუნებაც ხელს უმართავდა ისილოს. თესვის დამთავრების მეორე დღეს გაწვიმდა და ერთი კვირის შემდეგ ასი ჰექტარი მიწა მწვანე ხავერდით აღივლიდა.

დღე ისე არ გავიდოდა, კოლმეურნეები ჯეჯილის სანახავად არ მისულიყვნენ. მწვანე ხავერდი თანდათან შექდებოდა, ტანს იყრიდა, გულსა და სულს ახარებდა. გენიჩესკელმა კოლმეურნეებმა თავისი საქმე გააკეთეს, ბრიგადას წარმატება უსურვეს და სამშობლოში გაემგზავრნენ. ჯეჯილის ისეთი პირი უჩანს, რომ არ შეიძლება აქ ზღვამოსავალი არ მოვიდესო, ამბობდნენ ისინი. გენიჩესკელების წასვლის შემდეგ ისილო სისტემატურად ატყობინებდა ვალოდია შუმილოს ყანის ამბავს და მისგან სისტემატურად ღებულობდა პასუხს და დარიგებებს.

ახლადათვისებული სიმინდის ყანებშიც დიდ მოსავალს ელოდნენ მოცენარელები. სიმინდი დღითიდღე იზრდებოდა. კირილე დაჟინებით ამბობდა, რომ წელს ყოველ ჰექტარზე ორმოც ცენტნერ სიმინდს ავიღებთო.

ჩაისა და ციტრუსის პლანტაციებშიაც დიდი ცელილებები მოხდა. სანდროს წინადადებით პლანტაციები კოლმეურნეობის თითოეულ წევრზე გაპიროვნდა. ყოველ კოლმეურნეს რამდენიმე წლით გადაეცა პლანტაციის განსაზღვრული ფართობი. მას უნდა მოეწყო მისთვის და მოეკრიფა.

მთელმა კოლმეურნეობამ დაუჭირა მხარი თავმჯდომარის წინადადებას. თუ მე ვიქნები პასუხისმგებელი ჩემს ნაკვეთზე, მაშინ მე ყოველნაირად ვეცდები, მოსავლის გადიდებისათვის ძალა არ დავიშუროო.

დაიწყო მრავალწლიან ნარგავთა გაპიროვნება ცალკეულ კოლმეურნეებზე, ბრიგადებსა და რგოლებში. ელენეს რგოლის წევრებზე ნახევარ-ნახევარი ჰექტარი იქნა მიმაგრებული. ნაკვეთის

ჩაბარების აქტს პირველმა აგრაჟინმა ბედენიძემ მოაწერა ხელი.

— არ დამპირდება აწინდითსაქმენი გაღვიძება, — უთხრა მან ტატკიანს, ნინოს და მამოს. — არ დამელოდებით, როდის დაგვიძახებს აგრაჟინაო.

მართლაც, ნაკვეთების გაპიროვნების დღიდან შეწყდა სოფელში დილაობით ბრიგადირების და მერგოლურების ძახილი. არავის სჭირდებოდა სამუშაოდ ხმობა. არავინ ელოდებოდა ერთმანეთს. გათენებამდე გარბოდნენ თავის ნაკვეთში სამუშაოდ. ყველას უნდოდა, მისი ჩაის, თუ ციტრუსის ნაკვეთი უკუა ყოფილიყო მოვლილი, მეტი მოსავალი აეღოთ იქიდან.

ილიკო ბევრი ეხვეწა თავმჯდომარეს, ნუ შემიმცირებთ ნაკვეთს, მართალია, მე სხვა ბრიგადაში გადავედი, პურის საქმეს მოვიკიდე ხელი, მაგრამ სახლში მთელი რგოლი მყავს, აუვა ჩემი ოჯახი იმ პლანტაციას, რომელსაც აქამდე ყუვილიდითო.

სანდრომ არ დუჯერა, დესპინეს და ცუცას ნახევარ-ნახევარი ჰექტარი პლანტაცია მიუზომეს. ხახუტიამ და ბუკუნია ისწავლონ, მათ რომ ნაკვეთი მიუზომოთ, სწავლაში ხელი შეეშლებათ; დედასა და დას გაუმართონ ხელი თავისუფალ დროს და ამითაც კარგ დახმარებას გაუწვიენ კოლმეურნეობასო.



1941 წლის მაისმა ერთ ულამაზეს თაიგულად შეკრა მოცენარი. ირგვლივ ყველაფერი ჰყვავოდა და ხარობდა. კარგად მოვლილმა და სასუქით გამამდიარმა ჩაის პლანტაციამ თავი არ დაუღო პურის ყანას. გული ეტკინა, რომ მას შეხაროდა მთელი სოფელი და ჩაის ბუჩქების უხე მოსავალს ველარ ამჩნევდნენ ჯეჯილით აღტაცებულნი. აჩქარდნენ ბუჩქები, ყანამ არ დაგვეჯახნოსო, და ნაადრევად შემოვიდა ფოთოლი.

გაისმა სათემო ზარის მძლავრი გუგუნი. იგი ჩაის კრეფის სეზონის დაწყებას აღწევდა ორჯონიძის სახელობის კოლმეურნეების წევრებს. დაიძრა კაცი და ქალი თავის ნაკვეთებისაკენ. თუ წინათ მკრეფავი ცდილობდა, სხვისთვის დაესწრო მოსული ღუეების მოკრეფა, რაც შეიძლება ბუჩქთა ნეტი მწკრივების ჩაელას, რომ ამით მისთვის მიცემული გეგმა შეესრულებინა, ახლა ერთი წუთით ყველა შედგა თავთაიანთ ნაკვეთში. ახლა ყოველმა მკრეფავმა იცოდა, რომ ნაკვეთი მისია და მისთვის მიცემული ფოთლის მოკრეფის გეგმა ამ ნაკვეთით უნდა შეასრულოს. ამიტომ აუჩქარებლად, დაფიქრებით, გეგმიანად, აგროწესების სრული დაცვით უნდა ჩაეტარებინათ კრეფა.

დაიწყეს კრეფა. კრეფდნენ აუჩქარებლად, გულისყურით. დაუმწიფებელ ღუეს ტოვებდნენ, გაკრეფილ მწკრივს ხელახლა უბრუნდებოდნენ, მოსული ფოთლი მოუკრეფავი ხომ არ დაგვრჩაო. არ ჰქონდათ იმის შიში, რომ ამ დროს მეორე მწკრივს სხვა ვინმე გაკრეფავდა. ახლა მისწრებაზე აღარ მუშაობდნენ. ყველა თავისი ბუჩქის ბატონ-პატრონი იყო, ის აგებდა პასუხს თავის გეგმაზე, თავის ნაკვეთზე.

კრეფის დაწყების პირველი დღიდანვე ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ნაკვეთების გაპიროვნება მოსაელას გადიდების ერთ-ერთი უპირველესი პირობა იყო.

თავმჯდომარე ხელავდა, რომ წლებიანი მოსაელი ბევრად გადააპიროვნებდა შარშანდელს. შარშან თუ განუყოფელ ფონდში მილიონნახევარი ედო კოლმეურნეობას, წელს ორს-ორნახევარს მოელოდა სანდრო. დრო იყო ახლა სოფლის კეთილმოწყობაზე ეფიქრა. მისი ღიღინის ოცნებას შეადგენდა მდინარე სეფსაზე ჰიდროელექტროსადგურის აგება. ახლა ამის საშუალება ჰქონდა კოლმეურნეობას. უნდა აეგოთ საკუთრივ სოფო, მიეღოთ მონაწილეობა სკოლის

მშენებლობაში, მოეწყოთ ქობლამორატორია.

ამ საქმეში დიდი ფუნქციონირებდა შვეძლო ინჟინერ დათა თოდუას და ვალიკო გორდელაძეს. სანდრომ და შალვამ მოითათბირეს და გადაწყვიტეს, ბათუმში სტუმრებოდნენ დათას, გაეცნოთ მისთვის თავისი გეგმა და მათთან საუბრის შემდეგ წარედგინათ რაიკომის მდიენისათვის.

შალვა და სანდრო თხუთმეტ იენის დაბრუნდნენ ბათუმიდან. სამ დღეს მუშაობდნენ ისინი დათასთან ერთად კოლმეურნეობის კეთილმოწყობის ხუთწლიან გეგმაზე. შეადგინეს წინასწარი სქემა და გადაწყვიტეს კოლმეურნეთა საერთო კრებაზე გაეტანათ განსაბილველად.

სანდრო სადგურიდან პირდაპირ კანტორაში მოვიდა, ესწრაფებოდა, გაეგო რამდენად იყო შესრულებული ჩაის ფოთლის კრეფის თენახევის გეგმა.

აბესალომმა სასიხარულო ამბავი დაახვედრა თავმჯდომარეს. მაისის და ივნისის გეგმა კოლმეურნეობას ორასათი პროცენტით შეესრულებინა.

— ნამდვილად ბედნიერი წელიწადი გექნება, სანდრო, — უთხრა აბესალომმა, — ტაკოვო იზობილნოვო გოდა ნე ბილო ეშჩო უნას. — აბესალომი წამით დაფიქრდა.

— რა იყო, აბესალომ, რამ დაგალონა? — ჰკითხა სანდრომ.

— გაზეთებში ჩახედვის მეშინია, სანდრო. ნამეტანს შერებთან ფაშისტები...

— არ ხდება კარგი ამბები ქვეყანაზე, აბესალომ, — უთხრა თავმჯდომარემ მუდამ მხიარულს, სიცოცხლით და ხალისით სავსე აბესალომს. იგი გაკვირვებით შესტყეროდა მას. პირველად ხელავდა ასე ჩაფიქრებულს და დაღონებულს. — ამიტომ კიდევ უფრო უკეთ უნდა ეიმუშაოთ ახლა, აბესალომ!

— მუშაობას არაიენ აკლებს გულისყურს, სანდრო, თითქოს ხალხი გრანობს უბედურების მოახლოებას.

— ნუ წუწუნებ, აბესალომ, — შეამხნევა სანდრომ აბესალომი. — თუ გაუწყრათ ღმერთი ფაშისტებს და ჩვენს მიწაზეც შემოდგეს თავიანთი სისხლიანი ფეხი, საკადრისად დავხვდებით. შენ ეს მითხარი, ელენეს და არჩილის ქორწილის დღე რომ მოახლოვდა, რას ფიქრობ ამაზე?

— მთელი სოფელი ემზადება ამ ქორწილისათვის. ხალხი ამბობს, ელენეს და არჩილის ქორწილი სოფლის ზეიმად უნდა ვაქციოთო.

— ეს კი ასეა, მაგრამ ჩვენ რას ვაკეთებთ? ათი დღე-ღა დარჩა ქორწილამდე.

— ჩვენ ჯერ არაფერი ვაგვიკეთებია. შევებულუბაც არ მიგვიცია მეფე-დედოფლისათვის.

— შევებულუბა, — ჩაფიქრდა სანდრო. — როგორ მივცეთ მათ შევებულუბა... ვინ მოკრეფს ელენეს ნაკვეთს. ვინ გაუძღვება არჩილის შავივარდ ბრიგადას?

— ელენეს ნაკვეთის დარდი ნუ გაქვს. აგრაფინამ თქვა, ოღონდ ეს ბაღანა გაათავისუფლეთ ორი კვირით და მე, ტატანა, ნინო და მამო ერთ ფოთოლსაც არ დაუეკარავათო.

— ეს დიდებულია. არჩილს ვინ შესცვლის?

— ტატანა.

— ვინა?! — გაოცდა სანდრო.

— ტატანა, რატომ ვაგიკვირდა. უკეთესი კანდიდატი მეშვიდე ბრიგადაში არაფინაა.

— საოცარი კაცი ხარ შენ, აბესალომ. მართლაც კარგი იქნება ტატანა. მაგრამ, სიმართლე გითხრა, მე მისი ბრიგადირად დანიშვნა აზრალაც არ მომივიღოდა. ვნახოთ, რას ვაკეთებს. იქნებ მართლა გაუძღვეს ბრიგადას.

— ის კი გაუძღვება ბრიგადას, სანდრო. მე ამაში დარწმუნებული ვარ, მაგრამ ეს ოხერი გული შეუბნება, თთაქოს ორი კვირით კი არა, ძალიან დიდი ხნით ვცვლიდეთ არჩილს. სირცხვილია ამის

თქმა, მაგრამ ასე მგონია, — აი, ახლა ვაგიგებ ომის დაწყების ამბავს-მეთქი.

— ეს დაღლილობის მარცხივე სიტყვაა. რამდენი ხანია, ვაღუფრებო. აი, გადავიხდით ქორწილს და სანატორიუმში ვაგვზავნი, გინდ სოჭაში, გინდ კისლოვოდსკში, სადაც მოისურვებ, ოღონდ ქორწილი ისეთი უნდა მოვაწყოთ, რომ ჩიტის რძე არ აკლდეს სუფრას. ხომ იცი, უკრაინიდან გუესტუმრებიან ჩვენი მეგობრები. რითა შეგვიძლია დავეხმაროთ ქორწილში კრილეს და არჩილს?

— კირილესა და არჩილს ჩვენი დახმარება რაში სჭირდებათ! საესე აქვთ ოჯახი. — ლეინო აკლიათ, საკლავი, მქადი, თუ ყველი. გარდა ამისა, სოფელიც ემზადება. ილიკოს ხუთფუთიანი უშობელი უყიდა არჩილის ქორწილისათვის. ერთ დროს დასანახად ეზარებოდა ილიკოს არჩილი და ახლა მისივის და ელენესათვის პერანგს გაიხდის, ელენემ დააყენა გზაზე ჩემი ცუცუნიაო. ახლა სხვები რას იზამენ, ის უნდა ნახო. ზოგი საკლავს უმზადებს მეფე-დედოფალს, ზოგი ლეინოს, ვრინველს და, ვინ მოსთვლის, რას არ მოიტანენ იმ დღეს არჩილისა და კირილეს ოჯახში, — აბესალომი გაჩუმდა, ოცნებით ვაებადრა სახე. — დიდ მზადებაში იქნებიან ნასტიას და ვალოდიას ქორწილისათვის უკრაინაშიაც. თურმე ძალიან პურმარული სცოდნიათ იმ ჩვენს ძმებს, სანდრო.

— უკეთესს ვერ ინატრებს კაცი.

— ბედნიერია ის, ვისაც იქ წასვლა მოუწევს ქორწილში, — ნაღვლიანად წარმოთქვა აბესალომმა და სახე მიაბრუნა.

— მო, აბესალომ, — ხელი მოკიდა მხარზე სანდრომ აბესალომს, თავსკენ მიაბრუნა. — ვიცი, გულდაწყვეტილი ხარ, რომ უკრაინაში ვერ წაგიყენებ. მართალია, მაშინ დეღუგატობამ არ მოგიწია, აბესალომ, მაგრამ ახლა შენს წასვლას ვერაფერი დაუღვება წინ.

ილენკომაც დამბარა, აბესალომ ესტატევიჩი არ დამიტოვოთო.

— თუ გიყვარდე, მართლა დაგბარა? — გამოცოცხლდა აბესალომი. — მალაღეც, ვლადიმერ პეტროვიჩ. — რაო, როგორ გითხრა, არ დამიმალო, თუ გიყვარდე.

— რაო და, მასთან საანგარიშო ნაწილში თერთმეტი მეტაბელე მუშაობდა, ოთხი მონაგარიშე, მთავარი ზულალტერი და ბულალტერის მოადგილე. ამოდენა საქმეს მოცენარში ერთი ზულალტერი და ერთი მონაგარიშე უძღვებაო, ეუბნებოდა მათ ილენკო. ჩვენ ვუთხარით, ძალიან გაბერილია თქვენი ადმინისტრაციული პერსონალის სტატიით-ქო და ნახევრად შევამცირებინეთ. აბესალომ ესტატევიჩი გამომიგზავნე და კიდევ შევამცირებთო, მითხრა ილენკომ. ის აჩვენებს ჩემს ცულლუტებს, როგორ უნდა მუშაობაო.

— მაშ აბესალომ ესტატევიჩი ნამდვილად მიემგზავრება უკრაინაში? — შესძახა გახარებულმა აბესალომმა და ზეზე წამოიჭრა, სკამი წააქცია, ფანჯარას ეცა და გამოალო.

ზღვის გრილი ნიავი შემოიჭრა ორახში, მარლისა და ნესტის სუნი შემოიტანა.

— სანდრო, ხუთ წელიწადს რომ არ იქნებოდეს ომი, — დაილაპარაკა ჩუმი ხმით აბესალომმა, სახე ნიავისათვის ჰქონდა მიშვერილი, მთვარით გაკაშკაშებულ ცას შესცქეროდა, — ისე ავაყვავებთ ჩვენს ქვეყანას, ისე გავძლიერდებით... მერე ვერც ერთი სახელმწიფო ვერ შემოგვებდავს ვერაფერს.

— ჩვენთან ომის გაბედვა არც ახლია ადვილი, აბესალომ, — თქვა თავმჯდომარემ და წამოდგა. — თორმეტი საათია თურმე, წავიდეთ სახლში.

ოცდაერთი იენისის სიცოცხლით ხავსე დღე მიიწურა. ცის კიდობანადან დაშვებულმა მზემ თავისი ვეებერთელა წითელი დისკო ერთხელ კიდევ უჩვენა

ქვეყანას და ნელ-ნელა შავი ზღვის ტალღებს ამოეფარა.

მთებზე ყუყა ფერებში ჩამოწვიდა დაღამდა.

ისილო კვაჭაძის ბრიგადიდან დღეს პირველი განალეწი ხორბლით დატვირთული ურმები მოჭრიალებდნენ. ილიკო მოუძლოდა ურმებს. გახარებული იყო. ის და მეურმეები ისეთ კრიმანპულს მღეროდნენ, რომ მთელი სოფელი უსმენდა. დღეს ხუთი ჰექტარი ნომკა და გალეწა ბრიგადამ. ჰექტარზე განალეწმა ხორბალმა ოცდაერთ ცენტნერს მიაღწია.

ილიკოს ერთი ურემი ხორბალი ბინდვრიდან პირდაპირ არჩილისას მიჰქონდა ქორწილისათვის. თვითონ იჯდა ამ ურემზე, წინ მიუძლოდა სხვა მეურმეებს. გზაზე მათ ჩაუქროდნენ პლანტაციებიდან დაბრუნებული კოლმეურნეებით ხავსე სატვირთო მანქანები. ყველა კოლმეურნემ იცოდა, რომ ისილოს ბრიგადამ ჰექტარზე ოცდაერთი ცენტნერი ხორბალი აიღო და ილიკოს, როგორც ისილოს მარჯვენა ხელს, გამარჯვებას ულოცავდნენ; ეძახდა, ხელებს, ყაბალახებს და თავსაფრებს უქნევდა ქალი და კაცი.

კარგა ხნის დაღამებული იყო, ილიკო არჩილის ეზოში რომ შეუძღვა ურემს.

— მოვდივარ, მომიხარია! — მიძახა მან შემოგებებულ მასპინძელს. — მომაქვს ხორბალი კოლხური. ოცდაერთი ცენტნერი ჰექტარიდან, არჩილ. გასახელა თუ არა შენმა, ილიკო ზედობანიძემ. ჩაიშვიც ვივარგე და პურშიაც!

— ივარგე, ილიკო, ივარგე. შენ რომ არა, მარტო ისილო ვერ გაუძღვებოდა ამოდენა საქმეს.

— აბა რა გგონია? — უთხრა სიცოცხლით ილიკომ და ურემი სამზადის წინ შეაყენა. — მიიღე ძღვენი, ესმა, — უთხრა არჩილის დედას. — ჭადი არ დამანახო ქორწილში, მარტო პური და ხაჭაპურები.

— უიმე, რად გეინდა ამდენი ზორბალი, — გაოცდა დატვირთული ურმის დანახვაზე ესმა. — ეს ზომ სამ ქორწილს ეყოფა.

— ჩვეულებრივ ქორწილს სამსაც ეყოფა და ზუთსაც, მაგრამ არჩილის და ელენეს ქორწილს არ ეყოფა, — უთხრა ილიკომ ესმას და თვითონ დაიწყო ტომარების გადმოტვირთვა, — ეს ქორწილი მართო ქორწილი კი არ იქნება ესმა, მთელი სოფლის დღესასწაული იქნება. საიდან არ მოვლენ სტუმრები — თბილისიდან, უკრაინიდან, რაიონიდან ზომ იქნებიან და იქნებიან.

— გაჭირვებაში და სიღარიბეში გაზრდილ ჩემს ობოლ შვილს თუ ასეთი ბედნიერება ეღირსებოდა რაღა მეგონა.

— განა ცოტა რამ ხდება ჩვენს სოფელში ისეთი, რაც ჩვენ აზრადაც არ მოგვივიდოდა? ზშირად ისე მეჩვენება, ჩემო ესმა, სიზმარში ვარ და მეშინია, აი ახლა გაჭრება ზმანება-მეთქი. მაგრამ არა, წავიდა ის დრო, ილიკო სიზმარში რომ ხედავდა კარგ ცხოვრებას, კადი და ყველი რომ ენატრებოდა. ახლა კარგ ცხოვრებას თვითონ აშენებს ილიკო ზედობანიძე. კომუნისმს აშენებს შენი შვილი და შენი მოწონებულ ილიკო. იცი რა, არის ესმა კომუნისში?

— რაცხა კარგი იქნება, რახან არჩილი და ილიკო ზედობანიძე აშენებენ, — უთხრა ღიმილით ესმამ ილიკოს.

— კარგი კი არა, სამოთხეა... არა, ეგ სიტყვა არ უხდება კომუნისმს. იცი, ესმა... კომუნისში ახალი სიცოცხლეა. არა, ვერ ვამბობ ახლა. ქორწილში ცოტას რომ შევქანჯალდები ღვინით, მაშინ უფრო კარგად აგისხნი, — თქვა ილიკომ და დაცილილ ურემზე ავიდა, ხარები შემოაბრუნა. — მზეზე გაფინეთ ზორბალი, უნდა გახმეს. მეწისქვილე გაფრთხილებულია, თვითონ წაიღებს დასაფუძვლად, — უთხრა არჩილს და ხარებს შეუძახა.

ლამის თერთმეტ საათზე სანდრომ რაიკომის მდივანს აცნობა პირველ ხუთ კექტარზე აღებული ზორბლის იმბაზე. მდივანმა წარმატება მიულოცა და დაპირდა, ზვალ დილით ჩამოეალა.

სანდრომ ტელეფონის მილი დადო, მაგიდას ჩამოეყრდნო. იგი გათენებოდან ლამის ცხრა საათამდე ისაღოხ ბრიგადაში ტრიალებდა და ახლა, როცა ყველაფერი გაკეთებული და მოწესრიგებული იყო, ისეთი დაღლილობა იგრძნო, რომ მკლავის აწევა აღარ შეეძლო. გადაწყვიტა, აქ დარჩენილიყო, სავარძელზე მიწვა და იმ წამსვე ჩაეძინა.

ეძინა მშვიდი და ღრმა ძილით, მაგრამ გათენებამდე ერთი საათი იყო დარჩენილი, რომ ბორჯვა იწყო. შამფურივით ტრიალებდა. სწუხდა. მერე თანდათან დამშვიდდა.

ტელეფონის ძლიერმა ზარის ხმამ გამოაღვიძა სანდრო. გიჟივით წამოვიარდა, მილი აიტაცა.

— მოცენარი... მოცენარი... მოცენარი ხარ? — ჩაესმა სანდროს რაიკომის მდივნის აღელვებული, მაგრამ მტკიცე ხმა.

— მე ვარ, ამხანაგო დავით.

— სანდრო... ომი დაიწყო, ფაშისტმა ყაჩაღებმა უკრაინის საზღვრები გაღმოლახეს.

— ომი?!

— ჰო, ვგზავნი სამობილიზაციო ფურცლებს. მობილიზაცია ჩაატარეთ ორგანიზებულად, კიდევ დაგიკავშირდები, — მდივანმა მილი ჩამოკიდა.

სანდროს არ ახსოვს, როგორ გამოვიდა ოთახიდან, მივიდა სათემო ზართან, მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა საგანგამოდ აფუგუნდა ზარი.

— ომი, ომი, დაიწყო, — ჩურჩულებდა იგი გამშრალი ტუჩებით და ღონიერად რეკავდა. რეკავდა შეუწყვეტლად, თითქოს მასში უნდოდა ებოვა რაღაც ნუგეში.

წამოიშალა მშვიდად მძინარე სოფელი. დაიძრა დიდი და პატარა გამგობის კანტორისაკენ.

— სანდრომ იგრძნო, რომ დიდხანს რეკავდა. ხელი შეუშვა თოქს და ხეს მიეყრდნო, ცდილობდა დამშვიდებულყო, მაგრამ ამ სიმშვიდისაგან ისეთი ტკივილი იგრძნო, რომ სული შეეხუთა, სწრაფად გაიხსნა საყელო.

ამ დროს არჩილმა შემოირბინა ხის ქვეშ. იგი სანდროს წინ შედგა, შეაბდა მის ფერწასულ სახეს და მიხვდა ყველაფერს. მოირბინეს შალვამ, ექვთიმემ, აბესალომმა, ილიკომ, ისილომ, ელენემ, ცუცუნამ. მოირბინა აგრაფინამ. შეგროვდა სოფელი. არავინ იღებდა ზმას. ყველა გრძნობდა, რომ სანდრო საშინელ სიტყვას იტყოდა.

— ომი დაიწყო, ამხანაგებო, — დაილაპარაკა მან ჩემი და წყნარი ხმით და თვითონვე გააკვირვა თავისმა სიმშვიდემ. შეხვდა ხალხს. ყველა მას შესცქეროდა. „არა, არ სჯერათ მათ, — გაიფიქრა სანდრომ, კიდევ უნდა ეთქვა რაღაც. „რამ წამართვა ენა, რას ვუცდი?“

— რა თქვი ეს, შეილო?! — წარმოთქვა ჩემი და ჩაწყვეტილი ხმით აგრაფინამ, მაგრამ იმდენი ტკივილი, იმდენი შეშფოთება და მწუხარება იყო ამ ხმაში, რომ სანდროს ეგონა, კი არ დაილაპარაკა აგრაფინამ, დაიკვილო.

გაიხსმა ხის გარშემო შეჯარულ ზალხში აქეთ-იქიდან ქალების სლუტენი, ტირილი. სანდროს ცალ-ცალკე ესმოდა ყოველი მათგანის ხმა და ცნობდა მას. „ეს ესმა იყო, ეს კატო, აი, ელენე, დედაჩემი. უნდა ვთქვა რამე, ახლაც უნდა ვთქვა რამე.“

— ესეცაა რაიკომის მდივანი პელაპარაკა ტელეფონით. ფაშისტურ გერმანიას უკრაინის საზღვარი გადმოულახავს.

ომის დაწყების ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ სოფელს. ისმოდა გადაძახილები, ქალების და ბავშვების

ტირილი, მოუწყველავი ძროხების, შოსლებიდან გაურეკავი საჭონლის ბღავილი, ძაღლების ყმული

ხალხი კოლმეურნეობის კანტორის წინ გაშლილ მინდორზე იკრიბებოდა. რაიონიდან სამხედრო კომისარატის გამოგზავნილ კაცს მაგიდა მინდორზე ედგა, იგი იძახებდა მობილიზებულთა გვარებს, აძლევდა სამობილიზაციო ფურცელს და აფრთხილებდა, ორი საათის განმავლობაში მომზადებულიყო გასამგზავრებლად.

პირველ რიგში მან სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის — ექვთიმე გოგოლაძის გვარი ამოიკითხა, შემდეგ შალვასა, ისილოსი. ყოველი გვარის დაძახებაზე ისმოდა ყრუ სიწყყარეში დედისა და მეუღლის ამოხერა, ან თავშეკაეებული შეკივლება: „ვაიმე შენს დედას, შეილო!“ „მიშველეთ ვინცხამ!“

გაფითრებული და კრიკაშეკრული ელენე თვალმოუშორებლად შესყურებდა არჩილს. „აი ახლა მის გვარს დაიძახებენ. იგი მივა მაგიდასთან, მიაღებს ფურცელს, მერე მობრუნდება და თვალებით ძებნას დამიწყებს მე. არა, უნდა წავიდე აქედან. ვერ ვუჩვენებ ცრემლს, ვერ შევიკაევებ ტირილს“, — ფიქრობდა ელენე და ვერ ამჩნევდა, რომ ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ლოყებზე. მაგრამ იგრძნო, ელაც სახეში შეცქეროდა. ელენემ თავი ასწია და შეხვდა მას.

იგი ესმა იყო, მიტკალივით გაფითრებული, ამაოდ ამოძრავებდა ტუჩებს. უნდოდა, რაღაც ეთქვა, მაგრამ ვერ ახერხებდა. ხმა არ ამოდიოდა პირიდან. ჯონს ეყრდნობოდა მოხუცი. იგი ასედაც ისეთი გამხდარი, უღონო და სუსტი იყო, რომ ახლა ამ მწუხარებას სულ ამოუცლია მისთვის სიცოცხლე, და ელენეს ეგონა, საყმარისია იგი ოდნავ გაინძრეს, რომ წაიქცევა და აქვე განუტყეებს სულსო. ამის წარმოდგენამ თავზარი დასცა ელენეს.

— მამია ქუკელიძე! — განაგრძობდა სამხედრო კომისარიატის წარმომადგენელი ამოკითხვას.

„მამია ქუკელიძე!“ გაიმეორა ელენემ და გაემართა წინ, გავიდა ხალხიდან. მიდიოდა და არ ხედავდა გარშემო არაფერს, ცრემლებით დაბინდულ თვალებში მხოლოდ არჩილი ედგა. მიდიოდა სწრაფად, მიდიოდა ინსტიქტიურად და არ იცოდა სად.

„მამია ქუკელიძე!“

ჩაესმოდა სამხედრო კომისარიატის წარმომადგენლის ხმა და ელენე უცდიდა, რომ შემდეგ არჩილს დაუძახებდნენ. სული ეხუთებოდა, სუნთქვა არ უოფნიდა, ასე ეგონა ძარღვები გადაუჭრეს და სისხლისაგან დაიცილა. აღარ შეეძლო მეტის ატანა. უკვე ნატრობდა ჩქარა ამოეკითხათ არჩილის გვარო, მაგრამ არა, კიდევ ერთი და იგივე საჩუკლი ჩაესმოდა:

„მამია ქუკელიძე! მამია ქუკელიძე!“

იგი მიდიოდა დიდხანს, გადაუხვია თემშარიდან, გაჰყვა შუკას, შემდეგ ბილიკს, შევიდა პლანტაციაში. არ იცოდა, არ ფიქრობდა, სად მიდიოდა. გავიდა გამოყრკეა, როცა არჩილის ბრიგადის ზარის ქვეშ შედგა, აქ ხედებოდნენ ისინი ერთმანეთს მათი დანიშვნის შემდეგ. აქ ოცნებობდნენ, აქ ფიქრობდნენ, აწყობდნენ გეგმებს. აქ აკოცა არჩილმა პირველად. წუხელაც აქ იყვნენ. აი, ბალახი, რომელზედაც ისინი იჯდნენ ჯერ ისევე გათელილია, არ გამართულა.

„სირაძე არჩილ!“

ელენე შეკრთა. „არჩილს დაუძახეს, არჩილი ამოეკითხეს. მას წაიყვანენ. ორი საათის შემდეგ ის წავა, წავა დიდი ხნით“. — არჩილ, არჩილ! — ნესძახა და მუხლები მოეკვეთა, ჩაიკეცა. მოეხვია ბალახს, რომელზედაც არჩილი იჯდა წუხელ და ქვეითი წასქდა. დიდხანს ტიროდა მიწაზე პირველ დამხობი-

ლი, ცრემლით დაუსველდა სახე, ხელები, მკლავები.

მარკინუსული

თავზე ვილაციის ჩრდილში მარკინუსული სწყვიტა ქვეითი, ის ვილაც მხარზე შეეხო და გაუბედავად, თითქოს რაღაც დანაშაული ჩადენოს, წელი ხმით დაუძახა:

— ელენე!

ელენე წამოჯდა, შეხვდა არჩილის მშვიდ და წყნარ სახეს. მოკიდა ხელი ქოჩორზე და უკან გადაუწია. რაღაც სიმშვიდე მოგვარა არჩილმა და დაწყნარდა.

— არჩილ! — მოხვია მკლავი კისერზე და ცრემლით სველი ლოყით მიეკრა მის ლოყას. — არჩილ! — გაიმეორა ბედნიერი ადამიანის ხმით და დახტვა თვალები. „სირაძე არჩილ!“ კვლავ ჩაესმა სამხედრო კომისარიატის წარმომადგენლის ხმა. — არჩილ, ჩემო საყვარელო, არჩილ! — ორივე მკლავები მოხვია ელენემ თავზე, და მკერდზე მიეკრა. ისევე წასკდა ქვეითი. — შენ ისეთი დამშვიდებული იყავი ყოველთვის, არჩილ. შენ იცოდი, რომ ეს მოხდებოდა და მე მიშალავდი, არჩილ? აქნებ შევიჩვიეოდი, შეერიგებოდი... არა, ვერასოდეს ვერ შევიურიგდები...

ცრემლი აღჩიობდა, ლაპარაკი აღარ შეეძლო.

— დამშვიდდი, ელენე. მე მალე დაებრუნდები... აი, ერთ მშვენიერ დილას მოვალ აქ. თითქოს არაფერი არ მომხდარაო, ჩამოვკრავე ზარს ისე, როგორც მე ამას ყოველ დილით ვაკეთებ... თითქოს მე არც წავსულვარ ფრონტზე...

„არა, შენ მიდიხარ ფრონტზე, მიდიხარ ომში, არჩილ“. ეუბნებოდა გულში ელენე არჩილს.

— გაგელვებდა შენ ზარის ხმაზე...

„რა დამაძინებს მე, არჩილ!“

— და იტყვი არჩილი მეძახის. ალბათ გვიანაა...

„არჩილი მეძახის. როდის იქნება ეს არჩილი?“

— მე დავრეკავ ისე ხმამაღლა, ისე ძლიერ, რომ მთელმა სოფელმა გაიგონოს, მთელმა სოფელმა გაიგოს, რომ დაუებრუნდი ჩემს ბრიგადას, ჩემს ელენეს...

„როდის იქნება ეს, არჩილ...“

— ნუ ტირი, ელენე. არავენ არ უნდა დაინახოს შენი ცრემლი. ეს საკიროა. შენ მაგალითი უნდა მისცე სხვებს. ადექი, ელენე. წავიდეთ, დამიგვიანდება.

— არა, არა არჩილ, — უფრო მაგრა მოეხვია ელენე არჩილს. უფრო მაგრა მიეკრა მის ლოყას, კვლავ წასკდა ცრემლი, იგი კრთოდა, კანკალებდა, ცდილობდა შეეკავებია ქვითინი და ვერ ახერხებდა. არ სჯეროდა, რომ აქ, ამ ხის ქვეშ უკანასკნელად იხსდნენ. „აი წავალთ აქედან ახლა და იქნებ არასოდეს აღარ შემოვიდეს აქ არჩილი. ვერასოდეს ვერ მივეკვრები მის ლოყას, ვერ შევეხები მის ქოჩორს, ვერ გავიგონებ მის სუნთქვას.“ მთელმა სიცოცხლემ ისე სწრაფად გაიბრინა მის თვალწინ და იგი ისე ხანმოკლედ ეჩვენა, რომ გული შეეკუმშა, „რა ცოტა გვიცხოვრია მე და არჩილს; სკოლის წლები, სწავლა, თამაში, ღორჯოების ჰერაკუის ღელეზე. და აქ, თითქოს აქ პირველად დაეინახეთ ერთმანეთი. ერთხელ ორივე წყალში ამოწუწულები ვიდექით ღელეში. გველზოკერა დამატრიხდა თავზე, შევშინდი, ფეხი დამიხსლტა. ამიტაცა არჩილმა თავის ღონიერი მკლავებით და გამომიყვანა წყლიდან. მან სულ ოცი ნაბიჯი გამატარა ხელში აყვანილი. მე კი მეგონა, დიდხანს, დიდხანს ვიწექი მის მკლავებზე და გავიარე გრძელი, გრძელი გზა. არჩილ, რა წუთები იყო ის! ნუთუ აღარ დაბრუნდებოდა! ნუთუ აღარ ვისხდებით აქ, ვერ გავიგონებ შენს სუნთქვას!“ ყველაფერი ის, რაც თითქოს აღარ ახსოვდა, რაც დაეწყებას მიეცა, რასაც მიეჩვია და ყურადღებას აღარ აქცევდა, ახლა

მთელი სიცხადით დაუღდა თვალწინ და ისეთი ძვირფასი, განუყრველი ყელსკენი მისთვის, რომ უიმედოდ სრულად წარმოუდგენელი ეჩვენა თავისი სიცოცხლე. ყველაფერი ამის მონაწილე არჩილი იყო, ყველაფერი ეს არჩილს ეხებოდა და აი, არჩილი წავა და გაქრება ყველაფერი, გათავდება სიცოცხლე!“

გაისმა სათემო ზარის ხმა.

— მეძახიან, ელენე. ალბათ წასვლის დროა, — უთხრა არჩილმა ელენეს.

ელენე წამოდგა.

— წასვლის დროა, — გაიმეორა მან ისეთი ხმით, თითქოს არჩილი ფრონტზე კი არა, მორიგ სამუშაოზე მიღოდა. იგი ცდილობდა არჩილს დამშვიდებულად, აუღლევებელი ჩვენებოდა, მაგრამ თვითონ არ სჯეროდა თავის სიმშვიდის, თავისი ხმის.

როცა ელენე და არჩილი გამგეობის კანტორის ეზოში შევიდნენ, მობილიზებულუბი კოლმეურნეობისა და ჩაის ფაბრიკის მანქანებში სხდებოდნენ. მანქანებისთვისაც გაეკეთებინათ მობილიზაცია. მემანქანეები თავის მანქანებით მიდიოდნენ ფრონტზე.

ყველაზე წინ ბეჟანის მანქანა იდგა. ბეჟანი საკეც უჯდა. მფრინავის ქუდი ისე გადმოეწია გვერდზე, გეგონებოდათ, ეს-ეს არის გადაუვარდებო. სველი თმა კობტად დაეეარცხნა, პირი ახალი გაპარსული ჰქონდა. მანქანა სავსე იყო მობილიზებულებით და ბეჟანს შეეძლო გადგომოდა გზას, მაგრამ იგი ვიღაცას უცდიდა, თვალეებს მოუსვენრად აცეცებდა კაბინიდან თავგამოყოფილი.

აი, დაინახა ვისაც უცდიდა, ეძებდა. ფართოდ გააღო კაბინის კარი და გადმოვიდა, ელენეს და არჩილს მიეგება. გაუკვირდა, ელენეს რომ შეხედა: ელენეს ღელეზე პირი დაებანა, არ გავდა ნამტირალევეს, შეწუხებულს, თითქოს მისი სახე მშვიდი იყო. ეამა ბეჟანს. არ

უნდოდა ელენე შეწუხებული და ატირებული ენახა.

— აი, შეხედეთ ელენეს! — შესძახა მან გარშემო მდგარ ცოლებს, დედებს და დებს. — ხედავთ, როგორ აცილებს თავისას. თქვენ კი ტირით, თითქოს სამუდამოდ ემშვიდობებოდეთ. ნუ გეშინიათ, დედებო და დებო, გაუჩეჩქავთ სისხლიან დინგებს ფაშისტ ნადირებს და დავბრუნდებით. შეიძლება ზოგი ჩვენგანი ვერ დაბრუნდეს, მაგრამ რა ვუყოთ. საშობლოსათვის სიკვდილი არ არის ცუდი სიკვდილი, — მობრუნდა ელენესაკენ. — ელენე, დამილოცე გზა, როგორც ძმას, მე იქაც არ გაქმევ სირცხვილს. ვეცდები, იქაც ყველაზე სწრაფად იაროს ჩემმა მანქანამ. თუ არ დავბრუნდი, მომიგონე, მყავდა ძმა და დაეცა საშობლოსათვისო, — ხელი გაუწოდა ელენეს. — ნახვამდის, ელენე.

— ნახვამდის, ბეჯან, — უთხრა ელენემ და ხელი კი არ ჩამოართვა, მოეხვია და აკოცა, — არც ჩვენ გაქმვეთ სირცხვილს, ბეჯან, — უთხრა მან ბეჯანს, შეხედა მანქანაზე ასულთ, — ბირობას გაძლევთ, ძმებო და მამებო, — მიმართა მათ. — ისე ვიმუშაოთ, უთქვენობა არ დაეტყოს ჩვენს პლანტაციებს და ყანებს. თქვენ კი შხარში ამოუდღქით რუსებს, უკრაინელებს, ჩვენს ძმებს — ვალდიას, ილენკოს. სასახელოდ იბრძოლეთ საყვარელი საშობლოსათვის, დიდი სტალინისათვის. გამარჯვებული დაგვიბრუნდით, მამებო და ძმებო.

— შეხედე, მაგ ოხერს, რამხელა ენა გადმოაგდო, — ჩაესმა ელენეს უკან მდგომ ილიკოს, იაკობა ჩიკაშუას ჩურჩული, — როგორ გაზეპირებულათ ქაქანებს. უთქვენობას არ დავატყობთ ყა-

ნებსა და პლანტაციებსო. მმ, ვის პლანტაციებს და ყანებს, ცაქცილომქორნეობის? — ჩაიქილიკა დანაქორნეობის?

ილიკომ ნელა მოაბრუნა თავი. უნდოდა დაენახა, ვის ეუბნებოდა ამ სიტყვებს იაკობა. ჩიკაშუას გვერდით ეგნატე ვაშაყმაძის მამა, ბაგრატი იღვა და ილიმებოდა. ილიკომ ორი ნაბიჯით უკან დაიწია, მეორე მხრიდან ამოუდგა ჩიკაშუას.

— იაკობა, ოხერი შენ თვითონა ხარ, — უთხრა იაკობას და რისხვით საესე თვალები მიანათა. — ვერ მოესწრები იმ დღეს, რომ ჩვენი ყანებო და პლანტაციები კოლმეურნეობისა არ იყოს...

იაკობა შეცბუნდა, აქეთ-იქით მიმოიხედა, სხვამაც ხომ არ გაიგონა ჩემი ნათქვამიო. სწრაფად შეტრიალდა და ხალხში გაერია, ლანდივით გაქრა.

— შენ რაღა გიხარია, ბებერო ტურავ, — მიუბრუნდა ილიკო ბაგრატს. — ეგნატეს გზას ხომ არ გინდა გაგიყენო.

— ვინ იცის, ვინ რა გზას გაუღვება, ილიკო. ხომ ხედავ მე და შენ-ღა დავრჩით სოფელში...

— მე და შენ, — მჯილი ჰკრა ილიკომ მკერდში ბაგრატს, არ აცალასრტყვის დამთავრება. — არა, ჩვენ ბევრნი დავრჩით, — მანქანები წასულიყვნენ. ხალხი პლანტაციისაკენ მიდიოდა, ნაწილმა რაიონისაკენ გასწია, რომ სადღურამდე გაყოლოდნენ შვილებს, მამებს, ქმრებს, ძმებს. — ახლა უფრო ფხიზლად ვიქნებით, ბაგრატ, რომ შენისთანა გველებს ღროზე გაეუქუქუოთ თავი, — უთხრა ილიკომ ბაგრატს და სახლისაკენ გაემართა, რომ „პრაპეგი“ თვითონ წაეყვანა რაიონში და სამობილიზაცია პუნქტისათვის ჩაეხარებინა.

გმირთა სისხლით *

★

XXIX

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გერმანელები ათასგვარ ხრიკს მიმართავენ დაპყრობილ ტერიტორიაზე მოქმედების დროს. მათ კარგად იცოდნენ, რომ მოსახლეობას პარტიზანები უყვარდა და პატივისცემით ეპყრობოდა; ამიტომ გერმანელი, ღამით, უდროოდ დროს გლეხის სახლის კარს რომ მიაკაკუნებდა, მასპინძლის შეკითხვაზე — „ვინა ხარო“, — „პარტიზანიო“ — პასუხობდა. გლეხი კარებს აღებდა და სტუმარს შინ ეპატივებოდა. პარტიზანის ნაცვლად კი გლეხს ხელში მტერი შერჩებოდა ხოლმე.

— რას გვეტყვი, არამზადავ, რომ არ შეთქვა პარტიზანი ვარ-შეთქი, კარს ხომ არ გამიღებდი? — ეტყოდა გლეხს დამტყვევლი რუსულით პიტლერელი მაწანწალა.

— არა, რატომაც არ გავაღებდი, სტუმარი ღვთისაა!

— ახ, გლეხო, გეტყობა დიპლომატი ყოფილხარ! კარი რომ ღია გქონოდა, ჩვენს მოსვლაზე ჩაკეტავდი, განა თქვენი ამბავი არ ვიცო?

და შემდეგ პიტლერელი იწყებდა ჩვეულებრივ ძარცვა-გლეჯას. საერთოდ ისინი სოფლად კრებას ისე არ მოიწყევდნენ, გლეხებს ისე არ შეჰყრიდნენ, რომ მოსახლეობის წინაშე მკაცრი მუჭარით არ გამოსულიყვნენ: „ეოდევ ერთხელ გაფრთხილებთ ხელი აიღოთ პარტიზანებთან კავშირზე, თო-

რემ თქვენს სოფელში ქვას ქვაზე დავადლებთ, დედაბუდიანად გაგანადგურებთო“, — ყოველდღე ემუქრებოდნენ მოსახლეობას.

როდესაც ჩვენ სოფელ იარემიჩას გარშემო ხუტორებში ვისვენებდით, პიტლერელებმა ძლიერი დამსჯელი რაზმი გაგზავნეს მეზობელ სოფელ-ხუტორების მოსახლეობის ასაწიოვებლად.

გლეხებში დიდი შითქმა-მოთქმა ატყდა:

— ხალხნო! უთუოდ კვლავ საშინელი ამბავი დატრიალდება ჩვენს თავზე, სოფლებში დამსჯელი რაზმის მოსვლა კარგი ამბის მომასწავებელი არ არის, ქალების და ბავშვების გადაძალვა მაინც უნდა მოვახერხოთო.

დამსჯელმა რაზმმა პირველ ხანებში გლეხებს ფარისევლური ლაპარაკი დაუწყო: „მოსახლეობის ასაწიერად ვართ მოსული, ეცადეთ ყველა გატარდეთ აღწერაში, არც ერთი აღრიცხვის გარეშე არ დარჩეთ“, — მიმართავდნენ სოფლებს. „აღწერა“ ჩატარდა. როგორც შრომის უნარის მჭონე, ისე უნარმოკლებული პირების სიები დააზუსტეს, ამასობაში ნელ-ნელა სოფელ-ხუტორები ალყაში მოიმწყვდიეს და შესაკრებ პუნქტებში დიდს და პატარას დაუყოვნებლივ გამოცხადებან უბრძანეს. ორ-სამ საათში პუნქტებზე ათი ათასამდე ქალი და კაცი მორგეეს. ეს ის დრო იყო, როცა საბჭოთა არმია დიდი სისწრაფით მიიწვედა დასაელეთისაკენ, დღითი დღე იყო მოსალოდნელი საბჭოთა მებრძოლების შემოსვლა.

* გაგრძელება. იხ. „მწიგნი“ № 6.

ძალით მოაჩეკლ ხალხს დამპყრობლები საკონცენტრაციო ბანაკებში გასაგზავნად ამზადებდნენ.

ხალხმა მღელვარება იწყო, საშინელი განსაცდელიდან თავის დაღწევას ლამობდნენ, მაგრამ ამაოდ. ამ დროს მოულოდნელი ამბავი დატრიალდა, უეტრად პარტიზანები გაჩნდნენ და ფაშისტები, გადასასახლებელ ათიათასიან ხალხთან ერთად, წრეში მოიშფყვედნენ. მეექვსე ბატალიონს, ციხალის მეფაურობით, წილად ხედა ხალხი გამოეხსნა ჯალათების ბრკყალებიდან. ცხარე ბრძოლა გაჩაღდა. ამ შეტაკებაში პარტიზანებმა ასამდე ჰიტლერელი მოკლეს, ბევრი ტყვედ ჩაუვარდათ. ვინც გადაარჩა, რაიონის ცენტრს და სოფელ კობრინს შეაფარა თავი. გლეხებმა დიდად გაიხარეს.

ამ გამარჯვების შემდეგ მიტინგი მოეწყო. მიტინგზე გამოსულმა შესამე პოლკის პარტორგანიზაციის მდივანმა ელოდია ტონიანმა ასე მიმართა გლეხებს:

— ამხანაგებო, ამეამად, მართალია, მტრის ხელიდან გაგათავისუფლეთ, მაგრამ უღარდებლობას ნუ მიეცემით. მომავალში მტერი კვლავ შეეცდება თქვენს აკლებას. საბჭოთა არმია საოცარი სისწრაფით ერეკება დამპყრობლებს ჩვენი ქვეყნიდან. სულ მოკლე დროში საბჭოთა არმიის აქ მოსვლაა მოსალოდნელი და ამიტომია, რომ ჰიტლერელები ცოფიანი ძალებივით იკბინებთან; სწორედ ახლაა საჭირო თავის მორიდება, ხელთ არ უნდა ჩაუვარდეთ, თორემ არ დაგზოგავენ, თავის ქვეყანაში დაგზვრეტენ, გაგანადგურებენ!

ტონიანის ამ სიტყვებმა გლეხები ჩააფიქრა, როგორ მოვიქცეთ, რა გზას დავადგეთო, — შეეკითხნენ ორატორს სოფლელები.

— მიმართეთ ნაცად საშუალებას, დროებით ტყვეს შეაფარეთ თავი. მალე მოვლენ ჩვენები და თქვენს წამებდასაც ბოლო მოეღება!

— ოღონდ ეს ასე იყოს და თუნდაც თევობით შეეფარებოდნენ, ტყეში პირველად ხმამაღლა გვეხებება წასვლა!

მიტინგის შემდეგ ტყვეების დაკითხვა დაეწყო. მათ განაცხადეს, რომ დამსჯელი რაზმი ამ სოფლებში დიდი დავალებებით იყო გამოგზავნილიო.

— მაინც რა იყო თქვენი მთავარი მიზანი? — ვეკითხებით მათ.

— ხალხი უნდა გაგვერეკა გერმანიაში.

— მარტო ეს იყო თქვენი ამოცანა?

— ეს იყო. ამავე დროს დავალებული გქონდა პარტიზანებთან ახლო მყოფი ოჯახების დარბევა და განადგურება.

ტყვეები სულიერად დაცემულნი და პანიკით შეპყრობილნი იყვნენ. მათ იოტის ოდენა იმედიც აღარ დარჩენოდათ. ყოველ მათ სიტყვაში ჩანდა, რომ მათი ცოფიანი ფიურერისა და ცრუ პენტელა გებელსისა და მათ აღარაფერი სჯეროდათ.

მარტის ბოლო რიცხვებში ამინდი გამოკეთდა, თოვა შეწყდა და საკმაოდ დათბა. ახლა თოვა აღარ განმეორდებაო, გვარწმუნებდნენ გლეხები. ეს მართლაც ასე მოხდა. გაზაფხული ძალაში შევიდა, სწრაფად იწყო თოვლმადნობა, აქა-იქ ტიტველი მიწა გამოჩნდა და ალალების ამიხიცი დადგა. მარბილები გლეხებს ვაჩუქეთ და ალალების ძებნას შევუღეკეთ. სწორედ ამ დროს ნადავლმა ალალებმა დიდი სამსახური გაგვიწიეს.

დასვენებამ გადაგვახალისა, მოვლონიერდით, პირუტყვემაც სული მოიბრუნა და გზა იმედიანად განვაგრძეთ. მალე მოსკოვ-ვარშავის შარავზაზე გავედით. დღე-ღამე შეუწელებელი მოძრაობა იყო ამ გზაზე, მანქანა მანქანას კუდში მისდევდა. გზაზე უშიშარი გადასვლის უზრუნველყოფა მეორე პოლკს და ჩემს პირველ ბატალიონს

მიენდო. თავდაცვის მომწყობებმა ნაცად საშუალებას მიმართეს: დიდტანიანი ხეები მოჭრეს და გადასასვლელი გზის ორთავე ხაპირი ამ ხეებით დაჯორგეს. ამ იშვიათ ბარიკადებზე ტანკები და არტილერია სწრაფ გადასვლას ვერ შესძლებდნენ, და თუ გზიდან გადაუხევედნენ, ჭაობში ჩაეფლობოდნენ. დივიზიამ მშვიდად იწყო გადასასვლელზე გადარბენა. სანახევროდ არ იყვნენ მებრძოლები შარაზე გადასული, როდესაც ბრესტ-ლიტოვსკის მხრიდან ჯაგმნიანმა მანქანებმა ქვემეხების სროლით იწყეს მოახლოება. ისევე დიდი ბრძოლები იყო მოსალოდნელი. მე ამ დროს გადასასვლელთან ვიდექი და წესრიგინაობას ვხელმძღვანელობდი.

ჩემი ყურადღება მეაღალეების მოდუნებულმა მოძრაობამ მიიქცია. ზღაზენით გადადიოდნენ ისინი შარაგზაზე. დაბოლოს გადასასვლელზე მოძრაობა თანდათანობით შენელდა და სრულიად შეწყდა. ცხენს ქუსლი ვკარი და გზის პირას გავუყევი. ცხენის ფრუტუნი შემომესმა. ამ ხმის მიმართულებით გავაჰენე ცხენი. თუმცა ბნელოდა, მაგრამ მაინც დაეინახე: ალალი იღვა ხის ძირში, მეაღალე და მის გვერდში მკდარი პარტიზანი ერთმანეთს მიჰყუდებოდნენ და უღარდელად ხერინავდნენ. ბრაზი მომერია და რაც შემეძლო ვუყვირე. „ჰეი, ჰეი, რა ამბავია!“ ქართულად წამოიყვირა პირველმა, ნამძინარემა ისკუბა და კალიასავით ძირს გადმოხტა.

— ვინა ხარ? — შევძახე მას.

— ეორკოლიანი ვარ, იასონი! — მიპასუხა მან დარცხვენით, კვლავ ალაღზე შეხტა, მეაღალეს გვერდში ამოუჯდა, ორთავემ ცხენებს ღვედები გადუტლაშუნეს და ალალი გააქანეს. ჩვენს ხმაურზე სხვა დანარჩენი მეაღალეებიც გამოფხიზლდნენ და მოძრაობა გაცხოველდა. მეაღალეები შევახურე, და ვუსაყვიდურე: „აბა რას ჩადიხართ, ირგვლივ ჯოჯოხეთური ცეცხლია გაჩაღებული და თქვენ ამ დროს გძინავთ.

მართალია, ცეცხლის არესაგან თავდაღწეული ხართ, მაგრამ ხომ არც ერთსა და აქაც, სადაც თქვენ უღარდელად გძინავთ, ბრძოლა გაჩაღდეს“.

შარაზე დივიზიის უცნებლად გადასვლა დასრულდა. ენერგიულად გავწიეთ წინ.

ალიონის ნიავე ამოვარდა: — თენდებამ! ჩაილაპარაკა მოხუცმა მეაღალემ და ირგვლივ გაიხედ-გამოიხედა. სოფელი თუ არის ამ არემარეზეო, ათვალეირებდა.

ამასობაში მტრედისფრად ინათა და თან სოფელ დატკოვიჩს გავუპირდაპირდით. ამ სოფელში და მისი მოსაზღვრე ხეტორებში შევუხევეთ და დავბანაკდით.

— გამარჯობათ, ამხანაგებო, ხომ მშვიდობაა თქვენთან, მტერი ხომ არ გაწუხებთ? — ვეკითხებოდა სოფელლებს.

— ჯერჯერობით მტერი თვალთ არ გვიხახავს!

— როგორ, თქვენს სოფელში პიტლერელები არ მოდიან?

— არც ერთხელ არ ყოფილან.

— პოლიციელები ხომ არიან?

— წარმოდგენა არა გვაქვს, რა ხალხია პოლიციელები!

— მართვა-გამგეობა როგორი გაქვთ?

— როგორიც გვექონდა, ისეთი.

— ესე იგი?

— საბჭოთა ხელისუფლების კანონები ჩვენთან ისევე ძალაშია.

— ხომ იცით, თქვენ რომ მტრის ზურგში იმყოფებით?

— ვიცით, როგორ არ ვიცით, მერე რა? ვის რა საქმე აქვს ჩვენთან! ჩვენთან მოსული მტერი ცოცხალი თავით აქედან ვერ წავა. ჩვენს მხარეს ციხესიმაგრეების აგება არ ესაჭიროება. ირგვლივ მდებარე დაუსრულებელი ჭაობები ჩვენი ციხე-სიმაგრეა. ისე ჩავახრჩობთ მოსულ მტერს, როგორც წიწილები ისრჩობიან ნიაღვრის გუბებში.

მართლაც სახიფათო იყო მტრისათვის აქ მოსვლა! ამ დაქობებული ადგილებიდან თავს ცოცხლად ვერ გაიტანდა. ამავე დროს აქაური სოფლები პარტიზანებს ჰქონდათ გამაგრებული, პარტიზანულ მხარედ იყო ცნობილი აქაურობა.

— თქვენ ძილიან გადარჩენილხართ, — ვეუბნებით სოფლელებს.

— კარგი პარტიზანული რაზმები გყავს, — გვიპასუხეს მათ, — ეს რაზმები აქედან შორს მიდიან და მტერს დიდ ზარალს აყენებენ, თვითმფრინავები თითქმის ყოველდღე თავზე გადაუვლიან ზოლზე ჩვენს სოფელს. ჩვენ ისიც ვიცით, რომ ფრონტი ჩვენგან დიდად შორს არ არის.

მართლაც, ფრონტი აქედან ახლა არც ისე შორს იყო. თუ ეს სოფლები გარემოდას მოწყვეტილი დარჩენილიყვნენ, ამის მიზეზი მათი მიუვალი ადგილმდებარეობა იყო. მართლაც ამბობდნენ სოფლელები, ციხე-სიმაგრეების აგებას არ ესაჭიროებოთ.

— იცით თუ არა, როგორია ომის მიმდინარეობა? — შევეკითხეთ გლეხებს.

— ჰიტლერელები მარცხდებიანო, არის ხმები. მართალია?

— მართალია. სწორედ ასეა. გერმანელები თავქუდმოგლეჯილი თავის ქვეყანაში გარბიან, ამიტომაც არის დღეს ფრონტი თქვენს მახლობლად.

ღივიზიის აგიტაცია - პროპაგანდის ჯგუფებმა მოსახლეობაში ბრძოლების ვითარებაზე და საერთაშორისო მდგომარეობაზე ვრცელი საუბრები ჩაატარეს. მედიკამენტები არ გააჩნდათ სოფლელებს, ამიტომ ჩვენი სამედიცინო პუნქტის კარებთან რიგები გაჩნდა.

— ქინაქინას გთხოვთ, ქინაქინა გვითავაზეთ! რა ხანია ეს წამალი თვალით არ გვინახავს!

ბოლოდროინდელი ჩვენი საერთო მარაგი მცირე იყო, მედიკამენტებიც

ცოტა გექონდა, მაგრამ უკვე აღმოჩნდა, მოსახლეობას არ ეუქნებოდა.

ბელორუსების სტუმართმოყვარეობა და გულწრფელობა ამ მივიარდნილ სოფლებშიც კიდევ ერთხელ გამოვცადეთ. თავს გვევლებოდნენ პარტიზანებს, რძით, კარაქით და მაწვნით უხვად გვიმასპინძლებოდნენ.

ხანგრძლივი დასვენებისათვის ეს სოფლები ზედგამოჭრილი იყო. თუ სხვა დროს, სხვა ადგილას, იძულებული ვიყავით იარაღით ხელში გვიძინებოდა, აქ თავს ისე ვგრძნობდით, როგორც საკუთარ ბინაში. იშვამდ ხანგრძლივი დასვენებაც ძლიერ გვესაჭიროებოდა, დაჭრილ-დაავადებულთა რიცხვმა ოთხასამდე მიაღწია. ალაღებით გამუდმებული მოგზაურობა ავადმყოფების ჯანმრთელობაზე უარყოფით გავლენას ახდენდა. საუკეთესო გამოსავალი მათი დიდ მიწაზე გასტუმრება იყო, თუკი ახლო-მახლო თვითმფრინავების მისაღებ ადგილს აღმოვაჩენდით, ასეთ შემთხვევაში კიევს ვაცნობებდით და თვითმფრინავებს გამოვიტხოვდით.

უშიშარი და ხანგრძლივი დასვენების საჭიროება კიდევ იმიტომ იყო აუცილებელი, რომ ტყვია-წამლის მარაგი არ გავაჩნდა; ყუმბარების მარაგი ორ-სამ ბრძოლაზე თუ გვეყოფოდა. ნაღმტყორცნელები და ტყვია-მტრქვევები უმოქმედოდ გვეწყო ალაღებზე. ესეც ხომ თვითმფრინავების მოსვლის შეგვიანებასთან იყო დაკავშირებული. მტერმა როდი იცოდა ეს ჩვენი გასაჭირი, თორემ ერთი შემოტევით დაგვარბევდა. საომარი მარაგის შევსება აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა.

— სული მოიბრუნეთ, შეიღებო, კარგად დაისვენეთ, უკეთეს დასასვენებელ ადგილს აბა სად ნახავთ, — გვემუდარებოდნენ მოხუცი დედაკაცები და მამაკაცები.

— ვისვენებთ, დედილო, ვისვენებთ,

თქვენთან მართლაც შეიძლება სულის
მობრუნება.

ირველივე მშვერარეები გავგზავნეთ.
მათ უნდა მოველოთ მახლობელი და
შორეული კუთხეები, ყველაფერში
გარკვეულიყვნენ, მტრის ბუნაგები შე-
ესწავლათ, თვითმფრინავების მისაღე-
ბად შესაფერი ადგილები შეერჩიათ,
ზუსტი და გარკვეული ცნობები შეეგ-
როვებინათ — ასეთი იყო ამოცანა.
განვლო დღეებმა და მშვერარეებმაც ნა-
წილ-ნაწილად იწყეს დაბრუნება. მათ
ამბავი მოიტანეს, რომ დასავლეთის
მიმართულებით, აქედან დაახლოებით
ორმოცდაათ კილომეტრზე, დნებრობუ-
გის არხის მახლობლად მთელი მილა-
მოები ფაშისტებს ციხე-სიმაგრედ უქ-
ცევიათ; რომ ის სიმაგრეები გავარ-
ღვით და საბჭოთა არმიას შევეურთ-
დეთ, ძალზე დიდი მსხვერპლის გა-
ლება დაგვირდება. გერმანელებს ყვე-
ლა შესაძლებლობა გაუთვალისწინე-
ბიათ, დნებრო-ბურგის არხი მიუვალად
გაუბღიათ!

მშვერარეების ეს ცნობები უტყუარი
იყო, გაუზვიადებელი და გადაუჭარბე-
ბელი. თუმცა დიდი სურვილი გვქონდა
მტრის გარნიზონები დაგვერბია, მაგ-
რამ, როგორც უკვე აღვნიშნე, საომარი
მასალა არა გვქონდა. ორი ათეული
ყუმბარით მტრის სიმაგრეებზე იერი-
შის მიტანა, ცხადია, უაზრობა იქნე-
მოდა.

მშვერარეები ნელ-ნელა ბრუნდებო-
დნენ უკან. მათ ყოველთვის თან მოჰ-
ყავდათ აქაური ახალგაზრდა პატრიო-
ტები. ეს ახალგაზრდები პარტიზანების
რიგებში მიღებას გუთხოვდნენ. ჯერ
კიდევ სოფელ დიატკოვიჩში ბანაკობის
დროს ჩვენს დივიზიას ყოველი კუთხი-
დან აფარებული ახალგაზრდობა მო-
აწყდა.

ოთხი ახალგაზრდა მოვიდა ერთ სა-
ლამოს ჩემთან.

— ვინ ხართ, სადაურები? — შევე-
კითხე მათ.

— ადგილობრივი მცხოვრებნი ვახ-
ლავართ, ბელორუსები!

— რით შემიძლია გემსაწილი?

— პარტიზანები გვინდა გავხდეთ.

— როდის დაგებადათ ეგ სურვილი?

— სურვილი დიდი ხანია გვაქვს.

მაგრამ დღემდე იარაღი ვერ ვიშოვეთ.
ადგილობრივ პარტიზანებს თვითონ არა
აქვთ საკმაო იარაღი, ჩვენ რას მოგე-
ცემდნენ. თქვენზე გვითხრეს, დიდი შე-
საძლებლობა აქვთ, იარაღს მოგვეცე-
მენო.

— რატომ საბჭოთა არმიის რიგებში
არა ხართ?

— პირველი მობილიზაცია რომ გა-
მოცხადდა, სრულწლოვანი არ ვიყავით.
ამიტომ ვერ მოვხვდით საბჭოთა არ-
მიის რიგებში. მას შემდეგ კი დღემდე
ჩვენს მხარე დამპყრობლების ხელშია.

— კარგი, თქვენს თხოვნას დავაკმა-
ყოფილებ, მივიღებთ!.. — ვუთხარი
ახალგაზრდებს, ამ სიტყვებმა მათი
გული სიხარულით აავსო.

დიატკოვიჩში დასვენება, ცოტა არ
იყოს, გაგვიხანგრძლივდა. ამ დასვენე-
ბამ კარგი ნაყოფი გამოიღო: ავადმყო-
ფები მოლონიერდნენ, სიცოცხლის ნი-
შან-წყალი ჩაუდგათ თვალებში. მე-
ბრძოლებმაც ეხერგია მოიკრიბეს, და-
უსრულებელი მგზავრობით არაქათგა-
მოცლილი ცხენებიც მოსულიერდნენ.
ერთი მთავარი მიზანი გერჩებოდა მი-
უღწეველი: თვითმფრინავების მისა-
ღები ადგილი ვერსად ვერ აღმოვაჩი-
ნეთ, ამიტომ ავადმყოფების დიდ მი-
წაზე გადაყვანა ვერ მოხერხდა, ამავე
მიზეზით ტყვია-წამალსაც ვერ ვღებუ-
ლობდით. მოსახლეობას დავემშვიდო-
ბეთ, თავაზიან შეხვედრისათვის და
ყურადღებისათვის დიდი მადლობა გა-
დავუხადეთ და გზას გავუღიქეთ. მთა-
ვარი იყო ამჟამად ფრონტს დავახლო-
ვებოდით და მტრის ახლო ზურგში
მოვქცეულიყავით. ტყვიაწამლის უქონ-
ლობა ძალიან გვადარდებდა. იმ მცირე
მარაგს, რომელიც გავაჩინდა, თვალის

ჩინივით ვუვლიდით და ვეფერებოდით. ყველა მებრძოლი გაფრთხილებული იყო, უმიზნოდ ერთი ცალი ვაზნა არ დაეხარჯა.

ირიერაქა. ივანოვსკის რაიონში შევედით. აი, დაბა მოტოლიც. მოზრდილი დაბაა, საშუალოდ კეთილმოწყობილი, უსწორმასწორო ქუჩებით, ირგლივ სოფლები აკრავს. დივიზიის შტაბი ქვეგანაყოფით, ცხენოსანი დივიზიონი და პირველი პოლკი მოტოლში მოექწყვეთ, დანარჩენები იქვე მახლობელ სოფელში დაბანაკდნენ.

მისვლისთანავე მშვერავეები გავგზავნეთ მახლობელ მიდამოებში.

— დიდ ფაცაფუცშია მტერი, ძალებს იკრებს, მაგრდება, სერიოზული პრძოლებისათვის ემზადებაო, — მოიტანეს ამბავი მშვერავეებმა.

საინტერესო ამბავი შეემთხვა ამ დაშვერვის დროს პოლკის მშვერავეების უფროსს ერთ მოზრდილ სოფელში. მას პოლიციელის სახლი უჩვენეს გლეხებმა და შესჩაიღეს, რომ ამ პოლიციელისაგან მოსვენება აღარა გვაქვსო. მშვერავეებიც თურმე პოლიციელს ესტუმრნენ. თვითონ პოლიციელი სახლში არ დახვდათ, დიასახლისს პარტიზანების მისვლა, ცხადია, არ ესიამოვნა, ფერმა გადაკრა. მამაკაცი იკითხეს: „შინ არ არისო“, თქვა დიასახლისმა. სახლი ოჯახის სამკაულით იყო გამოქედილი, ნაირ-ნაირი საქმლის სუნი ტრიალებდა.

მშვერაქმა ვასია რიაზოიმ გამბედაობა მოიკრიბა და ქალს მორიდებულად სთხოვა — საუზმე მოგვიტანეო. ქალმა მტკიცე უარით უპასუხა, არაფერი გამაჩნიაო.

— ჩვენ კი ვიცით, სოფლის დოვლათი თქვენს ოჯახში არის გადმოზიდული, — უთხრა მას ვასიამ.

— არ არის მართალი, ბოროტმა ენებმა თუ გითხრეს ეს, — გააკაპსებით თქვა ქალმა.

— მაშ, თუ მართლა ეს მოტოლი ამბავია, მართლა თუ არაფერი გაქვს, ამ წუთში, გავიგებთ: ქვედაფრთხილსაქალს? — ანიშნა ვასიამ ქალს მაჯაზე შემბულ კომპასზე.

ქალი კომპასს დააცქერდა.

— ვხედავ! — გოაცებით უპასუხა ქალმა.

— ჰოდა, აი ეს მოციმციმე ისარი, — კომპასის ისარზე მიუთითა, — ჩემს ბრძანებაზე ბოლოს იქით მოიქცევეს, სადაც სურსათ-სანოვავე გაქვთ გადაჭალული, ზედ თავზე დაგვაყენებს!

ქალი შეშინდა: „მე თავად ყველაფერს გაახლებთ, არ არის ისრის ჩვენება საჭიროო“, — თქვა და მეორე ოთახში გაიქცა. ოც კაცს დააკმაყოფილებდა, იმდენი საქმელ-სასმელი მოზიდა. პარტიზანებმა ჩინებულნი ვახშამი მიირთვეს და გზას გაუდგნენ.

მშვერავეების ერთმა წყებამ ფრიალსაყურადღებო ამბავი მოგვიტანეს: სოფელ ოროვინცაში საქმაოდ მოზრდილს, სანახევროდ გაპარტახებულ აეროდრომს წავაწყდითო, დამპყრობლებს გაემართათ ეს აეროდრომი, იმ დროს, როდესაც აღმოსავლეთისაკენ მიიწვედნენ. ამ აეროდრომის შეკეთება და გამოყენება საესებით შესაძლებელიაო, გვითხრეს ბიჭებმა.

ცას ვწვდით სიხარულით. აეროდრომი ამჟამად ჩვენთვის ყველაფერი იყო, დაჭრილ-დაავადებულ ამხანაგებს დიდ მიწაზე გავისტუმრებდით და ტყვიანქამალსაც მივიღებდით. პეტრომ შეკრიბა პარტიზანთა მეთაურები და უბრძანა აეროდრომის შესაკეთებლად მებრძოლები გამოეყოთ.

აეროდრომის მოედანზე მუშაობა გაჩაღდა, სრულ წესრიგში მოვიყვანეთ ის, თან თვითმფრინავების გამოძახების თადარიგს შევუდგეთ, მაგრამ სწორედ ამ დროს ჩვენს ალტაცებას ფრთები შეეკეცა: მტრის რეგულარულმა ნაწილებმა მოგვისწრეს და აეროდრომი დაიკავეს.

დივიზიის შტაბში ვისხედით და ესაუბრობდით, როცა პარტიზანებმა ოთახში პოლიციელი შემოაგდეს. ქოსა პოლიციელი ხაფანგში გაბმული თავივით აცეცებდა თვლებს.

— არ გრცხვენია, ჩვენ გაგვექციო და გერმანელებს მივმხრე? — შეეკითხა ვერშიგორა პოლიციელს.

— იძულებული გამხადეს, დახვრებით დამემუქრენ!

— რას ფიქრობენ შენი ძმა-ბიჭები, გასრესას ხომ არ გვიპირებენ? — დაცინვით ჰკითხა პეტრომ.

— თუ მენდობით, ყველაფერს გულწრფელად მოგახსენებთ, გეტყვით, რა მდგომარეობაა ამჟამად გერმანელების ბანაკში, რას ფიქრობენ, მათი გეგმა როგორია.

— შენს გულწრფელობას ფასი არ აწეს, მაგრამ მაინც თქვი, გისმენთ.

— გულწრფელად მოგახსენებ-მეთქი იმიტომ ვთქვი, რომ საქმით მინდა დამიტყვიოთ ჩემი უდანაშაულობა. ძალით მომახვიეს პოლიციელობა თავზე. მე, მართალია, პოლიციელი ვაგხდი, მაგრამ მიჩვენეთ თუნდაც ერთი გლეხი, რომელიც ჩემზე ცუდს იტყვის და მერე თქვენი ხმალი და ჩემი კისერი!

პოლიციელმა თანმიმდევრობით და დამაჯერებლად გადმოაღაგა, რაც ნახული ჰქონდა და იცოდა. მან თქვა, რომელ სოფელში თუ დაბაში რა რაოდენობით გააჩნდა მტერს ძალა. გერმანელებმა იციან, პარტიზანების დივიზია რომ უახლოვდებათ, ამიტომაც გაფაციცებით იყრებენ ძალებსო, ფაშისტების მტკიცე გადაწყვეტილებას შეადგენს თქვენი დივიზია ალყაში მოიქცეოს და გაანადგუროსო.

პოლიციელი ყველაფერს სიმართლეს ლაპარაკობდა, ცხადია, ის ზედავდა, რომ გერმანელებმა ომი უკვე წააგეს. პოლიციელი ცდილობდა ჩვენთვის თავი შეებრალბინა, ჩვენ კი ვიცოდით, რომ მგელი ცხერის ქურქში იყო გახ-

ვეული. სადაც კი მოასწრებდა, ფეხს დაგვიდებდა.

ჯერ ისევ დაბა მოტოლოში ვიდუქით, როდესაც ჩვენთან ადგილობრივი პარტიზანები მოვიდნენ და საყურადღებო ცნობები მოგვაწოდეს. მათ ვადმოგვცეს, რომ პარტიზანული ბრიგადები, გულიაევის და ცვეტკოვის ხელმძღვანელობით, მეზობელ სოფელ ტემკოვიჩში დგანან, სხვა ბრიგადებიც მდინარე იასელდას ჩრდილოეთ ნაწილში არიან და მოქმედებენო. ამ ჩვენს რაიონში თქვენი მოსულით მოწინააღმდეგე შეშფოთებულია, ამჟამად მტრის ბანაკში დიდი ფუსფუსია: უკრაინა-ბელორუსიაში მოქმედი კოვპაკის ცნობილი პარტიზანული არმია დღეს-ხვალ შემოგვიტყვეს, საბედისწერო წუთების წინაშე ვდგავართ, სასწრაფოდ მოგვანველეთ დამხმარე ძალებიო, — ატყობინებენ თავიანთ შტაბს. სხვა დროს ამ ჩვენს რაიონში მტრის ასეთ შეშფოთებას, როგორც ეს დღეს, ადგილი არ ჰქონიაო, გვითხრეს სტუმრებმა.

— ყველაფერი ეს კარგია, მაგრამ ეს გვითხარი როგორია თქვენი შეიარაღება, სამოქმედო გეგმა, — ეკითხებით გულიაევის რაზმელებს.

— საშუალოდ ვართ შეიარაღებული, იარაღს უმთავრესად მტრის ხარჯზე ვიძენთ. ვაწყობთ დივერსიებს, ვარბევთ მტრის კომუნუიკაციებს...

მალე გერმანელებმა შეიტყვეს, რომ ჩვენ ადგილობრივად მოქმედ პარტიზანთა რაზმებს დავუკავშირდით. მათაც არ დააყოვნეს და კონტრაზომები მიიღეს.

ჩვენი დივიზიის შტაბში ადგილობრივი პარტიზანების მწვერავები გამოცხადდნენ და გვითხრეს:

— ჩვენ უკვე გვაქვს სარწმუნო ცნობა, რომ აპრილის ხუთი რიცხვისთვის მოწინააღმდეგე საგრძნობი ძალიან მოტოლზე და ამ დაბის მოსაზღვრე სოფლებზე თავდასასხმელად ემზადება, გადაწყვეტილი აქვთ პარტი-

ზანების ალყაში მომწყვდევა და განდგურებაო.

ვერშიგორამ სახელდახლოდ მოიწვია მეთაურთა თათბირი. თათბირს ესწრებოდნენ ბრესტ-ლიტოვსკის პარტიზანული ბრიგადების ხელმძღვანელები, მეთაურები და პოლიტმუშაკები.

თათბირზე პეტრომ მოსალოდნელ თავდასხმაზე ილაპარაკა, განმარტა, რომ მოტოლი და ის სოფლები, სადაც ჩვენები ამჟამად დაბანაკებული არიან, მტერს მიზანში აქვს ამოღებული, ხვალიდან შემოტევას ველით, განსაკუთრებული თადარიგი და სიფხიზლეა საქარო, მთელი შემადგენლობა იარაღჭვეშ დააყენეთ, სულ ცოტა უთადარიგობას შესაძლოა საქმის გართულება მოჰყვესო.

— მოტოლი დავიცვათ, მოტოლს მტერს ნუ დავანებებთ, — მუდარით მოგვემართავენ ადგილობრივი პარტიზანები.

ჩვენთვის გასაგები იყო მებრძოლების ეს წუხილი. მოტოლი მთელ ამ რაიონში ერთადერთი ხელსაყრელი კარიბჭე იყო. აქედან მუდამ შესაძლო იყო მტრის კომუნიკაციაზე მომარჯვებულად თავდასხმა.

იმ დღეს არაჩვეულებრივი ფუსფუსი და მოძრაობა იყო მოტოლში. სამეურნეო დანიშნულების ალალები უკვე გამზადებული იყო ტყეში გასაგზავნად. ცხენოსანი ესკადრონის მებრძოლები ცხენებს დააგლეჯდნენ ქუჩებში, წესრიგს იცავდნენ. ალალების გასამგზავრებლად მზადყოფნა ვერშიგორას მოვახსენეთ. სოფლის მთავარი ქუჩა ალალებით გაიჭედა. „ჩვენს მაგივრადაც იძიეთ მტერზე შერი, დაბადების დღე აწყველინეთო!“ გადმოგვძახოდნენ გამგზავრების წინ ალალებზე წამოწოლილი დაქრილები.

ქუჩაზე წითელყელსახვევიანი პიონერები გამოეფინენ, პეპლებივით ფრთხილებდნენ პაწია გოგო-ბიჭები, ცხელ

რძეს, კარაქს, ნაღებს და ახალ გამოცხვარ პურებს აწოდებდნენ დაქრილებს, გზას ულოცავდნენ.

— როგორც ჩანს, წითელი ყელსახვევები გადაუნახავთ ბავშვებს, ყოჩაღ, აი გაბედულებაც ამას ჰქვია! ფაშისტებმა რომ უნახონ, ხომ თავს დაავიწყებენ! — მეუბნება ბერეჟიო.

ბავშვები ვიხმე, გამოვესაუბრე და მოვეაღერსე, წითელყელსახვევებზედაც ჩამოვეუგდე საუბარი.

— ვიცი, ძია, კარგად ვიცი, როგორ არ ვიცი, ამ წითელ ყელსახვევებში ფაშისტებს როგორ ვეჩვენებით! წახვალთ თქვენ თუ არა, ყელსახვევებს ისეთ ადგილას გადავმალავთ, დამპყრობლების მთელი პოლკი რომ დაედვას, ვერ იპოვნის.

ერთ დროს ჩვენს რიგებში იყო პიონერების დიდი მეგობარი, პარტიზანი კოსტია სტრელიუკი, მოსკოვის ეურნალ „პიონერის“ ყოფილი რედაქტორი. კოსტია კარპატების ბრძოლებში მძიმედ დაიჭრა და დიდ მიწაზე გაეჩისტურეთ. სადაც კი მივიდოდით, ქალაქში, თუ დაბა-სოფელში, სტრელიუკი პიონერებს მონახავდა და საათობით მათთან საუბრობდა, თან უბის წიგნაკში შეჭქონდა ბავშვების ნამბობი.

მოტოლელ პიონერებთან შეხვედრამ სტრელიუკი მოგვაგონა. ის რომ ახლა ჩვენთან ყოფილიყო, პიონერებთან შეხვედრას საზეიმო ხასიათი მიეცემოდა.

შტაბმა კულბაკას უბრძანა, მოეწყო სადარაჯოები სოფლებში—ობოლნაიში და კოლოდხაში. ამ სოფლებზე მტრის გამოვლა იყო მოსალოდნელი. ენიცობაა ალალებს მტერი დაედევნებოდა, კულბაკას მისთვის გზა უნდა გადაეკეტა. საბოლოოდ გადნა თოვლი, მარხილების დიდი ნაწილი ალალებით შევეცვალეთ. აქა-იქ დარჩენილი მარხა-

ლები საცოდავად მიზობლადენენ ტალახიან გზებზე.

მოტოლიდან დაჭრილების გაყვანის შემდეგ ცხენოსანი ესკადრონის თანხლებით კულბაკა სოფლიდან გავიდა.

მესამე პოლკმა მოტოლში გადმოინაცვლა და მეორე პოლკის და ცხენოსნის ესკადრონის მიერ დატოვებულ ადგილებში გამაგრდა.

სადაც კი მივიდოდა ჩვენი დივიზია, ადგილობრივი პარტიზანები მაშინვე ჩვენთან მოდიოდნენ და თავის სამსახურს შეგვთავაზებდნენ: „თქვენს განკარგულებაში ვართ, გამოგვიყენეთ, დავცინებართო!“ უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივმა პარტიზანებმა დიდი როლი ითამაშეს, უტყუარს და ფრიალ ძიურფას ცნობებს გვაწვდიდნენ ისინი მტრის განლაგებაზე და შეიარაღებაზე.

აი რა გვიამბო მოტოლელმა პარტიზანმა: ამ ბოლო დროს გერმანელები გზებზე სიარულს ერიდებიან, ეშინათ — დანაღმული იქნებაო. ამიტომ ტყეებზე მოგზაურობას ამჯობინებენ. ეს რომ ჩვენ შევნიშნეთ, გზების დანაღმვაზე ავიღეთ ხელი და ტყე დაუნაღმეთ. არც ისე ადვილია ხეების დანაღმვა, მაგრამ მაინც შეუძელით და მოვახერხეთ ეს. იცით, როგორი შედეგი მივიღეთ? თევზებივით ეყარნენ დანაღმულ ტყეში დამპყრობლები. მტერმა აიღო აუღო ამ ამბავს, მაგრამ გვიანდა იყო.

ჩვენი ფიზიკური დაზვერვის წყალობით მუდამ საქმის კურსში ვიყავით და ვიცოდით, რას აკეთებდა მოწინააღმდეგე, მაგრამ არც მტერს ეძინა, ინათაც იცოდნენ, თუ ყოველთვის არა, ზოგჯერ მაინც, თუ სად ვიყავით დაბანაკებული, საიდან, როდის გამოვიდოდით და საით მივიდოდით.

პარტიზანების ღამით მოძრაობა მტერს გზაკვალს უზნევდა, მხოლოდ დივიზიის ადგილიდან ადგილზე გადანაცვლების დამალვა ყოველთვის არ გვიხერხდებოდა. ამიტომაც ყოველ სა-

ათს იყო მოსალოდნელი ბრძოლას გაშლა და გაჩაღება.

დაზვერვამ ორი ახალი მტერი მოიყვანა, ნადია და ვიქტორია. მათი დატანჯული და გადაღლილი გამომეტყველება ცხადად მოწმობდა, რომ დიდი გაჭირვება ჰქონდათ ქალებს გამოვლილი.

— საიდან მოდიან ეს ქალები, ან სად იპოვნეთ? — შევეკითხეთ მზვერავებს. ქალებმა მზვერავებს პასუხი დაასწრეს: „ტყვეები ვართ, პოლტავიდან წამოყვანილებიო“ — გვიპასუხეს.

— მერე აქ როგორ მოხვდით?

— პოლონეთში ვმუშაობდით, სამხედრო ქარხანაში. პოლონეთში საბჭოთა ქვეყნის პარტიზანები შემოსულანო, ტყვეების ჩურჩულს მოგვარიტ ერთხელ ყური. მაშინ ტყვეებს წინადადება მიეცით, გავიქცეთ აქედან და ჩვენებთან წავიდეთ-თქო.

— არა, ასე უთადარიგოდ გაქცევა როდი ვარგა, ჩვენც ის დღე დაგვადგება, როგორც ეს ბევრს ჩვენებს დაადგათ. დავიცადოთ, დრო შევარჩიოთ და ისე გავიპაროთო, გვითხრეს ტყვეებმა. მოთმინება არ გვეყო, სად ვუცადოთ ამათ, მეუბნება ნადია, ჩვენ ორნი გავიქცეთო!

ასეც მოვიქცით, ნაშუალამევს დეზაჟრედით, ჯარგვალიდახ, სადაც სხვა ტყვეებთან ჩვენც ვბინადრობდით, გამოვიპარეთ და მახლობელ ტყეში დავიმალეთ. ისე ბნელოდა, ისე ბნელოდა ტყეში, კინალამ ჰკუა დაეკარგეთ. მივიღივართ კი, მაგრამ საით ან სად, წარმოდგენა არა გვაქვს.

საუბრის დროს ვიქტორიას სიცილი წასკდა: „ადრე მე ჩემს სახლში ღამით ოთახიდან ეზოში გამოსვლის მეშინოდა“, თქვა მან.

— უეცრად ტყეში ხმა შემოგვესმა — განაგრძობდა ნადია — დავიღუპეთ, — მეუბნება ვიქტორია, უთუოდ ნადირია, რაღა გვეშველება ახლა!

საჩქაროდ ვიწყეთ ხეზე ასვლა, სხვილტახიანი ხე შეგვხვდა. ზედ ჩა-



მოვედებით, და სული მოვიბრუნეთ. ჩვენდა საბედნიეროდ, მალე ინათა. მოშორებით კვიციანი ცხენი დავინახეთ. დედაცხენს კისერი კვიცის კისერზე გადაედო და ორივენი თვალბმინაბული იღვნენ. შეგვრცხვა, ხელი ტუჩზე ავიფარეთ და ჩუმი სიცილი ვიწყეთ.

— ესაა უთუოდ ის ნადირი, წუხელის შეკმას რომ გვიპირებდა? — მეუბნება ვიქტორია.

ცოტა საგზალი გაგვანდა, პარკში პური და ყველი გვეწყო, დაენაყრდით და გზას გავედექით. ტყიდან შარაგზა შევნიშნეთ. შარაზე გასვლა საშინლად მივიჩინეთ, არა და სანამდე უნდა გვეხეტიალა ტყე-ტყე, რა დაგვრჩენოდა უღრან ტყეში?

გადავწყვიტეთ, გზის გასწვრივ, ტყე-ტყე გვევლო, და თუ ვინმეს, შარაგზაზე მიმავალ კეთილ ადამიანს დავინახავდით, გამოვსულიყავით და მის წინ დაგვიჩოქა, ჩვენი გულის ნადები გაგვიზიარებინა. ერთი ღამე რომ კიდევ ამ ტყეში დავრჩეთ, მეუბნება ვიქტორია, კეტაზე შევიშლებით, იარაღი მაინც გექონდეს, რომ თავი დავიცვათ! ბევრი ვიარეთ, შუადღე გადავიდა, ვხედავთ, შარაზე კომბოსტოთი დატვირთულ მაღალ ალაღზე მოხუცი გლეხი ზის და გრძელტარაიანი მათრახით ხარებს მიერეკება.

— ამაზე სანდოს და უკეთესს ვის შევხვდებით? — ვეუბნები ვიქტორიას. საჩქაროდ ტყიდან გამოვხტით და ალაღის წინ დავერკვეთ. გლეხმა ალაღი დააყენა. ჩვენდა საბედნიეროდ, გლეხი რუსულად საკმაოდ გამართულად ლაპარაკობდა. ვემუდარეთ, ვუთხარით, პოლონეთში რუსეთის პარტიზანები გადმოსულან, შეიძლება იცოდეთ, სად არიან და გზაც გვასწავლოთო?

გულკეთილ გლეხს შევებრალებთ: „ბეჯითად ვერ გეტყვით, სად იქნებიან, ისე ყური მოვკარი რუსის ჯარია პოლონეთში მოსულიო“.

— თქვენ სად მიემგზავრებით?

— კრაკოვეში.

— კრაკოვეში რისთვის? —
— ჩვენ თქვენ ალაღში ვსმარებთ ყვეთ, წინააღმდეგი ხომ არაფერი გეძნებათ?

— არაფერი. ამოდით ალაღზე და დასხედით. — თქვენ უთუოდ ტყე ქალები იქნებით? — შეგვეკითხა გლეხი.

— დიახ, დიახ!

— გამოიპარებოდით?

— აგრეა, აგრე!

მოვხსენით გუდას თავი და ჩვენი თავგადასავალი თავიდან ბოლომდე ვუამბეთ გლეხს. შევებრალებთ, ყოველგვარი დახმარება აღვეთქვა. „ეინიცობაა კრაკოვეში ჩემი ყოფნის დროს ვერ გავიგებთ, სად არიან რუსები, ერთს ჩემს კარგ ნაცნობ დედაბერს ჩავაბარებ თქვენ თავს, დამესაც გაათევენებთ და სწორ გზაზედაც დაგაყენებთო“, — გვითხრა მოხუცმა.

— მეორე დღით მივედით კრაკოვეში. გლეხმა ალაღი მოედანზე დააყენა, აქ დამიკადეთო, გვითხრა და სადღაც გაიქცა. დიდი ლოდინი არ დაგვიჩრებია, მოხუცი დედაბრის თანხლებით მალე დაბრუნდა.

დედაბერმა რუსი პარტიზანების პოლონეთში მოსვლა დაგვიდასტურა. „რამდენადაც მე ეს ვიცი, — გვითხრა მან, — თქვენები აქედან შორს არიან, დიდ ტყეებში დაბანაკდნენ, მაგრამ მათი მიგნება ახლა ძნელი არ არის, ყველა გლეხს შეუძლია მიგასწავლოს, თუ სად იმყოფებიან ისინი.“

დედაბერმა იქვე ბაზარზე მოძებნა ალაღი, რომელიც აღმოსავლეთისაკენ უნდა წამოსულიყო. იმ ალაღზე მოგვაწყო, სამ-სამჯერ ვაკოცეთ შუბლზე ჩვენს მოხუცს, დიდი მადლობა გადავუხადეთ და გზას გავედექით.

— ჩვენს სოფელს ახლოს არიან დაბანაკებული რუსი პარტიზანებიო, — გვითხრა გზაში მეალაღეს ცოლმა.

მოთმინება არ გვეოფენიდა, ალაღზე ვერ ვჩერდებოდით. როდესაც ტყის ახ-

ლო სოფლებს დავუახლოვდით, გლეხებმა სარწმუნოდ გვითხრეს, გუშინდამ წავიდნენ სადღაც რუსი პარტიზანებიო.

მეხი დაგვეცა, ტირილი დავიწყეთ. რაღა უნდა გვექნა, ახლა — საითაც ხელი გაგვიშვირეს, იქით წავედით. სიცოცხე პირსახეს გეწვევდა. იმ დღიდან დღემდე თქვენს ძებნაში ვართ. რა ტანჯვა და წამება გავიარეთ, ამას ნუ

გვეითხაეთ, ენა ვერ იტყვის. გოგონები ცრემლმორთველად გვევლინებოდა დასცქეროდნენ. იყო თუ არა — ჩვენ ჩვეულებრივი გოგონები გვეგონეთ, თქვენ კი გმირები ყოფილხართ! — წაილაპარაკა ერთმა პარტიზანმა, რომელიც მთელი იმ ხნის განმავლობაში ჩუმად იყო და გულდასმით უსმენდა ქალიშვილების თავგადასავალს.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

რუსი ქალები

★

თავად ტრუბეცკოვის მუშლელე *

პირველი ნაწილი

გულმოდგინებით, დიდი სიფრთხილით
 მთლად საგანგებოდ მორთეს მარხილი.

თვით მამამ — გრაფმა, გულდასმით,
 ღინჯად

ჩამდენიშეჯერ იგი გასინჯა.

ექვსი ცხენია მასში შებმული
 და არის ფარნით განათებული.

გრაფმა ლამაზად მორთო ვით ბინა,
 შიგ დათვის ტყაეიც კი ჩააფინა.

ლოცვას წარმოთქვამს აგრეთვე კიდევ,
 შემდეგ მარხილში ხატს ჩამოკიდებს.

და აქეთონდა უეცრად მწარედ...
 ამ ღამით ასულს საით ამგზავრებს?

I

„ერთმანეთს ვტანჯავთ, თავს ველარ
 ვიჭერთ,

მაგრამ, ძვირფასო მამავ, ჩვენ ამით
 ერთმანეთს შევბას ვერ მივანიჭებთ,
 ამოო არის დარდი, ვარამი!

ვისაც შეეძლო ჩვენი ხსნა სრული,
 ის... ჩემგან ნუ გწყინს, ნურც გაიოცებ!
 მიემგზავრება შენი ასული,
 ძვირფასო მამავ, გზა დაულოცე!

II

იქნებ ვერ შევხვდეთ ჩვენ ვერასოდეს,
 უფალმა უწყის, რა დრო დადგება.

მშვიდობით! თანაც მტკიცედ
 გჯეროდეს,
 რომ შენს სიყვარულს, შენს დარიგებას
 არ დაევიწყებ, ის ძლიერია,
 შორს ვიქნები და შემახსოვრება!
 არ ეტირი, მაგრამ თ, რა ძნელია,
 ძვირფასო, შენთან გამოთხოვება!

III

ღმერთმა იცოდეს!.. მაგრამ, მაწევს
 სხვა

მოვალეობა, ტკბილო მამოო,
 მე ის შეძახის... ნულარ დამძრახავ,
 მივდივარ, ცრემლებს ნუ ღერი ამოოდ!
 მძიმე გზა მიძევს, ვერავინ მშველის,
 ეს მწარე ბელი მაინც ვერ მარყევს;
 გაკაჟდა გული, ხედავ, მე შენი
 ქალიშვილი ვარ, მამ იამაყე!

IV

ვამბობ: მშვიდობით, გულის
 დამწველო,
 სამშობლო მხარეც, შენზე ელონდები.
 და შენც... ქალაქო საბედისწეროც,
 ბუდეც მეფეთა... გემშვიდობები!
 ვისაც ლონდონი, რომი უხილავს,
 ვენეცია თუ პარიზი დიდი,
 მას ბრწყინვალეობით ველარ მოხიბლავ,
 მე კი საყვარელ ქალაქად გთვლიდი.

V

შენს კედლებს შორის ვერ მოვიწყენდი,
 „ბედნიერი ვარ!“ — ასე ვამბობდი.

* 1825 წ. დეკაბრისტთა შეთქმულების მო-
 ნაწილის კატორღაში გადასახლებული ცნობი-
 ლი დეკაბრისტის ს. ტრუბეცკოვის მუშლის
 გატერინეს თავგადასავალი.

მიყვარდა ბალი თავდავიწყებით,
მიყვარდა თოვლი და ეცივაობდი.
სალამოს ბინდში შენს ნევას შეენის
ნაზი ლივლივი და საუბარი,
ის მოედანიც მიყვარდა შენი,
რომ ამართულა გმირი მხედარი.

VI

ვერ დავივიწყებ... მაგრამ ვერ ვამხელ,
შემდეგ შეიტყობთ ჩემს ამბავს

ნამდვილს,
კრულ იყოს, კრული ის ქვის სასახლე,
სადაც პირველად ვცეკვავდი კადრილს!
მას ჩამოვართვი ხელი, მე იგი,
ასე მგონია, რომ დღემდე ხელს
მწვავს... *

შენ გიხაროდეს

მტკიცედ შეკრული, ოდნავ წახრილი,
ქალაქში უკვე მიჰქრის მარხილი.

შავით მოსილი და სახემკრთალი
შიგ ზის მღუმარე თავადის ქალი.

მათი მდივანი (გაჰყვა მაშინვე,
ჯვრები უბრწყინავს, ხალხს მით
აშინებს)

მსახურთან ერთად წინ მიჰქრის
სწრაფად,
მათრახის ქნევით გზას მიიკაფავს.

მათ უკვე განვლეს ქალაქი ვრცელი,
მაგრამ შორი გზა აქეთ გასაუღელი.

მკაცრი, მრისხანე ზამთარი არის.
ყველა სადგურზე ჩამოდის მგზავრი.

ამხელს საწადელს იგი ამგვარად:
„გამოგვიცვალეთ ცხენები ჩქარა!“

და დაარიგა აურაცხელი
მან გზაზე ფული შინაყმის ხელით.

მეოცე დღეა... თავი ვასწირეს,
და ტუმენამდე ძლივს მივალე...
გიბლნიოთუქან
შემდეგ ათი დღე კიდევ ეწვალნენ.
„ჩვენ ენისეის ეიხილავთ მალე,

ამბობს მდივანი, — და მიხარია,
ასე თვით მეფეს არ უმგზავრია!“

წინ! წინ! — ამ სურვილს მიჰყვება
მგზავრი.

ის ამ გზას, ფიქრებს მთლად მიენდობა.
ფიქრებს შეუცვლის ზოგჯერ სიზმარი
და ხედავს თავის ახალგაზრდობას.
ნევის ნაპირას რომ ამართულა
იმათი სახლი, არ ახსოვს განა?
ის ხალიჩებით არის მორთული,
შესავალ კართან ლოკები დგანან.

ო, რა ლამაზი კიბეებია,
დარბაზი არის სულ მთლად ბრწყყვილად.
დღეს აქ ბავშვები იკრიბებიან,
აი მუსიკამ დაიგრაილა!
თმები შეუტრეს კოხტად, მსუბუქად,
წითელი ლენტით, — რა ხმები ესმის!
მას მოუტანეს კაბა საჩუქრად
და ყვავილები ულამაზესი.

შემოდის მამა! — ის მხნე კაცია,
შვილს სტუმრებისკენ მიიპატივებს,
ეტყვის: „რა კარგი კაბა გაცვია,
ყველას მოხიბლავ და გააგიჟებ.
სიხარულს მისას არ უჩანს ბოლო,
გამხიარულდა ბუნებით ლალი,
და მის გარშემო ტრიალებს მხოლოდ
ლამაზ ბავშვთაგან შეკრული ბალი.
ბავშვები ლამაზ ყვავილებს გვანან,
მოხუცებიც კი ლამაზებია, —
ჯვრებით, ლენტებით, პლუმაჟით

დგანან,
და ზოგს ჩხარუნა დეზებიც კი აქვს.
ცეკვავს, ერთობა. მხოლოდ კარგს
ელის...
იმ წლებში წუხილს, დარდს რა
მოჰკერიდა? —
მისი ბავშვობა მთლად უდარდელი

* გულისხმობს მეფე ნიკოლოზ პირველს.

და საოცნებო ასე წავიდა,
 სხვა დროც ეწვია, — მატულობს შუქი,
 განათდა ბალი... სიხარულს უღევს
 ანიჭებს მის წინ მღვარი ჭაბუკი,
 როს ყურში ტკბილად ჩაუჩურჩულებს...
 მას ცოლად გაჰყვა, კვლავ ბალი,
 ბალი...

უკვე თვით არის დიასახლისი,
 მათთან ელჩები... მათთან მაღალი
 წოდების ხალხი მოდის ხალისით.



უკვე ქმარს ჰკითხავს: „რად მოიწყინე,
 ძვირფასო, გული რად შეიცვალე?“ —
 „ეს წრე გულს მიკლავს, ჩემთვის არ
 ბრწყინავს,
 კარგია, ჩქარა თუ გავცვალეთ!“



და გაემგზავრა ქალი მაშინვე,
 თავის გულის სწორს ის შორს
 მიჰყვება...

უკვე მომზიბველელ ქვეყანაშია, —
 მათ წინ მარადი რომი იშლება.
 ესეც ვიკითხოთ: სხვა რა გვახარებს? —
 ჩვენ მხოლოდ მაშინ

გამოვეცოცხლებით,
 როცა, როგორმე მოვახერხებთ და,
 ჩვენივე ქვეყნის ფარგალს გავცდებით.
 ეტოვებთ მშობლიურ ჩრდილოეთს,

მაგრამ
 თავს შევაფარებთ მხიარულ სამხრეთს.
 ჩვენთვის ვართ, ჩვენთვის, ვერვინ
 დაგეჩაგრავს,
 თავს ვგრძნობთ ყოველთვის ამყად და
 მხნედ.
 ვინც გულით გვიყვარს, ის ჩვენთან
 არის,

როგორიც გვინდა, იმგვარს ვეწვევით
 ცხოვრებას, — დღეს თუ ვნახეთ ტაძარი,
 ხვალ ჩვენ ძველ რომის ნანგრევს
 ვეწვევით.

მუზეუმებსაც იხილავ იქვე,
 შემდეგ კი უფრო ის გაგახარებს,

რომ შენ ნახულის გარშემო ფიქრებს
 შეგობარს შენსას გაუზიარებ!
 მხოლოდ მაშინ გაქვს გულად დასრულებული
 გიპყრობს სხვაგვარი სიმშვენიერე,
 ხარ მოწყენილი და მოღუშული,
 როცა ვატყანს ათვალიერებ;
 დაგავიწყდება ცხოვრება მყისვე,
 მკვდარი სამეფო შეგხვდება მშვიდად,
 გამოერკვევი უეცრად ისევ
 და გაოცდები უთუოდ დიდად,
 როცა ვატყანს დაშორდები და
 შეხედავ — ქუჩა ბორგავს და ღელავს,
 გესმის შხელილი შადრევნების და
 თანაც ხელოსან კაცის სიმღერა.
 ხედავ — ტრიალებს ცხოვრების ფარა,
 ყვირიან გაბმით და მთელი ხმითა:
 „ლოკოკინები! აი, ნიქარაქ!
 გვაქვს წყალი ცივი ყინულივითა!“
 ციკვა... დრო ამგვარ გართობას მიაქვს,
 ხტის უღარდელად გოგონა ანცი,
 კუბრებით შავი ნაწნავეები აქვს,
 დედაბერიც თმებს მშვიდად უეარცხნის.
 ვიგრძნობთ, რომ უკვე მომღლელი

არის

ხალხის ხმაური, ალერსი მზისა...
 ჩვენ სად ვიპოვოთ თავშესაფარი? —
 აი, შევადეთ კარი ტაძრისა!



ხალხის ჩოჩქოლი ვერ აღწევს, ჭრება,
 აქ სიგრილეა, სიჩუმე სრული,
 თითქოს ბინდი დგას და მკაცრ

ფიქრებით

ადამიანს კვლავ გვესება სული.
 ანგლოსების წრე განაბული
 გუმბათს მიჰკვრია, იქა აქეთ ბინა,
 ფეხქვეშ აგია ქვა მეწამული,
 მარმარილო კი კედლებში ბრწყინავს.



რა ტკბილი არის ჩურჩული ტალღის,
 ზღვის გასცქერ, მისთვის მულამ

გვალია...

თავისუფალი, გონება ლალი

მშვიდად მუშაობს, დაუმცხრაღია...
 მზის ამოსვლამდე, მთაზე ადვილად
 აყვები ბილიკს, აღიხარ სწრაფად —
 ხედავ: წარმტაცი თენდება დილა,
 გრძნობ დილის ჰაერს, მას სუნთქავ
 ხარბად!

მაგრამ შუადღე ცხელია, ვერ ძლებ,
 გაწუხებს სიცხე... თვალს ვერ ახარებს
 ბალახზე ცვარი, მაშინ ჩრდილს ექმებო,
 თავს ქოლგისებურ ფიქვს შევაფარებო.
 სეირნობანი, ტკბილი ბაასი
 თავადის ასულს ახსოვს მრავალი,
 ამგვარ დღეებმა მის არსებაში
 ო, წარუშლელი დასტოვეს კვალი.
 იმ ლამაზ დღეებს მას ვერვინ მოკვების,
 ვერ დაიბრუნებს, წარსულში ქრიაწ,
 ისევე, როგორც კვლავ ვერ ჩამოღვრის
 ცრემლებს, რომლებიც მათ დააფრქვია!

ტკბილი სიზმარი უკვე არ ართობს,
 ახლა ის სხვაგვარ სიზმრებში არის,
 სიზმარში ხედავს სხვაგვარ სურათებს,
 თავისი ბედზე სამშობლო მხარის.
 აგერ ბატონი, შიშისა მგვრელი!
 იქვე გლეხი დგას, რამ დააღონა? —
 თუ მბრძანებელი არის პირველი,
 მეორე არის ბატონის მონა.
 სიზმარში ხედავს ველს, ვრცელ
 ყანებსა,
 ღარიბ გლეხს, მუდამ გულს რომ

შეკლავდა,
 მას შემოესმის სიზმარში კენესა
 და მწარე შფოთვა ეოლგელ ბურღაკთა.
 მან გულუბრყვილოდ იწყო კანკალი,
 ველარ ისვენებს, გული უკვდება,
 თავის საყვარელ თანამგზავრს ქალი
 უცებ ამგვარად შეეკითხება:
 „ნუთუ ასეა ყველგან? მითხარი,
 ნუთუ აქ გული ყველას

მოუკლეს?..“ —

„აქ ხომ მონების სამეფო არის!“ —
 ასეთი იყო პასუხი მოკლედ.
 გამოელეოდა — ახლა სიზმარი!
 ეს რა ხმაური მოისმის გვერდით?!
 ბორკილთ ჩხარუნნი ესმის საზარი...

„ჰეი, მეეტლევ, წამით შემეჩინა!
 ხედავს: ტუსალებს ურეკუნდათ...
 ღარდი შეპოკავს უცებ გულს მისა,
 თავადის ქალი მათ ფულს ურიგებს,
 ეტყვიან: „გმადლობთ, გზა

მშვიდობისა!“

შემდეგ, როდესაც გზას გაუდგება,
 მათი სახენი არ შორდებათ,
 გზაში იმათზე ფიქრებს უნდება,
 ძილშიაც ხედავს, ელანდებათ.
 „ო, მანაც, ალბათ, ეს გზა გაკვალა,
 სხვა გზა, ეტყობა, არ არის, არა!
 ის ნაკვალევი ქარმა წაშალა...
 წინ გამაქანე, მეეტლევ, ჩქარა!“

მოსაწყენია გზა აქეთ დიდად,
 გზა დიდ ყინვებში შეგიფერხდება,
 აქეთ სამას ვერსს გზას გაიელი და,
 მხოლოდ ერთ ღარიბ ქალაქს

შეხედები.

გაგებარდება, როს დაინახავ
 მუქ სახლებს, მაგრამ ის დაგაღონებს,
 რომ თვალს ვერავის მოკვრავ — სადა
 ხარ? —

ძაღლის ყეფასაც ვერ გაიგონებ.
 გრძნობ — ყინვას ხალხი ეშალვის აქაც,
 ჩაის სმა არის გართობა მათი;
 თვალს მოკვრავ მარხილს ან

ჯარისკაცსა,

საღლაც დარეკავს კედლის საათი.
 შეყინულია ფანჯრები... ვნახოთ! —
 ცეცხლმა იელეა... გამოჩნდა იქვე
 ტაძარი, შემდეგ კი სატუსალო...
 მეეტლე ერთხელ კიდევ მოიქნეეს
 მათრახს და... უკვე ჩვენ ქალაქგარეთ
 გაედით, უკან არ გიხმობს გული...
 მარჯვნივ მოგდევნ მთები, მდინარე,
 მარცხნივ — ტყე არის, ტყე
 დაბურული.

ფიქრით დაღლილი ძილს არ იკარებს,
 უძილო ღამე ველარ დასძლია,
 გული უწუხს და ფიქრები მწარე
 გარს ახვევია, ერთმანეთს სცელიან.

ხედავს მეგობრებს, რომ ჰყავდა უწინ, ის ბნელ ციხესაც თვალს მოაკრავს იქვე, და ქალი გზაზე, ეს ღმერთმა უწყის, ამგვარ რამესაც რად გაიფიქრებს: რომ ეს ცა არის, ამ ვარსკვლავებით, ქვიშამოყრილი ქალაღი მუქი, მთვარე კი, მხოლოდ, ასე დაასკვნის, მასზე დასმული წითელი ლუქი.

მთაც უკან დარჩა; სულ სხვაგვარია აქეთ ბუნება, საითაც წახვალ, ველია მხოლოდ, აქ ჩამკვდარია სიცოცხლე, ხესაც ვერ დაინახავ. მეეტლე, ფართო ველებს მკვიდრი, წამოიძახებს: „ეს ტუნდრა არის!“ როდესაც იმ ველს დააკვირდება, გულში გაივლებს თავადის ქალი: „კაცი ხარბი და მოუსვენარი აქ ოქროს ეძებს, სურს შეაგროვოს სიმდიდრე, მაგრამ იგი მდინარის, კაობის ფსკერზე უნდა იპოვოს. კაობში შრომა უმძიმესია, მდინარეშიაც მძიმეა, ძნელი, მიწის ქვეშ შრომა უარესია, მაღარო — ეს ხომ არის ქვესკნელი! იქ სიჩუმეა სულშემსუთავი, სიბნელე, ერთი სხივიც არ ბრწყინავს; თი, წყეულო მზარევე, ნეტავი, ერმაკმა რატომ აღმოგაჩინა?“

ეს ბნელი ღამეც მისთვის მძიმეა, თუმცა ცაზე კვლავ გამოჩნდა მთვარე... მგზავრს დღესაც დიდხანს არ უძინია, დღესაც ეხვევა ფიქრები მწარე. ჰა, ჩაეძინა... ის გადმოდგება იმ შენობიდან, მაღალ კოშკს რომ გავს, მის წინ ნაცნობი მზარე იშლება, მისი ქალაქი ღელავს და ბორგავს. ხედავს, სენატის მოედნისაკენ — რომ გარბის ხალხი აურაცხელი, ჩანან იმ ხალხში — კარგად გაარკვეს:

ჩინოვნიკები, მღვდლები, ვაჭრები. კრელი ქულებით იქ ვინ მოთხოვნიდა მათი სამოსი ბრწყევილებს შეკეთებად... მოსკოვის პოლკი დგას მოედანზე მას სხვა პოლკებიც შემოუერთდა. ათასზე მეტი ჯარისკაცი, „ეაშას“ ერთმანეთს აღარ აცლიან, ყვირიან, რაღაც ამბავი ხდება...

ხალხი კი, დიდად გაოცებული, გაკვირვებული, გაოგნებული, რა ამბებია, ვერა, ვერ ხელება. იმათში მხოლოდ ერთი ჩამდგარა დამშვიდებული და მოლიმარი, ის დალაქია, ფრანგი, ამგვარი ამბები მისთვის ნაცნობი არი.

ახალ პოლკებმა მათვე სელა იწყეს: „დაგვნებდითო!“ მათ ეუბნებიან. პასუხად — მათაც სროლა დაუწყეს, ხიშტებს უღერენ, არ ნებდებიან. მაშინ მათ წრეში მხნელ შეიჭრება გენერალი და დაემუქრება, მაგრამ ძირს დასცეს ცხენიდან მკვდარი... უცებ მეორე მათ წინ შედგება: „თქვენ პატივბას მეფე გპირდებით!“ იტყვის და ისიც უკვე არ არის.

მიტროპოლიტი მათ ჯვრით ჩაუვლის, ბაირალებით მათ წინ შედგება, იტყვის: „მძიმე გაქეთ დანაშაული, სჯობს მეფეს სთხოვოთ თქვენ პატივბა!“ გადაისახეს პირჯვარი უცებ, ჯარისკაცებმა, ურყევი ნება გამოამკლავნეს, უთხრეს: „მოხუცო, მოგვეშორდი, ჩვენთან რა გესაქმება...“ მაშინ კი თვითონ მეფის ბრძანებით სწრაფ დაუშინეს მათ ზარბაზნები...

...შენ ცოცხალი ხარ?—რა გეშარებდა?!
წინ გაქანდება ის მთელი ძალით,
სასომხილი თავადის ქალი -
უცებ კოშკიდან გადმოვარდება.

ხედავს, ნამდვილი არის ჯურღმული,
ეს ღერეფანი, მიწის ქვეშ, ვრძელი;
ხედავს, ყველა კარს ადევს ურღული,
და ყველა საკანს ადგია მცველი.
ხმაური, აქ რომ ესმის გარედან,
მოაგონებენ ზღვის შხულის, ღელავს,
შიგნით, ფარნების შექმნე, კი ხედავს
დარაჯის თოფის ღელა რომ ელავს.
ხმაურში ზოგჯერ ფეხის ხმას არკვევს,
ის ხმა აქ დიდხანს, ზანტად ირხევა,
ესმის დროდადრო საათის რეკვა
და გუშაგების გადამახეხვა.

ერთი მოხუცი კაცი უბრალო,
გრძელ უღვაშებით, გასაღებებით.
ეტყვის ხმადაბლა: „ქალო, საბრალოვ,
ჩემკენ წამოდი, მე წამომყევი!
გადარჩა, იგი არის ცოცხალი,
განვენებ, ვიცი გსურს მისი ნახვა...“
მოხუცს მაშინვე მიენდო ქალი.
ერწმუნა ნათქვამს, მას უკან გაჰყვა.

ასე უსიტყვოდ იარეს დიდხანს,
ბოლოს კრილით გაიღო კარი,
ხედავს, რომ მის წინ მეგობარი დგას
გაფითრებული და ცოცხალმკვდარი.
გულზე მიეკრა, მაგრამ მაშინვე
აღელვებული შეეკითხება:
„რა გზას დავადგე? — ვერ შემაშანეს,
მე შემძლია შურისძიება!
გმირული ძალა ჩემშია ვიდრე
გული მთხოვს... მაგრამ ამასაც ეამბობ:
შენდობა ვთხოვო?“ — „ო, არ მიხვიდე,
შენ ჯალათის გულს ველარ მოალობი!“
„რა თქვი, ძვირფასო? ვერ გავერკვიე,
ვერ გავიგონე შენი სიტყვები.
რა ვქნა, მაშფოთებს საათის რეკვა,
ხან კი ძახილი ციხის მცველების!

რად დგას მესამე, მითხარ, ჩვენ
შეიქმნა მღერის?“
„რად მეკითხები შენი მღერის?“
„გულუბრყვილოდ?..“
„უკვე დრო არის, უნდა დამორდეთ!“
სწორედ მესამის ნათქვამი იყო.
ქალს ერთნატილი დაუელის ტანში,
გზაზეა, შიშს გრძნობს უცხო ადგილას,
რადგანაც მიხვდა, ის, რაც სიზმარში
ნახა, ბევრი რამ მოხდა ნამდვილად.

ვიდოდა მთვარე, მთლად ფერწასული,
ცაზე, ის ნაცნობ მთვარეს არ ჰგავდა,
მარცხნივ ტყე იყო, ტყე მოღუშული,
ენისეი კი მარჯვნივ ელავდა.
ჩასძინებოდა მეეტლეს, ბნელი
ღამე იყო და გზაზე არავინ
არ ჩანდა, მხოლოდ მშვიერი მგელი
ტყეში ღმუოდა გულშემზარავად.
მდინარის პირზე ველური, მკაცრი,
თავაწყვეტილი ქარი დაჰქროდა,
და ვილაც უცხო ტომის კაცისა
უცხო სიმღერა იმ ქარს მოჰქონდა.
აღტყინებული პათოსი კვლავაც
იყო საგრძნობი იმ სიმღერაში,
და გაისმოდა ის გულსაკლავად,
ვით მეთოვლიას წივილი ქარში.

სცივა თავადის ქალს, მოიღალა,
ამ ღამით ყინვა აუტანელი
შეიქნა, — ატყობს ელევა ძალა,
ყინვისთან ბრძოლა ძნელია, ძნელი!
ველარ მიადწევს?! ო, ეს არ სჯერა!
შიში კვლავ იპყრობს მის ნებას უტეხს.
მეეტლის აღარ ისმის სიმღერა,
იგი ცხენებსაც კი აღარ უტეხს.
მეეტლემ დიდხანს ხმა არ გაიღო.
„ჰეი, როგორ ხარ? ხომ გიდგას სული?
რამ დაგადუმა? ძილმა შეგიპყრო?“
„მე ასეთ რამეს ვარ შეჩვეული!“

მიჰქრის... ფანჯრები შეყინულია
და ყველაფერი გაუჩინარდა.

მგზავრს დაძინება არ სურს სრულიად, მაგრამ ძილს მაინც ვერ გაუშვარდა. როგორ ეურჩოს დაღლილმა ქალმა? ის კვლავ შეიპყრო და დააძინა, ხელი მოხვია, ვით ჯადოქარმა უცხო მხარეში გადააფრინა. ეს მხარე მისთვის ნაცნობი არის, აი, ეს თბილი ნიაფ-ქარია, მისი სიტურფე მას მუდამ სჯერა, კვლავ ზღვის ტალღების ესმის

სიმღერა.
მას მიესალმნენ, მეგობრად თვლიან, მან ყველა კუთხის ხილვა იწება: „ეს სამხრეთია! ეს სამხრეთია!“ მას შემოსძახა მთელმა ბუნებამ. ჩანან ველები ყვავილებითა, ლურჯად ელვარებს ზეცის კამარა, და შემკობილებს მზის სხივებითა ყველაფერს, ყველგან, მთასა და ბარად სიტურფის მძლავრი ნიშანი აზის, ქვეყნის სილალეს კრძალვით ერთვიან; მზე, ზღვა, ყვავილი ვანცდით, სინაზით მღერაინ: „ღიახ — ეს სამხრეთია!“

ველზე, რომელსაც მთები მიჰყვება, თვალწარმტაც მთებსა და ლურჯ ზღვას შორის,

ის გარბის, გარბის თავდავიწყებით... მიჯნურიც მისდევს, გარბიან ორნი. გადასარბენად ბალი აქვთ ვრცელი, დაფრქვეულია ხეხილთ სურნელი. მწიფე ნაყოფი ხეებს ამძიმებს, ფოთლებში წითლად რომ იმალება, და მუქ შტოებში ხშირად ციმციმებს ხან ზეცის, ხან კი წყლის ელვარება. დასტრიალებენ ზღვას ხომალდები, მათი აფრები მკრთალად ჩნდებიან, მთები თანდათან მალდებიან და ზეცას წვდებიან, ებეჯინებიან. აქ რა ლამაზი ფერები თრთიან! ერთი საათის წინათ თუ ლალი ბრწყინავდა, ახლა იმ ადგილს მთიანს, ამკობს ზურმუხტი, ეს მწვანე თვალი.

ყვავილებით და ექვნებით მორთულს აგერ სახედარს მათ მოჰქრქნ თვალი, იმ სახედარს კი თაიგულთ და ლამაზ კალათით მიჰყვება ქალი. „გზა მშვიდობისა!“ მათ შემოესმათ, უცნობ ქალს უკვე ნაცნობად თვლიან, ის ქალი იმათ ყვავილებს ესვრის და გაუღიმებს... ეს სამხრეთია! ამ მხარეში თვალს გპრით ქალიშვალი, ვარდი ყელს მუდამ კობტად იღერებს... აი! მოისმის მუსიკა ტკბილი, მელოდიურად ვილაც ამღერებს! „ეს სამხრეთია! ეს სამხრეთია! (ძილში მას ტკბილად ვილაც უმღერის.) შენა მიჯნური კვლავ შენთან ერთად ლალობს და არის კვლავ ბედნიერი..“

მეორე ნაწილი

სწორედ ორი თვე იქნება უკვე, მგზავრი დღედაღამ გზას რომ მიიკვლევს. მარბილი არის მტკიცედ შეკრული, მაგრამ არ უჩანს გზას დასასრული. თანმხლები ამ გზამ ისე მოლალა, რომ ირკუტსკამდე წაერთვა ძალი. ორი დღე ქალი მას თავზე ადგა, შემდეგ დასტოვა და გზას გაუდგა.

ირკუტსკში ჩვენს მგზავრს ჩაფიქრებული შემოეგება გუბერნატორი, პირხმელი და თმავათეთარებული, თანაც მაღალი, ჯოხივით სწორი. ცალ მხრიდან ქურქი ჩამოვარდნია, ქვეშ რომ ჩანს, ჯვრები და მუნდირია, მამლის ფრთა ქუდზე მიუბნევიან, — ის ხომ ნამდვილი ბრიგადირია. რაზე გამწყურალა, ვერვინ მიხვდება, იგი რატომღაც მეეტლეს უბღვერს, ის მარხილს სწრაფად უახლოვდება და თავადის ქალს კარებს გაუღებს.



თ ა ვ ა დ ი ს მ ე უ ლ ლ ე

(შედის სადგურში)
ნერჩინსკისაკენ მიმჩქარება!

გ უ ბ ე რ ნ ა ტ ო რ ი

მოვედი თქვენთან შესაგებებლად...

თ ა ვ ა დ ი ს მ ე უ ლ ლ ე

საჭირო არის გასცეთ ბრძანება:
მომცენ ცხენები!

გ უ ბ ე რ ნ ა ტ ო რ ი

ნუ გეჩქარებათ!
გზები ცუდია... გთხოვთ შეისვენოთ,
თორემ მგზავრობას ვერ ვერ
შეძლებთ...

თ ა ვ ა დ ი ს მ ე უ ლ ლ ე

მადლობას გწირავთ! მსურს
მოგახსენოთ,
რომ მე დიდი გზა უკვე არ მიძევს.

გ უ ბ ე რ ნ ა ტ ო რ ი

რვაასი ვერსი! — მცირე როდია!
მაგრამ მაინც ის არის მთავარი,
რომ გზები აქეთ მეტად ცუდია,
სახიფათო და საშიში არის.
ორ სიტყვას გეტყვით, და ამის გარდა
მსურს მოვიგონო ამბავი ძველი,
გაცნობებთ, რომ გრაფს ვიცნობდი
კარგად,

დავყავი მასთან მე შეიდი წელი.
იშვიათია მამათქვენივით
კაცი ჭკვიანი, გულისხმიერი,
ტბილად ვიგონებ, მუდამ ვიქნები
მისი ერთგული და მადლიერი.
მისი ასული პირველად მხვდება
რით გემსახუროთ, რა გსურთ,
მითხარით!

თ ა ვ ა დ ი ს მ ე უ ლ ლ ე

გსურთ დამეხმაროთ? ნამუშევრობა
მკირდება!
ჩემი მარხილი უკვე მზად არის?

გ უ ბ ე რ ნ ა ტ ო რ ი

მანამდე მარხილს არ მოგართმევენ,
განჯარგულება თუ არ გავეცი.

თ ა ვ ა დ ი ს მ ე უ ლ ლ ე

რად იგვიანებს ბრძანება თქვენი?

გ უ ბ ე რ ნ ა ტ ო რ ი

გვაქვს დაბრკოლება, არის მიზეზი.
უკანასკნელად ფოსტამ გვაცნობა
ერთი ბარათით...

თ ა ვ ა დ ი ს მ ე უ ლ ლ ე

იქ რა წერია?
ზომ არ ითხოვენ ჩემს დაბრუნებას?

გ უ ბ ე რ ნ ა ტ ო რ ი

თქვენი ეჭვები თითქმის სწორია.

თ ა ვ ა დ ი ს მ ე უ ლ ლ ე

მოწერილობა ვინ გამოგზავნა?
ან რა გაუწყეს? როგორ გავიგო?
ჩვენ სასაცილოდ გვიგდებენ განა?
ნებართვა მამამ თვითონ მიიღო!

გ უ ბ ე რ ნ ა ტ ო რ ი

არა, მე ამას მტკიცედ ვერ გეტყვით...
მაგრამ აქ ღარჩით, რად მიიჩქარით?

თ ა ვ ა დ ი ს მ ე უ ლ ლ ე

მამ ლაპარაკი არის ზედმეტი!
ჩემი მარხილი უკვე მზად არის?

გ უ ბ ე რ ნ ა ტ ო რ ი

მე ჯერ ბრძანება არ გამიცია,
 მე აქ მეფე ვარ, უნდა იცოდეთ!
 დაბრძანდით! დიახ, თქვენ უკვე იცით,
 რომ მე მამათქვენს კარგად ვიცნობდი.
 თქვენ თუმცა გრადმა გამოგამგზავრათ,
 მაგრამ, გჯეროდეთ, გულში სხვა
 უღევს.
 ხანამ ჯგერისგან ის არ მომკვდარა,
 გირჩევნიათ, რომ უკან დაბრუნდეთ!

თ ა ვ ა დ ი ს მ ე უ ლ ლ ე

არა! მე მიზანს თუ დავისახავ,
 ბოლომდე მისი მორჩილი ვრჩები!
 სასაცილოა მტკიცება ახლა,
 თუ როგორ მიყვარს მე მამაჩემი.
 მაგრამ რა ვქნა, რომ მოვალეობა
 უფრო მაღალი და უფრო წმინდა
 მეძახის... ჩემი ტანჯვა გეყოფათ,
 ნულარ მაყოვნებთ, მე წასვლა მინდა!

გ უ ბ ე რ ნ ა ტ ო რ ი

თქვენ მოთმინება, ვგრძნობ, არ
 გეყოფათ;
 გაყოვნებთ — თქვენთვის ეს არის
 ძნელი,
 მაგრამ არ იცით, ასე გეტყობათ,
 რა ხიფათში ხართ, იქ რაც მოგელით.
 ეს ჩვენი მხარე ზომ ღარიბია,
 ის მხარე ჩვენზე ღარიბი არის,
 ჩვენში ზამთარი თუ ზანგრძლივია,
 იქ უფრო დიდხანს იცის ზამთარი.
 ცივი ზამთარი რვა თვე გრძელდება...
 თქვენ სხვა რამესაც გეტყვით,
 გაგანდობთ:
 კაცი უდალოდ იქ არ შეგხვდებათ,
 იქ ერთი კაციც არ არის სანდო.
 თავგასულია იქ კატორღელი,
 ის დათარეშობს, სხვა კი არაუინ.
 საშინელია მაღარო ბნელი
 და საპყრობილე გულშემზარავი.
 წამით შეხვდებით ქმარს ვით სიზმარში,
 თქვენ უბედური იქნებით ამ მხრივ,

იცხოვრებთ მუდამ ცივ ყაზარმაში,
 სარჩოდ გექნებათ პურიც ბურთიც...
 ხუთი ათასი გამწვარებულნი...
 კატორღელია იქ თავმოყრილი,
 მოკლავენ ვინმეს... შემდეგ გაბმული,
 შეუწყვეტელი ისმის ყვირილი.
 სასამართლო მათ მკაცრად ეპყრობა,
 საქმის გარჩევას თქვენც შეესრულებთ,
 არც თქვენ აგცდებათ შეურაცხყოფა:
 ყოველ საქმეზე მოწმედ იქნებით.
 მოგეპყრობიან ყველანი ავად,
 იცოდეთ, არცინ არ შეგებრალბთ,
 დე, თქვენმა ქმარმა... მან დააშავა...
 თქვენ კი სიცოცხლეს რატომ
 იმწარებთ?!

თ ა ვ ა დ ი ს მ ე უ ლ ლ ე

საშინელია, მეც ვფიქრობ ასე,
 ჩემი ქმრის ხეედრი, მისი ცხოვრება.
 ჩემი ცხოვრება მის ცხოვრებაზე,
 დე, უკეთესი ნულარ იქნება!

გ უ ბ ე რ ნ ა ტ ო რ ი

თქვენი ცხოვრება? — იქ ვერც
 იცოცხლებთ,
 იქაურ ჰავას თქვენ ვერ გაუძლებთ.
 რატომ არ გჯერათ? მე ეს მოცეხს,
 ჩემი რჩევაა, უკან გაბრუნდეთ.
 არა, თქვენ იქ ვერ გაგიძლებთ გული,
 გაგიძნელებდათ ცხოვრება დიდად,
 იქ, სადაც ორთქლის ნაცვლად
 ყინულის
 მტვერს აფრქვევს კაცი ნესტოებიდან.
 ყინვა, სიბნელე მეფობს ზამთარში,
 ზოლო, როს მოკლე ზაფხული დგება.
 მაშინ დამბალი ჭაობი ხაშვით
 მთელი ჰაერი გაიყინებთა.
 დიახ, ის მხარე დაწყველილია!
 იქ კაცის გული ვერ გაიხარებს!
 როს სამთვიანი ღამე იწყება,
 მაშინ თვით მხეციც ტოვებს იმ
 მხარეს.

თ ა ვ ა დ ის მ ე უ ლ ლ ე

ხომ ცხოვრობს ხალხი იქ... არ
წყდებათ...
მეც შევეჩვევი და ამის გარდა...

გ უ ბ ე რ ნ ა ტ ო რ ი

ცხოვრობენ მაგრამ, რად გავიწყდებათ,
რომ თქვენ სხვაგვარი გქონიათ აღზრდა
იქ, როს ქალს შვილი შეეძინება,
თოვლში გახვევს და თოვლის წყლით
გაბანს.

ქარიშხლის ხმებში ჩაეძინება
ბავშვს, ქარიშხალი უყვება ამბავს.
ქობის გარშემო ხშირად ატყდება
გულშემწარავი მხეცთა ღმუილი,
ქარიშხალი ხომ ფანჯრებს აწყდება
და უკაქუნებს ვით ავი სული.
იქ კაცი მუდამ შეუპოვარი
ბრძოლებით არის გატაცებული,
იქ ბუნებასთან ბრძოლაში არის
ადამიანი გაკაყებულის,
თქვენ კი?..

თ ა ვ ა დ ის მ ე უ ლ ლ ე

ვერ გავძლებ, მე იქ მოვეკვდები? —
გულთან სრულებით არ მიმაქვს ახლოს.
ვერ დამაბრკოლებთ! მივემგზავრები!
ჩემი ქმრის გვერდით მსურს
დავიმარხო.

გ უ ბ ე რ ნ ა ტ ო რ ი

იქ ვერ იცოცხლებთ, ვერ გაიხარებთ,
ამის იმედი ნუ გაქვთ სრულიად,
მოკვდებით, მაგრამ მას ვაამწარებთ,
ვინაც ისედაც დატანჯულია.
თქვენი იქ ჩასვლა არ შეიძლება!
მარტოდ მყოფს ტანჯვა უადვილდება.
რატომ? — შრომისგან როს მოიღლება,
თავის საკანში როს დაბრუნდება,
გამწარებული, ხმელ, შავ პურს
დაბრავს,

ცივ იატაკზე ის მიეგდება,
ჩაეძინება: ტკბილ სიზმრებს ნახავს,
და პატიმარი კვლავ გალღობს...
ტოლ-მეგობრების წრეში ჩადგება,
თქვენთანაც მოვა გახარებულო,
დილით კვლავ შრომას დაუბრუნდება
სულით და გულით დამშვიდებული.
ხოლო თქვენ გვერდით თუკი ეყოლოთ...
სიზმრები ტკბილი, ულამაზესი
არ ეწვევიან, მიხვდება მხოლოდ,
რომ არის თქვენი ტანჯვის მიზეზი.

თ ა ვ ა დ ის მ ე უ ლ ლ ე

ვინაც მე ამგვარ ამბებს მიყვება,
ის უსათუოდ სასტიკად ცდება,
ამაოდ ცდილობთ, გულს ვერ

შემირყევთ.

მე თვალები არ ამიცრემლდება.
სამშობლო მხარეს გამოვექეცი,
მამას, რომელიც მე მებრალებდა,
მაგრამ ვგრძნობ ისე უნდა მოვიქცე,
როგორც შემშენის და მვეალება.
წყვეთი ციხე მე ვერ შემარყევს,
შიშს ვერ მომგვრის, არ აქვეითინდება.
მე ჩემს ქმარს უფრო გავაამაყებ,
მე ჩემს ქმარს გვერდით ამოვეუდგები.
რომ მართლები ვართ, ამის შეგნება.
ჯალათთა მიმართ კი სიძულვილი
მტკიცე საფუძვლად მუდამ გვექნება.

გ უ ბ ე რ ნ ა ტ ო რ ი

ეს ოცნებაა! თქვენი სურვილი!
მის განაღდებას ვერა, ვერ შესძლებთ!
უსაზღვრო ტანჯვას არ შეიძლება
კაცმა გაუძლოს... ჩემს სინდისს ენდეთ.
ტკბილი ცხოვრება კვლავ მოგინდებთ.
აქ თქვენ შიმშილი, ციხე მოგელით,
მუდამემახს ტანჯვა და დამცირება,
იქ კი — ბალები სიამის მგვრელი,
თავისუფლება, პატივისცემა.
მაგრამ ვინ იცის განგება უფლის!
სხვა მოვეწონათ... ეს მოეწომა!
კანონი თქვენ არ გართმევთ

უფლებას...



თ ა ვ ა დ ის მ ე უ ლ ლ ე

ო, ღმერთო ჩემო! კმარა! გეყოფათ!

გ უ ბ ე რ ნ ა ტ ო რ ი

თქვენ გეუბნებით მე გულახდილად:
ხალხს დაუბრუნდით, აქ ნუ დარჩებით!

თ ა ვ ა დ ის მ ე უ ლ ლ ე

მადლობელი ვარ მე თქვენი დიდად,
თავს ნუ იწუხებთ ამგვარი რჩევით!
წინათ იქ, მართლა, სამოთხე იყო!
ახლა კი იგი არაფერს არ ჰგავს.
მას ნიკოლოზმა იცით რა უყო? —
გაანადგურა! გააჩანაგა!

ხალხს ვის უწოდებთ? — იქ ლანდებია!
დადიან მკრთალნი, გულშედონებით,
მამაკაცები — იუდეზია,
დედაკაცები — მხოლოდ მონები.
იქ მე რა მინდა? რა გამახარებს?!
იქ ხომ ღირსება კაცისა დაგმეს,
იქ თავებდ ხალხის ისმის ხარხარი
და მოწონება აქვს უღირს საქმეს.
ამაოდ მირჩევთ, ნუ შეწუხდებით,
გაკაფულ ტყეში თავს შეეყოფ განა?
წინათ იმ ტყეში იდგნენ მუხები,
ახლა იქ მხოლოდ კენძები ჩანან.
მათ დაუბრუნდე? ეს შეიძლება?!
მათ ბნელ საქმეებს უკვე ვგრძნობ,

ვძრახავ.

ვისაც თვალები აეხილება,
ის კაცურ კაცს იქ ვერ დაინახავს.
არა... არასდროს მათ არ შეგხვდები,
სულმდაბალ ხალხთან საერთო რა
მაქვს?

იმ ჯალათს მე არ დავენახვები,
ვინაც სპეტაკი ხალხი აწამა.
ვისაც ვუყვარდი, ის დაივიწყო?
მაშინ მე განა ქალი ვიქნები?

გ უ ბ ე რ ნ ა ტ ო რ ი

როგორ მოგეცათ, მან თვით რა
გეყოთ,

ამაზე რატომ არ დაფიქრდებით?
ვისზე დარდობთ? ვის მივუბნობ?

თ ა ვ ა დ ის მ ე უ ლ ლ ე

ამგვარ სიტყვებს თქვენ ვის ეუბნებით?
გ უ ბ ე რ ნ ა ტ ო რ ი

კეთილშობილთა წრიდან ხარ, ვიცი,
ამიტომ, რა გქნა, ვერ დავდუმდები.
წინ მისწრაფით მტკიცედ, თამამად,
გზაზე არაფერს არ ერიდებით...
თავს რომ იმცირებთ, თუ გრძნობთ
თქვენ ამას,

რატომ ამაზე არ დაფიქრდებით?
მას ცოლად გაჰყვა თქვენებრ მდიდარი,
ჰკვიანი, განთქმულ გვარისა ქალი,
ჰქონდა მიზნები თურმე სხვაგვარი
და აგიბნიათ მთლად გზა და კვალი.
ფუქ ოცნებებით გატაცებული
რა ღლეშიც არის ხომ ხედავთ, ქალო?
ვარ ამის შემდეგ გაოცებული,
რად მისდევთ მას ვით მონა საბრალო?!

თ ა ვ ა დ ის მ ე უ ლ ლ ე

არა, მე მონა არა ვარ სულით,
მისი ცოლი ვარ, ასე ვლაღადებ!
დე, მე მის გამო ვიყო ბედკრული,
ავიტან, მაინც არ ვულალატემ!
მიმატოვებდა ის მე, და შემდეგ
ნახავდენ სხვაგან, სხვა ქალის

გვერდით?

მაშინ მე წუხილს ვერ შემამჩნევდნენ.
მაშინ ამაყად თავს დავიქვარდი.
ვინც არის ჩემი მეტოქე — მივხვდი,
იგი — სამშობლოს სიყვარულია!
რაც მოხდა, იგი კვლავაც რომ მოხდეს,
ვაპატივებდი ჩემ ქმარს სრულიად.



ქალი დადუმდა და გაინაბა,
ჩაფიქრდა, სდუმდა კერპი მოხუციც.
„მარხილში ცხენებს არ შეაბამენ?



გენერალო, თქვენს ბრძანებას ვუცდი!“
ქალს შეკითხვაზე არ უპასუხა,
იატაკს უცქერს, სულ მთლად.

გარინდდა.

„ხვალ დილამდეო“ — წაილულულა
და ოთახიდან სწრაფად გავიდა.



მეორე დღესაც ყველა იგაგებს,
ცდილობს ამტკიცოს, რა არის სწორი,
მაგრამ მეორე დღესაც იმავე
პასუხს ლეზულობს გუბერნატორი.
ხედავს, რომ ქალი კვლავ მტკიცედ
დახვდა...

ქალთან ბაასი რომ გაუძნელდა,
როცა მის მიმართ ვერაფერს გახდა,
შემდეგ ოთახში ბოლთასა სცემდა.
ბოლოს ეტყვის მას: „დიდად მაწუხებს!
თუ რას სჩადიხართ, არ გაგეგებათ!
დავსძენ: ამ გზას თუ არ გადაუხვევთ,
თქვენ ყველაფერი დაგეკარგებათ!“



„რას გავუფრთხილდე ძვირფას ქმრის
გარდა?“ —
„თუ ასე ივლით თქვენ თქვენს ნებაზე,
ხელს მომიწეროთ, რომ უფლებას
კარგავთ
თქვენს წოდებაზე, თქვენს ქონებაზე.“



ამ საშინელი სიტყვების შემდეგ
იგი ქალს მზერას ამაყად ესერის,
ფიქრობდა, ალბათ, შეშინდებოო,
მაგრამ ამგვარი პასუხი ესმის:
„გაგთერთებიათ თქვენ თავზე თმები,
მაგრამ ბავშვური ტყუა გქონიათ!
ჩვენი ღირსება და უფლებები
თურმე თქვენ დიდი რამე გგონიათ.
მათ მნიშვნელობას მე აღარ ვაძლევ,—
წაიღეთ! ჩემთვის უცხოა შიში!
ახლავ მოგიწეროთ ხელს იმ ქალადზე,
ოღონდ აქედან ჩქარა გამიშვით!“

გ უ ბ ე რ ნ ა ტ ო რ ი

ამგვარ ქალადსაც არ
რა მესმის, ღმერთო?! ო, როგორ

ცდებით!

ხელს თუ მოაწერთ — გალარობდებით,
დაბალ წრის ქალად გადაიქცევით!
მამა-პაპეულ ქონებას ჰკარგავთ,
ყველაფერს უნდა უთხრათ:

„მშვიდობით!“

ჰკარგავთ ყველაფერს, რაც მამისაგან
გადმოდის თქვენზე მემკვიდრეობით.
კარგავთ უამრავ ქონებას, ფულებს,
თქვენ აზნაურის წოდებას ჰკარგავთ...
ახლა მივდივარ, კვლავ გინახულებთ,
ხოლო მანამდე დაფიქრდით კარგად!



წავიდა, მთელი დღე არ მოსულა...
როცა დაეშვა საღამოს ბინდი,
ქალი ჩრდილივით დასუსტებულა,
მაგრამ რას იზამს, ის მასთან მიდის.
გენერალმა ის აღარ მიიღო,
მის შემდეგ ხუთი დღე ავად იყო,
ავად გამხდარა, აღარ ჩნდებოდა,
ქალი ლოდინით იტანჯებოდა.
ის მეექვსე დღეს გამოჩნდა მხოლოდ,
ქალს შეუპოვარ ხმით მოახსენებს:
„მე ქალბატონო, დღეს საბოლოოდ,
გიცხადებთ, რომ თქვენ ვერ მოგცემთ
ცხენებს!“

მე თქვენ ეტაპით მსურს
გაგამგზავროთ...

თ ა ვ ა დ ი ს მ ე უ ლ ლ ე

ღმერთო! რას ამზობთ? განა გავუძლებ!
რამდენი ხანი უნდა ვიარო
გზაზე?..

გ უ ბ ე რ ნ ა ტ ო რ ი

შიაღწევთ თქვენ გაზაფხულზე
ნერჩინსკს... ამასაც დანამდვილებით
ვერ გეტყვით... იქნებ გელით
სიკვდილი...



და, ამის გარდა, თქვენ ბორკილებით
საათში ოთხ ვერსს განა გაივლით?
შუაღლით გზაზე გაქვთ შესვენება,
მზე ჩავა — ღამის გასათევს იწყებთ,
გზაზე გრიგალი თუკი შეგხვდებათ,
თოვლში ჩაფლულნი თქვენ უნდა იყოთ
დიღხანს... ბევრი რამ გზას

დაგიბრკოლებთ,
ზოგი ვერ უძლებს, ეცემა კედება.

თ ა ვ ა დ ის მ ე უ ლ ლ ე

რას ნიშნავს კარგად არ ესმის, ვგონებ,
თქვენი ეტაპი, გთხოვთ განმარტებას.

გ უ ბ ე რ ნ ა ტ ო რ ი

მათ კაზაკები ერეკებიან,
თოფებით ხელში ადგანან თავზე,
კატორღელები და ქურდებია,
ხელფეხშეკრულნი რომ მიჰყავთ გზაზე.
თუ ფხიზლად არ ხარ — რას არ
იზამენ,

თვალდახელ შუა გაგექცევიან,
ამიტომ თოკით გადააბამენ
ერთმანეთსა და ერეკებიან.
პირობები აქეთ იმდენად მკაცრი,
ისე წვალობენ, რომ ველარ აღწერ;
ნერჩინსკამდე, ვოქვათ, ხუთას კაციდან
მესამედიც კი ველარ მიაღწევს.
იხოცებიან როგორც ბუზები,
განსაკუთრებით ასეთ ზამთარში...
ამგვარ მგზავრობას განა გაუძლებთ?
უმჯობესია დაბრუნდე სახლში.

თ ა ვ ა დ ის მ ე უ ლ ლ ე

ო, ღმერთო! არა, ეს არ მაკვირვებს!
მხოლოდ ყოფილხარტ გულქვა,
მზაკვარი!

თუ იცოდით, რომ მე მთელი კვირა
მეკარგებოდა — რად არ ამიყიხებოდა?
თუ ასე იყო, რად დამატებოდა?
გავუღვებოდი მე გზას მაშინვე...
მამ ჩქარა! ეტაპს მეც გამაყოლოთ!
მე ვერაფერი ვერ შემაშინებს!"

„არა! მე ვიცი თუ როგორ წახვალთ! —
მოხუცმა უცებ წამოიძახა,
და მიითარა თვალზე ხელები:
თქვენ გაწვალბდით... მე დაეაშავე...“
(და ხელებიდან თეთრ უღვაშებზე
ჩამოუგორდა მოხუცს ცრემლები.)
„გტანჯეთ, გაწვალეთ... მიმიძღვის
ცოდვა...“

მეც დავიტანჯე, წამერთვა ძალა,
მაგრამ რა მექნა, ბრძანება მქონდა
მე თქვენთვის ხელი რომ შემეშალა.
ხომ შეგიქმენით მე თქვენ მრავალი,
დაბრკოლება და ბევრი ვეცადე.
მეფის წინაშე ცამდე მართალი,
რომ ვარ, მაღალმა ღმერთმა იცოდეს!
მე ავიწერეთ ტუსაღის ბედი,
თუ რა მოელის კაცს დამცირებულს,
მე ავიწერეთ ის მწარე ხვედრი,
რომელიც თან სდევს გადასახლებულს,
თქვენს შეშინებას ვედილობდი მაშინ,
ვერ შეგაშინეთ... ახლა კი მორჩა!
უნდა გიშველოთ!.. იმ შემთხვევაშიც,
რომ დავისაჯო, თავიც რომ მომქრან,
მე მაინც მინდა რომ გცეთ ნუგეში,
თქვენი მტანჯველი კვლავ ვერ

ვიქნები...
მიგაქროლებენ თქვენ იქ სამ დღეში...
ჩქარა შეუბით მარხილს ცხენები!“

თარგმანი ვიქტორ გაბუნსკირისი

განსორჩილებული ოსენა

(ნარკვევი)

1. სამი ბორა



თბილისის თავზე აღმართული მთა-წმინდიდან რომ გადახედო აღმოსავლეთით, კახეთის მხარეს, თვალი უნებლეთ შეჩერდება რაღაც უცნაურ, ვეებერთელა მურაფერის სივრცეზე. იქ თითქოს მთელი მიწა დაუფარავს ბებერი აქლემების ბეწგაცვენილ ტყავებს. ზედ ცის კაბადონზე თვალს ახალისებს მხოლოდ შორეული გომბორის ქედის მოცისფრო და მოლურჯო კალთების ტალღისებრი ნაკეთები. გომბორის გასწვრივ, ტყით დაფარულ ხეობაში — დაბლობისაკენ — მიეჭანება ცისფერი, ანკარა, მრისხანე იორი, რომელიც აქედან არა ჩანს. ხოლო გომბორს იქით გადაშლილა ალაზნის ნოყიერი ველი, დაქსელილი ვენახებითა და ბაღებით.

— სამგორი! — გეტყვით გამოცდილი ადამიანი და ხელს გაიშვერს შორეული მურაფერის სივრცისაკენ. — ეს ტრამალი, ეს უდაბნო მუდამ საქართველოს დარდი იყო, მაგრამ მალე გაახარებს ჩვენს გულს. თქვენ ხომ არა ყოფილხართ იქ?

სამგორი! ულაზათო, პირქუში, მოტიალეებული ადგილი. იქ ვერ იხილავთ ვერც ერთ ხეს, ვერც ერთ ბუჩქს, რომ განიქარვოთ ფიქრები. უკაცრიელი, უნაყოფო ადგილი. აქა-იქ მკრთალად ლივლივებენ მზეზე პატარა მარილიანი ტბები, — ნაპირებზე მარილის მღვრიე კრისტალები თიხაში შერეულა.

ბუნების ერთფეროვნებას თითქმის ვერ არღვევენ მოწყენილი ღარტაფოები: თეთრიხევი, მარტყოფი, ნორიო,

რომელთაც ეს უდაბური ველი დაუსერავთ. ისინი ერთდებიან და ქმნიან უფრო ვრცელ ღარტაფოს, რომელსაც ლოკინისხევი ეწოდება. გაზაფხულზე, თოვლის სწრაფად დნობის დროს, და შემოდგომის წვიმების შემდეგ იქ მღვრიე წყალი მიედინება. ამის გამო ლოკინისხევის გასწვრივ ამოუწვევრავს ბალახის მსგავს რაღაც საცოდავ მცენარეს და ამოშვერილან დამკვანარი, დამტვერილი ალვისხეები. მათ ახლოს ძველ დროში მუდამ ატარებდნენ მოწყენილ ღამეებს მეურმე გლეხები, რომლებიც კახეთიდან თბილისს მიეშურებოდნენ, რათა ჩალის ფასად გაეყიდათ ხილი და ბოსტნეული.

აქა-იქ, უნაყოფო ველის კიდეებზე, სადაც კი დაეცემა თუნდაც წვეთი წყალი, გაზაფხულზე ახლაც გაჩნდებიან ხოლმე ხნულის ზოლები შავი, ნოყიერი მიწისა, თითქოს ადამიანთაგან მოვლოდნენ დახმარებას. გაზაფხულის დღეებში თვითონ ბუნება ცდილობს მთელი ძალ-ღონით შეამკოს სამგორის ველი, აღმოცენდებიან დაკინებული, მაგრამ მომზიბლავი ყვავილები — უფერულნი, მკრთალყვითელნი, მოლილისფრონი, რომლებიც ებლაუჭებიან სიცოცხლეს და შეჩვეული არიან უწყლობას. ველის ბალახები ცდილობენ მთელი სიმალლით აღმართონ შესანიშნავ შავ-ნიდაგთან მიწაზე. მაგრამ დგება გოლვიანი ზაფხული, ყველაფერი იღვენთება, ქკნება, რუხმოწითალო ფერს ღლებს მზის სხივების ქვეშ. გათანგული მიწა

ყოველმხრივ ისერება საბედისწერო ნაპრალებით. შეუძლებელია სადმე თავი მოარიდო უღმობელ სიცხეს. მხოლოდ ჩრდილი ვეებერთელა ძერებისა, მოხდენილად რომ ავლებენ წრეს მჭრქალ ცაზე, დროგამოშვებით ეცემა მგზავრს. უეცრად ამოვარდნილი მმაფრი ქარი მოერეკება კახეთის გზიდან საშინელ მტვერს — ამ გზაზე სწრაფად დაჰქრიაან კოლმეურნეობათა სატვირთო ავტომანქანები, რომლებმაც შესცვალეს ძველი, ჭრიალა ურმები.

ამ მხარეში მრავალი საუკუნის მანძილზე ადამიანები უმწეოდ და ამაოდ ოცნებობდნენ წყალზე. არსებობს ლეგენდა, რომ მე-12 და მე-13 საუკუნეთა მიჯნაზე სამგორის ველი ირწყვებოდა არხებით, რომ ყველაფერი გააპარტახა მონღოლების შემოსევამ, რამაც სისხლისაგან დასცალა აღმოსავლეთ საქართველო.

მეფე ერეკლე ცდილობდა მოერწყო სამგორის მიწის თუნდაც მცირედი ნაწილი, მაგრამ ირანელები და თურქები ყოველსაათობით დაღუპვით ემუქრებოდნენ განაწამებ ქვეყანას. დაწყებული არხი მალე ჩაიქცა და უკვალოდ წაიშალა. შემდგომ, როცა საქართველომ მიიღო რუსეთის მფარველობა, სამუშაოები განახლდა. 1840 წელს სამგორის ველს აღმოსავლეთ სანაპიროზე, რომელიც მდინარე იორს ეკვრის, ჩამოვიდა მუშებისა და ტექნიკოსთა მცირე ჯგუფი. მაგრამ მიწას თხრიდნენ ნელა, ცუდად, უწესრიგოდ. მხოლოდ რვა წლის შემდეგ ააგეს მცირე ზომის, სუსტი გამძლეობის არხი. სამგორის მიწის ორიათასი ჰექტარი ამწვანდა, ეღირსა რა წყალს, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში ელოდებოდა. მაგრამ ზეაუბმა და მეწყერებმა დაანგრიეს მუხრავანის მახლობლად არხის სათავე და ყველაფერი კვლავ განადგურდა. თბილისიდან ქალაქ სიღნაღისაკენ მიმავალ გზატკეცილთან ახლაც შე-

იძლება ნახოთ მცირე ზომის ობელისკი წარწერით, რომელიც მოგეგონებს ქავალალოდ დაღუპულ *არხის მშენებელს*.

„ერეკლე მეორის დროს დაწყებული დამთავრდა კავკასიაში მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ნაცლის გრავ ფორონცივის დროს. მშენებელი — ინჟინერი თავადი მუხრანსკი“.

აი ყველაფერი, რაც დარჩა ადრინდელი ცდის შემდეგ — მიეწოდებინათ წყალი ნახევრად უდაბური სამგორის ველისათვის. აქ ურიგო არ იქნება კაცმა ირგვლივ მიმოიხედოს და ჯერ თვალი მოაელოს სამ გორას, რომელთაგან წარმოდგა მთელი მიდამოს სახელი. ამ მთების წარმოშობა გაურკვეველია. მრავალი საუკუნის წინათ ქართველმა ხალხმა ლეგენდის ბურუსში გახვია ისინი. აი რას გვიამბობენ მოხუცი კახელები.

კახეთში ცხოვრობდა ულამაზესი ასული. იგი ორმა ჰაბუქმა შეიყვარა. ეს ჰაბუქები ერთმანეთზე უკეთესები იყვნენ. მაგრამ ასული დიდხანს აყოენებდა არჩევანს. ბოლოს მან უთხრა მოუთმენელ მეტოქეებს: „მე გავალ ტრიალ მინდორში. თვითული თქვენგანი დადგება ჩემგან თანაბარ მანძილზე. მე ხილაბანდს ავიქნევ და, ვინც პირველი მოირბენს ჩემთან, ჩემი ქმარიც ის გახდება“. მაგრამ, როცა ჰაბუქები გამოიქცნენ საყვარელი ქალიშვილისაკენ, ცხადი გახდა მისთვის, რომ ერთი ჰაბუქი უფრო ძვირფასია, ვიდრე მეორე და მზეთუნახავი იღუმალად მიიწვედა თავისი რჩეულისაკენ, რათა დახმარებოდა მას გამარჯვების მოპოვებაში. ეს დაინახა მეორემ, სევდამ სძლია და ცას მიმართა: „რადგან სატრფო არღვევს ფიცს, მოავლინე შენი განგება, რათა იგი არავის ზედეს წილად“. და უცებ სამივენი გაფითრდნენ, გაქვადნენ, იქცნენ სამგორად. ასე დგანან ისინი ამჟამადაც: ორი მათგანი ერთმანეთთან უფრო ახლოს, მე-სამე კი მოშორებით.

სხვები უფრო სხვანაირად მოგვითხრობენ სამი გორის წარმოშობას, ვიდრე კახელი გლეხები. ეს სამი გორა მათ მიაჩნდათ იმ ქართველ მეომართა სამომო საფლავებად, რომლებიც გმირულად დაეცნენ სამგორის ველზე უთანასწორო ბრძოლაში ირანელ დამპყრობთა ურდოების წინააღმდეგ. ეს მოხდა თითქმის ათასხუთასი წლის წინათ, 502 წელს, სამგორზე გაჩაღებული უთანასწორო ბრძოლის დროს დაეცა მეფე-სარდალი ვახტანგ გორგასალი, თავიანთი კეთილშობილური სისხლით მორწყეს მამინ სამგორის მიწა საქართველოს მამაცმა შეილებმა. ამის შესახებ შთავგონებულად თქვა გიორგი ლეონიძემ:

„მგზავრო, შეხედე სამგორს, სამგორზე,
გვონია მართლა მიწის ბორცვია? —
არა და არა! სამივე გორა
ხალხის სისხლი და ხალხის ზორცია“

2. ბეზმბა

ხალხი განაგრძობდა ოცნებას წყალზე. მიწა ძველებურად მშრალი და უდაბური იყო. მაგრამ ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე და საქართველოში მენშევიკური დიქტატურის დამხობამდე არაფერიც არ ცდილა წყალი მიეწოდებინა სამგორისათვის. ოცი-ოდე წლის წინათ შეადგინეს პროექტი სამგორის ველის მორწყვის შესახებ, მაგრამ ეს პროექტი არ იყო დამაკმაყოფილებელი, იგი აღმოჩნდა კუსტარულად, გაუბედავად შედგენილი. პროექტის ავტორებს არ ჰყოფნით გაქანება და აზრის სითამამე. საქართველოს მთავრობამ საქმეს სერიოზულად მოჰკიდა ხელი. სამგორზე ზრუნვას შეუდგა ლავრენტი პავლეს-ძე ბერია. მაგრამ ფაშისტ დამპყრობთა თავდასხმამ დააბრკოლა გრანდიოზული სარწყავის და ჰიდროენერგეტიკული სამგორის სისტემის შექმნის პროექტის ბოლომდე დამუშავება და განხორციელება.

როცა საბჭოების ქვეყანა დაუბრუნდა მშვიდობიან შემოქმედითს შრომას,

პროექტი შემუშავდა გონიერულად, გაბედულად, ბოლშევიკურად, თვითდასახება სტალინმა მოგვეტანა მშენებელი და შთამავგონებელი მითითებანი.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში მიიწვიეს საუკეთესო სპეციალისტი მშენებლები, ნაცადნი დაბრკოლებათა გადალახვაში. ესენი არიან განსაკუთრებული, საბჭოთა მოდემის ადამიანები, რომელთაც თავიანთი მგზნებარე და მომხიბლავი სიცოცხლე სურთ მიუძღვნან ბუნების გარდაქმნას ხალხის საკეთილდღეოდ. „სამგორ-წყალმშენის“ უფროსად დაინიშნა ანდრო გაბუნია, რომელიც მანამდე ჩინებულად ხელმძღვანელობდა კოლხიდის დაბლობის უკიდვგანო საუკუნებრივ კაობთა დაშრობას. წალკიდან მოვიდნენ ხრამჭესის მშენებლები: ვახტანგ ჭანკოტაძე, არონ გინდინი, გიორგი წულეისკირი, გიორგი გაევსკი, ვალერიან ჩუბინიძე და მრავალი სხვა. შეიქნა სსრკავშირის ელექტრო სადგურების სამინისტროს ტრესტი—„საქპიდროენერგომშენი“ მთიან ადგილებში მუშაობის ხელმძღვანელობისათვის. მოსკოვი მზრუნველობას უწევდა იმას, რასაც თბილისში შეიმუშავებდნენ ხოლმე მშენებლებს უთხრეს:

— მოგვლით დიდი და მეტად საპასუხისმგებლო სამუშაო. თქვენ საკმაო გამოცდილება გაქვთ. პარტია გენდობათ. პარტია ყველაფერს გააკეთებს, რათა დაეხმაროს მშენებლობას.

გადაწყდა იორის ხეობაში კაშხალის აგება. მდინარე უნდა წარემართათ გვირაბით, რითაც აღინიშნებოდა სამგორის შემომავისტრალური არხის დასაწყისი. შემდეგ იორის წყალს აუჩქარებლად უნდა ეღინა მდინარის მარჯვენა ნაპირზე, გადაეკვეთა მთის თხემები და გვერდითი ხეობები, უნდა გასულიყო მიწის ზედაპირზე, ხან კვლავ მიმამალულიყო სიღრმეში. ვახტანგ გორგასალის უძველესი ციხე-სიმაგრისა და

სოფელ უჯარმას ქვემოთ იორის წყალს ერთბაშად უნდა შეეხვია მდინარიდან დასაეღეთისაკენ და გაეცაქებინა სამგორის გაშლილ ველზე. შემდეგ უნდა დაესერა ზიგზაგებად მთელი ველი და, დამრეცად ჩასულს, გაეველო უკანასკნელი, მეთორმეტე გვირაბი, ხოლო, ორმოცდამეორე კილომეტრზე მიეღწია „თბილისის ზღვამდე“.

პროექტი ითვალისწინებდა ყველა დაბრკოლებას, პირველ ყოვლისა ღრმა და ციკაბოკიდებიანი ხევების, დაძლევის. ეს ხევები ტრასას სერავენდენ. გადაწყდა, ზოგიერთ ადგილას აეგოთ მონუმენტალური ბელარები და გაეშვათ წყალი დიდ სიმაღლეზე ხევის ერთი კიდიდან მეორემდე. უფრო მიზანშეწონილი აღმოჩნდა, რომ გადაესროლათ წყალი დიუკერთა — ვეებერთელა ფოლადის, ან რკინაბეტონის მილების — საშუალებით. იორის წყალი უფრო მაღალი მხრიდან ხეობის ფსკერზე ქვემოთ უნდა ჩაეშვათ ორი დიუკერთი, და ეს გაქანებული წყალი თვითდინებით ასულიყო მოპირდაპირე, უფრო დაბალ მხარეზე. დიუკერთა სისტემას საფუძვლად უქმევს გაერთიანებულ შერკელთა უაღრესად მარტივი და ყველასათვის ცნობილი პრინციპი. განივ ხევებში ნიაღვრისეული წყლის გასაშვებად არხისქვემოთ გაყვანილია ღარები, ჩაყრილია ფართო მილები. ერთმანეთის გადამკვეთი ორი ნაკადი არსად გვხვდება, რომ ერთმანეთს ხელი შეუშალონ.

ხოლო წყლის მკვეთრი ვარდნის გიგანტური ძალა რომ ფუჭად არ დაიკარგოს, თითოეულ დიდ „ჩქერზე“ — სამგორის ზეგანის საფეხურზე — გადაწყდა აიგოს ჰიდროელექტროსადგური. ამ ადგილებში არხი ფართოდება და იქცევა საწნეო აუზად. შემდეგ სწრაფად ვარდნილი წყალი შედის ტურბინების მძლავრ სახაპელაში. შეასრულებს რა სასარგებლო საქმეს, წყალი კვლავ მშვიდად გასწევს არხის შემდ-

გომი გზით. ტექნიკურად მას ეწოდება მხოლოდდამხოლოდ *საქვზადგზხო* უტილიზაცია“.

რადას ეწოდება „თბილისის ზღვა?“ ეს არის დიდი წყალსაცავი, მასში ჩადის იორის წყალი მთელი ზემომაგისტრალური არხის გავლის შემდეგ. აქ სრულიად არ დასჭირებიან თხრა, გრუნტის ამოღება. თვითონ ბუნებამ მოამზადე ყველაფერი წყლის მისაღებად. წარმოიდგინეთ ტაფობი, დაფარული მეჩხერი ბალახით და გარშემორტყმული მოტიტვლებული მთებით. ტაფობის ფსკერზე სამი ტბაა მარილის თეთრი, სქელი ხსნარით: აელაბრის, ელდოყანის და კუკიისა. კუკიის ტბის იქით აღმართულია ტიტველი მახათას მთა, ხოლო მახათას თბილისი აკრავს. იორის წყალმა დაჰფარა, შეაერთა და გაწმინდა ყველა სამი მარილიანი ტბა. ისინი ერთობ სუსტნი არიან იმისათვის, რომ ზიანი მიაყენონ მომავალში ნათესებსა და ბალებს, ხელი შეუშალონ კომუნისმის მშენებლებს.

წყალი რომ არ გამოსცდეს ტაფობის ნაპირებს და არ დაჰფაროს თბილისის გარეუბანი — ღრმაღლე, გადაწყდა ბუნების „შესწორება“: გარშემორტყმულ მთებში ორი ნაპრალი რკინა-ბეტონით ამოივსო, აიგო ორი კაშხალი. წელიწადნახევარი დასჭირდება მთელი თბილისის წყალსაცავის სათანადო დონემდე აესებას. მისი სიგრძე რამოდენიმე კილომეტრს აღემატება, იქ დაგროვდება წყალი და ერთი წლის განმავლობაში წყალსაცავიდან აორთქლდება თბოთმეტი მილიონი კუბი. ამზობენ, რომ იგი დაემსგავსება ფართოდრუნჩიან კუდფარფლიან კაშალოტს.

როცა „თბილისის ზღვა“ აივსება, იორის წყალი გამოსავლის ძებნას დაიწყებს. მაგრამ მას გზას გადაუღობავს მეორე, კიდევ უფრო მძლავრი, კაშხალი. მხოლოდ ადამიანის ნება-სურვი-

ლით აიწევა ხოლმე წყალშიმღები კომუნიკის ფარები და უკანგასაბრუნებელ გზას უჩვენებს სამხრეთ-აღმოსავლეთით, ქვემომაგისტრალურ არხზე გავლით შორეული ყარაიხის ტკბისაკენ. სამგორის ველზე არხი განსტოვდება მრავალ მცირე არხად, რომელთა სიგრძე უდრის რამდენიმე ათას კილომეტრს; ისინი მორწყავენ წყალდანარებულ მიწას. წყლის ნაწილს გაუშვებენ ჩრდილოეთ აღმოსავლეთისაკენაც — ღრმადელისა და ავქალის მიმართულებით, სადაც აგრეთვე მიწა გათანაგულია უწყლობით. ყველაფერი გარდაიქმნება...

მაგრამ ვიდრე აწმყოსა და მომავალს შევეხებოდეთ, უნდა გავიხსენოთ დიადი წარსული. გახსოვთ თუ არა, მკითხველო, რომ მარილიანი ტბების ეს ჯერ კიდევ უდაბური ნაპირები ისტორიული ადგილია? სწორედ აქ, ახალი საუკუნის განთიადზე, 1900 წელს, თბილისელ მუშათა ხალხმრავალი კრება ჩაატარა ახალგაზრდა, ბრძენმა ადამიანმა, აღსავესემ მშრომელთა ყველა მტერზე რევოლუციური გამარჯვების სასწაულმოქმედი ბოლშევიკური რწმენით. მისი სიტყვები, იმ ღირსშესანიშნავ დღეს წარმოთქმული, ისტორიას დოკუმენტალურად არ შემოუნახავს, მაგრამ ძველ მუშებს ახსოვთ, რომ ახალგაზრდა ბელადის სიტყვა შესანიშნავი იყო: იგი ხატავდა შორეულ დიად მომავალს. როგორც პოეტი გრიგოლ აბაშიძე ამბობს,

„აქ აიჭონრა რისხვის ქარბუქით
ტყე ახალგაზრდა და რტომრავალი,
აქ ხალხს გაუძღვა ბრძენი ჭაბუკი
აზღად ეღვამებამომავალი.
ეს ცაა იმ ძნელ დროთაშორეული,
მიწა — მოწამე სისხლის წვიმათა,
თავისუფლების დროშა პირველი,
სტალინის დროშა აქ აღმართა.
იმ დღეს ადიდებს ყველა ჩვენგანი,
სტალინის დროშის გაშლა პირველი —
ყველა სამგორის, ყველა ფერგანის
სათავე გახდა და საძირკველი“.

3. დიად სამშუაოთხ დასაწყისი

„დიდი სამგორის“ ^{მრეკონსტრუქციული} მომავლისაკენ გადადგმული ერთ-ერთი გადაწყვეტი ნაბიჯია. სამგორის სისტემის ტექნიკური პროექტი ქეშმარიტად პოეტური ნაწარმოებია. იგი აღსავესეა რთული დეტალებით და ციფრობრივი გამოანგარიშებით, მაგრამ მასში ყველაფერი მღერის, ეღერს, როგორც ხალხის საყვარელი სიმღერა. როცა გვიამბობდნენ დაწყებულ სამუშაოთა შესახებ, მშენებლობის ძველი და ახალგაზრდა მეთაურები ღელავდნენ, თვლები ენთებოდათ, ხალისი ემატებოდათ.

დადგა გაზაფხული. საჭირო გახდა მუშაობის უფრო ენერგიულად გაშლა. ეახტანგ ლავრენტის-ძე ქანკოტაძე, რომელმაც სტუმართმოყვარეობით გვიჩვენა წინა წლებში თავისი ხრამქვის მშენებლობა, მივიდა სამგორის მაგისტრალური არხის ვეებერთელა ნახევარი კედლისოდენა სქემასთან, რომელზეც აღნიშნული იყო მთელი წყალსაცავები, საწინეო აუზები, ელექტროსადგურები, გვირაბები, ბელარები და დიუქერები. ქანკოტაძის სქელი თმა მთლად ჭადარაა, იგი ჩასტეებულია, მაგრამ სიმარდე მაინც შეუნარჩუნებია. მის ღონიერ მყერღზე წითელი ემალითა და ოქროთი ბრწყინავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ნიშანი.

— ჩვენს ტრესტს — „საქპიდრო-ენერგომშენს,“ — თქვა მან, — დავალეებული აქვს მუშაობის წარმოება იორის ხეობაში, სათავეს კაშხალის და ყველა გვირაბის აშენება. მაგრამ რაგინდ სრულყოფილი არ იყოს სამგორის სისტემის შექმნის ძირითადი პროექტი, მას მაინც სჭირდება ერთი უმნიშვნელოვანესი დამატება. იცით თუ არა, რა უცნაური თვისებისაა მდინარე იორი?

— როგორც ყველა მთის მდინარე,

— დიხ, სწორედ ასეა, წაშში საშუალოდ იგი იძლევა თექვსმეტნახევარ კუბურ მეტრ წყალს. გაზაფხულზე და შემოდგომის წვიმების დროს — ორას ორმოცდაათამდე კუბურ მეტრს, ხოლო ზაფხულში და, განსაკუთრებით, ზამთარში ძლივს-ღა მოეონავს, მხოლოდ საცოდავ სამ კუბურ მეტრს იძლევა. ახლა თვითონ განსაჯეთ: წყლის ასეთი რეჟიმის პირობებში როგორღა იმუშავენ სამგორის სარწყავი სისტემა ზაფხულობით, როცა სარწყავად წყალი განსაკუთრებით აუცილებელია? „თბილისის ზღვა“ ხომ საკმარისი არ იქნება მთელი წლის განმავლობაში და ზაფხულში სამგორის არც ერთი ტურბინა არ ამოძრავდება. პარტიამ კი სწორად დაგვისახა ყველაზე უფრო ძნელი ამოცანა — მივალწიოთ სარწყავი სისტემისა და ელექტროსადგურების შეუფერხებელ ექსპლოატაციას.

ზამთარსა და ზაფხულში წყლის ხარჯვა იწარმოებს ამ წყალსაცავიდან, ხოლო გაზაფხულზე — „თბილისის ზღვიდან“. წყალდიდობის დროს ორივე წყალსაცავი კვლავ აივსება. ძნელი სამუშაოა შესასრულებელი, სამაგიეროდ, პარტიის დავალება მთლიანად შესრულდება. გაბუნია თავისი „სამგორ-წყალმშენით“ დია წესით გაიყვანს ზემომთავისტრალური არხის მეორე ნახევარს.

შეუძლებელია აიწეროს ყველა დაბრკოლება, რაც კი წინ ეღობებოდათ სამგორის მშენებლებს! სოფლების დამორებით გზები არ იყო, — ამიტომ გზები უნდა გაეყვანათ. უდაბური ხევის ერთი ციცაბო ნაპირიდან მეორეზე გადასასვლელად საჭირო იყო მრავალი ვერსის შემოვლა, — ამიტომ ხიდები უნდა აეგოთ. საცხოვრებელი ბინა არსად იყო — ააგეს ბარაკები, სულ ადრე კი თავს აფარებდნენ ბრეზენტის დიდ კარ-

ვებს. მაგრამ პარტიამ გამოიჩინა მტკიცე მითითება: უზრუნველყოთ მშენებლობა ნამდვილი სარწყავი ბინებით, შეექმნათ კარგი საყოფაცხოვრებო პირობები. მომავალ ჰიდროელსადგურთან, გამოცდილი ადამიანები ძველი ნაცნობებით უცქეროდნენ ბარაკებს, რომლებიც აქ ხრამ-პესიდან გადმოიტანეს. ზემომთავისტრალური არხის ტრასის გასწვრივ აგებდნენ ქვის დიდ სახლებს კანტორებისათვის, საერთო საცხოვრებლებს, სასადილოებს, და კლუბებს. მაშინვე ირგვლივ ხეებს რგავდნენ. გაჭირვებით შთულობდნენ „ტექნიკურ“ წყალს მშენებლობისათვის და სასმელ წყალს. შორიდან გამოჰყავდათ წყალსადენის მილები. ასე წარმოიშვა მთელი დაბეები, რომლებიც ჯერ არ არიან აღნიშნული რუკაზე.

მშენებელთა ნაწილი თვით სამგორის ველზე მოეწყო. იქ, სადაც უნდა აეგოთ „თბილისის ზღვის“ ყველაზე დიდი კამხალი და მიეცათ სათავე ქვემომთავისტრალური არხისათვის, მიწის დაყრას კი არა, მის თხრას შეუძღვნენ. რატომ? — იკითხავს გაკვირებული მკითხველი. იმიტომ რომ ამ ადგილას მშენებლობისათვის უვარგისი ნიადაგია; აქ შურა თიხა შერეულია მარილის კრისტალებში. აქეთკენ გამოშვებულ წყალს დიდი ზიანის მიყენება შეეძლო — ჩაერეცხა მარილი და თვითნებურად ჩამდგარიყო შექმნილ სიცილიერეში. და, აი, მძლავრი სკრებერები ხაპავდნენ მიწას და ჰყრიდნენ გვერდზე.

— დღეში ერთი სკრებერი ასრულებს ათასზე მეტი მიწისმთხრელის შრომას, — განმარტა ალექსანდრე ანდრონიკაშვილმა, რომელიც თავდაპირველად გამოხატავდა უზომო სიყვარულს მოწინავე საბჭოთა ტექნიკისადმი; იგი ოდნავ შესამჩნევი სიამაყით იღიმებოდა, რაც ასე დამახასიათებელია ჩვენი

მშენებლებისათვის. ინჟინრის ლამაზ, მზემოკიდებულ ახალგაზრდა სახეს სრულიად არ აუშნოებდა დაქმუქვნილი გახუნებული კეპი, პირიქით, იგი კიდევ შეენოდა მას.

— ამოვიღებთ მთელ ამ მიწენ გრუნტს, — განაგრძობდა მშენებელი და ირგვლივ ნერგავდა შრომით გატაცების ატმოსფეროს, — დაეტკეპნით მიწას, შემდეგ შეუღლებით კაშხალის დაზინვას. ეს ხემრობა საქმე როდია. ჩვენი მშენებლობა ყოველთვიურად მექანიზებული ხდება. მაგრამ გქონდეს მოწინავე ტექნიკა, ეს ძალიან ცოტაა. საჭიროა მისი გამოყენებაც. ჩვენ ვასწავლით და თვითონაც ვსწავლობთ...

სხვა უბნებზე ტექნიკა თავდაპირველად ცოტა იყო, მერე კიდევ ყოველთვის როდი შეიძლებოდა მისი გამოყენება ადგილმდებარეობის რთული რელიეფის გამო. მუშახელიც არ იყო საქმარისი. მაშინ პარტიამ მოუწოდა მთელ საქართველოს და „დიდი სამგორი“ სახალხო მშენებლობად აქცია. ქვეყნის ყველა მხრიდან მტკიცედ შემუშავებული წესით ჩამოდიოდნენ კოლმეურნეთა მთელი კოლონები. საამო იყო ამ ჯანმგებარე, ხალისიანი, მზისაგან ბრინჯაოს ფერდაკრული ადამიანების ცქერა. რა თქმა უნდა, ისინი ყველაზე ნაკლებად რთულ მიწის სამუშაოებს ასრულებდნენ, გაჰყავდათ თხრილი, ამოჰქონდათ მიწა. ზოგიერთ ადგილას უკვე მოიხაზა მომავალი არხის პროფილი. ორივე მხარეზე შეიძლებოდა დამახასიათებელი საფეხურის ბექობის გარჩევა, ბექობისა, რომელსაც უნდა დაეცვა ბეტონირებული კალაპოტი წვრილმანი ნაზავისაგან.

— მოიტა, მოიტა, სწრაფად! — გატაცებით გაიძახოდნენ კოლმეურნეები რუსულად. ტრასაზე მთელი დღეობით არ წყდებოდა მხნე ხალხური სიმღერები „მუშური“, და „ნადური“, რომლებიც ოდითგანვე გაისმოდა საქართველოში მინდვრის სამუშაოების დროს. როცა

მზე მიეთარებოდა თრიალეთის მთების ქროლა კიდევებს და გაეატყაფრებულე მიწას საამური სიგრძეზე დაეფრებოდა, კოლმეურნეთა კარგებთან გააჩაღებდნენ ცეცხლს, რომლის კვამლიც ას წვდებოდა. ხალხი წვავდა ცხვრის ცერიაან ხორცს, ასხამდნენ ტიკორებიდან შინდაწურულ საამო ღვინოს. გაისმოდა ხან გაბმული, ხან სწრაფი ხმები ზურნისა, ახალგაზრდობა ცეკვას მართავდა. უბრალო საბჭოთა ადამიანები, კმაყოფილნი თავიანთი შრომით, ამყანი იმით, რომ მონაწილეობდნენ სახალხო მშენებლობაში, საუბრობდნენ მომავალზე, კომუნისმის სიახლოვეზე, იმის შესახებ, რომ მალე სამგორში აშრიადღება დატოტეილი კახური ხორბალი. ჭიგოებზე დაიხლართება ვაზი. აყვავდებიან წარმტაცი ხილის ბაღები. აი, რა თქვა ამის შესახებ გიორგი ლეონიძემ:

„— იყავ, იორო, ჩვენი ნებისა, ამა, მოვიდა დღეს შენი ბედის უხვად დააღებ ჩაქანგებულ, ათასი წლობით ჩამხარი ბელტი, რომ შენს ნიადაგს ფესვი გაუბას, კვირტი ვადმოსკდეს გამოსატანი, და წამოვიდეს ზვავად, ლაქერად, პურის, ღვინის და ხილის მადანი!“

გაჩაღდა მუშაობა სხვა, უფრო რთულ უბნებზედაც. იორის ხეობაში, წიფლისა და რცხილის ხელუხლებელ ტყეთა შორის მშენებლებს გაჰყავდათ გზა მომავალი სათავის კაშხალისაკენ.

ღრმად შედიოდნენ რა უღრან ტყეში, ისინი გულმოდგინედ უფრთხილდებოდნენ საუკეთესო ჯიშის ხეებს, განსაკუთრებით მუხას. უეცრად ბუჩქებიდან გზაზე გამოხტებოდა დამფრთხალი ტურა და მას ქვით ჩაქოლავდნენ ხოლმე. არხის სათავის ნაგებობათათვის გათვალისწინებულ ფართობს ამოაცალეს გრუნტი — მიწის ზედაფენა. აღმოჩნდა მდინარის რიყე. აქ ოსტატურად მუშაობდა სახელგანთქმული მეექვსკავატორე ნიკოლოზ გაბრიელისძე ტელეპენკო, რომლის სახეზე მუდამ დი-

მილი იყო აღბეჭდილი. ხრამქსის მშენებლობაზე, სადაც აგრეთვე სათავის კაშხალთან მუშაობდა, იგი შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს.

ბუღლოზერებმა სამშენებლო მოედანი მოასწორეს. ყოველდღიურად იზრდებოდა ორი ჯგუბირი და ზღუდარი, რომელთაც უნდა დაეცვათ მოედანი იორის უცარი შემოტევისაგან. ხოლო თვითონ მდინარე — ცისფერი, ანკარა, ცივი ჯერ კიდევ თავისუფლად მიქუხდა გვერდით მარცხენა ნაპირის კლდეების ქვეშ. უბნის უფროსი ლავროსი თავართქილაძე მკვრივი, ჩახხული კაცი მაღალი შუბლით და ლამაზი თვალებით, საიდანაც გამოკრთოდა ოცნებისადმი სიყვარული, ხან საქმიანად მიმოდიოდა სამშენებლო მოედანზე, სადაც გასაოცრად მცირე რაოდენობით ჩანდნენ ადამიანები, ხან ტელეფონით ელაპარაკებოდა სოფელ უჯარმაში თავის უფროსს — გიორგი ვასილისძე წულეისკირს. წულეისკირი გამბდარი და მოძრავი ადამიანია; იგი დიდიდანვე, პირველ ყოვლისა, იქ გაჩნდებოდა, სადაც მუშაობა უმწელებოდათ. განსაკუთრებით დიდი ჯახირი სჭირდებოდა სანგრევეებში მუშაობას. სანგრევეებში შესასვლელებთან, რომელთაგან ზოგი დამრეცი იყო, ზოგი ღრმა ორმოს მსგავსი, ღრპილით მუშაობდნენ მცირე ზომის ცემენტის ქარხნები. გვირაბების შიგნით პაპანაქების დროსაც კი გრილობდა. რაც უფრო შორს და ღრმად შედიოდნენ სანგრევეში, მით უფრო მეტი სინესტე იგრძნობოდა; მოკონავდა და ფეხქვეშ გროვდებოდა ნიადაგისეული წყალი. ზოგიერთ ადგილას წყალს არავითარი გამოსასვლელი არ ჰქონდა მიწის ზედაპირზე.

თითოეულ სანგრევეში თავისებური სიძნელეებია, თავისებური გეოლოგიური პირობებია. მაგალითად, უჯარმის გვირაბში მნგრეველები წააწყდნენ სარმატულ მერგელებს, რამაც უაღრესად

გააძნელა მუშაობა: კობტაისხევში აღმოჩნდა რიყე-ხრეშოვანი და კენჭოვანი ხარი ნიადაგი, ქანკუბში კი მთელურჯო რუხი ფერის მერგელოვანი თიხა და ქვიშაქვის თხელი ფენები.

ვინც კი ყოფილა სანგრევეებში გაჩაღებული მუშაობის დროს, ალბათ უნახავს კუნთმაგარ მუშებს როგორ შეკყავდათ ელექტრონათურათა სუსტ შექზე სულ უფრო და უფრო ღრმად თავიანთი სანგრევი უროების წვერი; ეს უროები გამოსცემდნენ მკვახე ხმას, როცა ჯიუტ ქანს წააწყდებოდნენ ხოლმე. ზოგი აფართოებდა და ასწორებდა სანგრევეს, აძლევდა მას სწორ ოვალურ ფორმას მძლავრ ფიჭვის სამაგრთა საფარქვეშ. ისინი გზას უთმობდნენ ბურთობსაკისურიან ვაგონეტებს, რომლებიც მსუბუქად მიმოჰქროდნენ ძელფენილზე, აგებდნენ ფიცრულას ბეტონისათვის; ოსტატურად აბეტონებდნენ. ჯერ ისევ იგრძნობოდა „ქორფა“ ბეტონის სითბო, ფეხქვეშ კი — სისველე და სახსლეტი ნიადაგი.

მიწის ქვეშ, ნახევრად სიბნელეში ჩანდა მუშათა ფიგურები. მათ ეცვათ ბრუნენტის სპეცტანსაცმელი. თითოეული მათგანი თავის საქმეს აკეთებდა ფუსფუსისა და ზედმეტი ხმაურის გარეშე. აქ ბევრი რუსული სახე ჩანდა.

აი, სამაგრის მეორე მხრიდან გამოდის მოზრილი, მაღალი, გამბდარი, ხნიერი კაცი და თავაზიანი ღიმილით გვიწედის ხელს. ეს არის მნგრეველთა ბრიგადირი ირაკლი ოზოლაძე. ეს ის ოზოლაძეა, რომელიც აგებდა რიონქსს და შორეულ საცეცხლე წერტებს დარიალის ხეობაში და გაჰყავდა ხრამქსის წყალსავალი. მას საოცარი მოხდენილობით აცვია. მკერდზე შრომის წითელი დროშის ორდენის, საპატიო ნიშნის ორდენის, კავკასიის დაცვისა და სამამულო ომში მამაცური შრომის ლენტებთან ერთად ლამაზად ჩანს ლენინის ორდენის ახალი ლენტი. შეუძლებელია კაცს დაავიწყდეს ასეთი უბრალო და

დიდმნიშვნელოვანი შეხვედრები მიწის ქვეშ, როგორცაა ეს შეხვედრა.

— კვლავ აშენებთ?

— სულ ასე განვაგრძობთ. დავამთავრებთ აქ და სხვა მშენებლობაზე გადავალთ.

— ხომ კარგად მიდის მუშაობა?

— არა უშავს. ნახევარი გვირაბი უკვე მოვილიეთ.

4. მუშაობა ბაჩალდა

სამგორის ველის შეაგულში, სადაც უწყლობის გამო არაფერი ხარობდა ამ ნოყიერ მიწაზე, გამოძებნეს პატარა წყარო და გაასუფთავეს იგი. გადაწყვიტეს, აქ გაეშენებინათ საცდელი ნაკვეთი. დარგეს ხეხილი, გააშენეს პატარა ვენახი, დათესეს ხორბალი. ყველაფერმა სწრაფად გაიხარა, სისხლქარბი სიცოცხლით იწყო ზრდა. დამუშავებული მიწის ეს მიმზიდველი ნაკვეთი თითქმის მომავალი „დიდი სამგორის“ ნამცეცა ცოცხალი მოდელი გახდა.

ხოლო თვით მშენებლობაზე ყველაფერი ასევე განიცდიდა ზრდას—მძლავრად, სწრაფად, გატაცებით. ბუნება ხელს უშლიდა მშენებლებს, ამოვარდებოდა გრივადი, ქარიშხალი მტერის კორიანტელს აყენებდა ველზე, ხოლო პაპანაქება სიცხის შემდეგ დაუსრულებელი თავსხმა ჩაშლით ემუქრებოდა შემოქმედებითს მუშაობას. ადამიანები ბრაზით აღრქვილებდნენ კბილებს, და აჩქარებდნენ ტემპებს, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, უსწრებდნენ საწარმოო გრაფიკს. ხევეზე უკვე კოხტად ჩაზნექილიყო დიუკერთა ორმაგი „ძაფები“. თანხების, ფოლადის ეკონომიისათვის და რკინიგზის განტვირთვის მიზნით ფოლადის მილები ნაცვლად თითქმის ყველგან იწყეს რკინაბეტონის მილების კეთება. ხუროები აშალებდნენ მრგვალ სამაგრებს, ბეტონის შეფიცრულებს. მერმატურები ღუნავდნენ, ჭრიდნენ და ჰიმავედნენ ლითონის

მავთულებს, ხლართავდნენ მათგან ბეტონის ზემოთ არმატურის რკინულ ზადეს. შემდგომელები აღუფრთხილები იქნებოდნენ. შემდეგ წარმოებდა ბეტონის ჩაისხმა. ავტოთვითდამცველები ზიდავდნენ კენჭს, ქვიშას და ბალასტს განუწყვეტელი მოქმედების ბეტონსაზელთან. ტრანსპორტიორებს გამზადებული ბეტონი მიჰქონდათ პირდაპირ სამუშაო ადგილზე.

თითქმის ყოველდღიურად, ყოველნაირ ამინდში მუშების ხან ერთ, ხან მეორე ჯგუფს უახლოვდებოდა ერთი გამზადარსახიანი მალალი კაცი ორი მკვეთრი ნაოქით ვენერგიული ტუჩების კიდეებზე, ეს იყო „სამგორწყალმშენის“ უფროსი, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ანდრო გაბუნია, რომელიც ამოწმებდა მუშაობას. იგი ისმენდა მოხსენებებს, ბჭობდა, აძლევდა მითითებებს. აშკარად ჩანდა, როგორ უყვარდათ იგი მშენებლობაზე. მის შესახებ მზიარულად ოხუნჯობდნენ, რომ გაბუნიას წინათ ეჯავრებოდა წყალი, ამიტომ აშრობდა კოლხიდის თვალუწვდენ ქაობებს, ახლა კი უწყლოდ ვერა ძლებს, წყლით სამგორის დაფარვა სურსო.

— ამჟამად ყველა შრომატევადი სამუშაო მექანიზმებით სრულდება, — განუმარტა გაბუნიამ სტუმრებს, თანდათან მცირდება ხელით შრომის გამოყენება. კერძოდ, ჩვენ მივიღეთ ტრაქტორის ახალი ავრეგატები „სუტა“-ს უნივერსალური მანქანები. როცა ქვემომაგისტრალური არხის გაყვანისას დაგვიკირდა ამწევი ონკანი, მოგვაწოდეს ტრაქტორი „სუტა-1“. მისი მეშვეობით სწრაფად ჩავყარეთ გადამცემი ხაზის ბოძები. ხოლო ერთი საათის შემდეგ სწორედ ამ „სუტა-1“-ს, იქცა რა ის ექსპეკატორად, უკვე ამოქონდა გრუნტი არხის კალაპოტიდან. ამავე მანქანას შეუძლია ქვიშით დატვირთოს სატვირთო მანქანები, აწარმოოს დაგეგმვა და ახალი გზების გაყვანისას გაასწოროს

გრუნტი. შესანიშნავ მანქანებს ქმნიან ჩვენი ქარხნები, და ჩვენც ცუდად როდი ვითვისებთ მათ. რა თქმა უნდა, სამგორის გაზომვა კომუნისზმის დიად მშენებლობათა საზომით არ შეიძლება. მაგრამ ჩვენც ხომ ვმონაწილეობთ კომუნისზმის დიად მშენებლობაში. რაც არ უნდა იყოს, სამგორი არის ბუნების გარდაქმნის დიადი სტალინური გეგმის ნაწილი.

ასე გვესაუბრებოდა ანდრო გაბუნია და თან მახვილი თვალით აკვირდებოდა მშენებლობას. ხოლო ვახტანგ ქანკოტაძემ საქართველოს უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიაზე ვანაცხადა ტრიბუნიდან:

— ისე როგორც „სამგორწყალმშენის“ კოლექტივს, ჩვენც შეგნებული გვაქვს, რომ ეშრომობთ ქართველი ხალხის საუკუნებრივი ოცნების განსახორციელებლად — გაცოცხლდეს, აყვავილდეს და ნაყოფიერი გახდეს გვალვით გამოშროალი სამგორის მიწა...

იორის ხეობაში, იქ, სადაც არხი მცირე მანძილზე გამოდიოდა მიწის ზედაპირზე და მიიკლავებოდა მდინარის ნაპირზე, მშენებლებს დიდი სიძნელეები ელოდა. არხის გაყვანისას მთის ჩამოჭრილი ციცაბო თიხნარი ფერდი ქვევითყენ ეშვებოდა. უკვე დაბეტონებულ სადინარზე ხარაჩოებში გამოჩნდა საბედისწერო ნაპრალები. მეწყერი წალეკვით ემუქრებოდა არხს. მშენებლებს შეტი არაფერი დარჩენოდათ, რომ მოეჭრათ მთის ნაწილი.

მობეტონებულ გვირაბებში წარმოებდა მოსაპირკეთებელი, ტორკრეტული სამუშაოები. „ტორკრეტული ზარბაზნით“, მაღალი წნევის საშუალებით ასბურებდნენ ბეტონს, აკეთებდნენ სწორ ბეტონის ბათქაშს ზედმეტი გამძლეობისა და გვირაბის შეუტანებლობისათვის. მაგრამ ერთ-ერთ სანგრევში მსუბუქი ქანები ვერაგულად აწვებოდნენ სქელ ფიჭვის სამაგრებს, ასანთის ლერივით ამსხვრევდნენ მათ. გამმაგრებ-

ლები დაიქანცნენ, მობეტონება შეუძლებელი გახდა. მუშაობის ჩვეულ იყო მოსალოდნელი. მაშინ ვახტანგ ქანკოტაძემ „გამშენის“ მთავარმა ინჟინერმა არონ გინდინმა მოიწვია იორის ხეობაში საუკეთესო ოსტატები. პატარა ფიკრულ სახლში ერთ-ერთი პირველი ამოვიდა გვირაბიდან ირაკლი ობოლაძე, ლამაზად ჩაცმული, როგორც ყოველთვის. მისი მოკლე უღელაშები კოხტად იყო შეკრეპილი, მას რეზინის ჩექმების გარეცხვაც მოესწრო. ობოლაძეს თან მიჰყვა ახალ სპეცტანსაცმელში გამოწყობილი სრულიად ახალგაზრდა, კარგად ჩასმული კაცი; მას არაჩვეულებრივი გამჭრიახი თვალი ჰქონდა. ეს იყო მოხეილ სერდობინცევი — მნგრეველთა და მებეტონეთა ბრიგადირი, ისიც სახელგანთქმული ადამიანი მთელ მშენებლობაზე. ფიცარი აჭრაქუნდა უზნის უფროსის არტემ გრიგორიანის მძიმე სხეულისაგან. ეს ხნიერი კაცი, რუხი ფერის მოღვლილ სამუშაო ტანსაცმელში, საიდანაც მოუჩანდა ზოლებიანი სუფთა პერანგი, ალერსიანად ილიმებოდა და ოქროს კბილები უჩანდა. ყველამ ამჯერა პატივისცემით შეხედა გრიგორიანს, რომელსაც ცხოვრების დიდი სკოლა ჰქონდა გავლილი. იგი უბრალო მუშადაც ყოფილა სანგრევში, ცვლის ოსტატადაც, ბრიგადირადაც, თვითონაც სწავლობდა და სხვასაც ასწავლიდა, იზრდებოდა და სხვასაც ზრდიდა. მისა და მისი ძმის შესახებ ლაპარაკობს ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი ა. ფ. ფედოროვი თავის წიგნში „არალეგალური ოლქკომი მოქმედებს“. იგონებს რა ახალგაზრდობას: „ჩემთვის მისაბაძე მაგალითად გახდნენ ის მუშები, რომლებიც შიშის გამო კი არა, სინიღისიერად მუშაობდნენ. მახსოვს, განსაკუთრებით მომწონდა ძმები, ცვლის ოსტატები—გრიგორიანი და იოსები“*.

* ა. ფ. ფედოროვი. „არალეგალური ოლქკომი მოქმედებს“. გამ. „სოვეტსკი პისატელი“, მოსკოვი, 1949 წ., გვ. 28.

გინდინის სახე შეშფოთებას როდი გამოხატავდა. ოღონდ მას ოდნავ შეეკმუხნა მაღალი სწორი შებლი, რომელსაც გარს შეთხლებული თმა შემოვლებოდა. მან გახსნა თათბირი.

— ამხანაგებო! — თქვა მშვიდი, მკაფიო ხმით. — ყველა თქვენგანმა იცის, რომ გეგმას ღირსეულად ვასრულებთ. აი, მეთორმეტე სანგრევეში პირდაპირ უბედურებაა. შეიძლება საერთო გრაფიკი ჩაგვეშალოს. თქვენ იცით, რა ხდება იქ. საჭიროა დახმარება. უნდა გავგზავნოთ უნარიანი ადამიანები. საკუთარი სამუშაო დროებით უნდა გადავდოთ, შემდეგ ავანაზღაურებთ. ვფიქრობ, არავინ იტყვის უარს მძიმე, მაგრამ საბატიო, სამუშაოზე. თითოეული თქვენგანი ხომ მარტო საკუთარი თავისათვის არ აგებს პასუხს. აბა რას იტყვიო?

მაშინ წამოდგა ხანშესული ოსტატი მიხეილ ლავროვი, რომელსაც მიწას ქვეშ ყოველნაირი გასაპირი უნახავს. მან აღჩქარებულად თქვა:

— მეთორმეტე სანგრევი ძლიერ საფრთხილო ადგილია. ძალიან კარგია, როცა გრანიტს ვაქცევთ: გაბურღე და ისროლე. აქ კი ფაფაა. ერთი ბრიგადა ვერაფერს გახდება. ლაპარაკი ზედმეტია — უნდა დავეხმაროთ.

მეზიგეთა ბრიგადირმა დანიელ რეშეტნიკოვმა, რომელსაც ხშირი ხუჭუჭა ქერა თმა, ნაშინარევი სახე და გაუპარსავე წვერი ჰქონდა, დაკვირვებით შეხედა გინდინს. მან აკურატულად ჩასდო სიგარეტი მუნდშტეტში და წარმოთქვა:

— ყველა ბრიგადირი კარგია, ყველა მეზიგე კარგია, სანამ განსაკუთრებული პრობლემა არ შექმნილა. ახლა ერთობლივად უნდა დავირაზმოთ.

თათბირი მალე დამთავრდა. რამდენიმე საჭიანი შენიშვნა შემოიტანა გრიგორიანმა. მშენებლობის საუკეთესო ადამიანები უკვე მეორე დღესვე ერთსულოვნად მუშაობდნენ „მასპინძლებთან“ ერთად მეთორმეტე სანგრევეში.

როცა საქმე მოაგვარეს, ისინი დაბრუნდნენ თავიანთი გვირაბების დასამთავრებლად და მალე აანაზღაურეს ის დრო, რომელიც ამხანაგებისათვის დახარჯეს.

ავითარებდნენ რა საკუთარ თავში შრომისადმი სოციალისტურ დამოკიდებულებას, პარტიული და უპარტიო ბოლშევიკები ზრუნავდნენ არა პირადი სარგებლობისათვის, არა ჯილდოებისა და წარჩინებისათვის, არამედ თავიანთი სახელმწიფოს ინტერესებისათვის. ვაშენოთ რაც შეიძლება უკეთესად, სწრაფად და იაფადო — აი მათი ზრუნვის საგანი. ვიდრე სათავის კახშალს ააგებდნენ, საჭირო იყო მტკიცე საძირკველის ჩაყრა. ამისთვის ჩვეულებრივად იყენებენ ძვირფას კესონებს. მათ ჩაშვებას დიდი დრო სჭირდება, საჭიროა მიწის დიდზე თხრა. რომ დაეზოგათ დრო და თანხები, სამგორელებმა გადაწყვიტეს სრულიად არ გამოეყენებინათ კესონები და შეეცვალათ ისინი უფრო მარტივი „ჩასაშვები კვებით“. ეს იყო გაბედული ნოვატორობა.

წარმოიდგინეთ ვეებერთელა რკინაბეტონის კოლოფები, რომელთაც ზედა და ქვედა მხარე ღია აქვთ. თითოეულ მათგანს დგამენ მიჩნეულ ადგილას და იწყებენ ფრთხილად, თანაზომიერად მის ქვემოდან რიყისა და მიწის ამოღებას. „ჩასაშვები კა“ აწეება მთელი სიმძიმით, ეშვება სიღრმეში, შემდეგ სრულიად იფარება მიწის ზედაპირიდან და აღწევს მაგარ ქანამდე. მაშინ მთელი მიწა „ტის“ შიგნით ამოაქვთ მთლიანად და სიცალიერეს ავსებენ შემკვრივებულ ბეტონით. ასე იქმნება საფუძველი, რომელსაც უნდა დაეყრდნოს კაშხალის მთელი რკინა-ბეტონის მახინა.

ერთი შეხედვით, თითქოს, ძალიან უბრალო საქმეა, მაგრამ სინამდვილეში იგი სარისკოა, რაც მოითხოვს შეუწყლებელ ყურადღებას და ოსტატურ სიმარჯვეს. მიწაში ჩაშვებისას „ჩასაშვებ კას“ შეუძლია სიმრუდე მოგვეცეს. გამ-

რუდებული სახით იგი უვარგისი აღმოჩნდება, როგორც კაშხალის დასაყრდენი.

ერთხელ სათავეს უბნის უფროსს ლავროსი თავართქილაძეს და მის კარგ ამხანაგებს სუნთქვა შეეკრათ მღვლელებისაგან. მათ შენიშნეს, რომ უკვე მიწაში ღრმად ჩამკდარმა ერთმა „კამ“ რამდენადმე შეიცვალა ვერტიკალური მდგომარეობა. უჯარმიდან მაშინვე მოიჭრა სამმართველოს უფროსი გიორგი წულეისკირი. მას შეეკრა თავისი ხშირი, შავი წარბები და უსიტყვოდ მისჩერებოდა ამ კვიპატ ქას; იგი ანალიზს უკეთებდა მომხდარ შემთხვევას. რა ღონე ეხმარა? ფუქად ხომ არ უნდა ჩაველო კაშხალის მშენებელთა ასეთ დაძაბულ და ჰქვიანურ შრომას! უმუხტლა ტიალმა მიწამ, რომელიც ერთ ადგილას უფრო რბილი და ფხვიერი აღმოჩნდა.

გადაწყდა, განსაკუთრებული სიფრთხილით, ნელ-ნელა ამოეღოთ მიწა იმ მხრიდან, სადაც „კა“ უფრო ნაკლებად იყო დაშვებული, რათა იგი ცოტათი გადახრილიყო იქით, და კვლავ მიეღო ვერტიკალური მდგომარეობა. მუშებს კარგად ესმოდათ, რომ მიწის შეხება „კის“ ქვეშ ისეთი სიფრთხილით არის საჭირო, თითქოს „კა“ რკინა-ბეტონისა კი არა, მინისა იყოს. ყველამ შვებით ამოისუნთქა და გამხიარულდა, როცა ბოლოს „კა“ გასწორდა თვალისათვის შეუმჩნეველი მოძრაობით.

გონივრულმა რისკმა ფუქად არ ჩაიარა. სათავეს საგუბარის ფუძე ვადაზე ადრე შეიქმნა. გაცილებით უფრო ადვილი იყო თვით კაშხალის აგება გამრეცხით, რომელიც შეაკავებდა ფსკერის ლექს და სალექართ, რომელიც დალექდა მდინარის სიმღვრივეს არხში გასვლის წინ.

ამასთან საჭირო იყო ზრუნვა სიონის წყალსაცავის შექმნის შესახებ. ეს წყალსაცავი „თბილისის ზღვის“ შევსე-

ბას წარმოადგენს. მიყრუებულ სოფელ სიონისაკენ, რომელიც უხსოვარ დროიდან იორის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს, დაიძრნენ მშენებლები. ციკაბო, ვიწრო და ოღროჩოღრო საურმე გზის ნაცვლად უნდა შექმნილიყო კეთილმოწყობილი გზა 25 კილომეტრის მანძილზე. გაჩეხეს ხშირი ბუჩქნარი, მოთხარეს ხეები, ჩამოანგრიეს კლდის შეერილები. ხეობაში ისმოდა აფეთქებათა გამოძახილი. ჩამოსტრეს ურჩი ფერდობები, ამოაესეს ორმოები და თხრილები, მოაეკეს ციკაბო მოსახვევები, გვერდზე გადაადგეს რუები. მერე, რა ტექნიკით იყვნენ აღჭურვილი მშენებლები როცა მექანიზებული კოლონა პირველ დღეს დაიძრა სიონისაკენ, იგი ოც კილომეტრზე გადაიკიმა.

ხეობა მაღლა უფრო თანდათან ფართოვდებოდა, ბარდი მეჩხერი იყო და გზა უხვევდა იორისაკენ სულ სხვანაირი. მთის მდინარე აქ ლაღად მიშხვის, თითქოს ველზე იყოს გაჭრილი, და სარკესავით იხატება მის ზედაპირზე მთების დამრეკი და წარმტაცი ფერდობები. მაგრამ შემდეგ მოჩანდა თავისებური ქიშკარი: იორის მარჯვენა ნაპირი ძლიერ ციკაბო და მაღალი იყო, ხოლო მარცხენა ნაპირი თითქმის შეერთებულა მას. აი სწორედ აქ აღიმართება ახლო ხანში გიგანტური კაშხალი. იგი გადაკეტავს მდინარეს. კაშხალს ზემოთ, ბუნებრივ ტაფობში შეიქმნება ენით აუწერელი სილამაზის წყალსაცავი. იგი აგვირგვინებს მთელი სამგორის სისტემას. წყლით დაფარვის ხაზი გვილის ციკაბო ნაპირების გასწვრივ. ეს ნაპირები შედგება მკერივი ქვიშნარისაგან, მერგელებისა და კაიან ფიქალთაგან.

მაღე საჭირო გახდება რამდენიმე სოფლის აქედან გადაყვანა სხვა მიდამოებში. ჯერჯერობით კი მშენებელთა მოსილ სერზე უკვე მოჩანს მშენებელთა დაუმთავრებელი მრავალათასიანი

დაბა, კრამიტით დახურული კოხტა ხის სახლები, სამზარეულოების, სასადილოების და კლუბების დიდი შენობებით. მშენებლებისათვის უზრუნველყოფილია ცხოვრების მოხერხებული პირობები.

5. სტალინურ ახალმშენებლობათა ურთიერთბამოკახილი

მრავალი კოლმეურნე, რომლებიც სამგორელებს ეხმარებოდნენ, მიწის უბრალო სამუშაოების ნაცვლად გადავიდართულ შრომაზე, გახდა ჩინებული სპეციალისტი. ბევრი მათგანი მეტეორნეა, მეარმატურე, კალატოზი, ბევრმა შეისწავლა რთული მექანიზმების მართვა. მართალია, ახალმა საბჭოთა მანქანებმა შრომისაგან გაათავისუფლეს მეშები. მაგრამ აღამიანები მაინც ძალიან ესაჭიროებოდა სამგორს. ლევან ლომიძის კომკავშირულმა ბრიგადამ იმუშავა მისთვის განკუთვნილი დროის განმავლობაში. ბრიგადის წევრებს შეეძლოთ შინ წასვლა. დაახლოებით ორმოცმა კაბუტმა გასწია სახელოვანი შრომა. ისინი ორ-სამშაგად ასრულებდნენ რთულ სამუშაოებს. თვით ლევანს — მხარბეჭიანს, დავაყაყებულს, ულვაშმოშვებულს — ელოდებოდნენ სურამის ქედის გადაღმა, მშობლიურ სოფელ ილეშში. მდინარე ყვირილის პირად. ფოსტალიონს უკვე აღარ მიჰქონდა ლევანისათვის შინიდან გამოგზავნილი წერილები.

— თქვენ საჭირო ხართ მშენებლობაზე, — უთხრეს კომკავშირელებს პარტიულ ბიუროში.

და მათ, ვინც უნდა იცხოვროს კომუნისზმის დროს, ეს უბრალო სიტყვები ისე მიიღეს, როგორც მათი შრომის პარტიული მოწონება. თვითონ მათ მიმართეს ყველა კოლმეურნე სამგორელს მოწოდებით — დარჩენილიყვენ მშენებლობაზე მის დამთავრებამდე:

„ამჟამად სამგორში ფართოდ არის გაშლილი სამუშაოები. მალე ათასობით

პექტარი ხრიოკი მიწა წყალს შიიღებს. განხორციელდება ქართველი ხალხის საუკუნებრივი ოცნება — სამშენებლო მონაწილეობაში მშენებლობიდან წასვლა უარყოფით გავლენას მოახდენს მშენებლობის ტემპებზე. სანამ ახალი კადრები მომზადდებოდნენ, ძვირფასი დრო უკვე დაიკარგება. შეგნებული გვაქვს რა ეს, ჩვენ, ლ. ლომიძის ბრიგადის მშენებელმა კოლმეურნეებმა, მივიღეთ გადაწყვეტილება — არ დავბრუნდეთ ჩვენს კოლმეურნეობებში სამგორის სამუშაოთა დამთავრებამდე, დამოვუწოდებთ ყველა მშენებელ კოლმეურნეს — მიჰბაძონ ჩვენს მაგალითს“.

ლევან ლომიძის კომკავშირული ბრიგადის მოწოდებას გამოეხმარნენ ახალგაზრდებიც და ხანშესულნიც. ოთხასზე მეტმა კოლმეურნემ განაცხადა მშენებლობაზე დარჩენის სურვილი. ლევან ლომიძემ წერილი გაუგზავნა მამას, შეუთვალა თავისი ბრიგადის გადაწყვეტილება და მიიწვია სამგორში ზემომავსიტრალური არხის გახსნაზე. ხნიერმა კოლმეურნემ მოიწონა კომკავშირული საქციელი და ასეთი პასუხი მისწერა შვილს: „ჩამოვალთ მე, დედა და გოგია“.

ტრაქტორისტი სოფელ მარტყოფიდან იასონ თურქიშვილი სამამულო ომის მონაწილეა. როცა იგი სამგორის მშენებლობაზე მოვიდა, არაჩვეულებრივი სისწრაფით დაეუფლა მესკრებერის პროფესიას. მალე იგი გახდა საუკეთესო მესკრებერე მთელ მშენებლობაზე და ამყარებდა შრომის ნაყოფიერების რეკორდებს. იასონი დილაობით გადიოდა სამუშაოდ. მისი კეთილი და ხალისიანი სახე, მთელი მისი დაბალი, მაგრამ ერთობ ჩასკენილი სხეული მეტყველებდა: „მე ახალგაზრდა, ღონიერი ვარ, მიყვარს ჩემი სამშობლო, ომში თავი არ შემირცხვენია, მშვიდობიანობის პირობებშიც ვისახელებ თავს!“ იასონი გატაცებული იყო მოწინავე ტექ-

ნიკის გამოყენებით, სიყვარულით უკლავდა თავის მძლავრ მანქანას, სამაგიეროდ, მანქანისაგან ღებულობდა ყველაფერს, რისი მოცემაც კი მას შეეძლო.

დევეგმირ იასონს, ჩვეულებრივ, ყველაზე რთულ საქმეს ავალბედნენ ხოლმე: „აი მაგარი ქანის ხუთას კუმბეტრინი გორაკი. იგი ხელს უშლის არხის გაყვანას — მოაშორე აქაურობას!“ იასონიც შეუტრედა ხოლმე მითითებულ გორაკს, როგორც მოწინააღმდეგის გაშვარებულ პოზიციას. იგი მეთოდურად ანგრევდა გორაკს, მოსდებდა მას ნაწილ-ნაწილ თავის ათკუბიან სკრეპერს და ნამსხვრევებს შორს გადაისროდა ხოლმე. საღამოსათვის, იასონ თურქიშვილის მხოლად რვა საათის მუშაობის შემდეგ, გორაკი უკვე აღარ არსებობდა. ასეთი სამუშაოს შესრულებას ვერ შესძლებდა ერთი დღის განმავლობაში ვერც ორიათასი მიწის მთხრელი.

იასონი ცხოვრობდა მომავალი „თბილისის ზღვის“ ნაპირის მახლობლად. ზოგჯერ მას ეგონა, რომ უკვე ისმოდა წყლის ტალღათა ხმაური. ერთხელ მან შეიტყო, რომ ვოლგა-დონის არხის ჩაპურნიკოვის სამშენებლო რაიონში, სადაც აგებდნენ ექვსრაბიანი „ვოლგის კიბეს“, გამოირჩევა ივან გრიგოლის-ძე ტაჩუკი. სახელოვანი მესკრეპერის შრომითი გმირობის შესახებ ხშირად იუწყებოდა ჩაპურნიკოვის „მებრძოლი ფურცელი—ელვა“. და აი იასონ თურქიშვილმა წერილი გაუგზავნა ივანე ტაჩუკს: „ძვირფასო ამხანაგო ტაჩუკ! ჩვენ, სამგორის (საქართველო) სარწყავი სისტემის მშენებლობის მექანიზატორები, განსაკუთრებული ყურადღებით ვადევნებთ თვალს კომუნისმის დიად მშენებლობათა შრომითს წარმატებებს. სულითა და გულით, ფიქრით, გრძნობებით მუდამ თქვენთან ვართ. უფრო მეტი მჭიდრო კავშირის დასამყარებლად, გამოცდილების გასაზიარებლად გადავწყვიტე შეგეჯიბრეთ ტექნიკის უკეთ გამოყენებისათვის, სამშენებ-

ლო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირებისათვის. გიწვევთ შეგეჯიბრებაში და ვალდებულებას ვკისრულობ...“

შემდეგ ჩამოთვლილი იყო სოციალისტური შეჯიბრების მაღალი მაჩვენებლები.

წაიკითხა რა მეექვსე რაბის მახლობლად სამგორის ველიდან მოტანილი იასონ თურქიშვილის წერილი, ივანე ტაჩუკმა პასუხი არ დააყოვნა: „ძვირფასო ამხანაგო თურქიშვილო! წერდა იგი, — თქვენი წერილი დიდი კმაყოფილებით იქნა წაკითხული ვოლგა-დონის არხის მშენებლობის ჩაპურნიკოვის რაიონის მესკრეპერების, მებუღოზერეების, მეექვსეავატორების და შოფერების მიერ. ჩვენ დიდმნიშვნელოვანი ამოცანა გვეკისრება: მოკლე ვადაში ავაგოთ ცნობილი „ვოლგის კიბე“ — ექვსი რაბი. ჩაპურნიკოველებს ამჟამად მშენებლობის ცხარე ალოობა აქვთ. ამუშავებულია მძლავრი საბჭოთა ტექნიკა. მე ვმუშაობ ათკუბიან სკრეპერზე. შარშანდელი გეგმა 172 პროცენტით შეეასრულე“.

გამოწვევა სიამოვნებით იქნა მიღებული. ორივე სახელოვანი მესკრეპერი ახალი ძალ-ღონით შეუდგა საქმეს. ივანე ტაჩუკი ღამით გაეიდა ვოლგა-დონის ტრასზე და ერთ ცვლაში 660 კუმბეტრი გრუნტი ამოიღო.

— მე ვეჯიბრები ქართველ მესკრეპერებს, ამხანაგ იასონ თურქიშვილს. დაე ჩემმა შორეულმა მეგობარმა იცოდეს, რომ ვოლგა-დონის მშენებლები ღირსეულად ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს. — უთხრა მან შესვენებისას ამხანაგებს.

მაღე თბილისის გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ დაიბეჭდა იასონ თურქიშვილის უბრალო და უაღრესად საინტერესო შენიშვნა. იგი წერდა: „დიდი ხალისით წაეკითხეთ ამხ. ტაჩუკის საპასუხო წერილი, რომლითაც იგი თანხმობას იძლევა ჩაებას ჩვენთან შეჯიბრებაში. ჩვენი უბნის ყველა მესკრეპერი ჩაება

შეჯიბრებაში ვოლგა-დონის მექანიზატორებთან. შეჯიბრების პირველივე დღიდან გაიზარდა ყველა სკრეპერის გამომუშავება. ჩემი შეგირდი შალვა შოშიაშვილი 130 კუმბეტრის ნაცვლად ყოველდღიურად 250 და 300 კუმბეტრს ამუშავებს. პირადად მე ცელაში 2 — 3 ნორმას ვასრულებ“. და შემდეგ: „ჩვენ ვხედავთ, როგორ სრულდება ქართველი ხალხის საუკუნებრივი ოცნება — უწყლო სამგორის ველის უდაბური მიწა მალე უხვად მიიღებს წყალს. კოლმეურნეობები, რომლებიც აქ დასახლდებიან, უხვ მოსავალს მიიღებენ“.

სოციალისტური შეჯიბრების ფრონტი ფართოვდებოდა. მალე ვოლგის მარჯვენა ნაპირიდან, სტალინგრადმშენიდან, სამგორწყალმშენის ტრაქტორისტმა პავლე მაძლარიშვილმა მალე მიიღო ტრაქტორისტის ალექსანდრე ბოიჩენკოს წერილი: „მე, ისე როგორც სხვა ჩემი ამხანაგი მექანიზატორები, დიად მშენებლობაზე მოვედი საბჭოთა არმიიდან. მშენებლობის კადრების განყოფილებაში, როცა ჩემი დოკუმენტები ნახეს, სადაც აღნიშნული იყო — „ტანკისტი-მძღოლი“, წინადადება მომცეს ტრაქტორისტად მემუშავა. რა თქმა უნდა, დაეთანხმდი, ვინაიდან დიდი ხანია ვოცნებობდი ხელში ამელო ტრაქტორის საკე, მონაწილეობა მიმელო მსოფლიოში დღემდე არნახულ ენერგეტიკულ ჰიდროკვანძის მშენებლობაში რუსეთის დიად მდინარე ვოლგაზე... მანქანაზე მარტო ვმუშაობ, თუმცა, წესით, თანამშემწეც მეკუთვნის, და ყოველდღიურად ნორმანახევარს ვასრულებ. ხოლო ზოგჯერ მეტსაც. ჩემი მანქანა სძლეეს ზამთრის ყველა სიძნელეს — მაგარ ყინვებს, თოვლის ნამკერებს, გაზაფხულზე კი — უგზობას, და ერთი საათითაც არ ცდება. შემდეგაც ისე ვიმუშავებ საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ, როგორც შეეფერება კომუნისმის დიადი მშენებლობის სტახანოველს. გიწვევთ თქვენ, ამხანაგო

მაძლარიშვილო, სოციალისტურ შეჯიბრებაში“.

სტალინურ ახალმშენებლობათა ურთიერთგამომახებამ მღელვარე გამოხმაურება ჰპოვა ვოლგის ნაპირებზეც, სამგორის ველზეც. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მშენებელთა მთელი ბრიგადები. ერთი ბრიგადის მაგალითით მეორე იყო გატაცებული. მებეტონეთა ბრიგადირი დ. ბზიშვილი ჩამოვიდინით აუწერელ ლამაზ ატენის ხეობიდან, რომელიც ქალაქ გორის მახლობლად მდებარეობს. იქ ის ხალხთა დიდი ბელადის სახელობის კოლმეურნეობის მემინდვრეობის ბრიგადის ბრიგადირი იყო. სამგორში ბზიშვილი ჩინებულად დაეუფლა მებეტონის ახალ სპეციალობას. როცა მან შეიტყო ახალ მშენებლობათა მძღავრი ურთიერთგამომახილის შესახებ, მოეთათბირა ბრიგადაში ამხანაგებს და განაცხადა:

— ახლახან ჩვენ წავიკითხეთ გაზეთში სამგორისა და ვოლგა-დონის მშენებელთა წერილი შეჯიბრების შესახებ. ჩვენმა ბრიგადამ გადაწყვიტა, ისიც ჩვენას შეჯიბრებაში.

ვოლგა-დონელ და სტალინგრადმშენის მოწინავე ადამიანებთან სოციალისტური მშენებლობის წარმატებით მსვლელობაში სამგორელებმა ერთ თვეში მექანიზმებით მიწის იმდენი სამუშაო შეასრულეს, რამდენსაც წინათ ნახევარი წლის განმავლობაში ასრულებდნენ. ბევრმა მიიღო გარდამავალი წითელი დროშა და გადაწყვიტეს — არავისთვის დაეთმოთ იგი.

პარტია, ჩვენი დიადი და მშობლიური პარტია ლენინ-სტალინისა, როგორც ყოველთვის, ალაფრთოვანებდა მშენებლებს ახალი მშვიდობიანი გვირობისათვის, მკვეთრად აღევენებდა თვალს ყოველ მოძრაობას, ეხმარებოდა მათ დაბრკოლებათა დაძლევაში, მხარს უჭერდა ყველაფერს, შემოქმედებითად ახალს. თბილისიდან პირდაპირი მავთულით ელაპარაკებოდა მოსკოვს, მოსკოვი გა-

მოიძახებდა ხოლმე თბილისს. მტკიცედ შეიძლებოდა თქმა:

— ახლა უკვე შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ მალე გაუშვებთ იორის წყალს სამგორის ზემომავისტრალური არხით თბილისის წყალსაცავში.

6. ბამარჯვება მშვიდობის მახტზე

სამგორის მშენებლებმა, როგორც ერთმა კაცმა, ხელი მოაწერეს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას. პოეტი გრიგოლ აბაშიძე ასე გამოხატავს ამ მოვლენას:

„იმ დღეს გენახათ მიღამო არხის —
გაგაოცებდათ საბჭოთა ხალხის
დიდი სამშობლოს ერთი უჯრედი
ერთიანობის ძალა უშრეტა“.

გიორგი წულეისკირმა, რომელმაც მიიღო სტალინური პრემია (ისე როგორც ქანკოტაძემ, გინდინმა, მადეესკომ, ობოლაძემ და სხვა მშენებლებმა), განაცხადა:

— ვაწერთ რა ხელს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას, ჩვენ, ქართული ინჟინრები, ვიბრძოდებთ მშვიდობისათვის და ვიმუშავებთ ახალი, ნათელი, ფართო საცხოვრებელი სახლების ასაგებად, ახალი მძლავრი სამშენებლო საწარმოთა შესაქმნელად, არქიტექტურული ანსამბლებით მშობლიური ქალაქების შესამკობად. ეს არის ჩვენი პატრიოტული მოვალეობა. ამით ჩვენ გამოვავლენთ ერთგულებას ჩვენი სოციალისტური სამშობლოსადმი, დიდი სტალინისადმი, მშვიდობის საქმისადმი.

როცა ემზადებოდნენ ზემომავისტრალური არხის გახსნისათვის, ყველა მშენებელი დადგა მშვიდობის სტალინურ ვახტზე. არავის არ შეუსრულებია გეგმა 120 პროცენტზე ქვევით. მთელი არხი მოპირკეთდა ბეტონით. დაუსრულებელ წვიმებში ხდებოდა ბელდარების

მოპირკეთება და მოკაზმვა. დღეერთა მძლავრ მილებს, ციცაბო რკინიგზებში ჩაწყობილთ, უცხებდნენ გულროსს და აყრიდნენ მიწას. დღე დღეს მისდევდა, შემოდგომის სქელი ღრუბლები ზანტად მისცურავენ. არხის ფართო ბოლოვარდნილის მარჯვნივ და მარცხნივ, სადაც იორის წყალი უნდა გაემართოს თბილისის წყალსაცავისაკენ, აღმართულია ორი დიდი ობელისკი ბოლნისური ტუფისაგან დიდი ლამპიონებით. მათი ფუძე მოპირკეთებულია რუხი გრანიტით და ბაზალტით. ქვემოთ, ზრიოკ მინდორზე, უკანასკნელად დაეხეტებოდნენ ცხვრის ფარები. „თბილისის ზღვის“ მომავალი კალაპოტი გაწმენდილია, საჭიროა მხოლოდ მისი აფეთქება, მცირე ქედის ალგვა პირისაგან მიწისა, რომელიც აღმართულია ორ მარტივად ტბას შუა.

— ოჰ, როგორ გვიშლის ხელს ეს წყეული წვიმა! მოხსნა პირი და არაფრით არ სურს გადაიღოს, — დაღონებული ამბობს ინჟინერი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი. წვიმა წურწურით ჩამოსდიოდა მას ლამაზ სახეზე, უსველებდა რუხ დაბამბულ ქერთუქს. მისი უბნის მშენებლები, მათ შორის კუნთმაგარი ლევან ლომიძეც, გააფთრებით ზელდნენ წებოიან ტალახს, ძლივს ამრობდნენ იქიდან ფეხებს, რომლებზედაც რეზინის ჩექმები ეცაოთ. მაგრამ მუშაობა არ შეწყვეტილა, არც კი შენელებულა. წვიმა რას მიქვია! არაფერს არ შეეძლო საბჭოთა ადამიანების ნებისყოფის გატეხვა, ადამიანებისა, რომელნიც დადგნენ მშვიდობის ვახტზე. ლევან ლომიძე აგუგუნებდა სიმღერას გამარჯვებაზე და მას ბანს აძლევდა იასონ თურქიშვილი მოპირდაპირე ფერდობზე.

გვირაბები დამთავრებულია. საჭირო იყო მხოლოდ ერთი მათგანის ორი მოპირდაპირე სანგრევის შეერთება. მთის ძირში ორი მხრიდან მიიმართებოდნენ ერთმანეთთან შესახვედრად მსგრეველ-

თა ბრიგადები, ისინი ანგრევდნენ უკანასკნელ რამდენიმე მეტრ მანძილს. ფეხქვეშ იზრდებოდა ჩამონგრეული მაგარი ქანის გროვა. როცა ერთი წუთით შეწყდა სანგრეე უროთა ხმა ერთ სანგრეეში, — მოპირდაპირე სანგრევიდან მკაფიოდ მოისმოდა უროთა ხმაური. მნგრეველები, რომელთაც დაამთავრეს თავიანთი ცვლა, არ ამოდინდნენ დასასვენებლად მიწის ზედაპირზე. გამგორებლებს მამაცურად გამოჰყავდათ სანგრევიდან ელშავალით ოც-ოცი ვაგონი საათში, დატვირთულნი კლდის გრუნტით. დაძაბვა თანდათან ძლიერი ხდებოდა. ერთმანეთისათვის შესატყობინებლად პირზე ეკერათ ნგრევის მსვლელობის ამბავი.

1951 წლის 16 ოქტომბერს, საღამოს სრულ ექვს საათზე მნგრეველ პეტრე პოლინიჩენკოს წინაშე შეირყა სანგრევის კედელი. მან განსაკუთრებული ძალით ჩაასო თავისი სანგრევი უროს მახვილი და მაშინვე დაინახა სანგრევი უროს წვერი, რომელმაც გამოანგრა კედელი მოპირდაპირე მხრიდან. როგორც ეს მიღებულია მეგვირაბეთა სამყაროში, პოლინიჩენკომ შეარხია გამოჩენილი მახვილი, თითქოს მეგობრის ხელი ყოფილიყოს. ერთი წუთის შემდეგ გრიალით ჩამოიშალა უკანასკნელი ზღუდე, რაც ორივე სანგრეეში მყოფი ადამიანების მხურვალე ტაშით აღინაშნა. სანგრეეში გამოჩნდა მნგრეველთა ცნობილი ბრიგადირის — ირაკლი ობოლაძის მაღალი ფიგურა. მნგრეველები იბერტყავდნენ მცირე ნამსხვრევებს და მტვერს მეშახტური უბეში მუხარადებიდან. ისინი ორივე ხელს უწვდიდნენ ერთმანეთს ჩამოსართმევად.

ამასობაში სათავის ნაგებობის მშენებლები ლავროსი თავრთქილაძის ხელმძღვანელობით ამზადებდნენ თავიანთ საგუბარს იორის წყლის არხში გასაშვებად. წყლით დასაფარავ ზონაში წარმოებდა სამშენებლო ნაგავის ახვეტა, ცდიდნენ საგუბარის ვეებერთელა ფო-

ლადის ფარებს, სულ უფრო და უფრო სწრაფად მთავრდებოდა მშენებლობა. მშენებლები შექმნიდნენ მოწყობის მონტაჟს.

შემდეგ მთავარი ფარები ნელა ჩამოუშვეს. აქაფებული იორის მდინარემა ძველ კალაპორტში შეწყდა: წყალმა არხის წინ სწრაფად იწყო დაგროვება და ნაპირიდან გადმოსვლა. მალე გაჩნდა პატარა ტბა. და საოცარი: გარეული იხვები, რომლებიც სამხრეთისაკენ მიფრინავდნენ, დაეშენენ წყლის კამკამა ზედაპირზე, ვინაიდან ერთბაშად დაინახეს ახალი საღალაობო ადგილი.

მშენებლები მტინგზე შეიკრიბნენ. სახელგანთქმულმა სტახანოველმა გრიგოლ ხაჭარაშვილმა, რომელმაც დაამთავრა ტორკრეტული სამუშაო გვირახში, მღელვარედ გადახედა ტრიბუნიდან სამგორელთა მიერ მის მშობლიურ ხეობაში შექმნილ კაშკაშა ტბას და შესაძახა.

— აი, რისთვის გეჭირდება მშვიდობა ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს! იგი საჭიროა იმისათვის, რომ ავაგოთ ახალი ქალაქები, ქარხნები, ფაბრიკები, ვაქციოთ უნაყოფო ველები აყვავებულ ბაღებად, რათა დავაჩქაროთ კომუნისტების გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში.

ლავროსი თავრთქილაძემ შეხედა შეკრებილ ამხანაგებს და თქვა:

— ჭეშმარიტად მშვიდობაზე ფიქრით ცხოვრობს და შრომობს ჩვენი კოლექტივი. ასობით მებეტონე, ხურო, მეექსკავატორე, მებუღდოზერე, სულ სხვადასხვანაირი პროფესიის ადამიანი დგას ამ დღეებში მშვიდობის სტახანოვერ ვახტზე და სურთ, რომ მათი შრომითი გმირობა არავინ დაივიწყოს, რომ ამ გმირობის შესახებ მოუთხრობდეს ხალხს თვით გარდაქმნილი სამგორის მიწა...

არხის მთელ ტრასზე თითოეულ ჰიდროტექნიკურ ნაგებობასთან შეიქმნა სადისპეტჩერო საგუშაგოები. საღამოობით, როცა სამგორში გამეფდა გვიანი შემოდგომის დაისი, ობელისკებზე თბი-

ლისის ზღვის შესასვლელთან უკვე კამ-
კაშებდა ლამპიონთა შუქიც.

არხის ტრასზე ჩამოწვა საოცარი, უჩ-
ვეულო დემილი. მაგრამ 1951 წლის
4 ნოემბერს სიჩუმე დაარღვია 150
ათასმა კაცმა. ისინი შეიკრიბნენ ბო-
ლოვარდნილთან. თბილისიდან, სხვადა-
სხვა ქალაქებიდან და სოფლებიდან,
შორეული მთის ხეობებიდან და ველე-
ბიდან პლაკატებით და დროშებით მო-
რთულ მანქანებით ჩამოვიდნენ სადღე-
სასწაულოდ გამოწყობილი ადამიანები.
მომავალი „თბილისის ზღვა“ ნამდვი-
ლად წარმოადგენდა ზღვას — ადამიან-
თა ზღვას, რომელიც ბობოქრობდა ტა-
ფობში და მოსდებოდა დაბალ ნაპირებს.
ტალღების ხმაურივით გაისმოდა ასორ-
მოცდაათათასიანი ხალისიანი მარაქის
გუგუნე, ყოველი მხრიდან ისმოდა სიმ-
ღერა და ხალხური მუსიკის პანგები. სა-
ნამ ჯერ კიდევ წყალი არ იყო მისული
ბოლოვარდნილთან, მამაცმა ცხენოსნებ-
მა დოლი გამართეს წყალსაცავის ფსკერ-
ზე. ხოლო იორის წყალი, სრულიად
ლურჯი ამ მზიან დღეს, უკვე მოხდე-
ნილად მოდიოდა წინ მშენებელთა ზუ-
სტი გაანგარიშების მიხედვით — ხემო-
მაგისტრალური არხის გასწვრივ, გა-
დარბოდა მონუქტრთმებულ ბელღა-
რებზე, მსუბუქად მიჰქროდა თვითდინე-
ბით ღრმა ხეყებზე დიუქერის მილებში.

დისპეტჩერები წყალს აღტაცებული
შეძახილებით ეგებებოდნენ, ტაშს უკ-
რავდნენ, ქუდს უქნევდნენ და სხვებს
აწვდიდნენ ცნობას წყლის მოძრაობის
შესახებ. და, აი, ასორმოცდაათათასმა
კაცმა ერთხმად შესძახა:

— წყალი მოდის!

იორი გამოჩნდა ბოლოვარდნილთან,
გაბიონთა ფართო კიბეებით ჩაიჭრა ქვე-
ვით და მაშინვე იპოვა გზა ელდოყანის
პატარა ტბისაკენ. ხალხი უკან იხევდა,
წყალს მისდევდა, ხტებოდა კიდევ ცა-
ვ წყალში, მთელი ხმით გაჰყვიროდა, ხარ-
ხარებდა და მღეროდა.

დაიწყო საზეიმო მიტინგი. ტრიბუ-
ნიდან გაისმა მგზნებარე ჩიტყუემბი:

— განხორციელდა ქართველთა შაღ-
ხის საუკუნებრივი ოცნება. სამგორის
მიწამ მიიღო მაცოცხლებელი წყალი.
დიდება მას, ვისი ინიციატივითაც დაი-
წყო სამგორის მშენებლობა, ვისაც მი-
ყავს საბჭოთა ხალხი კომუნისმის გა-
მარჯვებისაკენ — დიდება სტალინს!

არასოდეს ჯერ კიდევ მარილიან
ტბებთან ასე მძლავრად და ერთსუ-
ლოვნად არ აქუხებულა „ვაშა“ მსოფ-
ლიოში ყველაზე მშობლიური ადამი-
ანის პატივისაცემად.

ქართველი ხალხის განსაკუთრებულ
სიხარულს იწვევდა ის გარემოება, რომ
სამგორის არხის გახსნას ზეიმობდა იმ
ისტორიულ ადგილას, სადაც ნახევარი
საუკუნის წინათ, მუშათა რევოლუციუ-
რი მოძრაობის გარიყრაქზე ამხანაგმა
სტალინმა მოაწყო თბილისელ მუშათა
პირველი მაისობა. აქ მოუწოდებდა ამ-
ხანაგი სტალინი მუშათა კლასს ბრძო-
ლისაკენ თვითმპყრობელობისა და კაპი-
ტალიზმის დასამხობად...

ხოლო იორი ძღვეამოსილად მოდიო-
და სტალინელთა ნების თანახმად, იყო-
ნებოდა მიწაში, ერთვოდა ელდოყანის
ტბას. და, აი, უკვე აღარ არის და არც
არასოდეს იქნება ძველი, ჩამქრალი, მა-
რილიანი ელდოყანა.

სტალინის სახელით დადგნენ სამგო-
რელები მშვიდობის ვახტზე. სტალინის
სახელი — მშვიდობის დიდი მედროშის
სახელი ეწოდა სამგორის სარწყავ სის-
ტემას.

დამთავრდა სახალხო ზეიმი და „თბი-
ლისის ზღვასთან“ კვლავ გაჩაღდა შრო-
მა. საჭირო იყო შემდგომი მუშაობის
განგრძობა სტალინური გეგმის განსა-
ხორციელებლად, სიონის წყალსაცავის
შესაქმნელად, ქვემომაგისტრალური არ-
ხის ელექტროსადგურის ასაგებად.

კოლმეურნეობებში, რომლებიც ულა-
შათოდ იყვნენ მიუყუეულნი სამგორას
ველის კიდებებზე და უთანასწორო

ბრძოლას ეწეოდნენ გვალვის წინააღმდეგ, ახლა უკვე ლაპარაკობენ „დიდი წყალის“ შესახებ. ყველგან გამეფებულა რწმენა ხვალინდელი დღისადმი. სართივალის გამსხვილებულ კოლმეურნეობაში ტყუილად როდი დაისვა საკითხი მარცვლეულისათვის ახალი დიდი ბედლების აგების შესახებ, ხოლო ლენინის სახელობის მარტყოფის კოლმეურნეობაში უკვე გაიანგარიშეს:

— არა რვა ცენტნერს მოვიყვანო ჰექტარზე, როგორც აქამდე, არამედ ოცდაათამდე ცენტნერ მოსავალს ავიღებთ.

სამგორელ მოახალშენეთათვის აგებენ მშვენიერ აიენიან სახლებს, სახელმწიფო მათ აძლევს სესხს, გადმოსაყვან ხარჯებს კი თვითონ სახელმწიფო კისრულობს. უკვე მოვიდნენ პირველი მოხაზლენი. აქ აგებენ საკოლმეურნეო

კლუბებს, კინოთეატრებს, სპორტულ მოედნებს, საავადმყოფოებს, აბაზებს...

ოცნებით შეიძლება ახლანდელ წარმოვიდგინოთ, რა იქნება სამგორში სამი წლის შემდეგ: თბილი, რბილი, მოალერსე ჰაერი, სახელგანთქმული დოლისპურის მწიფე ყანები, ბოსტნები, ხილის ბაღები, ვენახები, ვენახები, ვენახები...

უდაბური მახათის მთა შეიმოსება ტყით და თბილისელთა თვალს სიხარულს მოჰგვრის. სუსხიანი, მზურვალე ქარების ნაცვლად თბილისს სამგორიდან ეწვევა საამური, გრილი ნიავი. „თბილისის ზღვაზე“ აგორდებიან მძლავრი ტალღები, მათზე ისრიალებენ კობტა ხომალდები. არა, ეს შორეული მომავალი როდია! ასე იქნება სულ მალე...

ახალგაზრდა პოეზები



უკანასკნელ ხანებში ჩვენში მრავალი ახალგაზრდა პოეტი გამოდის სამწერლო ასპარეზზე. მაგრამ ყველა მათგანს ერთნაირი სიძლიერით როდი აქვს შემუშავებული დამოუკიდებელი პოეტური ხმა, ერთნაირად როდი ფლობს მხატვრულ ფორმას.

არის ლექსი, რომელშიც გარეგანი ფორმის მიხედვით ყველაფერი რიგზეა, თავის ადგილზეა რითმებიც, არის დაცული რიტმიც, რაიმე ენობრივი შეკდომებიც არ გვხვდება, თუმაც თანამედროვეა, მაგრამ იგი მაინც არ გაღვლეხობს, არ აღძრავს თქვენში რაიმე ახალ განწყობილებას, არ ჩაგაფიქრებთ.

ასეთ ლექსს აკლია ცხოვრების სიმართლე, უშუალობა და სიწრფე.

რატომაა, რომ ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტები ჯერ კიდევ წერენ ასეთ ლექსებს? იმიტომ, რომ ხშირად ახალგაზრდა პოეტი სხვა პოეტის უკვე შემუშავებულ ხმას აყვება, მისგან იღებს მზამზარეულ ხერხებს, უშუალოდ არ განიცდის თემას. ამ შემთხვევაში ნათლად შეინიშნება, რომ ახალგაზრდა პოეტს მხატვრული ინდივიდუალობა არ გააჩნია. რთული შემოქმედებითი გზების ძიების ნაცვლად, იგი გატყუპნილი გზით აპირებს ლიტერატურაში შემოსვლას. არიან ისეთი ახალგაზრდა პოეტებიც, რომელთაც აქვთ მისწრაფება შეიმუშავონ დამოუკიდებელი პოეტური ხმა, მაგრამ არასწორად ესმით პოეტური ორიგინალობის საკითხი. მათ ორიგინალობად მიიჩნეა ან კლასიკური პოეზიის მიერ

შემუშავებული ლექსის ფორმის აბსოლუტური უგულვებელყოფა და ლექსის ბუნებრივი სტრუქტურის რღვევა, ან ლექსის გარეგანი ფორმის ხელოვნური, მექანიკური შეცვლა. საბჭოთა პოეტისათვის მიუღებელია ერთიც და მეორეც.

ტეშმარიტი პოეზია იბადება მაშინ, როდესაც პოეტი უშუალოდ, გრძნობიერად მიდის ცხოვრების ცოცხალ სინამდვილესთან, როდესაც ლექსში მოჩანს დიდი შინაგანი სითბო და სიმართლე.

იმ მრავალრიცხოვანი ახალგაზრდა პოეტებიდან, რომლებიც უკანასკნელ ხანებში შემოემატნენ ჩვენს ლიტერატურას, ყველას როდი ახასიათებს დამოუკიდებელი პოეტური ხედვის უნარი, თემის ორიგინალური გააზრებისა და გადაწყვეტის ნიჭი.

ჩვენ იმ ახალგაზრდა პოეტებზე გვინდა შევჩერდეთ, რომელთაც ძირითადად მაინც მოხაზეს თავიანთი პოეტური პროფილი და გამოამკლავნენ მხატვრული ინდივიდუალობა.

მარშან გამოიცა ახალგაზრდა პოეტის ა. სულაკაურის ლექსების წიგნი. უპირველესი თვისებები, რომლითაც პოეტის ლექსები იქცევენ ყურადღებას — ეს არის სიწრფე და გაცდათა უშუალობა. ა. სულაკაურს აქვს ლაკონიურობისა და კომპოზიციური მთლიანობის გრძნობა. მისი ლექსები მკაფიოდ გადმოგეცემენ განწყობილებებს. განწყობილებათა სიახლე ანიჭებს მის პოეზიას მხატვრულ ინდივიდუალობას.

ახალგაზრდა პოეტის შთაგონების საგანი ჩვენი სოციალისტური სინამდვილეა. შინაგანი სითბოთი და სიყვარულით არის გამთბარი პოეტის ლექსი მიძღვნილი დიდი ბელადისადმი. ლექსს „დიდი ბელადისადმი“ ა. სულაკაური იწყებს მეტად მოხდენილად მიგნებული პოეტური პარალელით:

„ქართველმა ხალხმა ერთი ლამაზი,
ერთი უკვდავი სიმღერა იცის:
ქალაქათა თუმცა შეინვარო,
მაგრამ ვინ თქვაო სიბერე მისი“.

პოეტმა ამ დიდ თემას მოუწახა შესატყვისი ფორმა, ლექსის ყოველი სტრიქონი გამსჭვალულია ნათელი პოეტური აზრით:

„ნათელი კაცო, შენი სიციცხლე
მარადიული აზრის გზებზეა.
სამოცდაათი წელი კი არა,
სამოცდაათი გამარჯვებზეა“.

ლექსში „ეურსკის ვაგზალი“ იგივე თემა თავისებურად არის მოფიქრებული. მკითხველი ხედავს ლექსის ლირიკულ გმირს, რომელიც პირველად ჩადის მოსკოვში. პირველი სურვილი, რომელიც ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში ჩასულ ადამიანს ამოძრავებს, ეს არის ნახოს კრემლი, სადაც ცხოვრობს და მოღვაწეობს დიდი სტალინი:

„ეურსკის ვაგზალი,
გაიღო კარი, ხალხის დინებას გავეყვი გარეთ.
ფართო მოედანს მოვალე თვალი და
ტაქსის შოფერს ასე ვუთხარი:
— მალე,

კრემლისკენ გასწი,
გეთაყვა, მალე“.

არჩილ სულაკაურის ლექსების უმეტესი ნაწილი კონკრეტულია. ჩვენი ცხოვრების დიდი მოვლენების მხატვრული განზოგადოებისათვის იგი ხშირად იყენებს პირადი ბიოგრაფიის ფაქტებს. ამიტომაც, რომ მის ლექსებს ძლიერი ინტიმური ფერა აქვთ. ლექსი „ჩემი ქუჩა“ სწორად ამ თვალსაზრის-

სითაა საინტერესო. თქვენ ხედავთ ლექსის ლირიკულ გმირს, რომლის მეხსიერებაში ნათელმდებლობს არის აღბეჭდილი მშობლიური ქუჩის სურათები. ხედავთ, როგორ მიდიოდა იგი სკოლისკენ ამ ქუჩით, როგორ შეეხარდა მისი პიროვნული ცხოვრება საყვარელი ქალაქის ცხოვრებას:

„ჩემი პატარა ლამაზი ქუჩით
გავდი დიდი ცხოვრების გზაზე“.

წერს პოეტი და თქვენს თვალწინ ცოცხლდება სამშობლოს მილიონობით ქუჩა და მილიონობით ადამიანი, რომელთა ცხოვრება ჩვენი ქვეყნის კომუნისტური მომავლის დიდ გზაზე იყრის თავს.

„პატარა ქუჩა, პატარა ძაღლი
მოდის და მწვანედ სიციცხლე ხარობს.
და უერთდება ბუმბერაზ ქალაქს,
როგორც მდინარეს პატარა წყარო“.

ა. სულაკაურს ეხერხება არა მარტო პირადი განწყობილებების მხატვრული განზოგადოება, არამედ მის გარშემო მყოფ ადამიანთა ცხოვრების რთული მოვლენების ხატვა. დიდი სამამულო ომის თემაზე დაწერილ ლექსებში — „ცხრა უსახელო“, „პატარა ბავშვი ომის გზებზე“ და „გზა დაუმოკლა ტყვიების რიგმა“ — პოეტი დამაჯერებლად გადმოგვცემს საბჭოთა ადამიანების ცხოვრებისა და ბრძოლის ამალეღვებელ ეპიზოდებს. ლექსში „ცხრა უსახელო“ მკითხველი ნათლად გრძნობს იმ ცხრა უსახელო გმირის ძლიერ პატრიოტულ სულისკვეთებას, რომლებმაც სამშობლოს თავისუფლებისათვის უყოყმანოდ და უანგაროდ გასწირეს თავი. ლექსში „პატარა ბავშვი ომის გზებზე“ პოეტი ხატავს პატარა ბავშვის პორტრეტს, რომლის შუბლზე მრისხანე დღეებმა დატოვეს წარუშლელი კვალი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ლექსი „გმირი“. ამ ლექსში პოეტმა შესძლო უბრალოდ და რამდენიმე

ცოცხალი შტრიხით გაეხსნა ომიდან დაბრუნებული საბჭოთა ადამიანის ხასიათი. თქვენ ხედავთ ომგადახდილ ადამიანს, რომლის შუბლზე შერჩენილია ჭრილობის კვალი, ხოლო ბაგეზე დამჩნეული მკრთალი — ღიაილი შორეული გზით დაღლილობის ნიშანია. მის გარეგნობაში არაფერია არაჩვეულებრივი. პოეტი ტრაფარეტულად როდი ხატავს თანამედროვე გმირის სახეს: „იგი გვეგონა უფრო სხვაგვარი, უფრო მეტყველი ადამიანი“.

თქვენ ხედავთ დიდი შინაგანი ცხოვრების ადამიანს, ხედავთ შეუპოვარი მებრძოლის მღელვარე სულს, მიუხედავად იმისა, რომ „ბრძოლებზე არ თქვა არც ერთი სიტყვა“. საბჭოთა გმირმა კარგად იცის, რომ არ უნდა მიეცეს თვითკმაყოფილებას, რომ არასოდეს გამოეთიშოს ჩვენი ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებას. და, აი, ომგადახდილი გმირი მშვიდობიან ცხოვრებაში შედის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

„და ოთახიდან ისე გავიდა

როგორც ხუთი წლის წინათ გრივალში.

თითქმის დაიწყო სუნთქვა თავიდან,

თითქმის ხელახლა დადგა რიგზე“.

ა. სულაკაურის პოეზია თემატურად მრავალფეროვანია, მაგრამ მთავარი ისაა, რომ პოეტი ცდილობს ყოველი ლექსის პოეტური მასალა თემის კონკრეტული შინაარსიდან აიღოს. ამიტომ, რომ მისი ლექსები არ არიან ერთფეროვანი. ახალგაზრდა პოეტი ხალხური პოეზიის შესანიშნავ ტრადიციებს ოსტატურად ნერგავს თავის შემოქმედებაში.

ა. სულაკაურის ლექსებს ახასიათებს პუბლიცისტური პათოსი და პოლიტიკური სიმბავილე.

ა. სულაკაური ლექსებში „ჩემს ტოლ ამერიკელს“, „საუბარი ინგლისელ ამომჩვეელთან“, „ამერიკელი ჯარისკაცის დედას“, „ინგლისელი სტუდენტები

უნივერსიტეტში“, „ფიქრები ბავშვებზე და ხომალტზე“ მკვეთრად ჩანს საბჭოთა ახალგაზრდის ენერგიული სიძვერობელსაც უპირისპირდება სავსებით საწინააღმდეგო ბედისა და ცხოვრების ახალგაზრდა ადამიანი, დაბადებული და აღზრდილი კაპიტალისტურ სამყაროში. აღნიშნული ლექსები წარმოადგენენ ვ. მაიაკოვსკის მიერ საზღვარგარეთზე დაწერილ ლექსების ტრადიციათა გაგრძელებას. ამ ლექსებში თვალნათლივ ჩანს ორი განსხვავებული ბედისა და ცხოვრების ახალგაზრდა ადამიანი: ერთი მხრივ ადამიანი სოციალისტური საზოგადოებისა, ჰუმანური, მართალი, შემოქმედებითი ენერგიით აღსავსე, ოპტიმისტი და თავის ძლიერებაში დარწმუნებული, — ხოლო მეორე მხრივ, ადამიანი კაპიტალისტური სამყაროსი, დაბეჩავებული და შეურაცხყოფილი. პოეტი ნათლად ხედავს პროგრესულ ადამიანებსაც კაპიტალისტურ სამყაროში. ლექსში „ჩემ ტოლ ამერიკელს“ პოეტი ხატავს ამერიკელ ახალგაზრდას, რომელიც ომისა და სიკვდილის გზით მიჰყავთ რეაქციული პოლიტიკის მესვეურთ. ლექსში „საუბარი ინგლისელ ამომჩვეელთან“ პოეტი გვაცნობს ინგლისელ უმუშევარს, რომლის მოქალაქეობრივი უფლებები გათელილია კაპიტალის ქუსლის ქვეშ. თავისებურად არის გააზრებული ლექსი „ინგლისელი სტუდენტები სტუმრად უნივერსიტეტში“. პოეტი გვიხატავს ინგლისელ სტუდენტს, რომელიც ბურჟუაზიული ცინიზმის განსახიერებაა. მანჩესტერის ან ლონდონის რომელიმე მეწარმის შვილი, რომელიც ბავშვობიდანვე განგსტერულ ქედმაღლობას არის ჩვეული და რომელიც აღბათ ომის გამჩაღებელთა არმიასში ფაშისტი ოფიცრის ადგილს დაიკერს, შურის თვალთ უცქერის ჩვენი ახალგაზრდობის სიცოცხლით და ოპტიმიზმით სავსე ცხოვრებას. ეს ინგლისელი სტუდენტი მხოლოდ და მხოლოდ სტერლინგების მოპოვებისა და

ადამიანთა განადგურების „მეცნიერებას“ სწავლობს. ეს სტუდენტი თანამედროვე ინგლისის რეაქციული წრეების ტიპური წარმომადგენელია. მაგრამ პოეტი ამ სტუდენტს უპირისპირებს შორეული ლონდონის ქუჩებში მოხეტიალე უმუშევარ ახალგაზრდა ინგლისელს, რომელიც ლუქმა პურზე ფიქრობს და პაპიროსის ნაწიწვას დაეძებს.

ძლიერად არის დაწერილი ა. სულაჟურის ლექსები „უკრაინელ მეგობრისადმი“ და „მთების ლეგენდა“.

გააზრების მხრივ საინტერესოა ლირიკული ლექსი „დედა“. პოეტმა დედისადმი სიყვარულის თემა სრულიად ახლებურად გადაჭრა. ლექსის ლირიკული გმირი ფაქიზი სიყვარულით არის გამსჭვალული დედისადმი, რომელმაც იგი ცხოვრების ფართო გზაზე გაიყვანა. და აი, აღიზარდა ახალი ადამიანი, ახალი ცხოვრების შემოქმედი; იგი მივიდა ცოცხალ სინამდვილესთან და ნახა ის, რაც მისი მშობლისთვის უცნობი იყო ძველი ცხოვრების მძიმე წლებში:

„შე რაღაც დიადს ვგრძნობდი მაშინვე,
ახლა გავაღე ფართო კარები
დიდი სიციცხლე აღმოვაჩინე,
შოღი, შეხედე ჩემი თვალებით“.

ჩვენი ახალგაზრდობის ბედნიერი ცხოვრების ნათელი სურათია ცოცხლად დახატული ა. სულაჟურის ახალი ლექსების ციკლში — „უნივერსიტეტი“. ამ ციკლში იგრძნობა თემატიკური სიახლე. ყოველი ლექსის თემა და გააზრება უკავშირდება ავტორის ბიოგრაფიას, მკითხველს სჯერა ამ ლექსების სიმართლე და გულწრფელობა.

გაიკვება იწვევს, რომ ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებაში არ ჩანს სიყვარულის თემა. ეს თემა არავის გაუდევნია პოეტიდ. ნ. საქმე ისაა, რომ ამ თემებზე დაწერილი ლექსები არ იყოს ვიწრო სუბიექტური, არ ატარებდეს კამერული პოეზიის ხასიათს. ჯანსაღი

განწყობილებით აღსავსე ინტიმური ლექსები არანაყლებ არიან საკვიროანი ჩვენი ადამიანისათვის, ვინაიდან მათგან მათგან შექმნილი ნაწარმოებები.

ჩვენი ახალგაზრდა პოეტების დიდი ნაკლია, ის რომ ეპიურ ჟანრი არ მუშაობენ.

პოემის შექმნის ერთ-ერთ სერიოზულ ცდას ჯერ-ჯერობით წარმოადგენს მხოლოდ ა. სულაჟურის პოემა „ლაშა“.

ა. სულაჟურის ლექსები ძირითადად დახვეწილი და ნათელია, მაგრამ აქა-იქ მის პოეზიაში მაინც გვხვდება ასეთი ბუნდოვანი სახეები: „და ჩრდილოეთის ზეცა ამბობდა, მზე თითებივით სხივებს იმტერევის“, „უთხრეს ქალაქის მკრთალმა ტუჩებმა“, „თქვა: ფრთებს ფიქრები მძიმედ იშლიან“, „შურისძიების დიდი მარაგით“, „და შენაც სული აზიდე ცაძდე“ და სხვ.

მუხრან მაჭავარიანმა სულ რამდენიმე ლექსი გამოაქვეყნა უკანასკნელ ხანებში. ამ ლექსებში უკვე იგრძნობა ახალგაზრდა პოეტის საკუთარი ხმა.

უპირველესი, რაც მუხრან მაჭავარიანის ლექსებს ახასიათებს, ეს არის დიდი შინაგანი ენერჯია, ოპტიმიზმი და ნათელი განწყობილებები. პოეტი კარგად გრძნობს რიტმს, აქვს ახალი რითმები, გრძნობს სიტყვას, პასუხისმგებლობით ეპყრობა ყოველ ფრაზას. მისი ლექსები კოლორატულია. პოეტი პრინციპულად უარყოფს სენტიმენტალურ კილოს.

მუხრან მაჭავარიანმა ნათელი პოეტური სისადავით შესრულებულ ლექსში „ქაღარის ეტყვის ქაღარი“ ორიგინალურად გადაჭრა ბელადის თემა. ამ ლექსის ენა უახლოვდება ხალხის სასაუბრო ენას. პოეტი არ ხმარობს მალაფარდოვან სიტყვებს და სახეებს. იგი ბუნებრივად გამართულ დიალოგში გვაძლევს ლექსის შინაარს:

„გორის ციხის ახლოს მდგარი
ქაღარის ეტყვის ქაღარი:
— აქ რომ ბიჭი თამაშობდა
ნეტავ ახლა სად არი?“

და ოსტატურად ასრულებს ლექსის კომპოზიციას:

„ის გწვევათ, მე ზგონია,
მაგრამ სოსოდ კი არა,
ისე, როგორც ცისარტყელა
ციდან ჩამოტანილი
და თქვენს ჩრდილში სოსობას
მოიგონებს სტალინი“.

ჯანსაღი და თავისებური პოეტური განწყობილება ახასიათებს ლექსს „სამ-გორი“. ამ ლექსში პოეტს არა მარტო ოსტატურად აქვს შერჩეული სიტყვები, არამედ მოხდენილადაა გამოყენებული ხალხური თქმებიც.

„მე ვხედავ ხორბალს!
მე ვხედავ ყურძენს!
ჩარიგებულა ლელე-ატამი აქეთ-იქითო...
მაშინ დაემიწღებ, დამეკრიფოს ხელები
გულზე,
ხილი ვიხილო და... ვებაღე თუ არ ვიკოხო“.

უნდა ითქვას, რომ საერთოდ ჰარბი ისტორიული ასოციაციები ემოციურ ძალას აკლებს თანამედროვე ლექსს. ისტორიზმით გატაცება ხშირად აშორებს პოეტს თანამედროვე სინამდვილეს და უსისხლხორცო ფანტაზიაში გადაჰყავს. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ისტორიულ თემებზე წერა მოკლებულია მნიშვნელობას. საქმე ისაა, რომ ისტორიის გაგებაში ჩანდეს თანამედროვე ადამიანის თვალსაზრისი. სწორედ ამ გაგებითაა საინტერესო მ. მაჭავარიანის ლექსი „სულხან საბა ორბელიანი“. ახალგაზრდა პოეტმა შესძლო შთაგონებულად დაეხატა ცნობილი ქართველი მწერლის და დიპლომატის სახე. სახე იმ ადამიანისა, რომელმაც წარუშლელი კვალი დააჩნია ქართველი ერის კულტურას და რომლის სიცოცხლე საქართველოს აღორძინების საშუალებათა ძიებაში დაიშრიტა ისტორიული ზედუკუღმართობის ეპოქაში.

მ. მაჭავარიანის ლექსი „ლენინის ქუჩა“ პოეტური გააზრების თვალსაზრისით საინტერესოა, მაგრამ ამ ლექსში

იგრძნობა ლექსის ფორმისადმი ზერე-ლუ დამოკიდებულება. ახალგაზრდა პოეტი მთლიანად არღვევს თანამედროვე პოეზიის ყოველგვარ პოეტურ ნორმებს. ორიგინალობის ასეთი ძიება არსებითად ფორმალისტური ტენდენციის გამოვლენაა. ამ ლექსში სრულიად დარღვეულია რიტმი და თითქმის არ იგრძნობა რითმები; იგი არც თეთრი ლექსია. ლექსის ფორმის ასეთი დარღვევა ყოველმხრივ გაუმართლებელია. უკანასკნელ ხანებში გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნება“ დაბეჭდა მ. მაჭავარიანის რამდენიმე ლექსი: „თბილისის ზღვასთან“, „გაზაფხულია, — დედამიწა ალაპარაკდა“ და „ლაშურას პირას“. სამივე ლექსში იგრძნობა ნათელი ოპტიმიზმი, თანამედროვე საბჭოთა ადამიანის ჯანსაღი განწყობილება. ამ ლექსებშიც გარკვევით ისმის ახალგაზრდა პოეტის დამოუკიდებელი პოეტური ხმა. ლექსში — „თბილისის ზღვასთან“ პოეტი გარკვევით გადმოგვცემს ალტაცებას, აღძრულს მშობლიურ ბუნებასთან და ადამიანებთან სიახლოვით:

„და რაც დრო გადის, ხილის არ იყოს.
უფრო და უფრო ტკბებიან დღენი,
დღეებს შრიალით ლოცავენ ტყენი,
ტყეებს ფრინველნი ტბილ ვალობითა
და მეც ხომ იმავე პაერთი ვუსუნთქავ,
ეს ყველაფერი სუნთქავს რომლითაც“.

მსგავსი განწყობილებაა გადმოცემული მეორე ლექსში „გაზაფხულია, — დედამიწა ალაპარაკდა“. ლექსში „ლაშურას პირას“ გაზაფხულის სილამაზით აღძრული ალტაცება კარგად არის დაკავშირებული ჩვენი ხალხის მშვიდობიან მისწრაფებასთან. სამივე ლექსში მრავლად არის ახალი სახეები, რომლებიც მკვიდრად აღიბეჭდებიან მკითხველის მეხსიერებაში.

აი, რამდენიმე მათგანი: „გვალის საფლავეზე აღმოცენდა ჯეჯილი ხშირი“, „მთელ დედამიწას. გწყურია, ცხსავით გადაეზხო“, და სხვ.

მაგრამ საჭიროა აღინიშნოს ის, რომ მ. მაჭავარიანის ზოგიერთ ლექსში ვხვდებით მისივე ლექსების განწყობილეებისა და ცალკეული სტრიქოების განმეორებებს.

მაგალითისათვის ავიღოთ რამდენიმე სტრიქონი სხვა და სხვა ლექსებიდან:

„და რაც დრო გადის, ხილის არ იყოს,
უფრო და უფრო ტყეებიან დღენი“.
(„თბილისის ზღვასთან“).

„აქ რაც დრო გადის,
მით უფრო ხილვებ ტყეებიან დღენი“.
(„გაზაფხულია, — დედამიწა ალაპარაკდა“).

„დღე იყო საამური,
დღე, როცა არ გვერა, რომ კაცი მოკვდავი
არი“.
(„ლენინის ქუჩა“).

„აგზვადე ზეცას,
დავხედავ მიწას,
ვტყუებ:
— სიკვდილი ჭორია, ჭორი“.
(„ვტყუებ“).

„შენ აღარ გვერა საერთოდ ჩვენში კაცი
თუ კვდება“.
(„გაზაფხულია, — დედამიწა ალაპარაკდა“).

რა საჭიროა ასეთი პირდაპირი თუ არაპირდაპირი განმეორებანი სხვადასხვა ლექსში? იგი ხომ ლექსების ერთფეროვნებას მოასწავებს?

მ. მაჭავარიანი მზარდი ახალგაზრდა პოეტია. მაგრამ მან ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გააყეთოს ლექსის ფორმის დახვეწისათვის. ახალგაზრდა პოეტმა უნდა დასძლიოს ფორმალიზმის ის ელემენტები, რომელიც მას ჯერ კიდევ გააჩნია. მ. მაჭავარიანის გამოქვეყნებული ლექსების უმეტესი ნაწილი მოწმობს იმას, რომ მისი შემოქმედება თანდათანობით იხვეწება და მკვიდრად დგება რეალისტური პოეზიის ნიადაგზე.

მ. მაჭავარიანის ლექსებში იგრძნობა ხატოვანი და ლალი ქართული ენა. იგი გრძნობს სიტყვას, როგორც მხატვრული სახის არსებით ელემენტს. მიუხე-

დავად ამისა, მის ლექსებში ზოგჯერ ვხვდებით სტრიქონთა ისეთ სინტაქსურ წყობას, რომელიც სცილდება დასაშვები პოეტური ლიცენზიის საზღვრებსაც კი. „მეც ხომ იმავე ჰაერით ვსუნთქავ, ეს ყველაფერი სუნთქავს რომლითაც“. ამგვარი სინტაქსური წყობა არა მარტო ენობრივადაა უხერხული, არამედ ახშობს ლექსის რიტმსაც.

ახალგაზრდა პოეტმა აკაკი გეწაძემ ომის თემაზე დაწერილ ლექსებით დაიწყო. დიდი სამამულო ომის მონაწილე პოეტმა უშუალოდ განცდილი სინამდვილე გულწრფელად გამოხატა თავის ლექსებში. პოეტი უბრალოდ და დამაჯერებლად ხატავს ფრონტულ ცხოვრებას და ომგადახდილი საბჭოთა ახალგაზრდის განცდებს. დიდი სამამულო ომის საბელოვანი ადამიანები ჩანან ლექსში „პოლკის მედროშე“. შრომას მოწყურებული, ომგადახდილი ადამიანის განწყობილებებია გადმოცემული ლექსებში „ბელადს შეეხვდები კიდევ“, „მაყრობა“, „ბელადი რუკასთან“, „ლიმილი“, „ფრონტელ მეგობარს“, „სამგორი“ და სხვ. ჩვენ გავლევებს პოეტის ლექსებში დახატული პოლკის მედროშის თუ მოსკოველი მეგობრის ბიკოვის გმირული ცხოვრება; ვხედავთ ისტორიის დიად დღეებთან ბედდაკავშირებულ ადამიანებს. ლექსში „ბელადს შეეხვდები კიდევ“ პოეტი წერს:

„ზევა ნაცრისფერი. თვეები თაყარა,
ვული ხან ვრთავი და ხანაც მშვიდი
მიწური ვიწრო და სანჯარი პატარა
სამშობლო დიდი და ფიჭვები დიდი“.

ფრონტული ცხოვრების მოგონების ფონზე პოეტი გვიხატავს ომგადახდილ საბჭოთა ადამიანს, რომელიც გმირულ შრომამაია ჩაბმული, ხედავს თავისი მარჯვენით მოპოვებული დოვლათის სიუხვეს და ოცნებობს ბელადთან შეხვედრაზე. ხალხურ კილოზეა ამღერებული ლექსი „მაყრობა“, რომელშიც

გამარჯვებული ადამიანის განცდაა გადმოცემული.

ა. გეწადის ლექსთა შორის გამოორჩევა ლექსი „ლიმილი“, რომელშიც მებრძოლი ადამიანის ოპტიმისტური განწყობილებაა ნაჩვენები:

„ჩემი ღიმილი ნურავის გიყვართ, თუმც არ ვიყავი მცინარა ბავშვი, როცა ემუსრავდი იმ წვეულ სიკვდილს, მე ასეთ ღიმილს ვსწავლობდი მამის“.

და მართლაც, განა მრისხანე სიკვდილთან ბრძოლაში არ იბადებოდა ჩვენი ცხოვრების დღევანდელი სიხარული?

უნივერსიტეტის აღმანახის მესამე წიგნში გამოქვეყნებული ლექსებიდან აღსანიშნავია „ჩვენი სიცოცხლე“, „თანაკურსელ სტუდენტ გოგონას“, „ქვეყნის ამბების მთხრობელი“, „მონღოლები გორში“, „ხალხის სახელით გაფრთხილებთ“. ეს ლექსები ჩვენი ახალგაზრდობის ცხოვრების, ხალხთა სტალინური მეგობრობისა და მშვიდობისათვის ბრძოლის თემებზეა დაწერილი. პოეტი გვიხატავს ისტორიულ დღეებს, როდესაც ჩვენი ადამიანები სიცოცხლისა და მომავლისთვის ებრძოდნენ კარზე მომდგარ მტერს:

„შე განა ტყვია უბრალოდ ამცდა, განა მტრის შავმა თვალმა დაშინდა? — მამას რომ მოხვდა ტყვია ჩემს ნაცვლად, მე ცოცხალი ვარ სწორედ ამიტომ“.

წარსულისა და აწმყის დაპირისპირებით თანამედროვე სოფლის ახალი ყოფაცხოვრების სურათია დახატული ლექსში „ქვეყნის ამბების მთხრობელი“.

კარგად არის შესრულებული ლექსი „მონღოლები გორში“. მკითხველი ხედავს შორეული მონღოლეთიდან მოსულ ადამიანებს, რომლებიც სიყვარულით შეპყურებენ ბელადის ქოხს. და, აი, უეცრად იღვიძებს მოგონება სისხლიან წარსულზე. ეს ასოციაცია ისტორი-

რის მრისხანე დღეებისა სავსებით ბუნებრივია. მოხდენილად მოქცეულ ისტორიის სურათი დახატულია მარტს: 1933

„ცა დაეფარა ისართა ტყვრებს, მზე სამუდამოდ ჩავიდა თითქოს, მოაქუნებდნენ მონღოლნი მერნებს, სამი მახვილი ეჭირა თითოს, ხმლისებრ ელავდნენ თვალნი მათი, სისხლში ღებოდა მწვანე გვეჯილი, ველზე მწოლარე კენესოდა ქართლი ცხენთა ფლოქვებით გადაჯეგლი, ისარშემართულ, სისხლთა ვალეშილ მხედრების ფეხქვეშ იწვა მარაბდა, მაშინ მონღოლთა ვიწრო თვალეში საქართველოს მზეც დაჰატარავდა“.

ახალმა ეპოქამ, სტალინის გენიამ წაშალა ისტორიულ წარსულში გაღვივებული მტრობა ერთა შორის. და აი, დღევანდელი მონღოლები, პატიოსანი მშრომელი ადამიანები დგანან დიდი სტალინის მშობელ კერასთან გორში „ვარდის კონებით, განა შუბებით?“

„უცებ სიმღერამ ზეცა გააპო, მიხვდი მონღოლნი მასზე მღვროდნენ, ვინც სიყვარულის ზიდი აავო მონღოლეთიდან საქართველომდე“.

აკაი გეწადე ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტია. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მის ლექსებს უდაოდ აზის ერთფეროვნების იერი. მის ლექსებში საუკეთესო სტრიქონების გვერდით ვხვდებით სუსტ და არაფრისმთქმელ სტრიქონებს; გაცვეთილი სახეებიც ხშირია ა. გეწადის ლექსებში, ვხვდებთ უადგილოდ მოტანილი შედარებები, რომლებიც ლექსის საერთო განწყობილებას არღვევს. მაგალითად, ლექსში „ფრონტელ მეგობარს“ იგი წერს: „მებრძოლი ოცნების ვარდებსა შლიდა, ფიქრების შევარდნით შორს გადაფრენილი; მაშინ ჩვენ მიყვავდით ოცნების არწივს, სიცოცხლედ გვეხვია ფიქრები მრავალი“. წინა სტრიქონში ფიქრი შევარდნაზე შედარებული, მესამეში კი ფიქრები სიცოცხლედ ახვევია ლექსის ლირიკულ გმირს.

ა. გეწაძის ლექსებში ტრადიციულად გადაქცეული ისტორიული გმირები და ადგილები. წარსულისა და აწმყოს მექანიკური დაპირისპირება აიძულებს პოეტს ხშირად მიმართოს ისტორიას:

„ასი კრწანისი, ასი მარაბდა
ირა ჰყარგავდა იმედს ზეალისას“.
(„მშენებლობა უყვარს საქართველოს“).
„ისარშემართულ, სისხლით გაღუწილ
მხედრების ფეხქვეშ იწეა მარაბდა“.
(„მონღოლები გორში“).

„და ჰა მოფრინდა, როგორც არწივთ
ასანძლის მზრიდან მახარობელი“.
(„გაფრთხილებთ ხალხის სახელათ“).

რატომღაც პოეტს ამოჩემებული აქვს თანამედროვეობასთან წარსულის დაპირისპირება. ეს კი ყოველთვის ბუნებრივი როდი გამოუღდის მას. ხდება ხოლმე, რომ ა. გეწაძე იმეორებს სხვა პოეტების ლექსების თემებს. მაგალითად, მისი ლექსი „მობრძანდით, სტუმრებო“ წარმოადგენს ი. ნონეშვილის ლექსის „მობრძანდით, გელით“ განმეორებას და ახალს არაფერს იძლევა.

გვხვდება მის ლექსებში აგრეთვე სხვა პოეტთა ლექსების ანალოგიური სტრიქონები, აი ერთი მაგალითი:

„ჩვენ გვიჩვენია ვფატრადეთ არზებს,
ვიღრე ომისთვის სანგრებასა ვთხრიდეთ“.

„შენ გირჩენია ზილი აფური,
საომაზ მიიმე საქურელის ზილვას“.

პირველი ორი სტრიქონი ა. გეწაძისაა, მეორე კი ა. სულაკაურის, რომლის ლექსიც გაცილებით ადრეა გამოქვეყნებული.

ცუდია, როდესაც ახალგაზრდა პოეტი თავისი ლექსის გადამღერებას იწყებს. ასე მოსდის ა. გეწაძეს ზოგიერთ იმ ლექსში, რომელიც ფრონტული ცხოვრების მოგონებას წარმოადგენს. პოეტი უნდა ერიდოს თავისივე ლექსების სტრიქონთა ამგვარ განმეორებებსაც:

„წყარო მაქვს პატარა, სოფელიც პატარა
დიდი მაქვს სამშობლო, დიდი მაქვს
სიყვარულიც*.
„დიდი გვაქვს სუფრა და ბევრი გვაქვს
პურ-ღვინო
და უფრო მეტი გვაქვს ცხოვრების სიბრძნე“.

ეს სხვადასხვა ლექსიდან ამოღებული სტრიქონები გასწყობილებით, რიტმით და ლექსიკითაც კი ჰგავს ერთმანეთს. ა. გეწაძეს მეზობლო ადამიანის განწყობილებები შეაქვს ლექსებში. ეს არის ახალგაზრდა პოეტის დამოუკიდებელი პოეტური ხმა. მაგრამ როდესაც იგი დალატობს თავის პოეტურ ინტონაციას და რომელიმე პოეტის გავლენით ცდილობს ჰკარბი ლირიზმი შეიტანოს ლექსში, „ფილოსოფიური“ სიღრმე მისცეს თემას, აქ იგი აშკარა სიაუსტეს იჩენს.

არიან პოეტები, რომელთაც მძლავრი ორატორული პათოსი აქვთ და ლექსებში გადააქვთ დიდი შინაგანი ენერჯია. არიან ისეთებიც, რომლებიც პათეტიკური კილოს ნაცვლად ერთგვარ აზრობრივ ნიუანსებზე აგებენ ლექსებს. ეს ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ხმაა პოეზიაში. როდესაც ახალგაზრდა პოეტი ა. გეწაძე ნიუანსებისკენ იჩენს მისწრაფებას და ცდილობს „ფილოსოფიური“ ხასიათი მისცეს ლექსს, ეს მას არ გამოუღდის. მაგალითად, ავიღოთ მისი ლექსი „თოვლი“. ამ ლექსში პოეტმა ოდნავ შეცვლილი სახით გაიმეორა ის, რაც ი. ჰაეჭავაძემ შესანიშნავად თქვა „მგზავრის წერილებში“ თერგისა და მყინვარის დაპირისპირებით. პოეტი გვეუბნება, რომ არ უყვარს თოვლი, რომელიც მწვერვალზე წლების განმავლობაში უმოძრაოდ დევს, იგი ირჩევს იმ თოვლს ჰგავდეს რომელიც ნაკადულად ქცეულა და მიწაზე მოხმაურობს.

ა. გეწაძის ზოგიერთ ლირიკულ ლექსში არ იგრძნობა განწყობილებათა მთლიანობა და პოეტი ხშირად მრავალსიტყვაობას მიმართავს. ასეთია, მაგა-

ლითად, ლექსი „დედის საფლავთან“. ეს ნაწილი მარტო ა. გეწაქეს როდი ახასიათებს. იგი სხვა ახალგაზრდა პოეტებსაც გააჩნიათ.

უწყველად თავისებური ხმის პოეტია მ. ქვლივიძე. საერთოდ იგი ცოტას წერს, ყოველ შემთხვევაში ცოტას აქვეყნებს, მაგრამ მისი ლექსები გამოირჩევიან ღრმა ლირიზმით, მდიდარი პოეტური სახეებით, ლაკონიურობით. რაც მთავარია მ. ქვლივიძის ლექსებში არ არის მშრალი რიტორიკა. იგი მოფიქრებულად გადმოგვცემს თანამედროვე საბჭოთა ადამიანის განწყობილებებს.

ახლახან „საბჭოთა მწერალმა“ გამოსცა მ. ქვლივიძის ლექსების პირველი წიგნი. წიგნში შეტანილი ლექსებიდან გამოირჩევა „ჩვენ დავიბადეთ“, „შვიდობის დასაცავად“, „სამგორი“, „რუსთავი“, „ლენინგრადი“, „თბილისი“ და სხვ.

ახალ სახეებთან და მოსწრებულ თქმებთან ერთად აღნიშნულ ლექსებს ახასიათებს მუსიკალობა და განწყობილების მთლიანობა. ლექსში „ჩვენ დავიბადეთ“ კარგი პოეტური გააზრებით არის დანახული კაცობრიობის ისტორიის ის უდიდესი დღეები, როცა „ნევაზე ავრორა იღვა და ტრიბუნაზე დიდი ლენინი“. მ. ქვლივიძე მკაფიო ფერებით გადმოგვცემს სურათს:

„ეს იყო ცხრაას ჩვიდმეტი წელი,
ლენინი იღვა გაწვდილი ხელით,
მან გამარჯვება ხალხებს ახარა,
მან მოაბრუნა მზისკენ გულუბი,
მას შემდეგ მიწაც ბრუნავს სხვაგვარად
ლენინის ზელის მიმართულებით“.

მ. ქვლივიძის ლექსი „სამგორი“ ერთერთი საუკეთესოა იმ ლექსთა შორის, რომელიც ამ თემაზეა დაწერილი. ამ ლექსში პოეტი მოხდენილად აღწერს პეიზაჟს, გადმოგვცემს განწყობილებას და ოსტატურად აკავშირებს ლექსის კომპოზიციასთან თავის ინტიმურ განცდას. ადამიანმა იგრძნო საუკუნოებით

წყურვილმოუკვლელი მიწის ჩივილი. კაცის მარჯვენამ სიცოცხლის მარტვი ჩაუდგა გულგამომშრალ სამგორს და სიცოცხლის ასაღორძინებლად დააღწრო მზით დახეთქილი მიწის მკერდი:

„მოვიდა კაცი, გახედა გორას
(სამგორი უცებ გახდა პატარა),
გაშალა მკლავი, მთა გასჭრა ორად,
იორი ველზე გადმოატარა.
წამოაყენა, რაც ირგვლივ იწვა,
მზეს საყვედური ღიმილით უთხრა,
და მე გავიგე, სწულმა მიწამ
როგორ დაიწყო ხალისით სუნთქვა“.

მ. ქვლივიძის ლექსებში არ იგრძნობა ისტორიზმით გატაცება. იგი ხედავს ჩვენი სამშობლოს დიდ მოვლენებს და გვჯერა მისი სიტყვების, როდესაც პოეტი ჩვენი რესპუბლიკის სიამაყის—რუსთავის შესახებ ამბობს: „ამ გოლიათის მხარბუკის იქით როგორ მივაგნო წარსულის ნიშანს?“

საერთოდ კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს ციკლი „ლენინგრადი“. პოეტი კარგად ხატავს ომგადახდილი ქალაქის სურათებს, მის ადამიანებს. ჩვენ ვხედავთ ლენინგრადს—გმირ-ქალაქს, რომელიც „ხარაჩოებით იხვევს ჭრილობებს, ვით მეომარი ბრძოლების შემდეგ“; ვხედავთ ლენინგრადელ გოგონას, რომელმაც მძიმე დღეები გამოიარა. სამწუხაროა, როდესაც კარგ ლექსში ცუდი სტრიქონია. ლექსში ასეთი სტრიქონი შუაზე გაწყვეტილ სიმღერას ჰგავს. ლექსში „ლენინგრადელი გოგონა“ ნათელი, რეალისტური სახეების გვერდით გვხვდება ასეთი ბუნდოვანი სახე „სფინქსები მოარჩევდნენ საკაცს“. კარგად გააზრებულ ლექსს „ყუმბარა და ბავშვი“, ასეთი ბუნდოვანი ფინალი აქვს: „ქარმა თმები ცივ შუბლიდან გადუწია და თვალებში ვარსკვლავები ჩაუყარა“.

ეგზოტიურობის აშკარა იერი აზის ლექსების ციკლს „მამული-შემოდგომა“. პოეტი ვერ ხატავს თანამედროვე სოფელს. მის მიერ შექმნილ სურათებ-

ში არაფერია ახალი და თანამედროვე ცხოვრებისათვის დამახასიათებელი. ამას თან ერთვის სამშობლოს სიყვარულის ვიწრო გავება. მწიგნობრული ასოციაციებით შექმნილი სახეები როდი იძლევიან ჩვენი ყოფის ნამდვილ სურათს. ავიღოთ, მაგალითად, ლექსი „გლეხის ცხოვრების ნასიკეთარი“. მკითხველი ელის, რომ ამ ლექსში თანამედროვე გლეხს და სოფელს დაინახავს, მაგრამ სამწუხაროდ ამის ნაცულად ვხედავთ განყენებულ სურათს ეპოქის ნიშნების გარეშე:

„სახლთან — კაკლის ხე უზარმაზარი,
 ეზო, ზინები, ურმის კრიალი,
 საურშე გზაზე — რუხი მაზარი
 ნისლის თარეში და ზეტიალი.
 შორს ვაფრენილი მთების თილისმა (?)
 შუალამედუ ცეცხლთან ღვინის სმა.
 მოხუც პაპსთან ჩემი ბაასი
 და მოსავალზე ფიქრი ნეტარი.
 საესე ხელადა — მხნე და ხალასი
 გლეხის ცხოვრების ნასიკეთარი“.

ციკლი „თბილისი“ ახალგაზრდა პოეტის გამარჯვებულ უნდა ჩაითვალოს. ლექსები „მადათოვის კუნძული“, „ახალი ხიდი“, „მარჯანიშვილის მოედანი“, „გამარჯვება და მშვიდობა“ გადმოგვცემენ თანამედროვე საბჭოთა ადამიანის ჯანსაღ განწყობილებებს, გვიხატავენ ჩვენი ცხოვრების ნათელ სურათებს.

ბუნების ძლიერი გაცნადა გადმოცემული ლექსში „ხეთა სიმღერა“, რომელიც მდიდარია პოეტური სახეებით და აღსავსეა ლირიზმით. სიმბოლისტური პოეზიისათვის დამახასიათებელი სუბიექტივიზმი და არა მკაფიო განწყობა აღება ახასიათებს ლექსს „ცემი“.

სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალმანახში („პირველი სხივი“ წიგნი I, II, III) გამოაქვეყნა თავისი ლექსები ახალგაზრდა პოეტმა ნ. დუმბაძემ. ნ. დუმბაძე საკუთარი პოეტური ხმის ჩამოყალიბების პროცესშია. მას სერიოზული შეცდომები აქვს.

ეს შეცდომები ვრცელდება მისი ლექსების როგორც ფორმალურ, ისე შინაარსზე. ლექსები „ბებერი მიწის ამბავი“, „თბილისი“, „გურია“ კუთხური პატრიოტიზმის იერს ატარებენ. პოეტი ამ ლექსებში გატაცებულია ისტორიული ასოციაციებით. სინამდვილესთან არა უშუალო დამოკიდებულების შედეგია ის, რომ ახალგაზრდა პოეტი ამ ლექსებში ქართული ხალხის ბრძოლათა მთელი ისტორიის გადმოცემას ცდილობს. იგი ხშირად ახსენებს მეტეხის ციხეს, კრწანისის ველს, მარაბდას, ლანგ-თემურს, დავითს, თამარს და სხვა. გარდა ამისა, პოეტი ხშირად მიმართავს უცნაურ შედარებებს, რომლებიც ყალბი ასოციაციის შედეგია. მაგალითად, „მთვარე ეშვივით კიღია ცაზე“, „და ლანგარივით გატყდება მთვარე“, „მთვარე კვესივით დაეცა მეტეხს“ და სხვ. ეს სახეები მწიგნობრული გავლენების პირდაპირი შედეგია.

მაგრამ უსამართლობა იქნებოდა არ დაგვენახა ის ჭეშმარიტად პოეტური, იდეური და ჯანსაღი, რაც ნამდვილად არის ნ. დუმბაძის ლექსებში. „ჩინელი გოგონა გორში“, „ჩემი ბაბუა“, „დაბრუნდით უკან“ (ალმანახი № 2). ამ ლექსებში ნათლად ჩანს თანამედროვე საბჭოთა ადამიანის განცდები.

კარგია პოეტის სტრიქონები, რომელსაც იგი დღევანდელი ყოფის მომსწრე მოხუცს ათქმევინებს „წუთისოფელი, — იტყოდენ წინათ, ახლა ვინ იტყვის — წუთისოფელი?“. პუბლიცისტური სიმბოლურით ხასიათდება ლექსი „დაბრუნდით უკან“.

ლექსში „მკარანახობს სიციცხლე“ ნ. დუმბაძემ მოხდენილად დახატა მქსოველი გოგნას ცოცხალი სახე. მკითხველს აღუღვებს სიყვარულით გამოთბარი სტრიქონები, რომელშიაც მქსოველი ქალიშვილის ნაგრანობი და ნათქმური უბრალოდაა თქმული:

ბელადის მადლობა მეყოფა სახსოვრად, ის ჩემთვის სიცოცხლის ფასია, ვინ იცის, იქნება მას ჩემი ნაქსოვი უბრალო ხალათი აცვია“.

მეთიხველი გრძნობს ამ ლექსის ლირიკული გვირის ალტაცებას, სამშობლოს ძლიერებით და წინსვლით აღძრულ შრომით აღფრთოვანებას.

ნათელი, რეალისტური ფერები ალექსში „რიცას გზა“. აქ კარგადაა გადნოცემული ბუნებასთან ბრძოლაში გამარჯვებული და სვებედნიერი საბჭოთა ადამიანის განწყობილება. მოხდენილად და დაბატული პეიზაჟი. ადამიანის შრომითა და ძალით ალტაცებული პოეტი წერს:

„რა შეუძლია კაცის ძალას,
კლდს შეუნჯრია გულის ფიცარი
და რიცას ტბისკენ ფართო შარავზა
მთებს დაუმიზნა, როგორც ისარი“.

პოეტი ხედავს რიცას მომზიბლავ მიდამოს, მთებს, ტბას, ხედავს, რომ „ჩანჩქერს კლდის ქიმზე უცდება ფეხი და ნაპრალებში კისრით ვარდება“. სამშობლოს სილამაზით ალტაცებული პოეტი ამბობს, რომ მასაც ჩანჩქერივით მჩქეფარე და წმინდა სიცოცხლე წყურია მედამ.

კარგი ლექსია „ტყვარჩელი“. ოღონდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ლექსში ძველი ყოფის სურათებს უფრო მეტი ადგილი აქვს დათმობილი, ვიდრე ახალს. ანალოგიური ნაკლი აქვს ლექსს „მეწისქვილი“.

სამართლიანი რისხვა გაისმის ომის გამჩალებელთადმი ლექსებში „გახსოვდეს, თურქო!“ და „ამერიკის ხმა“. აქვე უნდა დავძინოთ, რომ განწყობილებებით და ლექსიკური მასალით ეს ლექსები ძალზე გვანან ავტორის აღრინდელ ლექსებს.

უბრალოება და ღრმა ლირიზმი ახასიათებს პოეტ თ. ჭილაძის ლექსებს. მისი ლექსების ციკლი „აკვარელები“ — პოეტურ მინიატურებს წარმოადგენს.

„ჩეროში“, „ექსკავატორი“, „საუბარი არხის სათავესთან“, „გვალევა“ — ჩვენი ცხოვრება გვადებს სრულყოფილად მოცულობის ლექსები, მაგრამ ყოველ მათგანში ახალი განწყობილებაა მოცემული. ლექსში — „ჩეროში“ პოეტი მოხდენილად ხატავს თანამედროვე ყოფის სურათს. პეიზაჟის ფონზე იგი კარგად იძლევა ჩვენი დროის მოხუცის ოპტიმისტურ განწყობილებას.

საბჭოთა ახალგაზრდის ჯანსაღი განწყობილება — მომავლის რწმენა და სიცოცხლის სიყვარულია გადმოცემულ პოეტის ლექსში: „ჩვენი ცხოვრება გვადებს სიმღერას“.

განცლების სიფაქიზით, მუსიკალობით და ხალხურობით აღინიშნება ახალგაზრდა პოეტი ქალის ნ. კილასონიას ლექსები. მისი ლექსების ციკლი „ქართლის ზაფხული“ ნათელი ფერებით ხატავს თანამედროვე სოფლის პეიზაჟებს, გარდაქმნილ სოფლებსა და ქალაქებს, ახალი ცხოვრებით აშალებული ქართველი კაცის მიზმიდველ სახეს.

უღაო პოეტურ ნიქს ამკლავებენ ახალგაზრდა ავტორები: ნ. გურუშიძე, შ. ნიშნიანიძე, ვ. გოგოლაშვილი, გ. კლიაშვილი ვ. ჯაფახაძე, ჯ. ჩარკვიანი, გ. გეგეჭკორი, ჯ. ნიქებაძე და სხვები, რომელთაც რამდენიმე ლექსი აქეთ გამოქვეყნებული, ისინი ჩამოყალიბების პროცესში არიან.

შარმან აფხაზეთის სახელმწიფო გამოცემლობამ გამოსცა ახალგაზრდა პოეტ შ. აკობიას ლექსების პირველი წიგნი „სამშობლოს დილა“. ლირიკული ლექსების ეს კრებული თემატიკურად მრავალფეროვანია და ავტორის პოეტურ ნიქს ადასტურებს. კარგია ლექსი „ბელადის მონუმენტი ჩემს სოფელში“. ამ ლექსში იგრძნობა კომუნისტების მშენებელთა სიხარული და დიდი ბელადისადმი უსაზღვრო მადლობა. მოხუცი პაპა ბელადის მონუმენტის გახსნის დროს ხალხს უამბობს ახალ-

გაზრდა სტალინთან შეხვედრის ეპიზოდს.

თავისებურად აქვს პოეტს გააზრებული ლექსები „მოკრილი ფიჭვი“, „კოლხი მერტივე“. შ. აკობია კარგად ხატავს პეიზაჟს. იგი იცნობს და განიცდის აფხაზეთის ლამაზ ბუნებას, აქვს კოლორიტის გრძნობა. ყველაზე მეტად პოეტი მაშინ აელენს თავისი სიტყვის ძალას, როდესაც უშუალოდ აღქმულ გარემოზე წერს. ლექსები სუბუმზე — მშობლიური ქალაქისადმი სიყვარულისა და წრფელი აღფრთოვანების მაჩვენებელია. პოეტი კარგად გვიხატავს გარდაქმნილ და აღორძინებულ სოფლებსა და ქალაქებს ციკლში — „საქართველოს ზღვისპირეთი“.

ჯანსაღი პოეტური აზროვნება მკლავდება ლექსში „ზღვასთან“. ჩვენი ადამიანის ცხოვრების მაღალი დანიშნულება აქ თავისებური კუთხით არის დანახული. პოეტის ეს პატარა ლექსი დიდ კითხვაზე იძლევა პასუხს. რაშია ჩვენი დროის ადამიანთა სიცოცხლის გამართლება? — მომავლისათვის შრომაში და ბრძოლაში!

საწიფხაროა, რომ ახალგაზრდა პოეტს სერიოზული ნაკლი აქვს. მისი პოეზიის პორიზონტი ვიწროა. პოეტი ხშირად იყენებს დროგადასულ საგანთა დამოვლენათა შესატყვის ცნებებსა და სახეებს. ძველი ყოფის ინვენტარი ჭარბადაა ახალგაზრდა პოეტის ლექსებში. თანამედროვე სოფლის სურათების ნაცვლად იგი ხშირად სოფლის იდილიებს ხატავს. ბუნების მოვლენათა გასულიერებას პოეტური ხატვის, ალეგორიის ან შედარებისათვის კი არ მიმართავს პოეტი, არამედ ამას პირდაპირი მნიშვნელობით აკეთებს. არაბუნებრივი სენტრამეტალობა მკლავდება ლექსებში „ბაღში“, „ყვავილები“ და სხვა. ლექსით „ჩემი სოფლის ერთი შუკა“ პოეტი მეტად ზღუდავს თავის პიროვნულ სამყაროს. ამ ლექსს არაერთი განზოგადობა არა აქვს. ასევე იმეორებს შ. აკო-

ბია ლექსში „ენგურის პირას“ ლ. ასათიანის შესანიშნავ ლექსს „მამარდალას“. იგივე განწყობილებას იგივე რიტმი, ხატვის იგივე მანერა, მხოლოდ ზოგიერთი სიტყვებია შეცვლილი! შ. აკობიას პოეტური ნიჭი უფლებას გვაძლევს მკაცრად მოვთხოვოთ მას, რომ საკუთარი ხმით დამკვიდრდეს პოეზიაში. შ. აკობია დაუდევრობას იჩენს ლექსის მუსიკალობისადმი. იგი ხშირად ხმარობს დაყრუებულ რითმებს, მიმართავს ორმარცვლიანი სიტყვის გართიმვას სამმარცვლიან სიტყვასთან და სხვ.

ფრიდონ ხალვაში წრფელი ლირიკული ხმის ახალგაზრდა პოეტია. იგი კარგად ათავსებს ლექსებში ლირიკულ განწყობილებას და პუბლიცისტურ პათოსს. პოეტი ნათელი ფერებით ხატავს ჩვენი სამშობლოს მშვენიერ სინამდვილეს, ერთნაირი სიყვარულით წერს პოეტი მშობლიურ ბათუმზე თუ ყარაყუმის უდაბნოზე. მის ლექსებში იგრძნობა დინჯი, აზრიანი ადამიანის დაკვირვებული თვალი. პოეტური გააზრებით საინტერესოა, პუბლიცისტურად მახვილი და მხატვრულადაც კარგია ფრ. ხალვაშის ლექსი „ორი გემი“. ორი გემი — ორი გზა! ერთი მშვიდობის და კაცობრიობის მომავლისათვის მებრძოლი ქვეყნის გემია, მეორე ომის გამაჩაღებელთა და კაცთმოძულეთა.

„იგი ქარიშხალს უკან იტოვებს, მან ბრძოლაც იცის შეუპოვარი. გემი „უღბანა“ შიღის ინდოეთს და ყუბანური მიაკვს ზორბალი. ცამ პორიზონტზე ლამე დაკიდა და შორს გამოჩნდა გემი გაჩკვეით, ისიც გემია — ამერიკიდან და მას პესანში მიაკვს ტანყებო. ეს ორი გემი ორ გზას ადგია და ორნაირი დღე ელოდება, პირველს მშვიდობის, ძმობის გზა ჰქვია, მეორეს — ომის გზა ეწოდება“.

საქიროა ახალგაზრდა პოეტს შევნიშნოთ, რომ მას პათეტიკა ზოგჯერ ისე იტაცებს ხოლმე, რომ თვით ალტაცების ობიექტი ავიწყდება. ასეთია მისი ლექსი „ბათუმში“, სადაც კარგადაა გადმოცემული განცდა, აღძრული ქალაქის სილამაზით და სიდიადით, მაგრამ ლექსში არ ჩანს გარდაქმნილი და აღორძინებული ქალაქის სურათი.

მიმდინარე წლის ეურნალ „მნათობში“ № 5 დაიბეჭდა ფ. ხალვაშის პოემა „მშვიდობის ჯარისკაცი“. რომელიც ახალგაზრდა პოეტის სერიოზული ცდაა ეპიური ნაწარმოების შექმნისა.

ქუთაისში მუშაობენ ახალგაზრდა პოეტები: ო. მამფორია და ზ. კუხიანიძე. პირველი საკმაო ხანია, რაც ლიტერატურულ ასპარეზზე გამოვიდა, მეორემ კი მხოლოდ წელს გამოაქვეყნა რამდენიმე ლექსი. ო. მამფორია გაცილებით ნაყოფიერად მუშაობდა წინა წლებში. იგი რამდენიმე საინტერესო ლექსის და პოემის („აეტოგიგანტის კედლებთან“) ავტორია. სამწუხაროა, რომ ახალგაზრდა პოეტს არ ეტყობა შემოქმედებითი ზრდა. ზ. კუხიანიძის ლექსებმა სამართლიანად მიიპყრეს ყუ-

რადღება ახალგაზრდა მწერალთა რესპუბლიკურ თათბირზე. ზ. კუხიანიძის შემოქმედება მომწიფების პერიოდშია. მის ლექსებში ჯერ კიდევ ქარბად გაისმის ცნობილ ქართულ საბჭოთა პოეტთა ინტონაციები. პოეტი ხშირად მიმართავს ისტორიულ ასოციაციებს. ახალგაზრდა პოეტის კარგ მომავალზე მეტყველებს ლექსები „გზაჯვარედინზე“, „იპინე მშვიდად, პატარა ბიჭო“, „აეტოქარხნის გზაზე“.

საინტერესო და ნაყოფიერი შემოქმედებით ხასიათდება სამხრეთ-ოსეთის ახალგაზრდა პოეტი ი. ცხოვრებოვი.

თავისებურია ახალგაზრდა პოეტი შ. როყვა, რომლის ორი ლექსი „მოხუცი მეზღვაური“ და „დილა“ („ლიტერატურა და ხელოვნება“ 1952 წ.) კარგად არის მოფიქრებული.

ახალგაზრდა პოეტების წინაშე დგას უდიდესი ამოცანა: დიდი გულმოდგინებით, პასუხისმგებლობით და სიყვარულით იმუშაონ მხატვრული დაოსტატებისათვის, ღრმად შეისწავლონ ცხოვრება, რათა ყოველი ახალი სიტყვა გაბედულად ჩააყენონ კომუნიზმის მშენებლობის სამსახურში.

ქართული საბჭოთა გრაფიკა

ზოგადი მიმოხილვა



გახდის საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში საქართველოში ხალხისწერი იდეების ფართოდ გავრცელებამ და რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობამ გამოაცოცხლა პროგრესული პრესა და გამოიშველბანა. გამოცოცხლდა დაეტყო ქართულ გრაფიკულ ხელოვნებასაც. ქართულ ეურნალ-გაზეთებში საისტატატურად ქვეყნდებოდა ქართული გრაფიკული და გრაფიკული ხელოვნების ფუქსმდებლის — გ. ტატიშვილის ნახატები, ახალგაზრდა მხატვრის მოსე თოიძის ისტორიულ-სახოგადოებრივი გრაფიკული ილუსტრაციები, ო. შმერლინგის გონება-მახვილი და ისტატურად შესრულებული კარიკატურები, გ. გოგიაშვილის ფიზიკური ეტნოგრაფიული და საყოფაცხოვრებო ჩანახატები. დროგამოშვებით აგრეთვე იბეჭდებოდა გრაფიკული ნამუშევრები: ბერიძის, ალ. მრეველიშვილის, შ. ჭიჭიძის, გ. ნათაძის, დ. კვაბაძისა და სხვ.

მაგრამ ქართული გრაფიკული ხელოვნების საფუძელიანი განვითარება დაიწყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როდესაც სრულიად ახალი მიზნები დასაბა ქართული სახეითი ხელოვნების წინაშე.

ჩვენი ცხოვრების ყოველ დარგში მომხდარა ცვლილებანი მოითხოვდნენ მშრომელი მასების კულტურული დონის ამაღლებას. ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს იარაღს ამ ამოცანის გადასაწყვეტად წარმოადგენდა კარგად გაფორმებული წიგნი.

ქართული წიგნის გრაფიკის განვითარებამ ამ ოცდაათი წლის მანძილზე რამდენიმე ეტაპი განაღო.

ჩვენში, დღემდე არ წარმოებულა თანმიმდევრობითი შესწავლა ქართული გრაფიკული ხელოვნებისა, ამიტომ ყველა ამ ეტაპის დახუსტება და განხილვა დიდ დროს მოითხოვს.

ამ წერილში ჩვენი მკითხველის ყურადღებას უმოთარესად უყანასწულ ეტაპზე შევამყარებთ, სხვა ეტაპებს მხოლოდ გაყრით შევეხებთ.

საბჭოთა წიგნის გრაფიკული შექმნობა და დასურათების მოთარ მიზანს შეუდგურს არა განყენებული მორთვა, მევირაღა რეკლამა, მსგავსად ბურჟუაზიული წიგნისა, არამედ მისი შინაარსის ათვისების გაადვილება მკითხველისთვის და წიგნის ძირითადი იდეის გამოვლინება.

კარგად გაფორმებული და დასურათებული წიგნი მასობრივი მითხოვნის საგანი ხდება.

საბჭოთა წიგნის ორნამენტული შექმნობა და რეალიზირება დასურათება დიდ გავლენას ადენს საბჭოთა აღამიანის მხატვრული გემოვნების აღზრდაზე და ლიტერატურული საბის სწორ ათვისებაზე.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მოთაროხის ყოველდღიური მზრუნველობის შედეგად საქართველოს მხატვრებმა — ჩვენი დიდი მემკვიდრეობის ათვისების საფუძველზე — თავი დააღწიეს სხვადასხვა ფორმალისტური მიზანოთლებების გაყენას და მტკიცედ დაადგინეს სოციალისტური რეალიზმის გზას, ამით მათ დიდი წვლილი შეიტანეს საბჭოთა ხელოვნების საგანძურში.

საბჭოთა საქართველოს არსებობის პირველი 10 — 15 წლის განმავლობაში გრაფიკული ხელოვნება წიგნის გრაფიკის განვითარების ხელთ მომდინარეობდა. ამ პერიოდის გრაფიკულ პროდუქციაში უჯრ კიდევ ბევრი რამ იყო ბუნდოვანი და მიუღებელი. ძველი ხელოვნების ფორმალისტურ-დეკადენტური და ნატურალისტური მიმართულება ერთ დროს თითქმის უფრო გააქტიურდა კიდევ; სიღამონ ერისთავის პირველი პერიოდის და შ. ძნელაძის მოდერნისტული გრაფიკული ილუსტრაციები, დ. გვედესიანის ნატურალისტური ჩანახატები და ლ. დუდიაშვილის სიმბოლისტური-დეკადენტური უღები, ნახატები და სამკაულები ძალიან უშლიდნენ ხელს ახალი სოციალისტური ხელოვნების დამკვიდრებას.

ამავე პერიოდში ქართულ გრაფიკულ ხელოვნებაში თავი იჩინა კიდევ ზოგიერთმა არა ჯანსღმა მიმართულებამ, ამ მიმართულ-

ბების მიმდევარი ცდილობდნენ რევოლუციონერს, პროლეტარულ ხელოვნებად გაესაღებინათ თავისი უნიადაგო „შემოქმედება“. მაგრამ მალე გამოიჩინა, რომ ეს შემოქმედება არ უპასუხებდა რევოლუციონერი ეპოქის სახვითი ხელოვნების მოთხოვნილებებს. ყარგმა ხანმა გინელო, სანამ როგორც შემარჯვენე ისე შემარცხენე მხატვრები განათვისუფლებოდნენ ვიწრო ინდივიდუალისტურ მსოფლმხედველობიდან.

მიუხედავად სხვადასხვა გვარი გადახრებისა, პირველი პერიოდის ქართულ გრაფიკაში შინც არ შეწყვეტილა კლასიკური მემკვიდრეობიდან მომდინარე რეალისტური ნაკაღი.

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის ჩაყოალიბებისთანავე (1922 წ.) ამ ნაკადს ფართო გასაქანი მიეცა, რაც ეგ. ნინოშვილის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემით და მისი დასურათებით დაიწყო. ამ საქმის მსატერელმა ხელმძღვანელმა მოსე თოიძემ თანამშრომლებად მოიწვია თითქმის ყველა ამ დროინდელი რეალისტი ახალგაზრდა მხატვარი: ი. თოიძე, შ. შამალაძე, ა. ქეთათელაძე, შ. ჩხიკვაძე.

ლებს აგებს — ინჟინერია, თინას მამა — გულმავლის შემანქანე, გელას მამა — ხარატი და სხვ. როდესაც გმირი ვაიცილობს მათ საქმიანობას, მიღის ამ დასკვნამდე, რომ ყველა ისინი ქვეყნისათვის საჭირო აღამიანები არიან. მიუხედავად პროფესიის სხვადასხვაობისა, ერთ დიდ საქმეს ემსახურებიან და მშობლიური საბჭოთა მიწის აყვავებისათვის, საბჭოთა ხალხის ბედნიერებისათვის იბრძვიან. ლექსი ბავშვს თელში ყველა პროფესიას ამაღლებს და მისადმი პატივისცემის გრძნობას აძლიერებს. ამ შინა ლექსის შემოქმედებითი ძალა.

თუ რა გავლენას ახდენს ახალგაზრდა ადამიანზე შრომა, ეს კარგად ჩანს ლექსში — „თანდილა“. ლექსის მთავარი გმირი კარგი მოწაფე და ჩინებული მუშაკია. მაგრამ თანდილა პირველ რიგში მოწაფეა. თანდილა მხოლოდ გაყვეთილებს მოშუადებისა და გართობა-დასვენების შემდეგ შრომობს. სასაზღვლო არადაღებურს დროს მას კოლექტივში ეხედებით, პატარა მუეში ჩინებულად ასრულებს თავის მოვალეობას. მან კოლექტივის ნდობა და სიყვარული დაიმსახურა, ყველასათვის საყვარელი ბავშვია, ერთი სიტყვით, თანდილას შევნების ფორმირება სწავლასა და შრომაში ხდება. მკითხველი გრძნობს, რომ მისგან შესანიშნავი ადამიანი გამოვა. ლექსის ძირითადი აზრი პატარა მკითხველს გულში ღრმად წვდება, თანდილა მისი საყვარელი გმირი გახდება.

ბავშვი უსაზღვრო სიხარულს განიცდის, როდესაც ის პირველად შეაღებს სკოლის კა-

რებს. ამ სიხარულის გადმოცემა ყოველთვის დარჩება საბავშვო პოეზიის საგნად, რამდენადაც ის დაუფიქრებელი რჩება მთელი ცხოვრების მანძილზე. მაგრამ ამ პირველი სიხარულის მხატვრულ გამოხატვას აღმზრდელიობითი მნიშვნელობაც აქვს. ბავშვს, რომელსაც სასკოლო ასაკი შეუსრულდა ან უსრულდება, თავიდანვე უნდა შეუქმნათ სწავლისადმი სიყვარულის განწყობილება. ამ ამოცანის შესრულებას ემსახურება ლექსები — „გიზოს წასვლა სკოლაში“ და „სიხარულით მხედებიან“. ორივე ლექსში გადმოცემულია ის შთაბეჭდილება, რომელსაც ბავშვი სწავლის დაწყების პირველ დღეებში იღებს. პატარა გიზო „დღეს შეაღებს სკოლის კარებს, დღეს პირველად გაიხარებს. მიაქვს წიგნი, ჩანთა მიაქვს, დღეს მოსწავლე მსაყვამეა“. ლექსის ყოველი სტროფი ბავშვში ჰქმნის სკოლისაგან მისწრაფების მაღალ განწყობილებას.

წიგნს ბავშვის აღზრდაში დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ წიგნის შინაარსს და მის გარეგნულ გაფორმებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. უნდად გაფორმებული წიგნი ბავშვის ყურადღებას ვერ მიიპყრობს, ხოლო უშინაარსო წიგნი ხელს უშლის მის გონებრივ განვითარებას. ამ ცნობილი დებულების მხატვრულ განსოგადებას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. პოეტი ითვალისწინებს რა ამ გარემოებას ლექსში „კარგი წიგნი“, ბავშვებს წიგნის მნიშვნელობას უხსნის და მის მოვლასაც ასწავლის. ოთარმა წიგნის მოვლა არ იცის. წიგნზე ის სურათებს ხატავს და ფურცლებს ხეებს. ლექსში ოთარის მოქმედება დავგმობილია. პატარა მკითხველიც გმობს მის მოქმედებას. ამ ლექსსაც აღმზრდელიობითი მნიშვნელობა და ემოციური ზემოქმედების ძალა აქვს.

ნ. ჩაიავსა ლექსებში ჩვენი ბავშვების ხასიათი არა მარტო საბჭოთა საშობალოს სიყვარულით, სწავლისა და შრომისში მღვდლებზე, არამედ აღაშინათა ურთიერთდამოკიდებულებათაც. თანამედროვე ბავშვის თვისებები: პატარასება, მაღალი შეგნება და კეთილი ხასიათი, კარგად ჩანს ლექსში — „ასე მოიქცა მისი“ მიზო მთელ კლასთან ერთად აპირებს ცირკში წასვლას, ამ დროს მიზო უწინააღმდეგავად, რომ ვიდრე მოხუც ქალს გზა არავაია, შეა ქუჩაში დავს და შეველა იხოვებს. „ეს მოხუცი, ფეხრობს მიზო, უსინათლო უნდა იყოს, წინ ვერ მიდის, გზას ვერ იგნებს, ყურთ არ ესმის მოხუცს იქნებ. გაჩერდება ავტობუსი, ჩამობტვია ჩვენი მიზო, ისე თითქოს დიდი იყოს, ზელს ფაქიზად შეაწველებს და სწორ გზაზე დააყენებს“. მაგრამ მიზო ამით არ აწყაოვდობდება. ის ცირკში წასვლაზე უარს ამბობს და მოხუცებულ ქალს სახლამდე მიაცილებს.

საბჭოთა ოჯახში და სკოლაში აღზრდილ მიზოს არ შეუძლია პირადი სიამოვნებების გამო მოხუცი აღაშინისადმი უპატივითი მოქმედება. მიზოს მოქმედება პატარა მკითხველზე დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს.

საბავშვო მწერალი მორიდებული უნდა იყოს ისეთი ბავშვების მიმართ, რომლებიც თავისი ქცევებით საბჭოთა ბავშვების მაღალ ღირსებას ჩრდილს აყენებენ. მართალია, მანანა („თქვენ თუ გინახავთ ასეთი მანანა?") იმ ბავშვთა რიცხვს არ ეკუთვნის, რომელთა მოქმედება გასაკიცხი და სასტიკად დასაგმობია, მაგრამ მისშიც ბევრია რამა ისეთი, რაც მოსაწონია არა. მანანა მისი იბანს პირს და ივარცხნის თმას, როდესაც სტუმრად მიდის, ხოლო როდესაც საბჭოთა, თავის თავს ყურადღებას არ აქცევს, პირდაუბანელი სვამს ჩაის, შერით ითხუპნება და სხვ. ლექსის ღირსება იმაშია, რომ არამტოვ მანანა, არამედ სხვებიც, რომლებიც არ უყვართ სხვთაგან, დავგმობენ თავიანთ ცუდ ჩვევებს.

ლექსში — „ჩვენი ბოსტანი“ პიონერთა რაზმის ძალა, საერთო საქმისადმი მისი დამოკიდებულება კარგად მოჩანს. პიონერთა რაზმში ბოსტანი დათესა, კოლექტიურმა შრომამ ნაყოფი გამოიღო. რაზმის სიხარული უსაზღვრაა. ეს ლექსი ჩვენი პატარაებში კოლექტიური შრომისადმი სიყვარულს აძლიერებს.

ლექსი — „ჩვენ ზომ ომი არ გვინდა“ ომის გამწალებლების წინააღმდეგაა მიმართული. „ჩემო კარგო მამიდა, ჩვენ ზომ ომი არ გვინდა, ჩვენ ვაშენებთ სახლებს, ჩვენ ვაშენებთ ბაღებს, ამ სახლებზე გვიღებთ წითელ ბაიროლებს“. ასეთი განწყობილებებით არიან გამსჭვალული ჩვენი ბავშვები.

წიგნში შეტანილია ერთი პოემა — „ზანგი გოგონა“. პოემაში კარგად ჩანს თუ როგორ უმოწყალოდ იღუპებიან ათასობით „შავკანიანი“ აღაშინებნი.

„ამერიკაში ცხოვრობს ერთი ჯგერონი ნელი“. ნელის მამა კაპიტანია, რეილიდან დაბრუნებული „ზორბა და შიშისმკვრელი“ კაპიტანი თავის შვილს გასართობად მაიმუნს მენგოს და ზანგი გოგონას მის მოუყვანს. მუზღუაურის ოჯახში მაიმუნს უფრო მეტ პატივს ეცემენ, ვიდრე შვის. მას აქ აღაშინად არ ენობენ. შვის, იმისათვის რომ მან გაბედა და მენგოს კება ჩაიყვანა, სახლიდან გააძევედა. უპატივითი გოგონა ღია ცის ქვეშ დაჩაჩენა. მისთვის, როგორც „შავკანიანისათვის“, ყველგან კარები დაეკრული აღმოჩნდება. შვის ზღვის პირას ძინავს. ის მძიმე სულწირ და ფიზიკურ ტყვეობებს განიცდის. — დედაც, მარტო ვარ, დედაც, შშია, არა მაქვს პური, შენ შე მოგველე დედაც, კარგად დამიკლდე ყური. აქ ვეღარ გავტლებ ვერა, თან წამიყვანე დედი“.

ამ გულსაკლავი სიტყვების შემდეგ საბჭოთა ბავშვებისათვის გასაგები ხდება, თუ რა მიმე პირობებში იმყოფებიან ბავშვები კაპიტალისტურ ქვეყნებში. მაგრამ მისი სიციცხლე განწირული არ აღმოჩნდა. საბჭოთა მეზღვაურები, რომლებიც ღამით გემზე ბრუნდებოდნენ, გაიგებენ ბავშვის ხმას და გოგონას პატრონობას გაუწევენ. ამის შემდეგ მისი რეიდში შეიჭრება საბჭოთა გემზე ეხვებით, აქ მისი ცხოვრება არსებითად შეიცვლება. საბჭოთა გემის კაპიტანის გოგონა სვეტლანა მისი უახლოესი მეგობარი ხდება, მასთან ერთად ერთობა და თამაშობს, ერთი სიტყვით, მუი საბჭოთა გემზე ბედნიერად გრძნობს თავს.

პოემში ნათლად ჩანს, თუ რაოდენ დიდი ხიბუღილით უცქერიან ამერიკელი იმპერიალისტები ზანგებს. მათ ძალსა და რბაღში აქვთ გამჯდარი კაცთმოძულების უსაძაღესი გრძნობები. მათთვის ადამიანი მხოლოდ ის არის, ვისაც ფული და თუთრი კანი აქვს. ჯამუშების, ვეოისტების, კაცის მკელელების ქვეყანაში ცხოველები გაცილებით კეთილშობილები არიან (მოვიგონოთ მაიმუნი მენგო), ვიდრე „მალალი საზოგადოების“ შეილები. პატარა მკითხველში ნელის, მისი მამისა და მამიდას სახე ზიზღს იწვევს, ზოლო ზანგი გოგო დიდ სიყვარულს იმსახურებს. საბჭოთა მკითხველი ღრმა სიყვარულის გრძნობით არის გამსჭვალული საბჭოთა მეზღვაურებისა და, კერძოდ, საბჭოთა გემის კაპიტანის ქალიშვილას სვეტლანას მიმართ. მისი დამოკიდებულება მისთან ამეღაუნებს არა მარტო მისი ხასიათს, არამედ ააშკარავებს სტალინურ ეპოქაში აღზრდილი ზვენი ნორჩი თაობის თვისებებსაც. სვეტლანა საბჭოთა ბავშვის ტიპური სახეა.

წიგნს აქვს ნაილი. მასში შეტანილია რეთო ლექსები, რომლებიც საზოგადოებრივ მნიშვნელობას მოკლებულია. მკველილად უღვესი „ბაქია მამალი“ არაფრის მოქმელია. მას აღზრდილობითი მნიშვნელობა არა აქვს. ახლავის ინტერესებს, თუ მამალი როგორ ბაქიობს და ლავობს თავის სიღამაზის გამო, განყენებული ლექსებია: „ზამთარია უკვე“, „ცხენოსანი“ და სხვ. მაგრამ წიგნის სერიოზულ ნაკლად უნდა ჩაითვალოს, რომ პოეტი არ მუშაობს ლექსის ფორმაზე. მის ლექსებში შინაარსისა და ფორმის მტკიცე კავშირი დაცული არაა. რითმა და რიტმი ზოგჯერ დარღვეულია. გაუმართავე და გაუბრალოებული სტრიქონები კი ლექსს ზემოქმედებით ძალს უკარგავს.

პოეტი უნდა ერთდოს აგრეთვე სიტყვების ხშირ გამეორებას:

„ტანზე სხვა აცმევის ნელის,
თითონ ზანტია, ზანტი
დედა არა ჰყავს ნელის,
უელის მამიდა ლოლო,
სელ მასთან არის ლოლო,
მხოლოდ მას უელის მხოლოდ
მალალი არის ლოლო,
ძალზე გამზდარი, ხველი,
ნელისაც უყვარს ლოლო,
ლოლოსაც უყვარს ნელი“

(„ზანგი გოგონა“).

საჭიროა პოეტმა ლექსის ფორმას მუტი ვუბრადლება მაქციოს.

ვლ. ჯიზუბი

„სიზღერა ნიბელუნგებზე“

(შენიშვნები მეორე გამოცემის გამო)



გერმანული საგმირო ეპოსის ცნობილი მკველი — „სიზღერა ნიბელუნგებზე“ ზვენამდე მოღწეულია შუა ზემოგერმანულ ენაზე შესრულებული ზელნაწერით. არსებობს პოემის სამი ძირითადი რედაქცია ლახმანის, ბარჩინა და ცარნკესი. ამათგან ვველზე პოპულარულია ლახმანისეული რედაქცია, რომლის მიხედვითაც შესრულა კარლ ზიმროკმა „ნიბელუნგების“ თარგმანი ახალ გერმანულზე. ამდენად კ. ჰივინანის მიერ ზიმროკის თარგმანის არჩე-

ვა მიზანშეწონილია, თუმკა არ შეიძლება სინანულით არ აღვნიშნოთ, რომ თარგმანი შესრულებული არაა ორიგინალიდან.

კ. ჰივინანემ პოემის ქართულად გადმოღებისათვის მშობლიური პოემების ტრადიციული მუტი — 16 მარკელიანი ლექსი (მალალი და ღამალი შიარი) აირჩია, მიუხედავად იმისა, რომ ეს ზომა ადექვატური არაა ორიგინალის ზომასთან, მთარგმნელის არჩევანი გამართლებულია, რადგან იგი ანგარიშს უწევს ქართული

ლექსის ბუნებას. ვარდა ამისა, ქართული პოეზიების ზომას ის უპირატესობაც აქვს, რომ იგი უკეთესად გადმოგვეცემს „ნიბულენგების“ თხრობის ეპიურობას.

„სიმღერა ნიბულენგებზე“ რაინდული კულტურის აუცილებელ პერიოდშია შექმნილი. ბუნებრივია, რომ ორიგინალთან სიახლოვე უწინარეს ყოვლისა ნაწარმოებში ასახული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების, ეპოქისათვის ნიშანდობლივი ყოფითი მომენტების გადმოცემას გულისხმობს. „ნიბულენგების“ მთარგმნელი ვალდებულია განსაყურებდეს სიზუსტით გადმოსცეს რაინდული ყოფა-ცხოვრების ამსახველი სურათები. მთარგმნელი კ. ჭიჭინაძე ხშირად სწორედ ისეთ სიტყვებსა და გამოთქმებს ამოადგებს ან ასხაფერებს ხოლმე სტროფებიდან, რომელთა დატოვებაც, სავალდებულოა, ასეთებია Waffenspiel (ტურნირი, ასპარეზობა), Ritterspiel (რაინდთა ასპარეზობა), die höfische Zucht (საკარო აღზრდა), Ritterschaft (რაინდები, რაინდობა) და სხვ. ამ სიტყვებს კ. ჭიჭინაძე ასე თარგმნის: „ფარკიანობა“ (სტრ. 133) „თამაში მისალხინები“ (სტრ. 34) ან „თამაშობა საბრძოლველი“ (სტრ. 626), „საზრდილობო ვალი“ (სტრ. 980), „კაცობა პირდაპირული“ (სტრ. 12) ან „გმირები“ (სტრ. 585). ფიქტორობთ, დასახლებული სპეციფიკური გამოთქმებისადმი ასეთი თავისუფალი დამოკიდებულება, რაც მხოლოდ აღნიშნულ სტროფებში არ შეინიშნება, არაა გამართლებული.

ცალკე გვიჩვენა აღნიშნით ერთი გაუგებრობის შესახებ. ესაა გერმანული სიტყვის Däs Schwert (მახვილი, мечи) თარგმნის საკითხი. ცნობილია, რომ რაინდობის ეპოქისათვის უკრობაში ტიპიურია სწორედ Schwert — მახვილი და არა ხმალი, რომელიც აღმოსავლური წარმოშობისაა. პოემის მიხედვით, ზიგფრიდს ხელთ ეყარა არა ხმალი (Säbel), არამედ მახვილი (Schwert), რომელსაც ბალზონგს უწოდებდნენ. მთარგმნელს არაფერი უშლიდა ხელს იმისათვის, რომ გერმანული — Schwert ყველგან მახვილად ეთარგმნა, მაგრამ რატომღაც „ხმალი“ აირჩია და ამით ერთგვარი ანაქრონიზმი გამოვიდა. გაკვირვებას იწვევს ისიც, რომ კ. ჭიჭინაძე „მახვილს“ ხმარობს იქ, სადაც გერმანულ ტექსტში „იარაღი“ (Die Waffe) სწერია: „მოიქმნა მას მახვილი და მოკვეთა თავი სხველს“... (სტრ. 2373). საკიოხავია: რატომ არაა „მახვილი“ იმ სტროფებში, სადაც ორიგინალში Schwert გვაქვს, და, პირიქით, უნდად განდა იქ, სადაც მისალოდნელი არ იყო (სტროფები 2373)?

„ნიბულენგების“ ქართულ თარგმანში ვხვდებით დედნიდან ისეთ გადახვევებსაც, რომლებიც ცოლიან ცალკეული სტროფების აზრს და ეწინააღმდეგებიან ლიტერატურული ძეგლის

საერთო ხასიათსა და მიზანდასახულობას. ამბავი მესამე — „როგორ ჩაეიდა ზიგფრიდი ვთარმს“ იწყება კრიმინალდეს სიტუაციით: „... დასჯილ შობილების გადმოცემით. აქვე ლაპარაკია იმაზე თუ როგორ შეხვდნენ ზიგფრიდის მშობლები შვილის განზრახვას იქორწინოს კრიმინალზე:

„თვითონ ზიგმუნდსაც მსმენოდა ქება არ — დანაკადები; თავის უმთავრეს შვიტყო ზიგფრიდის გულის ნადები. მეფე შეწუხდა, შეიქმნა ამა ამბოთა ვნებულია: ქალი არ ქაურდა ვაისთვის, ესოდენ წარჩინებული“ (სტრ. 50).

ამ სტროფში სწორად არაა თარგმნილი ბოლო ტაქტი. მეფე შეწუხდა არა იმის გამო, რომ ზიგფრიდმა გადასწყვიტა „მშვენიერი ქალწულის“ (Die herrliche Maid) ცოლად შერთვა, არამედ მას აფიქრებს შვილის მომავალი, რომელიც „სიფლათიანაა“ დაკავშირებული (სტრ. 51). ზიგმუნდმა იყის, რომ „მრავალმა გმირმა შესწირა მას (კრიმინალდეს) სიცოცხლე და სხველი“ (სტრ. 2) და შიშობს; ვთ, თუ წარმატებით ვერ დაგვირგვინდეს ზიგფრიდის სტრეტიკა, თარგმანიდან კი პოემის საწინააღმდეგო აზრი გამოდის. წარმოუდგენელია, რომ ნიღერლანდის მეფეს სახელაწილქმული გმირისათვის არ ნდომებოდა „წარჩინებული ქალი“. პირიქით, ზიგფრიდის მეუღლე სწორედ წარჩინებული უნდა ყოფილიყო. ამას მოითხოვდა ზიგფრიდის სოციალური მდგომარეობა, აი რას წერს ენგელს: „Для рыцаря или барона, как и для самого владетельного князя, женитьба — политический акт, случай для увеличения своего могущества при помощи новых союзов“. (К. Маркс и Ф. Энгельс. Избр. произв. т. 2, 1948, გვ. 223) ფიქტობთ, მთარგმნელის შეცდომა აშკარაა.

66-ე სტროფი გადმოგვეცემს მამის ბრძანებას ზიგფრიდისადმი:

„მამამ უბრძანა, ჩაეცვა სამოსი რაინდულია, რომლითაც ქვეყნის სიმდიდრე დალოლდა სრულია“.

აშკარაა ამ ტაქტების შორის ლოგიკური შეუსაბამობა: ერთი კაცის ტანსაცმელმა როგორ შეიძლება გამოიღოს ქვეყნის სიმდიდრე? აქ ლაპარაკია იმაზე, რომ ზიგფრიდმა რაინდული ტანსაცმელით უნდა დატოვოს შობილური ქვეყანა. არავითარი „ქვეყნის სიმდიდრე“ ან „გამოლევა“ ნახსენებში არაა, ალბათ, გაუგებ-

რომა გამოიწვია ზმამ — „räumen“, რომელიც „დაცლასაც“ ნიშნავს, აქ იგი, ცხადია, „მიტოვებას“, „დატოვებას“, „წასვლას“ ნიშნავს.

მსგავს შემთხვევას აქვს ადგილი 392-ე სტროფში. გუნთერის სიტყვები: Wenn ich Gebieten dürfte, sie müte werden mein Weib“, თარგმანში ასეა: „რომ შემიძლოს თხოვნა, იგი გახდებოდა ჩემი ცოლი“. gebieten — თხოვნას კი არა, მბრძანებლობას ნიშნავს. გუნთერი ამბობს: რომ მბრძანებლობის უფლება შეიძლება, ის (ბრძენილდე) იძულებული იქნება გახდეს ჩემი ცოლი. ბრძენილდე და თხოვნა — ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნებაა!

64-ე სტროფში ზიგფრიდი გვაწევებს თავის სურვილს, რომ მას ძლიერ ინტერესებს იმის გაგება, თუ რასთანაა დაკავშირებული კრიმ-ხილდეს გულის მოგება, რა პირობებში და როგორ შეხედება იგი მშვენიერ ასულს. ზიგფრიდი ამბობს: „Ich möchte gern erfahren wie es um Krimhild sei bewandt“ კ. ჰეილინდუ თარგმნის: „აჰ, ნეტავ როდის დავსტკბები ტურფა კრიმხილდეს ცქერითა“. შევნიშნავთ, რომ კედრიაშვილის რუსულ თარგმანში ეს ადგილი თითქმის ისევეა, როგორც ქართულში: „Ах, как бы мне хотелось скорей Кримхильду увидеть“. შეველილია 1102-ე სტროფის აზრით. აქ ლაპარაკია კრიმხილდესათვის ბინის მიჩენაზე (anweisen) და არა „აშენებაზე“, რა გორც ეს თარგმანშია. შემდგომ დაზუსტებას მოითხოვენ 22-ე, 26-ე, 41-ე, 47-ე, 978-ე, 131-ე სტროფები.

აღნიშნული ზარეუბები მეორე გამოცემაში იღბათ არ იქნებოდა, რომ ლიტერატურულ კრიტიკას თავის დროზე საფუძვლიანად შეესწავლა „სიმღერის“ ქართული თარგმანის პირველი გამოცემა.

რამდენიმე შენიშვნა შ. რვეიშვილის წერილის — „სიმღერა ნიბელუნგებზე“ — გამო, რომელიც თან ახლავს „სიმღერის“ ქართული თარგმანის მეორე გამოცემას.

წერილის ავტორი, მართალია მოკლედ, მაგრამ ძირითადად სწორად აშუქებს „ნიბელუნგების“ სოციალურ ბუნებას, „სიმღერის“ ურთიერთობას ნიბელუნგებზე არსებულ ძველ თქმულებებთან და დამკვირვებლად გვიჩვენებს „ნიბელუნგების“ ისტორიულ განვითარებას სკანდინავური ვერსიებისა და ზოგიერთი სხვა შეასაუყუნებობრივი გერმანული ლიტერატურული ძეგლის გამოყენებით. ზვენი შენიშვნები მიზნად ისახევენ ზოგიერთი დებულების მხოლოდ დაზუსტებას.

საშკოთა ლიტერატურათმცოდნეობაში აღიარებულა, რომ ნიბელუნგების შესახებ ეპიური პოემის შექმნას (1200 წლის ახლოს) საფუ-

ძვალდ უნდა დადებოდა ორი ეპიური /სიმღერა — ბურგუნდელთა და დუქვასუნდელთა ზიგფრიდის შესახებ.

ზიგლიორაჟი

აღნიშნული წერილის დასაწყისში კი სხვა-ბული ეპიური სიმღერები საკებთან (თქმულე-ბებთან) არის გაიგივებული. ცხადია, ეპიური სიმღერა არაა თქმულება, სიმღერაში შეიძლება რამდენიმე თქმულება იყოს გადმოცემულია.

დაზუსტებას მოითხოვს აგრეთვე დებულება, რომ „სიმღერის“ ავტორი „დაბეჯითებით... ავსტრიელი შილმანია“ (გვ. 8). ასე კატეგორიულად ამ თეზისის წამოყენება არაა გამართლებული, რადგან „სიმღერის“ ავტორის საკითხი ჯერჯერობით გადაუწყვეტელია.

წერილის დასაწყისში ადგილი აქვს კიდევ ერთ ვაუგებრობას. ავტორი წერს: „ცნობილია, რომ ბურგუნდები — აღმოსავლელ გერმანელთა ერთი ნაწილი — მეოთხე საუკუნეში მოვიდნენ რაინის შუა მიდამოებში. მუფუ გუნდო-კარმა 413 წელს მათ (ე. ი. ბურგუნდელის) დაუთმო მდინარის მარცხენა, მხარე. ბურგუნდელთა ტომსა აქ დააარსა თავისი სამეფო... დამოლის, რომ გუნდოკარმა, ბურგუნდელთა მთავარმა, რაინის მარცხენა მხარე ბურგუნდელებს, საკუთარ ტომს დაუთმო. ფაქტურად კი სწორედ გუნდოკარი იღვა რაინის ბურგუნდელთა სათავეში, სწორედ იგი დამარცხეს პუნებმა 437 წელს.

„ნიბელუნგების“ მეორე გამოცემის შესავალ წერილში ნათქვამია, რომ მთარგმნელმა „ქართული ენის განვითარების ტენდენციის შესაბამისად შეცვალა ცალკეული ტერმინი და საკუთარი სახელი (მაგ. გუნთერი და სხვა)“. მაგრამ ენის არქაოზობისაკენ შედარებულმა მისწრაფებამ გამოიწვია თარგმანის დამძიმება ისეთი სიტყვებით, როგორცაა „მოვივაჟო“ (დროს შოენის მნიშვნელობით), „მუნამდე“ „ეპარე“, „განხიენენ“, „ლარი“ (ჯანბის მნიშვნელობით), „გამოსჭვიროდა“ და სხვ. თარგმანში ვხვდებით ქართული ენის ლექსიკური ფონდისათვის უცხო სიტყვებსაც: „უნა“ (ე. ი. ამაღ), „მესა“ (გერმანული die Messe — წირვა) და სხვ. შეინიშნება ლიტერატურული ნორმებიდან გადახვევაც. მაგ.: „ეიმიშეი“, „გადამშტარტარმან“, „გარდლუნდის“, „გარდამყევით“ და ა. შ. თარგმანში გვხვდება ცალკეული ბუნდოვანი ტიპებიც. მაგ.: „აბა თუ მეტყვი ეინშე აქ, თუ ეინშე მომხმარები“ (სტრ. 77), „მრავალ მშვენიერ ქალათთვის მიმღები იყო ცნობისა“ (სტრ. 22), „მჯობი ილჩი არ უნახავს სამეფოთა საღმე კართა“ და სხვ.

„სიმღერა ნიბელუნგებზე“ კარგადაა გამოცემული. სასურველი იყო მხოლოდ მთარგ-

მნელ ტექსტისთვის დაერთო ზოგიერთი საკეთარი სახელისა (ვალტერ სპანელი, აცაგაუგი — Azagaug და არა აცაგაგი, როგორც თარგმანშია და ა. შ.), და სექს-ფიკური გამოთქმის ახსნა, დაეცა სტროფების ზომრიცხეული აღნიშვნა, ხოლო შესავალი წერლის

ავტორს ორიოდ სიტყვით მიიწეო მთელი კრიტიკა ზურგუზიულ-ნაციონალისტურმა „ლიტერატურათმცოდნეობისა, რომელმაც მოგვინდის სახეში „არიულ სულს“ ხედავს.

ზ. ბარხალაშვილი.

ანდაჯები (ქართულ-რუსული შესატყვისები). შედგენილი
პაპუნა წარბთელის მიერ.

საბჭოთა მწიკალი. 1951.

★

გერ კოდეე გასული საუკუნის ორმოციანი წლებიდან დაიწყო როგორც რუსულ, ისე ქართულ ანდაჯათა მდიდარი მასალის შეგროვება და ცალკე კრებულებად გამოცემა. კრებულების ავტორთაგან უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავი არიან: ვ. დალი, ი. ილიუსტროვი, თ. სნეგირიოვი, პ. სიმონი, ვ. კნიაზევი, ხოლო მკვლევართა შორის — ვ. დალი, თ. ბესლავეი, ა. პოტენია, პ. ვლადიმირივი და სხვ.

ჩვენში ამ საქმიანობას (რომელსაც სათავე დაუდო დიმი. ბაგრატიონმა), ეწეოდნენ დ. ჩუბინაშვილი, პ. უშიკაშვილი, ვეკუა-ფშაველა, ლ. მებრეველი, დ. თურდოსპირელი და სხვ.

რუსულ-ქართული ელტერული ერთიერთობის თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, სასურველი და საჭირო იყო ქართულ-რუსულ ანდაჯებში პარალელების გამოყენება, მათი თავმოყრა და გამოცემა. ასეთი სამუშაოსათვის წარსულში ხელი არავის მოუკლდა და ამ ხარვეზის შეუსების პირველ ცდას წარმოადგენს პ. წერეთლის კრებული.

სარეცენზიო წიგნი ამტკიცებს, რომ ავტორი კარგად იცნობს როგორც რუსულ, ისე ქართულ ანდაჯებს და უზრაველეს შემთხვევაში იძლევა მართებულ პარალელურ შესატყვისებს. მართლაც, მთელი ლექსიკონის მანძილზე გვხვდება ქართულ-რუსულ ანდაჯათა არა ერთი მოხდენილი პარალელი, ამ მაგალითად:

- ერთი აღთას, მეორე ბალთას.
Отец про походы, мать про расходы.
Кто в лес, кто про дрова.
- ერთი აღიღვია მღვდელსაც შეცდებოა.
На всякого мудреца допально простота.
- ერთი დრო არავის შერჩენიაო.
Не всё коту масляница, придет и великий пост.

4. მგელს მგლობა ვრქვა, ტურამ ქვეყანა ამაგდლო.

На волка поклён, а зайцы кобылу съели.

5. სამწყსოს უმწყემსოდ მავალსა შეკამს ტურა და მგელია.

Без матки пчёлки — пропащие дети да сёв.

ნაშრომი არ არის დაზღვეული ნაკლოვანებათაგან.

სასურველი იყო წიგნს დართოდა წინასიტყვაობა ან შესავალი. ავტორს მართებდა ორიოდ სიტყვა მიიწეო წარმძღვარებინა ანდაჯებისათვის მათი თავმოყრა-დალაგების პრინციპების და მეთოდის შესახებ.

წიგნში მოცემულია ქართული ანდაჯების რუსული შესატყვისები, რაც დიდ დახმარებას გაგვიწევს ქართულიდან რუსულზე გადათარგმნისას. მაგრამ რომ დავგვირდეს რომელიმე ანდაჯის რუსულიდან ქართულად თარგმნა, სათანადო შესატყვისის მოსაძებნად მოგვინდება მთელი წიგნის გადაფურცელება.

ამიტომ საჭირო იყო წიგნს დართოდა მეორე (მებრუნებელი) ნაწილიც რუსულ-ქართული შესატყვისები.

შრომში პარალელები ძუნწად არის წარმოდგენილი. თითო ქართულ ანდაჯას, როგორც წესი, თითო რუსული პარალელი ახლავს, მაშინ როდესაც შეიძლებოდა მეტი და უფრო ტაბიური მასალის მოტანა.

ასევე ქართულ ანდაჯებსაც არ ახლავს თითოეული მეტი რუსული პარალელები (იშვითო გამონაკლისის გარდა).

შრომში გამოტოვებულია ქართული და რუსული პარალელურ ანდაჯათა დიდი რაოდენობა. სხვა არა იყოს რა, დიდძალი მასალის ამოკრეფა შეიძლებოდა ი. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ

1937 წელს გამოცემულ „რუსულ-ქართული ლექსიკონიდან“.

წიგნის ტექნიკური გაფორმების ნაკლია ისიც, რომ ერთი და იგივე ანდაზა გაფანტულია სხვადასხვა ადგილას, მაგალითად, რუსული ანდაზა „He даром говорится, что дело мастера бонитя“ სხვადასხვა პარალელებით გვხვდება 37, 39 და 87 გვერდებზე.

უშაკობესია იქნებოდა, რომ იდენტური მნიშვნელობის როგორც რუსული, ისე ქართული პარალელები ერთ ჯგუფში (ბუდეში) ყოფილიყო თავმოყრილი და შემდეგ თითოეული ეს პარალელი-კომპონენტი ანბანის წესის მიხედვით სათანადო ადგილზე გამოტანილიყო ბუდეზე მითითებით.

ზოგჯერ პარალელებად მიჩნეულია აზრობრივად ერთი მეორისგან სავსებით დამორებული რუსულ-ქართული ან ქართულ-რუსული ანდაზები. ასე, მაგალითად:

1. ათ დავრიშს შეუძლია ერთ წამოსასხამზე დაწვესო (გვ. 5).

ეს ანდაზა აქ სრულად არ არის წარმოდგენილი. მის აზრს მაშინ ჩაეწყდებით, თუ იგი მთლიანად იქნება მოყვანილი. უკლებლივ კი იგი შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული: ათ დავრიშს შეუძლია ერთ წამოსასხამზე დაწვესო, ხოლო ორ მეფეს არ შეუძლია ცხოვრება ერთ სამეფოში.

როგორც ვხედავთ, ამ დამირისპირებით ხაზი ესხება იმას, რომ ორი მეფე ვეფერბრთულა ტერიტორიაზე (სამეფოში) ერთად ვერ თავსდება, მაშინ როდესაც ერთ წამოსასხამზე ათი დავრიშს ეტევა.

ზემოხსენებულის მიხედვით, ციტირებული ქართული ანდაზის რუსულ პარალელად მწე-ლად თუ გამოდგება ანდაზის საბით მოყვანილი შემდეგი ფრაზა: „Хотя тесно, да лучше вместе“. ასევე არ გამოდგებოდა აქ არც დანის კრებულში შეტანილი უფრო კარგად გამოართული ანდაზა: „В тесноте да не в обиде“.

2. არაქელას ფარჩას არუთინა ხედავო.
Кто шьёт, а кто порет (გვ. 7).

3. არც თავისთვის უქნია ღმერთს, არც სხვისთვის.
Ни богу свеча, ни чорту кочерга.
Ни себе не гош, ни людям не пригош.
(გვ. 7).

ამ ორ რუსულ ანდაზას შორის პირველი არ გამოდგება ქართულის პარალელად. იგი შესაბამისია შემდეგ (მე-8) გვერდზე მოთავსებული ქართული ანდაზისათვის: არც ღვინა, არც წყალი, აგრეთვე, მომღვენო ჯგუფში მოთავსებულ ქართული ანდაზისათვის — არც ღვინაა

და არც კაცისა. ეს ორივე ქართული ანდაზა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, უნდა განვიხილავთ ერთ ბუდეში (გვერდში) [წმ.] დამატებოდა მათ, აგრეთვე, მესამე ანდაზაც — არც ფლავია, არც ჩლაეი.

4. არ ცოდნა არ ცოდვა (გვ. 8).

შრომის ბიბლიოგრაფიაში დასახელებულ ორივე ქართულ წყაროში (ლ. მატრეველი — „ქართული ანდაზები“, პ. უმიკაშვილი — „ხალხური სიტყვიერება“), აგრეთვე დ. თერდოსპირელის მიერ შედგენილ კრებულში, ეს ანდაზა შეტანილია შემდეგნაირად: არ ცოდნა არ ცოდვააო. მის პარალელად მოყვანილია — „He зная, греха не творит“, მსგავსება ამ ქართულ და რუსულ ტექსტებს შორის მხოლოდ იმაშია, რომ ორივეში მოხსენებულია „ცოდვა — грех“.

5. დათვს თავისივე ქონი აწუხებსო.
С журу бесится (გვ. 18).

აქ მოყვანილი რუსული შესატყვისი, ჯერ ერთი, ანდაზა კი არაა, ხატოვანი თქმავ; მეორეც, იგი იხმარება, როდესაც უნდათ თქვან, რომ მოყრებუელი სიმძიდრის პატრონი ეფინიანობს და უხიაკობს (привередничает).

6. დათვმა თქვა სანამ ჩემი ტორო არ მოცარი, გემო ვერ ჩავატანო.
„Трудовая денежка всегда тверда“.
(გვ. 18).

ძნელია აქ ანალოგიის დადგენა. ყოველ შემთხვევაში, მათ შორის მეტად შორეული მსგავსებაა.

7. დრონი მეფობენ და არა მეფენი.
„Сегодня в порфире, а завтра в могиле“.
„Сила во времени“ (გვ. 20).

სხვა არა იყოს რა, რატომ არ არის მოყვანილი რუსულ ფოლკლორში დამკვიდრებული სავსებით იდენტური ტექსტი: „Времена царствуют, а не царя?“.

8. ერთი ღღის ბატონობაც ბატონობა არისო (გვ. 22).

რუსულ შესატყვისად მოყვანილია ხატოვანი თქმა (და არა ანდაზა!) — „Халиф на час“. იგი ზომ ირონიული ხასიათისაა და, ისევე როგორც რუსულ ენაში არსებული მეორე თქმა — „Рыцарь на час“, ნიშნავს არა მკვიდრ მდგომარეობას (ბატონობას, თუნდაც ერთი დღით), არამედ, პირიქით, წარმავლობა — წუთიერიებას. 9. ერთი გწყველობს, ერთი გლოცავს, ერთი თვალში ნაევს გაყვრის (გვ. 22). ეფიქრობთ, რომ არაფერი საერთო არა აქვს ამ ანდაზასთან ლაუბობის, ჩმაბის, დომბალისა

და ა. შ. დამახასიათებელ რუსულ ანდაზას —
Вздор на вздор помножь, чепухой под-
ложь и выйдет яралаш (чуш).

10. ვინ ალალო იმაზე და ვინ მწვერი დაიჭო-
რაო (გვ. 26). საეჭვოა, რომ ამ ანდაზის პარა-
ლელად გამოდგეს რუსული ანდაზა: „Дуракам
чужие“.

11. წინა მუხლში მოყვანილი რუსული ან-
დაზა გვხვდება მეორედ 68-ე გვერდზე და მეო-
რედვე შეესაბამოდა გამოყენებული, როგორც
პარალელი ანდაზისა: მღვდელმა უღელი გად-
აგდო და კურდღელი მოკლა.

აქ ადამიანის (თუნდაც სულელი ადამიანის)
კეთილ ბედ-იბაძლზე კი არ არის ლაპარაკი,
არამედ შემთხვევითობაზე. მღვდელს (სხვა ვა-
რიანტით — ტერტრასს) ხელიდან უცხად გა-
ვარდნია უღელი, რომელსაც თურმე ბუნების
ძრას მკდომი კურდღელი მოკლავს. ამ სრუ-
ლიდ მოუღონდელი ამბის გამო მღვდელს მო-
ნადირის სახელი გაეარდნიაო, აღსანიშნავია, აფ-
რეთვე, რომ ეს ანდაზა საეჭვებით ირონიულია.

12. ძაღლმა სიჩქარით ლეკვები დაყარა.
„Поспешишь, людей насмешишь“
(გვ. 82).

13. ვინც თავი არა თქვა, ბოლო არ იყო.
„Какое начало, таков и конец“ (გვ. 27).

14. წითელი კვერცხი აღდგომისთვისაო
(გვ. 84). არც ერთ კრებულში ეს ტექსტი არ
არის. საეჭვოა, რომ ეს თითქმის სიტყვასიტყვით
თარგმანი რუსული ანდაზისა — „Дорого ян-
лочко к красному дню“ იმპარებოლეს ჩვენში.

15. „У страха глаза велики“ (გვ. 30).

ამის ქართულ პარალელად მოყვანილია:
თავმა თქვა — კატაზე ძლიერი ნადირი არ მოი-
პოვებო. მაგრამ ეს ხომ სიტყვასიტყვით თარ-
გმანი კრილოვის იგავ-არაკიდან გადმოსული
და ანდაზად ცქეუელი სხარტული ფრანზისა —
„Сильнее кошки зверя нет“. საქმრო იყო
თვით ამ ორიგინალის დასახელებაჲ.

ზემოხსენებული ანდაზა „У страха глаза
велики“ გამეორებულია, აგრეთვე, 35-ე გვერდ-
ზე. მაგრამ აქ იგი უკვე ვერ გამოდგება შე-
სატყვისად ქართული ანდაზისა — „თხა კოცინით
გამოვიდა, ცხვარმა სული დალიაო“ (სხვა ვა-
რიანტით: „ფეხები გაშალაო“ ან „ფეხები ფშო-
კაო“). ამ ანდაზის პირდაპირი მნიშვნელობაა:
სამოვარზე ფარის ვადარევიას თხამ ადვილად
გადაიტანა მგზავრობა („კოცინით გამოვიდა“),
მაგრამ ვაი ცხვრის ბრალი, რომ მან ფეხები
გაშალაო. ეს დაპირისპირება გადატანითი მნიშ-
ვნელობით იმპარება და მის გამოსაბატავად
„У страха глаза велики“ უადგილოა.

16. სხვა სხვის ომში ბრძენიაო.

С берега хорошо глядеть на гребцов
(გვ. 67).

ვფიქრობთ, აქ გამოდგებოდა ეს პარალელი:
„Чужую беду руками разведу, к своей
ума не приложу“.

17. კანონმა იკანონოსო, ნდობამ კი იბატო-
ნოსო.

„Уговор лучше денег“ (გვ. 38).

ვფიქრობთ, აქ არ არის შესაბამისობა, ამ
რუსული ანდაზის უფრო სწორი შესატყვისია:
პარობა ვაცს ცოლს წაართმევსო. და მართლაც,
ეს ორივე რუსულ-ქართული იდენტური ანდაზა
ჯეროვანად არის მოყვანილი 55-ე გვერდზე.

18. ცოდვა გამვლავნებული სჯობია (გვ. 81).

შრომაში მოცემული რუსული გამოთქმა —
„Кто сознался, тот покаялся“ შორეულია
ცოდვის გამვლავნების უპირატესობის აზრისა-
თვის. უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, მოყ-
ვეყვანა გამოთქმა, რომელიც ამ შემთხვევაში
იმპარება რუსულად: „Что (ან нечего) греха
таить“ (იხ. Даял, ტ. 4, გვ. 713).

19. ცუდად ღვთისა ცუდად ჯდობა სჯობია
(გვ. 81). ასეთი ვარიანტი არა აქვს არც პ. უმი-
კაშვილს, არც ლ. მეტრეველს, არც, დ. თურ-
ღისძირელს, სამივე ავტორს ეს ანდაზა შემ-
დეგნარად აქვთ შეტანილი თავიანთ კრებულში:
ცუდად ჯდობა ცუდად შრომა სჯობიაო.

მის შესატყვისად მოყვანილი ანდაზას — „Ся-
дучий стоячего перегаиет“ მხოლოდ გარეგ-
ნული მსგავსება აქვს (сидучий და стоячий).
აქ რუსულ ანდაზად გამოდგებოდა საეჭვობით
მსგავსი შინაარსის შემდეგი ანდაზა: „Малень-
кое дело лучше большого безделья“.

20. სად თხა ძოვდა, სად თიანთი
საიდან სადაო, წმინდა საბაო! (გვ. 61).

ამ ორივე ანდაზის რუსულ პარალელად მოყ-
ვანილია ფრანზა: „Откудаго куда“. არც ერთი
რუსი ასე არ იტყვის, რადგანაც არის ლიტერ-
ატურული ოთკუდა და სასაუბრო ოთკალა, ოტ-
კუდოლა, ოთკუდა და ოთკუდამ, ხოლო ოთკუდოგო
არც ერთ ლექსიკონში არ მოიძებნება. ეს არც
ზმინზედა და არც, მით უმეტეს, ზედსართავის
ნათესაობითი ბრუნვა (откудагы არ არსებობს).
აქ მართებული იქნებოდა მოვეყვანა წმინდა
რუსული ანდაზა: „В огороде бузина, а
в Кнеше ябля“.

ნაშრომის ნაკლი ისიცაა, რომ ტექსტები არ
არის სიზუსტით დამოწმებული. ასე, მაგალი-
თად:

1. Для того слеп плачет, что ни зги не
видит (გვ. 12).

ეს ციტირებული ფრაზა შეტანილია კრებულში შემდეგი ქართული ანდაზის პარალელად: ბრმა რას ტირიდა და ორთავ თელის სინათლესო, ჯერ ერთი, ამ კონტექსტში არ შეიძლება იყოს слеп — კვეცილდაბოლოებიანი ზედსართავი, რადგანაც იგი მხოლოდ შემასმენლის სახით იხმარება. ამ წინადადებაში კი უკვე არის შემასმენელი плачет. უნდა ყოფილიყო слепой (კვეცილბარე). მეორეც, აქ არ შეიძლება, აგრეთვე, ითქვას для того плачет (სადაც მიზნის მაჩვენებელია). მართებული იქნებოდა: оттого плачет (მიზეზის გარემოება оттого), შესაძლებელია, რომ იგი ამ ანდაზის მოყვანა იმ სახით, როგორც შეტანილია ის დალის განმარტებითს ლექსიკონში (ტ. 4, გვ. 274): Тем и слеп, что ни зги не видит анда О том слепой и плачет, что ни зги не видит.

2. ვაიმე, ძმად თარხანო, ჭკუაზე რა თხლად ხარო (გვ. 25). ასეთი რედაქცია არც ერთ კრებულში არ არის, ხოლო პ. უმიკაშვილს ასე აქვს მოყვანილი: ვაიმე, ძმად თარხანო, ჭკუაზე რა თხლად ხარო!

3. Собака на сене ни сама не кушает, ни другим не дает (გვ. 5).

აქ სადავოა სიტყვა кушает, რომელიც ძალიან უახლოვდება ქართულ „შითრთმევს“-ს და, შესაძლებელია, ამ შემთხვევაში უადგილოა მისი ხმარება. დალს (ტომი 4, გვ. 330) ეს ანდაზა ასე აქვს გამოართული: Как собака на сене лежит: и сама не ест и другим не дает. ჩვეულებრივ კი იგი ამეამად შემოკლებით იხმარება, სახელდობრ: Собака на сене. ასეა, მაგალითად, დასათარგმნელი ლოპე-დე-ვეგას ცნობილი კომედიის რუსული თარგმანი.

4. Дитя не заплачет — мать не знает (გვ. 10).

დალის მიხედვით (ტ. 1, გვ. 1085) ასეა: Дитя не заплачет, мать не услышит (разумеет).

5. У семи нянек дитя без глаз осталось (გვ. 12, 53). დალის მიხედვით (ტ. 2, გვ. 1464): У семи нянек дитя без глазу.

6. ზოგს კაცს შეიძლება პარასკევი აქვსო (გვ. 29). ეს ქართული ტექსტი არც ერთ კრებულში არ არის შეტანილი. ის რომ ჩვენში შემოხუთიყო, ხალხი მას თავისებურად გადააკეთებდა და იქ-

ნებოდა ანა „შეიდი“ რიცხვი (რაც ჩვეულებრივია რუსულ ფოლკლორში: семь пятниц, семь рек, за семь перст, etc.) და სხვ.), არამედ ქართულ მსგავსებაში და შესაბამისი „ცხრა“ რიცხვი (ცხრა ძმა, ცხრა უღელი, ცხრა მთას იქით, ცხრა დევი, ცხრა თეაღა მზე, ცხრაკლიტური, ცხრა რძალი, ცხრა შექოთნე და სხვ.).

არ არის გამართლებული წიგნში ისეთი მასალა, რომელიც ანდაზა კი არ არის, არამედ უფრო მხატვრული გამოთქმაა ან აფორიზმი. მაგალითად:

1. ანდაზად ვერ ჩათვლით ამ გამოთქმას: ცალი ფეხი სამარეში უღვია (გვ. 70).

2. ასევე არაა ანდაზა „Прича во языцех“ (გვ. 74) — არც მისი სწორი ქართული შესატყვისი — უბაღაღებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქართულ შესატყვისს სინონიმის სახით გვერდზე მიწერილი აქვს მეორე სიტყვა — წყალწაღებული, რაც არ არის სწორი, რადგან რუსულად იგი ნიშნავს: В конце пропащий, отпечет.

3. ვერ ჩათვლება, აგრეთვე, ანდაზად რელიგიური ხასიათის გამოთქმა: „მიწა ხარ და მიწად იქცევი“, და არც მისი შესატყვისი ძველ სლავურ ენაზე: Земля еси и в землю отыдеши.

4. ასევე არ იყო შესატანი ანდაზის მნიშვნელობით გამოთქმა: „საჭმემან შენმან გამოჯანოს შენ“ ძველსლავური ტექსტით: От дед твоих сужду ты. უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება ეს უკანასკნელი შეცვლილიყო თანამედროვე რუსულით: Дерево узнается по плодам.

5. დასასრულ, ზედმეტია აქ შოთას აფორიზმებიც:

ა) მხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ზიდად (გვ. 88).

ბ) შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობა (გვ. 78).

ავტორის სრული შესაძლებლობა აქვს გამოასწოროს შემდეგ გამოთქმაში ზემოხსენებულ ნაკლოვანებანი და მოგვეცეს უფრო სრულყოფილი ნაშრომი.



„ლიბერატორული აღმანახი“

წიგნი 4 და 5, აფხაზეთის სახელგამი, 1951 წ.



რამდენიმე წელია, რაც აფხაზეთში გამოდის „ლიბერატორული აღმანახი“. მის ფერკლებზე ბევრი კარგი ნაწარმოები დაიბეჭდა. რა თქმა უნდა, აღმანახში გამოქვეყნებულ ნაწარმოებთა დიდი ნაწილი არ იყო დაზღვეული ზოგიერთი სერიოზული ნაკლოვანებებისგან მხატვრული ოსტატობის თვალსაზრისით. ამ შევლომების შეგნებისა და მათი დაძლევის გზით არის მხოლოდ მოსახერხებელი, რომ ჩვენი ახალგაზრდა ლიტერატურული კადრები იზრდებოდნენ და მწიფდებოდნენ იდურად, მხატვრულად. ამას ხელს შეუწყობს აგრეთვე ის ვარემოებაც, რომ ახალგაზრდა ძალებთან ერთად აღმანახის ფურცლებზე იბეჭდებიან ჩვენი მოწინავე მწერლებიც.

აღმანახის მეოთხე წიგნი იხსნება გიორგი ლეონიძის ლექსებით „აფხიარცა“ და „დილა“. პირველი მათგანი გამოხატავს გულწრფელ აღტაცებას იმის გამო, რომ პოეტის შემოქმედებითი საღამოზე ობილიში აფხაზმა მწერლებმა უძღვნეს მას ძველისძეული აფხაზური მუსიკალური საკრავი აფხიარცა. პოეტს სერს, რომ მუდამ ერთად ეღერდნენ ქართული ჩონგური და აფხაზური აფხიარცა, როგორც მკვიდრი ძმები. იგი თავის ლექსს ასეთი შთავგონებელი სტრიქონებით ამთავრებს:

„ერთ დიდ ცეცხლად ვინც შეგვკრება,
და მტერი ვინც დაგვიმარცხა,—
მზისკენ წამყვანს—
ჩვენს დიდ სარდალს,—
უძლეუროდ აფხიარცა...“

გ. ლეონიძის მეორე ლექსი „დილა“ ეყრდნობა უნგრეთზე დაწერილი ლექსების ციკლს. მასში აღწერილია განთავისუფლებული უნგრელი გლეხის ზეიმი და სიხარული, მისი აღტაცება და სიყვარული დიდი საბჭოთა კავშირისადმი, ბრძენი ბელადისა და მსწავლელის ამხანაგ სტალინისადმი, საერთოდ ეს ლექსი შეიცავს გულშიღღ და გულწრფელ სტრიქონებს. მაგრამ მით უფრო საკვირველია, რაღაც შეიძლება ლექსში ზედება ამ თვალსაჩინო, მოწინავე პოეტისათვის მხატვრული თვალსაზრისით შეუფერებელ სტრიქონებს:

„აზრს ვერ მოიყვანს ფარგალში,
ენა მუცელქვეშ აბია,
თაყდაბალია წყალოვით
სულ მთლადაც იფლის ქაფია“.

აღმანახში ყურადღებას იმყრობს ლიბიტრი გიბერეიას პოემა „ელსადგურის დარაჯი“. იგი სოფლის ელექტროფიკაციის თემაზეა აგებული. მიუხედავად ერთგვარი სქემატიზმისა, რაც ამ ნაწარმოებს ახასიათებს, უნდა ითქვას, რომ ავტორს ემარჯვება ფართო ტილოზე მუშაობა.

კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს ზ. ნაყოფიას ორი მოთხრობა „მერცხლის ბუდე“ და „სიძულელი“. ეს უკანასკნელი უფრო ნოველაა; ავტორს აქ ნაჩვენები აქვს ამერიკელ ავტოსროთა მხეცობა კორეაში, და სიძულელის წმინდა გრძნობა, რომლითაც ყველა პატიოსანი ადამიანი გამსჭვალულია მეოცე საუკუნის ამ კანინდალთა მიმართ.

აღმანახში მოთავსებულია შოთა აკობაის რამდენიმე ლექსი. მკითხველი სხვა ლექსებთან იცნობს ამ პოეტს, როგორც ნიჭიერ ახალგაზრდას. აქ წარმოდგენილ ლექსებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევა „ბელდი“.

უფრო დგებუადის „ავარცველები ზევში“ ეზება ვარდაჭმინლ აკარმარას, ტვეარჩეულთა ცხოვრებას, ნაწარმოები ვაკილებით ძლიერ შთაბეჭდილებას მოახდენდა, რომ მასში ცხოვრების კონფლიქტები უფრო მწვავედ ყოფილიყო წარმოდგენილი, აქ კი ყველაფერი უმტკივნეულად მიმდინარეობს, თითქოს ცხოვრება მძაფრი შეხალ-შემობლის გარეშე ამვიდრებდეს ახალს და უარპყოფდეს ძველს, წარსულის დასავგობ გადმონაშოს.

რა თქმა უნდა, ეს შენიშვნა მარტო ფ. დგებუადის ნაწარმოებს არ ეკუთვნის. ეს საყვედური თამამად შეიძლება გავიშოროთ თითქმის უკლებლივ აღმანახის ორივე წიგნში მოთავსებული პროზაული ნაწარმოების მიმართ. ასეთივეა, მაგალითად, ადამ ადამიას „სამი ძმა“, ივანე პაპასქიის „თამელ“ და სხვ. ხოლო ალექსი ლასურაის მოთხრობა „მშვიდობისათვის“ ყალბ კონფლიქტზეა აგებული. მოთხრობის გმირს—გიორგის ერთადერთი ვეჯა—სისა მძიმე ივად ჰყავს. იგი გიორგის სამკურნალოდ სუხუმში მიჰყავს მანქანით. მათ თან ახლავს ექიმი ქალი რაისა. გზაზე შეიტყობენ, რომ კოლმეტრნეობის თხები მთაში მოწყვედულან გზაზე ზვავის ჩამოწოლის გამო. გიორგი დარტოვებს ავადმყოფ შვილს და თხების გადასარჩენად მიდის მთაში მეზობლებთან ერთად. განა ეს ბუნებრივი საქციელია? არაკითარი იტყობლბლობა, არაკითარი მხატვრული დასაბუთება არ არსებობს იმისათვის, რომ გიორგიამ

თავის მიმე ავადმყოფი პირში მიატოვოს და თებზე იზრუნოს. ასეთი სიტუაცია არაბუნებრივია, ყალბია, ხელოვნურადაა შეთხზული. მას ცხოვრების სინამდვილესთან არაფერი აქვს საერთო, საბჭოთა ადამიანმა იცის პირადულის გაწირვა საზოგადოებრივი ინტერესებისათვის, მაგრამ თვით საზოგადოება არ დაინებებს პიროვნებას, რომ პირტუცვის გულისათვის ცოცხალი ადამიანი გასწიროს მშობელმა. ეს კარგად უნდა გაეთვალისწინებინა როგორც ნაწარმოების ავტორს, ისე აღმანახის რედაქციას.

მურმან ქიაიას „ერთი სურათი“ წარმოადგენს ცდას — ერთმანეთს დაუპირისპიროს წყევული წარსული — თავისი საშინელებით, ადამიანური ღირსების გაქვლით, და ჩვენი დიდი ეპოქა, როცა ადამიანზე სტალინური ზრუნვის შედეგად საბჭოთა ქვეყანაში ყველაზე ბედნიერად გრძნობს თავს ახალი ეპოქის მოქალაქე, როგორც ჩანს, ავტორს ვერ მიღვნიან შესაფერისი ეპიზოდისათვის შეაბნელი წარსულის სურათის დასახატავად. განა გადაცმული გლეხის დადიანად გასაღება ბიროტებად გამოჩნდება იმ საშინელ ტანჯვასთან, რასაც დაბალი ფენები განიცდიდნენ ფეოდალური არისტოკრატის მხრივ?

რიტორიული, მშრალი და მიმედ საკითხავია უკონუს ლექსი „კავკასიონი“.

აღმანახის რედაქცია კარგად მოქცეულა, რომ მეოთხე წიგნში მოუთავსებია მოწინავე უცხოელი მწერლების — სტეფან ლოკოს, მიკუენის, ვილის ლარისის ნაწარმოებთა ქართული თარგმანი. ეს კი უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ადგილას ენის მხრივ შეტე დასვეწა და დაზუსტება სჭირდებოდა.

ყურადღებას იმეორებს ოთარ კუბრაევს და ემბლან ჭერდიანის ლექსები უშუალოდ და განცდის გულწრფელი გადმოცემით.

ფრიად საყურადღებო საკითხს ეხება გიორგი მერკვილაძის სტატია „სოციალისტური რევოლუციის გენეზისის საკითხისათვის გორკის შეზღვევებაში“. წერილი საპირდაპირადაა გაკრიტიკებული ჩვენი ცნობილი ლიტერატურათმცოდნეების — ვ. ერმილოვის, ა. ტარასენკოვის, ლ. ტიმოფევიცის, ბ. ბილიკის ზოგიერთი მისაზრება და ბ. მიხაილოვსკის მკდარი კონცეფცია გორკის შემოქმედების შეფასების საკითხში. სტატიის ავტორი მრავალი ლიტერატურული ფაქტის მოშველიებით ცხადყოფს, როგორ შეიმუშავა და დაასაბუთა მქონე გორკომ თეორიულად და მხატვრულ პრაქტიკაში სოციალისტური რევოლუციის პრინციპები.

უთუოდ სერიოზული ნაშრომია სიმონ წყურავას სტატია „შენიშვნები ქართულ საბჭოთა პოეზიაზე“. ავტორი საკითხის ცოდნით, საქმის სიყვარულითა და პასუხისმგებლობის გრძნო-

ბით არჩევს ქართული საბჭოთა პოეზიის ერთარებას.

სუხუმის სახელმწიფო თეატრის გასტროლებს თბილისში ეხება ერთი დეტაილის წერილი. მასში დაწერილებით განხილულია ყველა საჭტაკლო, რაც დედაქალაქის მყურებელს უჩვენა სუხუმის თეატრმა გასტროლების დროს.



„ლიტერატურული აღმანახის“ მეხუთე წიგნის პირველ ფურცლებზე მოთავსებულია ალექსო შენგულიას ლექსები „მშვიდობისათვის“, „ზინაიდა აკუშა“, „მწვემის დაბრუნება“, „წყარო“ და „სინათლის დაბადება“. ლექსები აღბეჭდილია პოეტური სიბოძით და ჯანსაღი ლირიზმით. პოეტი უმღერის მშვიდობას, მშვიდობის საქმის გენიალურ მემკრძმეს დიდ სტალინს, მშვიდობიანი შრომის ერთუზიანტებს, საყოლმურნეო დოვლათსა და ზარქას. გამოწყისის შეადგენს მხოლოდ ლექსი „წყარო“, რომელსაც უსაგნობის ელფერი აზის.

ინტერესით იკითხება შალვა დადიანის ნარკვევი „განგაში“. მწერალი ოსტატურად გადმოგვცემს სამართლი იმში გამართლად დაცუბული მიზეღ დულარძის ოჯახს, მისი საყვარელი მეუღლის მერი ლორთქიფანიძისა და მშობლების ცხოვრებას, მათ სულიერ განცდებს. ამ ორი ოჯახის იმედად და სასოუბად იზრდებოდა მიზეღისა და მერის ვეი პატარაგანგაში. იგი თავისი მშობლების ხანმოკლე სოციალისტის ვაგრძელებს წარმოადგენს. მასზე და მისთანა ბავშვებზე ზრუნავს მთელი საბჭოთა ქვეყანა. ამიტომ არ სურს ჩვენს ხალხს კვლავ განმეორდეს გამანდღურებელი საშინელება ახალი მსოფლიო ომის საბით, ამიტომ იზარქვანი საბჭოთა სახელმწიფო, დემოკრატიული ქვეყნები და ყველა პროგრესული ადამიანი მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის გამარჯვებისათვის.

წიგნში მოთავსებულია აფხაზეთის სახალხო პოეტის დიმიტრი გულიას ორი ლექსი. ერთი მათგანი ეხება სუხუმის ფენიკელიორის მოწყობას, ზოლო მეორე — საბჭოთა კავშირის დედაქალაქ მოსკოვს.

სუხუმის სახელმწიფო თეატრმა პირველმა დადგა ონა ვაყლის ოსმომქმედებანი პეისა „რელო“. ამიტომ დაუბეჭდას იგი რედაქციას აღმანახის ფურცლებზე. აღნიშნული პეისა და სპექტაკლი ჩვენმა პერიოდულმა პრესამ თავის დროზე უფე შეფასა; ამიტომ ჩვენ აქ მასზე აღარ შეგზრდებით.

კლომენტ გოგიაევას „მოიკლის დღეები“ წარმოადგენს ნაწყვეტს რომანიდან. ბუნებრივია, ჩვენ საშეაღიბას მოკლებული ვართ, რომ მთლიანად ნაწარმოების აყვარგანობაზე გა-

მოთქვით რაიმე მოსაზრება. აღნიშნული ნაწყვეტიდან ჩანს, რომ ნაწარმოები ფრიალ აქტუ-ალურ საკითხებს ეხება და იგი ფართო საბ-კოთა მკითხველისათვის საინტერესო იქნება.

სოციალისტური სამშობლოსადმი, მისი გზი-რი შეიღებისადმი, ბუნების დადი სტალინ-რი ვარდაქმნისათვის ღრმა სიყვარულის გრძნო-ბით არის გამთბარი ივანე თარბას სამი ლექ-სი: „სიღნაღის მუზეუმი“, „გული ბინთა“ და „სამშობლოს რეკლამა“.

განყოფილებაში — „დღეები სამკორში“ მოთავსებულია მერმან ქოიავას ლექსების ციკლი. იგი შეიცავს თორმეტ ლექსს. კომენიზმის დიდ მშენებლობათა ამ ერთ უბანზე ზალბის მერ მშობველ ბრწყინვალე გამარჯვებით აღტაცებული პოეტი მღერის:

„ვხვდავ მშენებლებს დროებით
თბილისის ზღვასთან დადგარან,
მოღვლავს ტალღა ძლიერა —
იორის წყალი ანკარა...
მზის ოქროსფერი სხივები
ზღვას მთვალსენ ამბორით,
სტალინს უმღერენ გმირები,
სტალინს ადიდებს სამგორი!..“

გაუგებარია, რატომ დაურქმევია ზურაბ ნა-ყოფიას მოთხრობები იმ ოთხი ნაწარმოებისა-თვის, რომლებიც აღმანახის მეხუთე წიგნშია დაბეჭდილი. ისინი მხოლოდ ლიტერატურულ ესკიზებად ჩაითვლებიან, და სხვა პრეტენზია არ შეიძლება მათ ჰქონდეთ.

კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს შოთა აკო-ბიას ლექსი „მეგობარ არქიტექტორს“. არქი-ტექტორის ნახაზებს პოეტი განაჩენის ფურ-ცელს ადარებს, ვინაიდან ამ ნახაზების მიხედ-ვით ინგრევა პატარა სახლები და მათ ადგილზე აღმართებიან მრავალსართულიანი ახალ სახ-ლები; ამიტომ ამბობს იგი:

„ახალ სართლებს როცა ჩავეულ
აქ ქობი იდგა, შემახსოვრება.
ქობს ერთი ჰქონდა დანაშაული,
ვერ დიდიბა დიდი ცხოვრება“.

პოეზიის განყოფილებიდან აღნიშნავეთ, აე-რატოვე, ოთარ კუპრავას, დიმიტრი გვიბერიას, ალექსი ჯონუას, მირიან ციკლიას და ერპილე კაკაბაძის ლექსები.

ინტერესით იკითხება ქიაზიმ აგუმაას „კლდის სიმღერა“, რომელშიც მხატვრულად გადმოცე-მულია შვეი წარსულისა და ბედნიერი აწყობის სურათები.

კომპოზიციურად მეტ დამუშავებას შიით-ხოვდა მამია ასათიანის ისტორიული ნოველა „შუბლნათელი ვაჟაკები“.

აღმანახის რედაქცია კარგად მოქმედებს, რომ ადგილი დაუთმია ახალგაზრდა მწერლისა, შე-მოქმედებისათვის. აქ არის წარმოდგენილი რო-გორც პოეზიის, ისე მხატვრული ნაწარმ-მეშები.

საკითხის ცოდნით და საქმისადმი სიყვარუ-ლით არის შესრულებული ფეცე დაგუჯიძის მხატვრული ნაკვეთი „სტყვარხლის შავში“.

კომენიზმის დიდი მშენებლობებისადმი მი-ძღვნილია მერმან ქოიავას სხარტი მხატვრუ-ლი ნაკვეთები: „დიდი რუსეთი“, „გვოდვის-ტი ოთარ ხვედელიძე“, „მოწინავენი“, „სტალინ-გრადელთა საჩქარა“, „იგი კომკავშირმა აღ-ზარდა“.

კონსტანტინე ლომია ლექსში — „მოხველი“ გადმოგვცემს ჩვეულებრივი მოხველის ფიქ-რებს, როცა იგი მუშაობიდან ბრუნდება და კლუბის კედელზე დაინახა ნათურით გა-შეშებული შობლიერი სტალინის სურათი. მოხველი მტაცებულია იმით, რომ „დიდი ბეადის დათესილი მარცვლები ყველა ქვიან ადგილშიც თვალწარმოკლე ნაყოფს იძლევა... ცისა და მიწის მოციმციმე გარსკვალავ კრებუ-ლი, ურთიერთშორის მოდავენი წარმტაცად ერთიან, კრემლში ბინადარ დიდ მოხველზე დაფიქრებელი მიდის მოხველი და განაგრძობს შარავნის მოთაზნ“.

სუსტია კ. ლომიას ლექსი „წითელი მოე-ღანი“.

აღმანახში მოთავსებულია მაქსიმ გორკის „მორალის ქურუმისა“ და ჩარლზ უესტონის „ბილ ჯუბსონის დაბრუნების“ ქართული თარგმანი.

დიდი სტალინის თანამებრძოლის, მგზნებარე რევოლუციონერის ალექსანდრე წოლუკიძის და-ბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი რუბენ კინჭერაშვილის მასალა „თავისუფლებსა და სოციალიზმისათვის მგზნებარე მებრძოლი“.

ფურადლებას იმყრობს 30 წლის მანძილზე ქართული საბჭოთა მწერლობის განვითარების ერცელი და შინაარსიანი მიმოხილვა. სტატიი ეკუთვნის სიონ წყერაევს.

აღსანიშნავია პროკოფი რატიაის წერბი-ლი „ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ღრმად შესწავლისათვის“. ეს ნაშრომი ერთგვი-რად ავსებს და განაგრძობს ამავე ავტორის წიგნს — „ილია ჭავჭავაძე, ფილოსოფიური და სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი“.

აღმანახის რედაქციის უდავო დამსახურე-ბად უნდა ჩათვალოს ის გარემოება, რომ წიგნში ფართო ადგილი აქვს დათმობილი ბიბ-ლიოგრაფიული ხასიათის მასალებს.

ა. ჯიღაშვილი.

